კვირის პალიტრა

გზა

№14(199) 1/IV.-7/IV.2004.
ფასი 60 თ.

63

1168
2004

რას ფიქრობენ ბირველების ფორე ნახევრები

ახალგაზრდები, ჯენტლმენი, ეპოხეები

გზავნილები – რა სარგებლობა მოაქვს საპირველაპრილო ხუმრობებს

სასიძო – რა ფერისაა ეკონომიკის მინისტრის თვალით დანახული სიყვარული

ვაშინგტონიდან მოვლენილი ამერიკელი ქართველი ქალი პრეზიდენტს დაწყნარებას ურჩევს

№7(67) 1.IV-14.IV 2004

ოჯახის მეუღლეები

საგზაფხულო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ჯიბლიბო და ქუთუთოების ჰიგიენა

ვიზიტი ნარკოლოგთან

ენაბორძიკობა

ალოპეცია – უჩვეულო თმის ცვენა

რა ახლოვთ „ლეჩკომბინატის“ კედლებს

მთავარი თემა

სასუნთქი სისტემის დაავადებები

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№14 (199)
1 - 7 აპრილი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„მარტის თვეა შენი“ ანუ ვაშა გამჭვირვალე არჩევნებს!.. 3
ერთი კითხვა 4
მარჩიელი
რას განიცდიან პირველების მეორე ნახევრები – ემოციური, ჭკვიანი, მხიარული 7
სხვათა შორის 8,31,51,57
საპატარძლო
„შენმა სიყვარულმა გამაგიქა, ეს უწყინარი ბავშვი...“ 9
სასიძო
რა ფერისაა ეკონომიკის მინისტრის თვალით დანახული სიყვარული? 10
თანამემამულე
ვაშინგტონიდან მოვლენილი ამერიკელი ქართველი ქალი პრეზიდენტს დაწყნარებას ურჩევს... 12
კრიმინალი
● მანქანების გამტაცებელთა „აყვანა“ გრძელდება 14
● „შეშლილი სახე ჰქონდა... დანას უკვე წაქცეულს გამეტებით ურტყამდა“ 15
ბახუსი
როდის „აენთო“ გივი ბერიკაშვილს „წითელი“... 18
მომღერალი
რისი თხოვნა ეუხერხულება ლიზა ბაგრატიონს ყველაზე მეტად 19
თემა
როგორ ერთობიან თბილისელი ტინეიჯერები? 22
შთამომავლობა
ერთ წიგნზე დახარჯული ათასი კალამი და ყაჩაღებისგან დამხსნელი ავტოგრაფი 25
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
ნამდვილი ამბავი
იღბლიანი კლიენტები 28
გზავნილები
რა სარგებლობა მოაქვს საპირველაპრილო ხუმრობას? 29
კოლორიტი
ნიკა ქავთარაძე მამის თვალში ლაიმა ვაიკულეს წყალობით ამაღლდა 32
ტაძარი
საუფლო დღესასწაულები 34

ვაშინგტონიდან მოვლენილი ამერიკელი ქართველი ქალი პრეზიდენტს დაწყნარებას ურჩევს...

მე და ჩემს მეუღლეს თეთრ სახლში გვაქვს ხოლმე შეხვედრები ოფიციალურ პირებთან. აპრილში დაგეგმილია შეხვედრა, სადაც მოისმენენ ჩვენს მოსაზრებებს აქ მიმდინარე პროცესების შესახებ. 30 მარტს კი, ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინისა და სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან შეხვედრა გვექნება.

12

როგორ ერთობიან თბილისელი ტინეიჯერები?

რამდენად ხშირად დადიან ტინეიჯერები დისკოთეკებსა და ღამის კლუბებში? რა თანხას აძლევენ მშობლები სახარჯოდ და გასართობად? რას უკრძალავენ ან რის ნებას რთავენ ღამით გასართობად სახლიდან გასულ შვილებს? ამის გასარკვევად, სწორედ ღამის კლუბში შევიარეთ.

22

რა ფერისაა ეკონომიკის მინისტრის თვალით დანახული სიყვარული?

– განათხოვარ ქალზე თუ დაქორწინდებით?

– იცით, ეს ცოტა „ისეთი“ კითხვაა... მთავარია, სიყვარული, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე არ მიფიქრია და საუბარიც ძალზე არაადეკვატურად მიმაჩნია. შესაძლოა, სპონტანურად სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მივიღო.

10

კუკიოზები – ანტიალკოჰოლური ოპერაცია

არავის გაგვხარებია მისი დანახვა (მაგარი დამსმენი იყო, დღემდე რომ ეცოცხლა, ამ მთავრობასაც მაგრად გამოადგებოდა), მაგრამ სტუმარი ღვთისაა და სუფრასთან მივიპატიჟეთ. უცებ, ერთი ეშმაკური იდეა დამებადა და ყველას გასაგონად ვთქვი...

58

ქართველები

მარიამ ციციშვილი – უკანასკნელი დედოფალი, 9 გერის დედინაცვალი და კაცის მკვლელის იარლიყით დაღდასმული ემიგრანტი 36

ფავორიტები

- გნედაცემულთა ბუნდესლიგა 38
- რაული: „რეალის“ ინტერესები ჩემთვის მთავარია 39

სპორტული მოზაიკა 40

ავტო 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი

ემანუელას სახის შემქმნელი ჰოლანდიელი ლამაზმანი 46

ბომონდი 48

მოგზაურის დღიურები

სტუმრად ამერიკელ მილიონერთან ანუ რით განსხვავდება თბილისელი მოგზაური ოსტაპ ბენდერისგან... 49

შეუცნობელი

- მათ უხილავის დანახვა კალუძთ 52
- ჯადოქარი წყენას არავის აპატიებს 52
- უკიდურესი ზომა 53
- საიქიოში ამღერებული ლენონი 53

საკითხავი ქალებისათვის 54

ჯანმრთელობა

- სეზონური რჩევები 55
- პირის ჰიგიენა 56
- ჭარხალი – სასარგებლო პროდუქტი 57

კურიოზები

- უნებლიე მკურნალი 58
- ანტიალკოჰოლური ოპერაცია 58

იუმორი 59

ჰოროსკოპი

კვირის (5-11 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

შოუბიზნესი 62

ტესტი ქალებისათვის

ვინ არის თქვენი რჩეული: მაჩო, ამიგო თუ?.. 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

როდის „ამენთო“ გივი ბერიკაშვილს „წითელი“...

სვირის სადგურზე ერთი იქაური კაცი ღვინოს 50 თეთრად ყიდდა. რა ჯიშია-მეთქი? – დავინტერესდი. – რა ჯიშია და კრანჭაა, ბატონო, მაგიო, – მიპასუხა. აუ, გამიკვირდა – ყველა ჯიში ვიცი და ნეტავ, ეს რომელიღაა-მეთქი?!

18

სტუმრად ამერიკელ მილიონერთან ანუ რით განსხვავდება თბილისელი მოგზაური ოსტაპ ბენდერისგან...

...ლინდა ლარსენი ისე შემოჯირითდა ეზოში და ისე მოხერხებულად ჩამოქვეითდა ცხენიდან, რომ თვალის შეევლებაც ძლივს მოვასწარი. ჯეკი ქალიშვილს ეზოში შეეგება. მამა-შვილი კარგა ხანს საუბრობდა. მე ვიჯექი და ისევ ველოდი...

49

ემანუელას სახის შემქმნელი ჰოლანდიელი ლამაზმანი



სილვიას კინემატოგრაფიული წარმატება საფრანგეთის პრეზიდენტთან – ჟისკარ დ'ესტენთან მის გახმაურებულ რომანს დაემთხვა... საოცარია, მაგრამ წყვილი იმდენად არ ფარავდა საკუთარ ურთიერთობას, რომ ჟურნალისტებიც კი აღარ ინტერესდებოდნენ ამ რომანით.

46

თავისუფალი თემა

– ოთახში იცი, ვინ გელოდება?

– მაინც ვინ? ოცნების პრინცი ხომ არა? – უხალისოდ იკითხა გვანცამ, სასტუმრო ოთახის კარი მაშინვე ხმაურით შეაღო და გაშეშდა: საგანგებოდ გამლილ სუფრას ნაადრევად გაჭაღარავებული ლუკა ჩადუნელი ეჯდა და სიხარულით გაცისკროვნებულ ამირანს ღვინით სავსე ჭიქას უჭახუნებდა...

42

„მარცვლის თვეა შენი"
ანუ ვაშა გამჭვირვალე არჩევნებს!..



არჩევნების ჩატარებაში გამოუცდელობას ვერავინ დაგვწამებს ქართველებს, მაგრამ 28 მარტის მსგავსი არც გვინახავს და არც გვსმენია. ბედნიერი ხალხით აივსო ქუჩები, ისმოდა ჟრიამული, რუზრუზი, ხორხოცი... სად არ იყო გახსნილი საარჩევნო უბნები: სკოლაში, სახინკლეში, გასტრონომის ფქვილ-ბურღულეულის სექციაში თუ „მარშრუტკაში", ოღონდაც შესულიყავი და ხმა მიგეცა. სიებიც საგრძნობლად დახვეწილი იყო. ყოველ შემთხვევაში, სერგო ორჯონიკიძე აღარ აღმოჩნდა ჩემი კარის მეზობელი...

კომისიის წევრების თავაზიანობა ხომ ყველა ზღვარს სცდებოდა: „აქეთ მობრძანდით, ბატონო", „აბა, მანიკიური ცერა თითზე", „არაყი მიირთვით", „ორი ფეხით ხართ მოსული" და ა.შ. განსაკუთრებულ კმაყოფილებას დამკვირვებლები და დამკვირვებლების დამკვირვებლები გამოხატავდნენ საარჩევნო პროცესის ესოდენ გამჭვირვალობის გამო.



განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მაინც აჭარა იყო, რადგან ეჭვობდნენ, რომ „აღორძინება" არჩევნების გაყალბებას ან ჩაშლას შეეცდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად!..

ადგილობრივი შს სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი სასტუმროში მივიდა და სულ ტყუილად დასდეს ბრალი, უბნის დარბევა უნდოდაო. არადა, იმ პატიოსან კაცს შეხვედრა ჰქონდა ნომერში იარაღისა და ნარკოტიკის პარტიის შემოტანაზე...

რამდენიმე უბანში ურნას ცეცხლი გაუჩნდა და ატყდა განგაში – დივერსიაო. იქ მყოფი გაეროს, ნატოს, ეუთოს, ევროსაბჭოს, ევროკავშირის, მონკავშირის და მოყვარულ მეფუტკრეთა კავშირის დამკვირვებლები კი ამტკიცებენ, რომ აჭარის ხელისუფლების მხრიდან არავითარი დივერსია არ ყოფილა. უბრალოდ, იმდენი ყალბი ბიულეტენი ჩაუყრიათ, რომ ურნები სირცხვილით დამწვარა... ხომ არ შეიძლება ყველაფერზე აჟიოტაჟი ატეხო?!.

„წლის აღმოჩენად" თამამად შეიძლება ჩაითვალოს „მამამისის სახელობის შვილის პარტია", რომლის ლიდერი გუშინწინ ჩამოვიდა საქართველოში, გუშინ პარტია შექმნა და დღეს უკვე მრავალი გამოცდილი პარტია მოიტოვა უკან...

მოკლედ, თუ არ ჩავთვლით აქა-იქ ცემა-ტყეპას, კომისიის არშეშვებას, დამკვირვებელთა გარეთ გამოყრას და ა.შ., 28 მარტის არჩევნებმა საქართველოში იდეალურად ჩაიარა, მაგრამ რად გინდა მერე?! ვინ გიფასებს?! თვრამეტი პარტიიდან ჩვიდმეტი უკმაყოფილოა და ხმები გაგვიყალბესო, გაიძახიან. ვერ იქნა და ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ პოლიტიკის მსგავსად, არც არჩევნებია სექსი, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს.

ერთ მშრომელ კაცზე მწყდება მხოლოდ გული, რომელსაც დავიწყნია რეგისტრაციის გავლა და ხმა ვერ მისცა საკუთარ პარტიას. ამით, ქართულ სუფრულ სადღეგრძელოებს კიდევ ერთი შეემატა: „ეს იმ პარტიას გაუმარჯოს, საკუთარი თავმჯდომარის ხმაც რომ ვერ მიიღო"... გაბრაზდა მთელი (შრომის) პარტია და უვადო შიმშილობა გამოაცხადა. თავმჯდომარე ვერ შიმშილობს, რადგან კარგი ჭამის მადა ჰქონია, სამაგიეროდ, ბოიკოტი გამოაცხადა და პირობა დადო, რომ მინიმუმ 4 წელი არ მიიღებს მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში...

არჩევნები საპატიმროებშიც ჩატარდა. გენპროკურორი ამომრჩეველთა აქტიურობით კმაყოფილია და გვპირდება, რომ საგრძნობლად გაზრდის პატიმარ ამომრჩეველთა რიცხვს მომავალი არჩევნებისთვის. სწორედ აქ, საპატიმროებში ჩატარებული არჩევნების ხმების დათვლისას აღმოჩნდა მაქსიმალური მაჩვენებელი „ნაციონალ-დემოკრატების" სასარგებლოდ – 100% – 1 ხმა.

გენპროკურორი აწარმოებს გამოძიებას, ვის ეკუთვნის ის ერთი ხმა...

ასეა თუ ისეა, მალე ახალი პარლამენტი შეუდგება ქვეყნის მომავალზე ფიქრს, შუბლში ხელების ტკეცას და გულზე მჯიღის კვრას. ახალი კოლორიტული სახეებიც გამოჩნდება ქართულ პოლიტიკაში, რომელიც ნოემბერში „მოკრუხებულმა" მმართველმა პარტიამ 28 მარტს „გამოჩეკა".

P.S. – რა კარგი ყოფილა არჩევნებზე წასვლა!..

– მაინც რა მოგეწონა?

– მეზობლები წავედით ერთად, უბანი დაკეტილი დაგვხვდა და სახინკლეში შევიარეთ, კაი დრო გავატარეთ, მერე ნაცნობი შემოგვესწრო და რესტორანში გადავინაცვლეთ.

– ხმა ვის მიეცი?

– არავის. რესტორნიდან შუაღამისას გამოვედით და უბანი ისევ დაკეტილი დაგვხვდა...

პროვოკატორი

„ექსპრეზიდენტის მკვლელობასთან დაკავშირებით ბევრი საეჭვო გარემოება ჩნდება“

— გენერალურ პროკურატურაში ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით, ახალი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მისი გარდაცვალების ვერსიად კვლავ თვითმკვლელობა რჩება?

კახა კოგერიძე, *გენერალური პროკურორის მოადგილე:*

— ზვიად გამსახურდიას საქმესთან დაკავშირებით, ახალი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. სამაგიეროდ, ახალ გარემოებათა გამო, ექსპრეზიდენტის მკვლელობის ფაქტზე ძიება განახლდა. გენერალური პროკურორის ბრძანებით შეიქმნა გამომძიებელთა ჯგუფი, რომელსაც საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე, ბატონი რევაზ ზარანდია ხელმძღვანელობს. საქმის მასალებში ზვიად გამსახურდიას დაღუპვის მიზეზად თვითმკვლელობაა დაფიქსირებული. დღეს გადაჭრით არაფრის მტკიცება არ შემიძლია, თუმცა, ბევრი საეჭვო გარემოება ჩნდება. ამ ეტაპზე უკვე არსებულ და ახალმოპოვებულ ნივთმტკიცებებზე საუბარი არ მსურს. გამოძიება მიიჩნევს, რომ აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. მისი გარდაცვალების ნამდვილი მიზეზის დადგენა, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. პროკურატურა დაჰკითხავს დამატებით მოწმეებსაც, გადახედავს საქმეში უკვე არსებულ მასალებს, ჩაატარებს დამატებით გამოძიებას. გამორიცხული არ არის, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობას სრულიად სხვა კვალიფიკაცია მიეცეს და მის საქმესთან დაკავშირებული კონკრეტული პიროვნებების გვარებიც ამოტივტივდეს.

■

„სახალხო პარლამენტს პირდაპირ რუსთაველის გამზირზე შევქმნით“

— ბატონო შალვა, არჩევნების შემდეგ ლეიბორისტებისთვის კვლავ აქტუალური ხდება ალტერნატიული პარლამენტის შექმნა. თქვენი აზრით, როგორ ჩატარდება ალტერნატიული არჩევნები და სად იმუშავებს ამ გზით შეკრებილი პარლამენტი?

შალვა ნათელაშვილი, *ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:*

— ჩვენ არ გვაძლევენ უფლებას, რომ სამშობლოს ინტერესები საკანონმდებლო ორგანოდან დავიცვათ. ეს სააკაშვილის მიერ წინასწარდაგეგმილი პროვოკაცია იყო. გამოსავალი ერთია — შეიქმნას ეროვნული წინააღმდეგობის კომიტეტი, რომელიც სერიოზულ მასშტაბებს მიიღებს. ჩვენს პრინციპებს ყველანაირი საშუალებით დავიცავთ, მათ შორის — ქუჩაში ბრძოლითაც. ეს იქნება სახალხო პარლამენტი, რომელსაც პირდაპირ რუსთაველის გამზირზე შევქმნით. როცა ჩვენი კანონმდებლები შენობის შიგნით დამღუპველი გადაწყვეტილებების გატანას შეეცდებიან, ჩვენ მათ მუშაობას ჩავშლით, ისინი თავად გახდებიან იძულებულნი, წავიდნენ იქ, საიდანაც მოსულან. სახალხო პარლამენტის შექმნის იდეა ყოველდღიურად ყალიბდება. ჩვენ სხვა პარტიებთანაც ვმართავთ კონსულტაციებს და საერთო ძალისხმევით, ხალხის ნდობით აღჭურვილ უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოს მივიღებთ. ეს იქნება ყველაზე ჯანსაღი გაერთიანება, რომელიც ქვეყნის ნგრევის პროცესს შეაჩერებს. ალტერნატიული პარლამენტი არის საქართველოს გადარჩენის ბოლო შანსი. იმ პარტიებს, რომლებიც თავს შეიკავებენ ჩვენთან ერთად დგომისაგან, მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანების სტატუსი შერჩებათ, ქვეყანა კი, ხელიდან გამოეცლებათ. ლეგალური თუ არალეგალური გზით ხელისუფლებას უნდა დავუმტკიცოთ, რომ საზოგადოება მათ სოროსულ გეგმებს ვერ შეეგუება! ■

„აბაშიძის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა ახლა იწყება“

— საპარლამენტო არჩევნების დამთავრებისთანავე, დღის წესრიგში დგება აჭარის უზენაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნების დანიშვნის საკითხი. როგორ ფიქრობთ, მიიღებს თუ არა ასლან აბაშიძე ოპოზიციის ამ გამოწვევას?

ედვარდ სურმანიძე, *„ჩვენი აჭარის“ ერთ-ერთი ლიდერი:*

— ოპოზიციამ აჭარაში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ამ ფონზე ასლან აბაშიძეს ნამდვილად არა აქვს იმის უფლება, რომ მომავალშიც ერთპიროვნულად მართოს აჭარა. 28 მარტის არჩევნებმა დაადასტურა, რომ ავტონომიის ლიდერის ადგილი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ არსებობს და დროა, ამ აზრს შეეგუოს. გადამწყვეტი ბრძოლა აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ ახლა იწყება და მისი ხელისუფლებიდან წასვლით დამთავრდება. ასეთია აჭარის მოსახლეობის ნება. თუ იგი ვადამდელი არჩევნების ჩატარებას არ დათანხმდება მაშინ „ჩვენს აჭარაში“ გაერთიანებული პოლიტიკური მოძრაობები გააქტიურდებიან და საპროტესტო აქციებით, უპირობო გადადგომას აიძულებენ. ჩვენ არ ვაპირებთ შეიარაღებულ კონფრონტაციაზე წასვლას, მიუხედავად იმისა, რომ 28 მარტის შემდეგ, აბაშიძის თანაგუნდელების მხრიდან გაისმის მოწოდებები, — ვინც ასლან აბაშიძეს შეეხება, მის წინააღმდეგ შეიარაღებული ამბოხი უნდა მოვაწყოთო. აჭარის ლიდერს ჯერ კიდევ აქვს იმის შანსი, რომ ხელშეუხებლობის გარანტიით დატოვოს თანამდებობა და პროცესების ესკალაცია გამოირიცხოს, დაინიშნოს არჩევნები, მოსახლეობას მიეცეს საშუალება, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი ნება და ვისაც საზოგადოება აირჩევს, აჭარის ხელმძღვანელიც ის იქნება. თანამდებობის პრივატიზებას აღარ დავუშვებთ.

■

„ხმების ხელახალი დათვლა, არსებულ სურათს ვერ შეცვლის“

— აჭარაში „ნაციონალურმა მოძრაობა-დემოკრატებმა“, „აღორძინებამ“ ხმათა თითქმის თანაბარი რაოდენობა მოიპოვეს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ცესკოს მიერ გამოცხადებული ეს შედეგები?

გია ნოდია, *პოლიტოლოგი:*

— რეალურად იმის გარკვევა, თუ აჭარაში რომელ პარტიას რამდენი მხარდამჭერი ჰყავს, ძალზე რთულია: იქ მცხოვრები ადამიანები, შიშის გამო, სოციოლოგიურ გამოკითხვებზე პასუხის გაცემისგან თავს იკავებენ. ამ რეგიონში, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები, წინა წლებთან შედარებით, უფრო გამჭვირვალედ ჩატარდა, თუმცა დამკვირვებლებმა, რამდენიმე სერიოზული დარღვევა მაინც დააფიქსირეს. ამის გამო ჯერ კიდევ არსებობს იმის საშიშროება, რომ აჭარაში ჩატარებული არჩევნების შედეგები გაუქმებულად გამოცხადდეს. მიუხედავად აბაშიძისა და მისი მთავრობის განწყობისა, „ნაციონალებმა“ ავტონომიურ რესპუბლიკაში ხმათა საკმაო რაოდენობა მოაგროვეს, ისევე, როგორც „აღორძინებამ“, რადგან რეალურად ორივე ძალას სერიოზული ელექტორატი ჰყავს. თუმცა მათ შორის რა თანაფარდობაა, არჩევნებმა ამის ობიექტური სურათი ვერ გვიჩვენა. პირადად მე, ამის მოლოდინი არც მქონია: შედეგების გაყალბებით დაინტერესებული იყო ადგილობრივი ხელისუფლება; ცენტრსაც კონკრეტული მიზნები ჰქონდა. ორივე მხარემ საკუთარი ამბიცია გარკვეული დოზით დაიკმაყოფილა, მაგრამ შედეგი „აღორძინებისთვის“ მაინცდამაინც სახარბიელო არ აღმოჩნდა. აბაშიძის პარტიამ წინასწარი მონაცემებით, 7%-იანი ბარიერი ვერ გადალახა. ბუნებრივია, ცენტრსა და რეგიონს შორის არსებულ დაპირისპირებას ეს უფრო გაამწვავებს. გამორიცხული არ არის, ხმების ხელახალი დათვლის აუცილებლობა დადგეს, თუმცა ეს პროცესი რეალურად ვერაფერს შეცვლის. ხელისუფლება აბაშიძესთან დათმობაზე არ წავა და ბარიერის გადასალახავად, ხმათა რაოდენობას ხელოვნურად არ გაუზრდის. ■

„რადგან თვითონ დაიწყო ქექვა...“

— ბატონო მიშა, თქვენ ოდეკოლონის ბიზნესის ლობირებაში გადანაშაულებენ, რამდენად რეალურია ეს ბრალდება და რა ინტერესები გქონდათ სპირტის ჩამოსასხმელ ფირმა „კამარასთან“ დაკავშირებით?

მიხეილ მაჭავარიანი, *სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი:*

— ფირმა „კამარასთან“ დაკავშირებით, ჩემი პირადი ინტერესები, გოჩა ფიფიას მიერ გაჟღერებული მორიგი სისულელეა. მას შემდეგ, რაც ფინანსური პოლიცია მისი საქმიანობით დაინტერესდა, უსაფუძვლო ბრალდებების კორიანტელი დააყენა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ფიფიას სერიოზული პრობლემები აქვს თავისი საქმიანობიდან გამომდინარე და უნდა, ეს საკითხი პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანოს. მე უკვე ვთხოვე შესაბამის ორგანოებს, არქივიდან ამოიღონ და შეისწავლონ ის მასალები, რომელიც ჩემი მინისტრობის პერიოდს უკავშირდება; ცნობისათვის — სწორედ იმ დროს, საგადასახადო სამსახური გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ედავებოდა ფიფიას. რადგან თვითონ დაიწყო ქექვა, თავისივე სერიოზულ დანაშაულებს ამოატივტივებს. მე თავის მართლებას არ ვაპირებ, ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ სამარცხვინოა, მეც და გოჩა ფიფიასაც დეპუტატები რომ გვქვია და შემდგომი ოთხი წელი მასთან ერთად დარბაზში რომ უნდა ვიმუშაო. ■

„პოლიტიკოსმა დამარცხებაც უნდა იცოდეს“

— ბატონო ზაქარია, საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, რამდენიმე პარტიამ, არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. იმ ხმათა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც თქვენმა პარტიამ მიიღო, ხომ არ ჯობდა სოციალისტებსაც თავიდანვე უარი გეთქვათ პარლამენტში მოსვლის მცდელობაზე?..

ზაქარია ძუცნაშვილი, *სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:*

— ვერ ვიტყვი, რომ სოციალისტურ პარტიას საზოგადოებაში ის რეიტინგი ჰქონდა, რომელიც ცესკოს მონაცემებმა აჩვენა. 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები ტოტალური გაყალბებით ჩატარდა. ცალკე თემაა წინასაარჩევნო პერიოდი, როცა სახელისუფლებო ბლოკმა ამომრჩევლებთან კომუნიკაციის ყველა სფეროს მონოპოლიზაცია მოახდინა. საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც პარტიის თავმჯდომარეობა კონსტიტუციის მიხედვით შეითავსა, საკუთარი პარტიის პროპაგანდისათვის ყველა სახელმწიფო რესურსი გამოიყენა. განსაკუთრებით ბოლო სამი კვირის განმავლობაში მას წინასაარჩევნო აგიტაციის გარდა არაფერი უკეთებია. მიხეილ სააკაშვილი ჩინოვნიკებს, პოლიციის უფროსებს, საკრებულოს თავმჯდომარეებს, ამომრჩეველთა ხმების 70%-ს მიღებას ავალებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დაჭერით ემუქრებოდა. შედეგიც ადეკვატური მივიღეთ, გულდასაწყვეტი მხოლოდ ის არის, რომ ოპოზიციამ გაერთიანება ვერ შეძლო. 25%-ის მიღებას მაინც შევძლებდით და პარლამენტში მნიშვნელოვანი წარმომადგენლობით შევიდოდით. თუმცა, ახლა ამაზე საუბარი ძალიან გვიანია, პოლიტიკოსმა, გამარჯვებასთან ერთად, დამარცხებაც უნდა იცოდეს. სოციალისტები მომავალშიც განვაგრძობთ აქტიურ ოპოზიციურ მოღვაწეობას, ამის გაკეთება საკანონმდებლო ორგანოს კედლებს მიღმაც შეიძლება. ■

„იეღოველთა რეგისტრაციაში გატარება შემაშფოთებელია“

— თქვენ წლების განმავლობაში იკვლევთ იეღოველთა საქმიანობას. მას შემდეგ რაც ამ სექტის წევრების რეგისტრაციაში ხელახალი გატარება მოხდა, გაჩნდა ეჭვი, რომ ისინი უფრო მეტად გააქტიურდებიან. თქვენ რით ხსნით იეღოველების მიმართ ხელისუფლების ლოიალურ დამოკიდებულებას?

ელდარ ნადირაძე, *ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ამის მთავარი მიზეზი არის შიში იმ სანქციების წინაშე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს იეღოველთა მიერ შეტანილ სარჩელს, ევროპის სასამართლოში... სექტანტები ყოველთვის ჩივილით იმუქრებიან, რის საფუძველზეც საქართველოს სერიოზული სანქციები შეიძლება დაეკისროს. რელიგიური ტოლერანტობის თვალსაზრისით, საქართველოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება, მაგრამ იეღოველები კოლექტიური თვითმკვლელობის პროპაგანდას ეწევიან და ჩვენს ზნე-ჩვეულებებს ანადგურებენ. როცა ქვეყანაში ასეთი კრიტიკული სიტუაციაა, ომბუდსმენის ინსტიტუტის მოვალეობაა, დასაბუთებული განმარტებების წარდგენა საერთაშორისო სასამართლოს წინაშე და მათთვის იეღოველთა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საზღვარგარეთ ჩასული ჩვენი მოხელეები კი, იმიჯის შელახვის შიშით, ხმის ამოღებას ვერ ბედავენ. არადა, დღეს მათი წრეგადასული გააქტიურება დიდ საშიშროებას უქმნის ჩვენი ქვეყნის რელიგიურ და სახელმწიფოებრივ მრწამს. განსაკუთრებით მაშფოთებს ის ფაქტი, რომ იეღოველები რეგისტრაციაში გაატარეს. ხელისუფლება მათ მიმართ უსაფუძვლო ლოიალობას იჩენს. არსებული ინფორმაციით, იეღოველთა რაოდენობა 30.000 კაცს უახლოვდება. მაშინ, როცა ამ სექტის წარმომადგენლებს საქართველოში მილიონობით წიგნი შემოაქვთ, რაზეა მათი ამგვარი ქმედება გათვლილი, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს... ■

„სამართალდამცავები ჩემს წინააღმდეგ სამხილს ვერ წარმოადგენენ“

— შს მინისტრის განცხადებით, 60 ათასი ლარის გაფლანგვაში გედებათ ბრალი. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა...

ალექსანდრე კარტოზია, *ყოფილი განათლების მინისტრი:*

— გიორგი ბარამიძის განცხადებით, „დედაენის“ დაბეჭდვასთან დაკავშირებულ კონკურსში იმ ფირმას გავამარჯვებინე, რომელსაც ბეჭდის უფლება არ ჰქონდა. მისივე თქმით, ამის შედეგად სახელმწიფომ იზარალა. ძნელი სათქმელია — რაში დასჭირდა მინისტრს ასეთი ინფორმაციის გავრცელება, მაგრამ ფაქტია, რომ „დედაენის“ შესყიდვაზე კონკურსი საერთოდ არ ჩატარებულა,

ერთი მარტივი მიზეზის გამო: ასეთი ქმედება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, ამიტომ ჩვენ ვერც კონკურსს გამოვაცხადებდით და ვერც ტენდერს. ამის შესახებ მე არაერთხელ მითქვამს, მაგრამ სიმართლის გაგება არ სურთ. საზოგადოებას გამუდმებით დეზინფორმაციას აწვდიან. გამორიცხული არ არის, რომ გიორგი ბარამიძე საკმარის ინფორმაციას არ ფლობდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, რომ მან მოსახლეობაში არასწორი ინფორმაცია გაავრცელა და ჩემს სახელს ჩრდილი მიაყენა. ეს არის ღირსების შელახვისა და ადამიანის აბუჩად აგდების მცდელობა, რისი უფლებაც არც ერთ მინისტრს არ გააჩნია. 60 ათასი ლარის გაფლანგვასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს სამართალდამცავები ვერასოდეს წარმოადგენენ, რადგან ამის მსგავსი ერთ ფაქტიც კი არ არსებობს. ჩემზე უკეთ ეს თავად იციან, მაგრამ მაინც აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. ვნახოთ, რა სამხილებს მოიძიებენ ამ აბსურდულ ბრალდებასთან დაკავშირებით. ■

„გია ჯოხთაბერიძის მკვლელობის შემკვეთის ვინაობას საზოგადოებას საჯაროდ ვაცნობებ“

— ქალბატონო მანანა, გია ჯოხთაბერიძის ადვოკატმა განაცხადა, რომ თქვენი მეუღლის ფიზიკური ლიკვიდაცია იგეგმება. რამდენად რეალურია ამის საფრთხე და რატომ არ ასახელებთ იმ პირებს, ვისგანაც მსგავსი მუქარა მოდის?

მანანა შევარდნაძე, *ექსპრეზიდენტის ქალიშვილი:*

— დაპატიმრებამდე რამდენიმე ხნით ადრე, გია ჯოხთაბერიძეს მიმართეს მოთხოვნით, რომ მას დაეთმო ან მცირე ფასში გაეყიდა „მაგთიკომის“ წილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი მეუღლე ციხეში აღმოჩნდებოდა. ეს იყო ჩვეულებრივი ძალადობრივი ულტიმატუმი, რომელზეც გია არ დათანხმდა. იმავე პიროვნების მხრიდან გაიჟღერა მუქარამ — რომ დაკავების შემდეგ, გიას მეშვიდე საპყრობილეში მოათავსებდნენ, მოგვიანებით, მეხუთე საპყრობილეში გადაიყვანდნენ, სადაც ხელოვნურად შექმნილი არეულობის დროს, მისი ფიზიკური ლიკვიდაცია მოხდებოდა. მაშინ ეს ინფორმაცია სერიოზულად არ აღგვიქვამს, არ გვეგონა, რომ ჩვენს

დროში მსგავსი პროვოკაციის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ მუქარა ნაბიჯ-ნაბიჯ სრულდება და მეც დავრწმუნდი, რომ ძალზე საშიშ ადამიანებთან გვაქვს საქმე. ეს არის ერთი მხრივ, შურისძიება შევარდნაძის ოჯახზე, მეორე მხრივ კი, სურვილი, ხელში ჩაიგდონ „მაგთიკომის“ 51%-იანი წილი, რომელსაც გია ჯოხთაბერიძე ფლობს. რაც შეეხება შემკვეთის ვინაობას — დღეს მისი გვარის დასახელების უფლება არა მაქვს, მაგრამ ახლო მომავალში თუ გიას სიცოცხლის ხელყოფის სურვილი დღის წესრიგიდან არ მოიხსნა, საზოგადოებას მის ვინაობას საჯაროდ ვაცნობებ. ■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

ნათელმხილველი ნატაშა სკოროხოდოვა აგრძელებს ფოტოსურათების საშუალებით ცნობილი ადამიანების წარსულის ამოცნობასა და მომავლის განჭვრეტას. ამჯერად, ჩვენთან ერთად, მან ხელისუფლების პირველი პირების მეუღლეებს — სანდრა რულოვსს, ნინო ქადაგიძესა და ბადრი ბიწაძეს მიაპყრო ყურადღება.

ლელა ჭანკოტაძე

რას გაანიცლიან პირველების, ვერავ ნახავენ!

„სანდრა რულოვსს ქმარზე ძლიერი გენეტიკური კოდი აქვს“

— ნაზი, მგრძნობიარე და მეოცნებე ქალბატონია. გარეგნულად საქმიანი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში მეოჯახე და მოკრძალებული ქალია, რომელიც ცხოვრების მთავარ მიზნად ოჯახურ იდილიას მიიჩნევს. იღბლიანიცაა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერია: მისი თვალებიდან ჩანს, რომ უბრალოდ, ცხოვრებით კმაყოფილია...

— მისი უარყოფითი თვისებებიც შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?

— შეუძლია ყველას ენდოს და ამით გამოუსწორებელი შეცდომები დაუშვას. თბილი და მოსიყვარულე ადამიანია, მაგრამ მისთვის უკიდურესობაში ჩავარდნაც არაა უცხო. ისეთი სიძულვილი შეუძლია, რომელიც თავადაც შეაწუხებს. ის რომ გაანაწყენოთ, ამისთვის დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, მაგრამ თუ შეგიძულათ შეწყალებას აღარასდროს უნდა ელოდოთ.

— რას მალავს?

— იმას, რომ საშინლად ეჭვიანია. სულ ჰგონია, რომ ქმარი მას ღალატობს. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოუდგენია ქმართან განშორება, ამაზე მაინც ხშირად ფიქრობს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ხშირად აძლევს ეჭვიანობის საბაბს, სანდრა მხოლოდ საყვედურებით იფარგლება და დაუფიქრებელ ნაბიჯს არასდროს გადადგამს. არ მიაჩნია, რომ ღალატის შემთხვევაში ერთადერთი სწორი გამოსავალი განქორწინებაა. სანდრასთვის ოჯახი წმინდაა და რადგან გადაწყვიტა, ბედი მიშასთვის დაეკავშირებინა, სურს, ამ გადაწყვეტილების ერთგული დარჩეს ბოლომდე.

— რისი ეშინია?

— მისთვის მთავარი არ არის პირველი ლედის სტატუსი. არც ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს. ასე რომ, იმ სტატუსისა და მდგომარეობის დაკარგვის, რაც ამჟამად უკავია, ნამდვილად არ ეშინია. მას სხვა პრობლემები უფრო აწუხებს. ეშინია — როგორც ყველა ქალს — ქმარი სხვასთან არ გაექცეს, ან შვილის ჯანმრთელობას არ დაემუქროს საფრთხე. თუმცა გრძნობების გამომჟღავნება არ უყვარს.

— საქართველოში თავს მარტოსულად ხომ არ გრძნობს?

— მარტოობას ხშირად უჩივის, თუმცა თავს მარტოსულად ნამდვილად არ გრძნობს. გულჩვილია. ქმრისგან ოდნავი უხეშობაც კი სწყინს...

— მომავალში როგორ აეწყობა მისი ცხოვრება?

— სანდრას კიდევ ერთი შვილის გაჩენა აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის კიდევ ორ ბავშვს გააჩენს და ორი ვაჟისა და ერთი ქალიშვილის დედა გახდება. რამდენიმე წელიწადში, სანდრა საზღვარგარეთ უცხოურ კომპანიაში დაიწყებს მუშაობას. მისი მომავლის ხაზი სწორია და საფრთხე არ ელის, რასაც ვერ ვიტყვი მის მეუღლეზე, რომელიც ყოველთვის მწვერვალებისკენ ივლის, მაგრამ ბევრი იმედგაცრუებაც ელოდება. ცოლისგან განსხვავებით, რომელიც მცირედით კმაყოფილდება, ის უსაშველოდ ბევრს ითხოვს ცხოვრებისგან, თუმცა, სანდრას უფრო ძლიერი გენეტიკური კოდი აქვს, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ მათი ვაჟი ჯერჯერობით, დედის თვისებებით უფრო გამოირჩევა...

„ნინო ქადაგიძეს ხუთი თითივით ჰყავს შესწავლილი თავისი ქმარი...“

— ზურაბ ჟვანიას მეუღლე, რადიკალურად განსხვავებულია მიხეილ სააკაშვილის მეუღლისგან, მიუხედავად იმისა, რომ ქმართან მასაც იგივე პრეტენზიები აქვს. ქალბატონი ნინოს თვალებში უსაშველოდ დიდ სევდას ვხედავ. უფრო ხშირად, მოწყენილი და გულჩათხრობილია. ბუნებით მხიარული ქალია, მაგრამ ბევრ რამეზე სწყდება გული. მას მხოლოდ ქალური ბედნიერება სჭირდება და სხვა ყველაფერი (პრემიერ-მინისტრის ცოლობაც) შედარებით უმნიშვნელოა. შეუძლია იყოს ძალიან

ვახსკვლავად ხომ იგრძნო თავი

კინემატოგრაფის მგზნებარე მოყვარულის, ამერიკელი ანასტასია ფაიტის მიერ გამოგონილი მოწყობილობის წყალობით, ნებისმიერ ადამიანს მიეცემა საშუალება, მსოფლიო კინოს ვარსკვლავებთან ერთად გაითამაშოს ესა თუ ის სცენა. მოწყობილობას უკვე მოუგონეს სახელი – მუვიოკე; ის კარაოკეს ანალოგს წარმოადგენს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიმღერის ტექსტის ნაცვლად, ეკრანზე ფილმის კადრებისა და ტიტრების პროეცირება ხდება. ახალი გატაცება თანდათან მასობრივ ხასიათს იძენს. ადრე არაფრით გამორჩეულ ნიუ-იორკის ბარში – Don of cin, სადაც ფაიტი მუვიოკეს სეანსებს მართავს, ტევა აღარაა. განსაკუთრებული პოპულარობით გასული საუკუნის 80-იანი წლების ფილმები სარგებლობს – „კლუბი „საუზმე“ ემილიო ესტევესის მონაწილეობით და Heathers ვაინონა რაიდერის მონაწილეობით. თავად ანასტასია, როგორც კინოკლასიკის მოყვარული, ინგმარ ბერგმანის „მეშვიდე ბეჭდის“ ერთ-ერთ სახეზე მუშაობს ხოლმე... ფაიტის თქმით, ეს იდეა მაშინ დაებადა, როცა იღებდა დოკუმენტურ ფილმს გოგონაზე, რომელიც საუბრისას, გამუდმებით ფილმების ციტატებს იყენებდა.

სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ მუვიოკეს. ზოგიერთი ჟურანლისტის აზრით, ფაიტის გამოგონება არშემდგარი მსახიობებისთვის გაჩენილი მეორე შანსია. თავად ანასტასია კი, რომელსაც მუვიოკეს დედოფალი უწოდეს, ამბობს, რომ მუვიოკეს პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს: „თუ არ შეუშინდებით იმას, რომ სასაცილოდ გამოიყურებოდეთ, მუვიოკე ახალი მეგობრების შეძენაშიც დაგეხმარებათ“. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები

☎822 009 005

ზარი ფასიანია, 18 წლიდან

თბილიც და ძალიან ცივიც, უსამართლოც და სამართლიანიც. სწორედ მისნაირი ადამიანების მისამართით ამბობენ – ავკარგიანიაო. საოცარი გამჭრიახობით გამოირჩევა. ჭკვიანი, განათლებული ქალია, ყოველთვის იცის, რა და როგორ უნდა გააკეთოს, რა პოზიცია დაიკავოს. მისი ადგილი პოლიტიკაშია ან ისეთ სფეროში, სადაც რთული და სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო. მას შეეძლო, უკეთ, უფრო საინტერესოდ ეცხოვრა... მისი თვალებიდან ჩანს, რომ უნდა, ქმარიც ხედავდეს მის ღირსებებს და ხვდებოდეს, რომ მისი ცოლი მისთვის ძლიერი დასაყრდენია, რომლითაც შეუძლია იამაყოს.

— გინდათ თქვათ, რომ ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნებაა?

– არა, უბრალოდ ვფიქრობ, რომ ქალბატონი ნინო უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ქმარი სათანადოდ ვერ აფასებს.

— რას მალავს? რისი ეშინია?

– ბევრ საიდუმლოს ინახავს. საერთოდ, გულღია ადამიანი არ არის. კარგი მეგობარია. ადამიანებთან ურთიერთობა არ უჭირს, მაგრამ თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ადამიანი, რომელსაც თავის გულისნადებს უზიარებს. ბოლომდე გახსნილი მხოლოდ შვილებთანაა. სხვისი აზრების ამოკითხვა შეუძლია, ხუთი თითივით ჰყავს შესწავლილი თავისი ქმარი. იმ ქალების კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც ქმრებს უსიტყვოდ უგებენ და უმნიშვნელო ზიანსაც არ მიაყენებენ.

„ბადრი ბიწაძეს ცოლთან დროებით განშორება მოუწევს...“

– ნინო ბურჯანაძის მეუღლე გულღია, მხიარული, კარგი ადამიანია. სწორედ მის მსგავს ადამიანებზე ამბობენ ხოლმე – საზოგადოების სული და გულიაო. ქალბატონი ნინო რომ არა, მეტი გართობის უფლებას მისცემდა საკუთარ თავს... ის ცოლს დიდ ანგარიშს უწევს. წუთითაც არ ავიწყდება, ვისი მეუღლეა და არასდროს მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ცოლის ინტერესების საწინააღმდეგო შეიძლება აღმოჩნდეს. მზრუნველი, ყურადღებიანი მამაკაცია. მისთვის უკეთესი იქნებოდა, ცოლი სულ გვერდით ჰყოლოდა, მაგრამ შეუღლების პირველივე დღეებიდან გრძნობდა, რომ მისი მეუღლე ბევრს მიაღწევდა და არასდროს შეუშლია ამისთვის ხელი. ვხვდები – ბევრ დიდ და სერიოზულ დათმობაზეა წასული ქალბატონი ნინოს გამო. მის თვალებში ჩანს, რომ თავისი ცოლით აღტაცებულია. მეამბოხე ადამიანია, მაგრამ ცოლს მუდამ კომპრომისზე წასვლას ურჩევს.

— რისი ეშინია?

– არაფრის. ვერ გეტყვით, რომ რამის ეშინია, პირიქით – ძალზე გაბედული ადამიანია, მაგრამ ცოლის გამო თითქმის არასდროს მიდის რისკზე. საუკეთესო მეგობარია. ცდილობს, ყველა ახლობელს ხელი შეაშველოს და ცხოვრება შეუმსუბუქოს. ერთი შეხედვით მექალთანე კაცი, სინამდვილეში არაჩვეულებრივი მეუღლეა.

— რა ელის? როგორ აეწყობა მისი ცხოვრება?

– რომ არა ქალბატონი ნინო, რომელიც ქმრისთვის ერთგვარი შემაფერხებელი აღმოჩნდა, ის უფრო მეტს მიაღწევდა. მაგრამ მას წინსვლა ელოდება. ბატონი ბადრი საკმაოდ მაღალ და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნება. სტაბილური და მშვიდი მომავალი ელის. ცოლთან დროებით განშორება მოუწევს – ეს ქალბატონი ნინოს უცხოეთში მუშაობით იქნება განპირობებული... ■

მარი ჯაფარიძე

„გზის“ წინა ნომრის „საპატარძლო“, მომღერალი ქეთა თოფურია გახლდათ. წინასწარ ვიცოდი, რომ ქეთა უამრავ გამოხმაურებას მიიღებდა და ასეც მოხდა. ერთ დილით კი, მისმა პატარა თაყვანისმცემელმა დამირეკა და მაცნობა, რომ მომღერალზე დაქორწინებას აპირებს. აი, როგორი საუბარი შედგა ჩემსა და ოთხი წლის გიოს შორის, რომელიც უზომოდაა შეყვარებული ქეთაზე:

"შენმა სიყვარულმა გამაგიჟა, ეს უწყინარი ბავშვი..."

— ალო, მალი ხალთ?

— დიახ!

— მე ვალ გიო. ქეთა თოფულიას ჩოლად მოკვანა მინდა და დედიკომ მითხლა, ლომ სენ მომაკვანინებ.

— გიო, რამდენი წლის ხარ?

— ოთხის. ჩემი დაბადების დღეზე მამიკომ ქეთას დიდი პლაკატი მაჩუქა და ჩემს ოთახში მივაწებე. მელე მაღაზიაში ქეთას თოჯინა *(ქეთას მსგავსი. — ავტ.)* ვნახე, დედიკომ მიყიდა, ქეთა დავალქვი და ჩემთან სძინავს.

— ბაღში დადიხარ?

— ჰო!

— მერე, იქ არც ერთი გოგო არ მოგწონს?

— კი, მომჭონდა, მელე ვკოჩნიდი ხოლმე და მელე ელთი კოჩნა დამლჩა, ქეთასთვის მინდა და აღალ ვკოჩნი...

ქეთას, მისი მამის მეგობარი, წამლების ცნობილი გადამყიდველი კომუნისტური მმართველობის დროს, მიხეილ ჯანაშვილი, მეტსახელად ჩაშკაც შეეხმიანა. მან მითხრა: „მე და ქეთას მამა, ანდრო თოფურია, ძველი მეგობრები ვართ. ამ რამდენიმე წლის წინ, მე და ანდრო ერთმანეთს შევხვდით, რესტორანში დავპატიჟე, მაგრამ ფული მე არ გადამახდევინა. ჩვენი მაგიდის გარდა, კიდევ 5 მაგიდის დანახარჯიც გაისტუმრა... ქეთა ძალზე კარგი გოგონაა, მინდა, ბედნიერება და წინსვლა ვუსურვო. კარგი მამის შვილია და კარგი გოგო უნდა იყოს“.

ახლა კი, დანარჩენი თაყვანისმცემლების გამოხმაურებებს გავეცნოთ:

„ნუ დაემდურები, ვინც ვერ შეგიყვარა, სიყვარული ხომ გრძნობაა და არა თანაგრძნობა. ქეთა, ძალიან მიყვარხარ, შენი „ოფიციალური“ ფანი ვარ. ის ბიჭი მე ვარ, სკოლის კედლებზე წარწერები რომ გააკეთა, მაგრამ არ მინდა, რომ მნახო. „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი... ნიკუშა“.

„სალამი, მარი. ჩვენს „საპატარძლოს“ უთხარი, რომ დიდი სიამოვნებით გავიცნობდი. თანაც, აგურების კოლექციას ვაგროვებ და კულინარიული შედევრებიც არ მხიბლავს... ავთო. გემშვიდობებით, მომავალ „საპატარძლომდე“.

„ქეთა, ძალიან მიყვარხარ. შენზე პატარა ვარ, მაგრამ მაგარი წყვილი ვიქნებით. სერგო, 16 წლის“.

„მე ქეთას მოგვარე ვარ. ოპერასთან დავინახე ერთხელ... შესაძლოა, მანაც შემნიშნა. დიდი სიამოვნებით გავიცნობდი სამეგობროდ“.

„ერთხელ, მე და ქეთა სალონში ერთად მოვხვდით და დავრწმუნდი, რომ მაგარი ჭორიკანაა. იქ არავინ გამოჩენილა, რომ ქეთას არ დაეცინა. აი, ასეთი შთაბეჭდილება დატოვა ყველაზე“.

„ქეთას გადაეცით, რომ ვაი, მას, ვინც ქეთაზე დაქორწინდება და ვაი, მას, ვისაც ეგ სამზითვო აგური მოხვდება თავში. ბადრი“.

„დავდივარ ქვებზე, ვიწვები მზეზე, არ გიცნობ, მაგრამ ვეცემი შენზე...“ მაგარი საყვარელი გოგო ხარ და მაგრად მიყვარხარ, სიხარულო. მენატრები და სულ შენზე ვფიქრობ. ზურა.“

„ქეთა, მე რომ შენი ცრემლი ვიყო, შენს სათუთ კანზე ჩამოვგორდებოდი და ტუჩებზე გეამბორებოდი. შენ რომ ჩემი ცრემლი იყო, ერთხელაც არ ვიტირებდი, რომ არასდროს დამეკარგე. ზურა“.

„ქეთა, შენ ჩემი გიჟური ოცნება ხარ. ჩემი სიზმარი და უნაპირო ფიქრი. ჩემო ლამაზო, მიყვარხარ უზომოდ და მინდა, ბედნიერ ქალად გაქციო. **„ოცნების ღმერთებს დაემსხვრევათ ყინულის ფრთები და სიყვარულის აენთება ცაში ხანძარი, მე დაჩოქილი, ღმერთს შენს სიყვარულს შევევედრები, შენა ხარ ჩემი გულის ხატი, ჩემი ტაძარი“.** ბათუმი. ფრიდონი“.

„მარი, ქეთას უთხარი, რომ ვარ ლამაზი, ცისფერთვალება ბიჭი (ჩემს თავს არ უნდა ვაქებდე, მაგრამ ვინ ეტყვის, რა მაგარი ბიჭი ვარ?), მაღალი, კარგი ხასიათის. სიმღერას არ დავუშლი, კომპლექსები არ მაქვს. ძალიან მიყვარხარ, ჩემი გულის დარდო. ახლა თუ არ გამაცნობთ, მაინც გავიცნობ. შენმა სიყვარულმა გამაგიჟა, ეს უწყინარი ბავშვი. ლაშა“.

„ქეთასთან ერთად სურათი მაქვს გადაღებული, ოთახი კი — მისი პლაკატებით გალამაზებული. მე ის ძალიან მიყვარს, როგორც გოგო და როგორც მომღერალი. წარმატებებს ვუსურვებ. გიო.“

„ლამაზი ქალი იმიტომ ჩნდება, რომ პოეტები ლექსად დაგვცალონ; ჯერ ჩვენგან ტკბილი ისმინოს ქება, მერე აღგეს და სხვაში გაგვცვალოს“. მთავარია, ქეთა იყოს ბედნიერი, ჯანმრთელი, გახარებული, ყველა სურვილი ასრულებოდეს. ვის გაჰყვება ცოლად, ეს მისი გადასაწყვეტია. მისი მომავალდოებელი თვალები, ვნებიანი ტუჩები, მომავალდოებელი სილამაზე, საოცარი ხმა... ეს მე კი არა, ენრიკე იგლესიასმაც რომ ნახოს, კურნიკოვას მაშინვე მიატოვებს. ქეთა ხომ ულამაზესია“.

„უხერხულია, შენ გერქვას ცოლი... შენ უნდა ცისფერ ღრუბლებთან იწვე... აჰა! დამბაჩა და სველი თოვლი, მე შენს მეულლეს ღულში ვიწვევ...“ ქეთა, არ ვიცი, რა გითხრა. нет слов, одни эмоции...“ ■

რა ფერისაა ეკონომიკის მინისტრის თვალით დანახული სიყვარული?

მარი ჯაფარიძე

რაღა დაგიმალოთ და... ეს ჩვენი ეკონომიკის მინისტრი (გვარს არ დავასახელებ), დიდად უცნაური ვინმე ყოფილა. ჯერ იყო და, ინტერვიუზე შესათანხმებლად მის თანაშემწეს, დათო სონღულაშვილს იმდენჯერ დავურეკე, რომ ტელეფონით „დავძმაკაცდით“ და ბოლოს, როგორც ჩანს, მეგობრობის ხათრით „ჩამიწყო“ ინტერვიუ; შემდეგ, საღამოს შვიდის ნახევარზე, ინტერვიუზე მისული, მეც, „მეგობრობის ხათრით“ მოთმინებით ველოდი მინისტრს ცხრა საათამდე და აღმოჩნდა, რომ სასაუბროდ მხოლოდ 15 წუთი მქონდა... ბატონი **ირაკლი რეხვიაშვილი** *„საქმიან“ შეკითხვებზე ფრიადოსანი მოსწავლესავით, სწაპასწუპით, ვრცელ პასუხებს მაძლევდა, პირადი ხასიათის შეკითხვებზე კი, „იჭრებოდა“ – შუბლს უსიამოვნოდ იჭმუხნიდა და მოკლე პასუხებით კმაყოფილდებოდა. თან, დაჟინებით გაიძახოდა – ჩვენ, ქართველები, ევროპელები ვართო! – და 15 წუთის შემდეგ, ფეხზე წამოდგა... მე მაინც შეუპოვრად განვაგრძობდი მის „დაკითხვას“. საინტერესო საუბარში 40 წუთი ისე გავიდა, გამიკვირდა კიდეც. თუმცა თავს უხერხულად ვგრძნობდი, ბატონი მინისტრი ამ ხნის განმავლობაში სულ ფეხზე რომ იდგა, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდი, – როგორც ჩანს, ევროპაში მანდილოსნის მიმართ პატივისცემას ასე გამოხატავენ-მეთქი და „საქმიან“ კითხვებს „ჩამჭრელ“ შეკითხვებს ვუნაცვლებდი... მოკლედ, ჩვენი „სასიძო“ ამბობს, რომ ცოლის მოყვანაზე არ უფიქრია და ჯერ საქვეყნო საქმეზე ზრუნვით არის დაკავებული. მაგრამ თუ ის ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაზე ზრუნავს, ჩვენ ვალდებული ვართ, მის პირად ბედნიერებაზე ვიზრუნოთ... ახლა კი ჩვენი საუბრის შედეგი ვნახოთ.*

— ბატონო ირაკლი, გაგვაცანით თქვენი ოჯახი.

— ძალზე დიდი ხნის განმავლობაში, საზღვარგარეთ მარტო ვცხოვრობდი. თბილისში მყავს მშობლები; მყავს ძმა, რომელიც ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს, მაგრამ ზაფხულში, სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. მე დაბრუნების შემდეგ, მარტო ვცხოვრობ, იმ ბინაში, სადაც ბავშვობაში ვცხოვრობდი.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— 28-ის.

— ზოდიაქოთი ვინ ხართ?

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია და არასოდეს დავინტერესებულვარ.

— გვითხარით თქვენი დაბადების თვე და რიცხვი და ჩვენ დავადგენთ თქვენი ზოდიაქოს ნიშანს.

— 23 ოქტომბერი.

— სასწორი ყოფილხართ... სულ ასეთი სიტყვაძვირი ხართ?

— სიმართლე რომ გითხრათ, ბევრი ლაპარაკი ნამდვილად არ მიყვარს, მაგრამ არა იმიტომ, რომ სიტყვაძუნწი ვარ – უბრალოდ, ეს აზრის მოკლედ, ლაკონიურად გამოხატვაა. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“... სხვა მხრივ, საკმაოდ ნორმალური, ორდინარული ადამიანი ვარ, მაქვს ჩემი საქმე, რომელსაც ძალზე დიდი დრო მიაქვს.

— რას ელოდით, ვიდრე საქართველოში დაბრუნდებოდით და რა დაგხვდათ?

— ადრე, საქართველოზე უფრო პესიმისტური წარმოდგენა მქონდა. რევოლუციის შემდეგ, ოპტიმიზმი გამიჩნდა და ჩემი ჩამოსვლის შემდეგ, ოპტიმიზმმა იმატა. არ დავმალავ – პრობლემა ბევრია, მაგრამ როდესაც ამ ყველაფერს საერთო ჭრილში ვუყურებ, ვხედავ, რომ მათი გადაჭრის გზებიც საკმაოდ ნათელია. მთავარია, გარკვეული, სწორი გზის არჩევა და ამ გზიდან არგადახვევა.

— ბატონო ირაკლი, თქვენი ასაკის მამაკაცი, პრინციპში, უკვე დაოჯახებული უნდა იყოს. თუ აქამდე ეს ვერ მოახერხეთ, როგორ ფიქრობთ — სამსახური და საქმე ხელს არ შეგიშლით პირადი ცხოვრების მოწყობაში?

— ვფიქრობ, რომ დასაოჯახებლად არც ერთი ასაკი არ გახლავთ ადრიანი ან ნაგვიანები. ასე რომ, არ მიმაჩნია, რომ ამ ასაკში აუცილებლად უნდა დავოჯახდე.

— ბუზღუნი თუ გჩვევიათ?

— გაბრაზებას არ გამოვხატავ ბუზღუნით. ძალზე მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი ვარ.

— ქართულ სუფრასთან მოლხენა თუ გიყვართ?

— როცა მაქვს მაგის დრო და საშუალება, კი, მიყვარს...

— როდესაც უცხოეთში იყავით, ყველაზე მეტად რა გენატრებოდათ?

— ყველაზე მეტად ქართული მიწა და ქართველი ხალხი მენატრებოდა. ეს განუმეორებელია და სხვაგან არსად შეგხვდება... ასევე მენატრებოდნენ მეგობრები.

— რამდენი წელი გაატარეთ საზღვარგარეთ?

— საერთო ჯამში – 12.

— ეკონომიკის მინისტრის პოსტი რომ შემოგთავაზეს, უყოყმანოდ დათანხმდით?

— ეს ძალზე მნიშვნელოვანი წინადადება იყო. ვხვდებოდი, რომ დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დავდგებოდი, ამიტომ მოსაფიქრებლად ცოტაოდენი დრო დამჭირდა. მაგრამ საბოლოო ჯამში, ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, დავინახე იმის აუცილებლობა, რომ ქვეყნის მშენებლობაში ჩემი წვლილი უნდა შემეტანა და დიდი ენთუზიაზმით დავთანხმდი.

— მოწესრიგებული და პუნქტუალური ადამიანი ხართ?

— ეს ორივე თვისება საკმაოდ კარგად მაქვს განვითარებული.

— იქნებ, ბავშვობის დროინდელი, თავბრუდამხვევი სიყვარული გაიხსენოთ...

— ახლა ასეთი ტკბილი და რომანტიკული მოგონებისთვის არ მცალია.

— მაგრამ ამწუთას ხომ მხოლოდ ჩემთან საუბრით ხართ დაკავებული?

— როგორ გეკადრებათ?! მე ახლა, სულ სხვა რამეზე ვფიქრობ. პირადი გრძნობებისთვის არ მცალია და ჩემი გონება საქმეზე ფიქრით არის დაკავებული.

— ერთი კინოგმირისა არ იყოს, „პირადი გრძნობების გარეშე, ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა“... თუ პირად ბედნიერებაზე არ იზრუნებთ, ეს ახალგაზრდა, ნიჭიერი, სიმპათიური და პერსპექტიული კაცი ცოლისა და შესაბამისად, შთამომავლობის გარეშე დარჩებით...

— იცით, როდესაც ასეთ დროს, ასეთ

დიდ პასუხისმგებლობას იღებ შენს თავზე, ეს ძალზე ბევრ შრომას მოითხოვს. ამიტომაცაა, რომ ჩემი გონება მთლიანად საქმეზეა გადართული.

— სამშობლოში რომ დაბრუნდით, ძველ მეგობრებთან კავშირი თუ აღადგინეთ?

— ჩემს ქართველ მეგობრებთან ურთიერთობა არასოდეს გამიწყვეტია. წელიწადში 2-3-ჯერ ჩამოვდიოდი, ხან საქმეზე, ხან დასასვენებლად და მათთან ურთიერთობა ყოველთვის მქონდა. ჩემი მეგობრები უცხოეთშიც ხშირად მსტუმრობდნენ და პრინციპში, მაშინ უფრო ხშირი და მჭიდრო კონტაქტი მქონდა მათთან. ახლა უფრო ვერ ვახერხებ, ათასში ერთხელ თუ დავურეკავთ და მოვიკითხავთ ერთმანეთს.

— წელან თქვით, რომ მარტო ცხოვრობთ. როგორ ახერხებთ თავის მოვლას?

— შინ დიდად არ ვსაქმიანობ, ამიტომ იქ მოსაწესრიგებელიც არაფერია ხოლმე. ვინ ამირევს სახლს?!.

— სულ საქმიანობთ, ალბათ იღლებით. როგორ ისვენებთ დამქანცველი დღის ბოლოს?

— მართალი ბრძანდებით — მეტისმეტად ვიღლები. განტვირთვისთვის კი, საუკეთესო საშუალება, „მოკლე“ ძილი გახლავთ: რაც უფრო ხანმოკლეა ძილი, მით უფრო ჯანმრთელი და მხნე იღვიძებ დილით.

— სპორტს თუ მისდევთ?

— წინათ ვვარჯიშობდი, მაგრამ რაც თბილისში ჩამოვედი, მოუცლელობის გამო ვეღარ ვახერხებ. თუმცა, სამინისტროს საქმეებს რომ ავაწყობ, შემდეგ, დღის წესრიგში აუცილებლად ეს საკითხიც დადგება.

— სამინისტროს აწყობაში რას გულისხმობთ? იმ საკადრო ცვლილებების განხორციელებას ხომ არა, რომლითაც ბევრ სამუშაო ადგილს გამოათავისუფლებთ და ამის ხარჯზე დარჩენილ თანამშრომლებს ხელფასს გაუზრდით?

— ნაწილობრივ ეს სიმართლეა. მაგრამ აღვნიშნავ, რომ კადრების შემცირება ხელფასების ზრდის აუცილებლობით არ არის გამოწვეული — ეს ახალი მიზნებისა და სტრუქტურის ჩამოყალიბებას ემსახურება. ამ ეტაპზე, მე მხოლოდ გარკვეული რაოდენობის თანამშრომლები მიმაჩნია საჭიროდ. შემდგომში, შესაძლოა, ეს რაოდენობა გაიზარდოს.

— რა პრინციპით მოხდება თანამშრომლების შერჩევა?

— ყველა თანამდებობის შესაბამისად, ჩამოვაყალიბეთ ფუნქციებისა და ვალდებულებების ნუსხა. ეს დაიბეჭდება ტესტის სახით და ამ ტესტირებაზე დაყრდნობით მოხდება თანამშრომლების შერჩევა იმ ადამიანებს შორის, ვინც განაცხადს შემოიტანს. ჯერ პირადი მონაცემების მიხედვით გადავარჩევთ და საუკეთესოები გაივლიან გასაუბრებას, შემდეგ სპეციალური კომისია გამოიტანს დასკვნას.

— ვთქვათ, ტესტირების დროს, ერთნაირი შედეგი მიიღო ორმა ადამიანმა — ახალგაზრდამ და შედარებით ასაკოვანმა. ახალი პრეზიდენტივით, თქვენც ახალგაზრდაზე შეაჩერებთ არჩევანს?

— ასეთ შემთხვევაში, არჩევანს უფრო გამოცდილ თანამშრომელზე შევაჩერებ.

— საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, თქვენი პედაგოგები თუ შეგეხმიანნენ?

— სხვათა შორის, არც ერთ ჟურნალისტს ეს კითხვა არ დაუსვამს და მიხარია, რომ ჩემი სკოლა და პედაგოგები შემახსენეთ... თბილისის პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ძალზე მიყვარს ეს სკოლა — თვითონ შენობაც კი, პედაგოგები, დირექტორი... მათ დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებასა და წარმატებებში. ჩამოსვლის შემდეგ ვესაუბრე ქალბატონ ლიანა შეწირულს, სკოლის დირექტორს და ბევრი პედაგოგი დამიკავშირდა წარმატების მოსალოცად. ვინც პირადად ვერ დამიკავშირდა, ჩემთან, ოჯახში დარეკა და ჩემს მშობლებს ესაუბრა.

— თქვენი ბავშვობა რა ფერის იყო?

— მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერების — ღია ფერის.

— იქნებ, თქვენი თვალით დანახული სიყვარულის ფერიც გაგვიმხილოთ?

— ასევე ღია, ლამაზი და საოცარი ფერია სიყვარულიც.

— თქვენი სამსახური რა ფერია?

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრ თანამშრომელს სამინისტრო მუქ ფერში ეჩვენება, ვფიქრობ, რომ ისიც საკმაოდ ღია და გამჭვირვალე ფერის გახლავთ... ვინც შემცირებაში მოყვება, იმ ხალხის ადგილი კერძო ბიზნესში იქნება. იცით, საზღვარგარეთ ჩემი ნაცნობების 90% კერძო ბიზნესით იყო დაკავებული, აქ — პირიქითაა. მიმაჩნია, რომ რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება დაკავებული კერძო სექტორში, ეკონომიკაც მით უფრო ეფექტური იქნება.

— რამდენი წელი დასჭირდება საქართველოს ეკონომიკას, ეფექტური რომ გახდეს?

— თუ შევძელით, რომ დავამარცხოთ კორუფცია, შევუქმნათ კერძო მეწარმეობას განვითარების პირობები, მაშინ დიდი დრო არ დასჭირდება იმას, რომ ქვეყანა მყარად დადგეს ფეხზე. მაგრამ ამისათვის სხვა ბევრი ფაქტორიც გახლავთ საჭირო: განათლების დონის ზრდა, საერთო რეფორმები...

— თქვენმა წინამორბედმა, საქმის გადმობარებისას, როგორი რჩევა მოგცათ? ვგულისხმობ არა პროფესიონალურ რჩევებს, არამედ ჩვეულებრივ, ყოფით პრობლემებთან დაკავშირებულს...

— ჩვენ გვქონდა საკმაოდ გულახდილი საუბარი, საკმაოდ სპეციფიკური რჩევებიც მომცა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა — წინა ადმინისტრაციის წარმომადგენელი გარკვეულ დარიგებას აძლევს ახალს. მე ყოველთვის ვითვალისწინებ რჩევას, მაგრამ საკუთარი შეხედულებისამებრ ვმოქმედებ.

— ეს რაც შეეხება სამსახურს. პირადი ცხოვრების ამა თუ იმ ნიუანსთან დაკავშირებით თუ გაითვალისწინებთ ვინმეს რჩევას და ვინ არის თქვენთვის ასეთი ავტორიტეტი?

— არ არსებობს ერთი ადამიანი, რომელსაც რჩევას ვთხოვ... საერთოდ, რაც უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებ, მით მეტი საშუალება გექნება, ეს ყოველივე შეაჯამო და სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

— განათხოვარ ქალზე თუ დაქორწინდებით?

— იცით, ეს ცოტა „ისეთი“ კითხვაა... მთავარია, სიყვარული, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე არ მიფიქრია და საუბარიც ძალზე არაადეკვატურად მიმაჩნია. შესაძლოა, სპონტანურად სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მივიღო.

— დედა გსაყვედურობთ, დაუოჯახებელი რომ ხართ?

— არ გვინდა ამაზე ლაპარაკი, რა, გთხოვთ...

— პირად საკითხზე საუბარს რატომ არიდებთ თავს?

— ნამდვილად არ მინდა. ვის ან რატომ უნდა აინტერესებდეს ჩემი პირადი ცხოვრება?

— უბრალოდ, საინტერესოა, ვის ხელშია ქვეყნის ეკონომიკის მართვის სადავეები. როგორი ხართ თქვენ, არა როგორც მინისტრი, არამედ როგორც პიროვნება, მამაკაცი...

— მიკვირს, მიკვირს, რატომ აინტერესებს ხალხს ეს ყველაფერი...

აი, ასეთი გაკვირვებული დარჩა მინისტრი... მკითხველებს შეუძლიათ გამოეხმაურონ მის ინტერვიუს და ისიც გაგვიზიარონ, თუ რატომ აინტერესებთ ეს ყოველივე... „დამიმესიჯეთ“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. ვფიქრობ, ძალზე საქმიანი, სერიოზული და სიმპათიური „სასიძო“ წარმოგიდგინეთ... ■

ვაშინგტონიდან მოვლენილი ამერიკელი ქართველი

ქალი პრეზიდენტს დანყნარებას ერჩევს...

ჩვენს თანამემამულეს, ამჟამად კი უკვე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეს ნინო ჯაფარიძეს, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია და საქმიანი ქალისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები აქვს. ნინომ „ოქროს მედალზე" დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, ერთი გამოცდით ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, ორი კურსის დახურვის შემდეგ კი, სწავლა ჩიკაგოში, ვითენის უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის განხრით განაგრძო. შემდეგ ჩაირიცხა ვაშინგტონის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის კათედრაზე — მისი სფერო საერთაშორისო ურთიერთობები იყო. 1995 წელს მუშაობა დაიწყო კორპორაცია „ინტერმედიაში", სადაც სოციოლოგიური კვლევის საინფორმაციო სფეროს მენეჯმენტს განაგებდა. ამჟამად, ამავე კორპორაციის კვლევითი ცენტრის განყოფილების ხელმძღვანელია; მისი საკურატორო სფერო აღმოსავლეთ ევროპა და დსთ-ის ქვეყნები. საპარლამენტო არჩევნების დროს ის დამკვირვებლის მოვალეობას ასრულებდა და საქართველოს მომავლის შესახებ დამაიმედებელ პროგნოზებსაც აკეთებდა.

ნანა ქიბიმაური

— ნინო, საქმიან საუბარზე გადასვლამდე, თქვენი ოჯახის შესახებ გვიამბეთ. როგორც ვიცი, თქვენს მეუღლესაც ვაშინგტონში საკმაოდ სერიოზული თანამდებობა უკავია...

— მე და ჯოუბ ჰენინგმა ნიუ-იორკში „მეტროპოლიტენ-მუზეუმში" გავიცანით ერთმანეთი. აღმოჩნდა, რომ ორივე ვითენის უნივერსიტეტში ვსწავლობდით და ერთად გავდიოდით საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კურსს. როგორც მერე გავარკვიეთ, პირველი დანახვისთანავე მოვიხიბლეთ ერთმანეთით და იმაზეც შევთანხმდით, რომ ჯვარს საქართველოში დავიწერდით. ასეც მოხდა. თაფლობის თვე ბაკურიანში გავატარეთ, შემდეგ კი ჯოუბმა აქ წამოიწყო საქმიანობა: ის ერთ-ერთი პირველი უცხოელი ინვესტორი იყო — მან სერიოზული წვლილი შეიტანა კომპანია „მეგაკომის" დაფუძნებაში. სამწუხაროდ, იმ პერიოდში, ტელეკომუნიკაციების სფეროში ძალზე ძნელი იყო მუშაობა. კონკურენტებისთვის არათანაბარი პირობები იყო დაწესებული და ბევრ დარღვევას ჰქონდა ადგილი... ამჟამად ის ვაშინგტონში, კორპორაციის სტრატეგიული კვლევის განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობს. მათ კომპეტენციაში სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის საკითხები შედის. გვყავს ორი გოგონა — ელენ-მარი და ოდრი-სოფია ჯაფარიძე-ჰენინგი. წელიწადში ორჯერ ვახერხებთ საქართველოში ჩამოსვლას. ჩვენ რაჭველი ჯაფარიძეები ვართ და ჩემს მეუღლეს ძალიან უყვარს რაჭა და რაჭველები. ამბობს — მათ რაღაც სხვანაირი თვალები აქვთ, ისინი სიმშვიდეს და სიკეთეს ასხივებენო... ორივე ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს ჩემს სამშობლოში, მაგრამ საქმიანი ცხოვრება ამერიკაში ავაწყვეთ და იმდენად დაკავებული ვართ, რომ საქართველოში უფრო ხშირად ჩამოსვლას ვერ ვახერხებთ.

— უკვე რამდენიმე დღეა, რაც აქ იმყოფებით. როგორ შეაფასებთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას?

— ამ ეტაპზე, ხალხის ისეთი დიდი მხარდაჭერა აქვს პრეზიდენტს, რომ მას ახალარჩეულ პარლამენტთან ერთად რეფორმების გატარება არ უნდა გაუჭირდეს. დეპუტატებმა არ უნდა დაივიწყონ ხალხი, მთავრობის წევრებს კი, მას შემდეგ, რაც

პირველი დანახვისთანავე მოვიხიბლეთ ერთმანეთით და იმაზეც შევთანხმდით, რომ ჯვარს საქართველოში დავიწერდით

სავარძლებში მოკალათდებიან, სნობიზმმა არ უნდა სძლიოს... ამჟამად, ისევ იგრძნობა რევოლუციით და გამარჯვებით გამოწვეული ეიფორია. პრეზიდენტი ბევრს მოგზაურობს, უნდა, რომ ყველას თვითონ უამბოს იმის შესახებ, რაც საქართველოში ხდება. მიხეილ სააკაშვილი ახლა უნდა დაწყნარდეს, დადინჯდეს, უნდა ამოისუნთქოს და სხვისი, თუნდაც მისგან განსხვავებული მოსაზრების მოსმენა ისწავლოს. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მას არ ჰყავს იმიჯმეიკერი... მიხარია ისიც, რომ პარლამენტს აღარ ემუქრება ერთპარტიულობის საფრთხე და ვფიქრობ, თუ ხელისუფლება, პოლიტიკური აქტიურობის პარალელურად, ეკონომიკის გამოცოცხლებასაც შეძლებს, ინვესტორების მოზიდვას მოახერხებს და ხალხს ცხოვრების პირობებს გაუუმჯობესებს, საქართველო ძალზე სწრაფად განვითარდება და ევროპული ქვეყნების სტანდარტში ჩაჯდება.

— ...და როგორ ფიქრობთ — ახალგაზრდა კადრები შეძლებენ ამ ყველაფრის განხორციელებას?

— ამ ახალგაზრდა კადრების უმრავლესობას განათლება საზღვარგარეთ აქვს მიღებული. თუმცა, უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ მე ჩემი სუბიექტური მოსაზრება მაქვს: არის ისეთი შემთხვევები, როცა უცხოეთში მეორადი მნიშვნელობის რამდენიმეთვიან კურსებს გაივლიან, სერტიფიკატს აიღებენ და აქ, დასავლეთში მიღებული განათლებით იწონებენ თავს. თუმცა, ამ შემთხვევაში, ალბათ ამასთან არ გვაქვს საქმე. მაგალითად, ვიცი, რომ თამარ ბერუჩაშვილს მართლაც, კარგი განათლება აქვს მიღებული — საკმაოდ

პრესტიჟული უნივერსიტეტი დაამთავრა. ვფიქრობ, ახალგაზრდა კადრებს აქვთ უნარი, რომ დაარწმუნონ როგორც საკუთარი ხალხი, ასევე მსოფლიო, რომ მათ შეუძლიათ სასიკეთო ცვლილებების განხორციელება.

— როგორც პოლიტოლოგი, როგორ შეაფასებთ საქართველოში მოღვაწე კოლეგების საქმიანობას? მეჩვენება, რომ მასმედიაში სულ ერთი და იგივე სახეები ტრიალებს...

— მე კი მეჩვენება, რომ საქართველოში ხშირად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოდიან პოლიტოლოგების როლში... აქ მოღვაწე პოლიტოლოგებს უბრალოდ, ხელი არ მიუწვდებათ იმ საინფორმაციო საშუალებებზე, რითაც მსოფლიო პოლიტოლოგია იკვებება. აუცილებელია, შეიქმნას უფრო მეტი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული კვლევითი ცენტრები, რომლებიც უცხოეთის გამოცდილებას გაიზიარებენ. უნდა შეიქმნას ანალიტიკური ცენტრებიც და საზოგადოების პოლიტიკური კულტურაც, რომელიც დღეს მხოლოდ ტელეეკრანიდან მოსმენილი ანალიზის საფუძველზე ყალიბდება, დაიხვეწება. ერთი და იმავე ექსპერტების მოსაზრებები მართლაც, ძალიან დამღლელია.

— მთავრობაში ქალების რაოდენობისა და როლის გაზრდაზე რას გვეტყვით?

— საერთაშორისო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ როგორც პოლიტიკაში, ასევე ბიზნესში ქალების გააქტიურებამ მხოლოდ პოზიტიური შედეგები მოგვიტანა. დღეს ექსპერტების უმეტესობა იზიარებს ამ მოსაზრებას და არც ცდება. ქალები უფრო დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევიან და უფრო ფრთხილებიც არიან. ჩემი აზრით, თუ საქართველოში მცირე ბიზნესში ქალების უმრავლესობა დასაქმდება, ეკონომიკა ძალზე სწრაფად განვითარდება. ქვეყნის სახეა პირველი ლედიც. ამ მხრივ საქართველოს გაუმართლა: სანდრა რულოვსი გამჭრიახი გონებით გამოირჩევა. მას აქვს თვისებები, რომელთა წყალობითაც შეუძლია, სწრაფად და იოლად მოხიბლოს საზოგადოება. თუმცა, ის პოლიტიკურ ფიგურად არ მოიაზრება, რაც სავსებით კანონზომიერია: ყველა ქვეყნის პირველი ლედის საქმიანობა ჰგავს ერთმანეთს — ისინი ძირითადად, საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან, ზრუნავენ ჯანდაცვის ან განათლების პროგრამების განხორციელებაზე, ბავშვთა სახლებზე და ა.შ. რაც შეეხება აქტიურ პოლიტიკაში დასაქმებულ ქალებს — ვფიქრობ, მათი რაოდენობა ახლო მომავალში კიდევ

მე და ჩემს მეუღლეს თეთრ სახლში გვაქვს ხოლმე შეხვედრები ოფიციალურ პირებთან

უფრო გაიზრდება.

— როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მასმედიის როლს? როგორც ვიცი, თქვენ ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილებაც გაქვთ...

— მონაწილეობა მივიღე „მერიოტში" გამართულ სემინარში, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ გარდამავალ ეტაპზე, როცა ქვეყნის აღმშენებლობა იწყება, მასმედია შედარებით ლოიალური უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ უნდა ვილაპარაკოთ თავისუფალ და არა ლოიალურ პრესაზე. მიხარია ის, რომ მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მასმედია ნამდვილად თავისუფალია. მაგრამ აქ თავისებური ტენდენციები შეინიშნება: ხშირად, ჟურნალისტები საკუთარ მოსაზრებებს ახვევენ თავზე აუდიტორიას; არა აქვთ მოსმენის უნარი და არ შეუძლიათ, თავაზიანად დასვან მწვავე შეკითხვა. ჟურნალისტებში რაღაც მეომრული განწყობილება შეიმჩნევა... ვფიქრობ, თუ სტილი არ შეიცვლება, საზოგადოება გადაიღლება და გაზეთისა თუ ტელეკომპანიის მიმართ აგრესიული განწყობილება შეექმნება. მოკლედ, რევოლუციის შემდეგ, ეიფორიიდან ყველა ერთად უნდა გამოვიდეს — როგორც პრეზიდენტი, ასევე მასმედია და საზოგადოება. საჭიროა მშვიდი და პერმანენტული აღმშენებლობითი პროცესის დაწყება, მშვიდი და ობიექტური კრიტიკა, მშვიდი და მოუსყიდველი ოპოზიცია და ა.შ.

— როგორ ფიქრობთ — რომელი კანონის შემუშავებით უნდა დაიწყოს საქმიანობა ახალმა პარლამენტმა? რა არის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი?

— ეს არის საგადასახადო კოდექსი, რომელიც აუცილებლად უნდა დაიხვეწოს. მეორე საკითხი, რომელიც პარლამენტის მუშაობასთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული, მაგრამ ხელისუფლების იმიჯზე მოქმედებს — ესაა მეთოდი, რომელსაც დასაჭერი თუ დაჭერილი ხალხის მიმართ იყენებენ და ვფიქრობ, შესაცვლელია, რადგან ის უკვე უკურეაქციას იწვევს.

— შეგიძლიათ, თქვენი საქმიანობით რაიმე სიკეთე მოუტანოთ ჩვენს ქვეყანას თუ მხოლოდ იმ დაკვეთას ასრულებთ, რომელიც კორპორაციის ინტერესებს ემსახურება?

— ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, მე და ჩემს მეუღლეს თეთრ სახლში გვაქვს ხოლმე შეხვედრები ოფიციალურ პირებთან. მაგალითად, აპრილში დაგეგმილია კიდევ ერთი შეხვედრა, სადაც მოისმენენ ჩვენს მოსაზრებებს აქ მიმდინარე პროცესების შესახებ. აღმოსავლეთ ევროპის 18-მა ქვეყანამ შექმნა დიასპორების კოალიცია, რომელიც საკმაოდ წარმომადგენლობითია. ეს ნიშნავს 20 მილიონ ამომრჩეველს, რომელთა ხმებიც ამერიკის მთავრობისთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ამ კოალიციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ვართ. 30 მარტს კი, თეთრ სახლში გვაქვს ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინისა და სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან შეხვედრა და ვფიქრობ, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საქართველოდან ამერიკის კონგრესამდე თუ ცალკეულ გავლენიან პოლიტიკოსამდე მიაღწევს, მნიშვნელოვანია — თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყანაში არსებულ რეალურ მდგომარეობაზე ბევრად არის დამოკიდებული ის, თუ რა გადაწყვეტილებებს მიიღებს ამერიკის მთავრობა, დაეხმარება თუ არა გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყანას განვითარების დაჩქარებაში. მე, როგორც ქართველი, რა თქმა უნდა, დაინტერესებული ვარ იმით, რომ უცხოეთში იცოდნენ ობიექტური სინამდვილე და მსურს, ჩემი წვლილი შევიტანო ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებაში. ■

რაც შეეხება აქტიურ პოლიტიკაში დასაქმებულ ქალებს, ვფიქრობ, მათი რაოდენობა ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება

ქურდებმა ავტომანქანის მოპარვა აღიარეს

22 მარტს, თბილისში, კუტუზოვის ქუჩაზე მცხოვრებმა თეიმურაზ კოპალეიშვილმა პოლიციას მიმართა და განაცხადა, რომ მას საკუთარი გარაჟიდან „ოპელ-ვექტრა“ მოჰპარეს. ქურდობის შესახებ მიღებული შეტყობინებისთანავე შექმნილმა ოპერატიულმა ჯგუფმა საღამოს 8 საათზე, გორის რაიონის სოფელ სვენეთთან დააფიქსირა საეჭვოდ მოძრავი „ოპელ-ვექტრა“. იცოდნენ, რომ აღნიშნული მანქანა მანამდე, არ დაემორჩილა არც ნატახტარის და არც მომდევნო საგუშაგოების მოთხოვნებს – გაჩერებულიყო. ის მაინც განაგრძობდა მოძრაობას, უფრო მეტიც – პოლიციელთა მანქანასაც დაეჯახა, იმ მიზნით, რომ ჩამოეშორებინა მდევარი. ამის შემდეგ, პოლიციელებმა ავტომანქანის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. როგორც თავად ამბობენ, უნდოდათ, დაეზიანებინათ და ასე აეძულებინათ მძღოლი, გაჩერებულიყო. სროლის შედეგად, მანქანაში მჯდომი ერთ-ერთი პირი დაიჭრა, მძღოლმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა, მანქანა სავალი ნაწილიდან გადავიდა და მინდორზე გადაბრუნდა. მანქანაში მსხდომნი მაშინვე გადავიდნენ და თავს გაქცევით უშველეს. მაგრამ მათი ადგილსამყოფლის შესახებ სამართალდამცავთათვის მეორე დღესვე გახდა ცნობილი. ისინი 23 მარტს, დილის 10 საათზე, სოფელ სვენეთში მცხოვრებ თამაზ გამხუაშვილის სახლში დააკავეს. ეჭვმიტანილები გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში მცხოვრებნი – 27 წლის გელა ბახტაძე და 37 წლის ბესიკ რატია აღმოჩნდნენ. როგორც პოლიციელები ამბობენ, ბახტაძეს, გაქცევის მცდელობისას პოლიციელთა მიერ გასროლის შედეგად მიღებული ჭრილობა აღენიშნებოდა. მასა და რატიას უკვე მანქანაც ჰყოლიათ სპეციალურად დაქირავებული, რათა სოფლიდან გაეღწიათ და გაქცეულიყვნენ. ორივე დაკავებულმა ზემოთ აღნიშნული „ოპელ-ვექტრას“ მოპარვა აღიარა.

პოლიციამ რეციდივისტი, ნარკოტიკებით მოვაჭრე ქალები და 91 ათასი ლარის ნარკოტიკებით სავსე ყუთი ჩაიგდო ხელში

წარსულში ექვსჯერ ნასამართლევი რეციდივისტი, 61 წლის ელდარ მურსაგულოვი სამართალდამცავებმა 22 მარტს, თბილისში, ფაბრიკის შესახვევში მდებარე ერთ-ერთ სახლში დააკავეს. საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას, მას სარეალიზაციოდ გამზადებული 60 „ჩეკი“ (სულ 10,4 გრამი) ოპიუმი აღმოაჩნდა. რამდენიმე დღის წინ კი, იმავე დანაშაულისთვის ქუთაისელმა სამართალდამცავებმა იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა ოცეულის უფროსი ლეიტენანტი, ქუთაისელი 30 წლის გიგა შვანგირაძე დააკავეს. პოლიციამ მისგან 0,18 გრამი ოპიუმი ამოიღო, თავად შვანგირაძე კი, დაკავების მომენტში, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფილა.

უცნაური ფაქტი მოხდა 12 მარტსაც. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდამცავებმა საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კინოლოგიის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, დიდუბის ავტოსადგურის ერთ-ერთ მიტოვებულ ჯიხურში, უფრო სწორად – მის სახურავზე შეფუთული ყუთი იპოვეს. საეჭვო ყუთში სხვადასხვა სახითა და ფორმით დაფასოებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერებები ეწყო: 63,2 გ ჰეროინი, 405 გ ოპიუმი, 8727 აბი კოდეინი. ნარკოტიკების საერთო ღირებულება, როგორც ამბობენ, 91 ათას ლარს შეადგენს.

მეორე დღეს, რკინიგზის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნარკობიზნესში ეჭვმიტანილი ქალებიც დააკავეს: თბილისში, შირშოვის ქუჩაზე მცხოვრები 49 წლის თამარ მარშანია, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში მცხოვრები, 46 წლის მარინა გორგაძე და 46 წლის ელისო ქუხილავა. გორგაძისგან სამართალდამცავებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება – ყაყაჩოს თესლი (1 კგ და 30 გ) ამოიღეს, ქუხილავას კი, იმაში სდებენ ბრალს, რომ მან მარშანიას, სარეალიზაციოდ 340 გ ყაყაჩოს თესლი გადასცა.

მანქანების გამტაცებელთა „აყვანა“ გრძელდება

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ქალაქის მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა ამჯერად, 31 წლის ზურაბ ოქრუაშვილი, მეტსახელად ბლინჩიკა დააკავეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ოქრუაშვილი ავტომანქანების გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის ლიდერი გახლდათ. პოლიციამ იგი თბილისში, მეტროსადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაიკავა.

როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ზურაბ ოქრუაშვილმა სხვა პირებთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, მოქალაქე ბადრი ციგრიაშვილის „გრანდ-ჩეროკი“ გაიტაცა. აღნიშნული ფაქტი 19 მარტს მოხდა. ბოროტმოქმედებმა გატაცებული ავტომანქანა ცხინვალში გადაიყვანეს და იქ სპეცდანიშნულების რაზმის ერთ-ერთ წევრს 8.500 დოლარად მიჰყიდეს. სამმართველოს ინფორმაციით, ბანდას აღნიშნულ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრეც ჰყავდა გატაცებული ორი ავტომანქანა – „მერსედეს-ბენცი-200“ და „ვაზ-2107“, რომლებიც ბოროტმოქმედებმა მოქალაქე ბორის კოპალიანს წაართვეს. მოგვიანებით, სამართალდამცავებმა მანქანები მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვთან ახლოს აღმოაჩინეს და კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს.

პოლიციის სამმართველოში ბანდის მიერ ჩადენილ კიდევ ერთ დანაშაულზე საუბრობენ. სამართალდამცავთა თქმით, ზურაბ ოქრუაშვილმა თანამზრახველებთან ერთად 2003 წლის 18 დეკემბერს, მოქალაქე ნუგზარ პეტრიაშვილს მოსტაცა ავტომანქანა „ფორდ-ტრანზიტი“ და შემდეგ იგი ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე 3.000 დოლარად გაყიდა.

სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ოქრუაშვილსა და ბანდის სხვა წევრებს, ზემოთ აღნიშნული ფაქტების გარდა, არაერთი დანაშაული აქვთ ჩადენილი. მათ გამოსავლენად და ოქრუაშვილის თანამზრახველთა ვინაობის დასადგენად ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს.

■

„ეეშლილი სახე ჰქონდა... დანას უკვე ნაქცეულს გამეჯეგბით ურტყამდა“

ბრალდებულის შეურაცხადობას დაზარალებული ეჭვის თვალით უყურებს

პროკურატურის მიერ სამი ადამიანის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ხვიჩა დემინაშვილზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების საკითხს რამდენიმე დღის წინ, დაზარალებული მხარის წარმომადგენელი გამოეხმაურა. იგი ერთ-ერთი მოკლულის — 39 წლის გიორგი მირიანაშვილის მამა გახლავთ (აღნიშნულ საქმეზე მოკლედ „გზის“ №10-ში ვწერდით). დაზარალებულს ბრალდებულის ფსიქიკურად დაავადებაში ეჭვი ეპარება. ექსპერტიზის კომისიის ხელმძღვანელობა კი კატეგორიულად უარყოფს გარიგების შესაძლებლობას და ობიექტურობის გარანტიას იძლევა.

„ეჭვის საბაბს აქამდე გახმაურებული არაერთი ყალბი ექსპერტიზის დასკვნა მაძლევს. მოგეხსენებათ, ამ სფეროში ასეთი რამ არცთუ ისე იშვიათად ხდება. შემდეგ კი, დამნაშავეები ფსიქიატრიული საავადმყოფოდან თავის დაძვრენას ადვილად ახერხებენ“, — გვითხრა დაზარალებულის ადვოკატმა.

თავად ხვიჩა დემინაშვილმა უზენაეს სასამართლოში გამართულ სხდომაზე განაცხადა, რომ ფსიქიკური მოშლილობის გამო, სამედიცინო კომისიამ ის სამხედრო სამსახურში არ გაიწვია, ამის შესახებ მან გამომძიებელსაც უთხრა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყურადღება არ მიაქცია. როგორც ბრალდების მხარემ აღნიშნა, დემინაშვილის სიტყვები არაფრით დასტურდება, აღმოჩნდა, რომ მას არსად უმკურნალია და არც ოფიციალურ აღრიცხვაზე ყოფილა რომელიმე კლინიკაში. მიუხედავად ამისა, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ისანი-სამგორის რაიონულმა პროკურატურამ კანონი უხეშად დაარღვია, როცა ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის გასარკვევად ექსპერტიზა არ დანიშნა. საქმე დამატებით ძიებას სწორედ ამ მითითებით დაუბრუნდა. მალე გამოძიების მასალებს ექსპერტ-ფსიქიატრებიც გაეცნობიან და ბრალდებულის ფსიქიკას გამოიკვლევენ.

ხვიჩა დემინაშვილი 1981 წელსაა დაბადებული. იგი თბილისში, რუსუდანის შესახვევში მდებარე ერთ-ერთ სახლში მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. როგორც შევიტყვეთ, ამჟამად ოჯახმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა. დემინაშვილმა საშუალო სკოლის მხოლოდ 9 კლასი დაამთავრა და ამის შემდეგ სწავლა არსად გაუგრძელებია, არც სადმე უმუშავია. როგორც გამოძიებით დადგინდა, დემინაშვილს ხშირი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეზობლად მცხოვრებ გურამ ბასილაშვილთან, წარსულში ორჯერ ნასამართლევ დავით მენთეშაშვილთან და ვინმე ლადო ბიბილურთან. ამ უკანასკნელის შესახებ პროკურატურის მასალებში არაფერია ნათქვამი, იგი არც დანაშაულებთან დაკავშირებითაა დაკითხული.

მოკლული გიორგი მირიანაშვილი

მენთეშაშვილი სიღნაღის რაიონის სოფელ მაჩხაანში ცხოვრობდა. როცა თბილისში ჩამოდიოდა, ყოველთვის ბასილაშვილთან რჩებოდა. ბასილაშვილი წარმოშობით გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახიდან გახლავთ, იქვე აქვს სახლი, სადაც წინა წლებში მეგობრები ხშირად ჩაჰყავდა.

2002 წლის ოქტომბერში, სწორედ კარდანახში სტუმრობისას, დემინაშვილმა შეიტყო, რომ იმავე სოფლის მკვიდრმა — გიგო კანაშვილმა ერთ-ერთ მწყემს ბიჭს ხელი გაარტყა. დემინაშვილმა მწყემსი ბიჭის დაცვა ითავა და კანაშვილს მეგობრებთან ერთად საქმე გაურჩია. შელაპარაკებაც მოუხდათ, თუმცა მათი კამათი ჩხუბში არ გადაზრდილა. დემინაშვილი და კანაშვილი შერიგდნენ და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ კანაშვილმა, შერიგების აღსანიშნავად, ოჯახიდან წაღებული პურმარილით სუფრაც გაშალა.

ამ ამბიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, დემინაშვილს მეგობრებთან ერთად სოფელ კარდანახში ჩასვლა ისევ მოუხდა. მოინახულეს კანაშვილიც, რომელმაც სტუმრები მაშინვე შეიპატიჟა შინ და მათ პატივსაცემად მწვადიც შეაწვევინა. უკვე ღამის ორი საათი იყო, როცა ქეიფს მორჩნენ. გვარიანად მთვრალები სუფრიდან აიშალნენ და ეზოში გავიდნენ. სტუმრები რომ გაეცილებინა, კანაშვილი გარეთ გავიდა და სწორედ ამ დროს შეახსენა დემინაშვილს ოქტომბერში მწყემს ბიჭთან დაკავშირებული უთანხმოება. ვერ მოითმინა და შერიგების მიუხედავად, მაინც გამოთქვა უკმაყოფილება დემინაშვილის მაშინდელი საქციელის გამო. შენ ამ საქმეში არ უნდა ჩარეულიყავიო, — უთხრა. ყოველივე ამას შედეგად, ჯერ სიტყვიერი შელაპარაკება, ხოლო შემდეგ, დემინაშვილის აგრესიული მოქმედება მოჰყვა: გაბრაზებულმა ხელებითა და ფეხებით დაუწყო ცემა მასპინძელს. ყვირილსა და ხმაურზე გარეთ გაცვივდნენ ოჯახის წევრებიც. კანაშვილმა შეძლო ფეხზე წამოდგომა, როგორღაც თავი დააღწია დემინაშვილს და სახლისკენ წავიდა, მაგრამ სწორედ ამ დროს, დემინაშვილმა თავისი „ნაგანი“ ამოიღო, მიმავალ კანაშვილს დაუმიზნა და ესროლა. ამ უკანასკნელს ტყვია გულმკერდის არეში, უკნიდან მოხვდა; მარცხენა ფილტვთან ერთად აორტაც დაუზიანდა და დაჭრილი ადგილზევე გარდაიცვალა. საშინელი ტრაგედია კანაშვილის მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილების თვალწინ დატრიალდა.

მაია კომლაძე, მოკლულის მეუღლე (წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):

„...ეზოდან ხმაური შემომესმა. გარეთ გავიხედე და დავინახე, რომ ჩემი ქმარი წაქცეულიყო, ცხვირიდან სისხლი სდიოდა. მას თავზე ადგა ხვიჩა დემინაშვილი, რომელიც ამბობდა — ეს რა ღვინო გქონიათ, როგორ დავთვერიო. მერე ჩემს ქმარს ჰკითხა — რატომ გაგვლანძღეო? შევნიშნე, რომ მან ქამარზე დაკიდებული ბუდიდან რაღაც ამოიღო და სამჯერ ჩაარტყა ჩემს მეუღლეს. შემეშინდა და კივილი დავიწყე. საშველად ჩვენს მწყემსს დავუძახე. ამ დროს, მენთეშაშვილმა დამიძახა — პანიკას ნუ ატეხ, არაფერი ხდებაო. მაშინვე დავინახე, რომ მან ჯიბიდან რაღაც ამოიღო, „ბარაბნიანი“ პისტოლეტის მაგვარი საგანი. მივვარდი და მარჯვენა ხელის მტევანზე ვუკბინე. ამის გამო გაჩერდა და იარაღი აღარ ამოუღია. ისეთივე იარაღი ეჭირა ხელში დემინაშვილსაც. ყვირილი ავტეხე, ვიძახდი — მთელ ქვეყ-

ანას შეგიყრით კივილით-მეთქი, – და სახლისკენ წავედი. სახლში შევედი თუ არა, უკნიდან კიბეზე ამორბენის ხმა გავიგონე, მაშინვე გაისმა გასროლის ხმაც. ჩემმა ქმარმა დაიძახა – უხ, შენიო! – და დავარდა. გარეთ გავვარდი. იგი აივანზე იწვა, გრძნობადაკარგული, იქვე გარდაიცვალა... სროლის მომენტში, მენთეშაშვილი ჩემთან იყო და მეუბნებოდა – ყვირილი შეწყვიტეო“.

პროკურატურის ინფორმაციით, მკვლელობის შემდეგ, დემინაშვილი, მენთეშაშვილი, ბიბილური და ბასილაშვილი შემთხვევის ადგილს გაეცალნენ. მენთეშაშვილმა სცადა, კარდანახის ორი მკვიდრის ავტომანქანები გაეტაცა, რათა მათი საშუალებით მიმალულიყო, მაგრამ დაზარალებულებმა და მეზობლებმა მიუსწრეს და „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიც წაართვეს. თუმცა, მან გაქცევა მაინც მოახერხა და დემინაშვილთან ერთად მიიმალა. მენთეშაშვილი 2003 წლის 21 მაისს დააკავა პოლიციამ. სექტემბერში იგი გაასამართლეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ხვიჩა დემინაშვილმა დანაშაული ნაწილობრივ აღიარა. მისი თქმით, „ნაგანი“ მას კი არა, თავად მასპინძელს ჰქონდა. *„...კანაშვილი დამემუქრა – არ შეგარჩენ შეურაცხყოფასო! მაშინ დავინახე, რომ ხელში „ნაგანის“ პისტოლეტი ეკავა. შემეშინდა და ვცადე, მისთვის იარაღი წამერთმია, მაგრამ გამიძალიანდა. ჭიდილის დროს, სანადირო დანა ამოვიღე და მოვუქნიე. დანა რამდენჯერმე ჩავარტყი სხეულში, მას იარაღი ხელიდან გაუვარდა. მაშინვე დანა ამოიღო, მომიქნია და თითში დამჭრა. დანა წავართვი, რის შემდეგაც, კანაშვილი სახლისკენ გაიქცა და იძახდა – თოფი, თოფიო! ამ დროს ფეხი წავკარი დავარდნილ „ნაგანს“, ავიღე, ერთი-ორი ნაბიჯი წინ წავდგი და სწორედ მაშინ, ინსტინქტურად გამივარდა იარაღი. გასროლისთანავე, კანაშვილი დაეცა თავისივე სახლის კართან. იმავე წამს გავიქეცი იქიდან ჩემს მეგობრებთან ერთად. კანაშვილის პისტოლეტი და დანაც თან წავიღე. თავი ტყეს შევაფარეთ. ბასილაშვილი მეჩხუბა – რატომ ჩაიდინე მკვლელობაო? მას იქვე დავშორდი და მენთეშაშვილთან და ბიბილურთან ერთად ტყიდან საავტომობილო გზაზე გავედი. ერთ-ერთ მანქანას თბილისში გამოვყევით. ბიბილური თავის გზაზე წავიდა, მე და მენთეშაშვილი კი მეგობრის ბინაში მივედით... დანა ჯერ კიდევ ტყეში გადავაგდე, ტანსაცმელი კი, რომელიც კანაშვილების ოჯახში მეცვა, დავწვი... 2003 წლის იანვარში გალის რაიონში ბებიასთან ჩავედით მე და მენთეშაშვილი და იქ ვცხოვრობდით თებერვლის ბოლომდე...“*

ხვიჩა დემინაშვილი ასევე აღიარებს 2003 წლის 3 მაისს ჩადენილ მკვლელობას: ამ დღეს, მან პოლიციის აკადემიის კურსანტს – შალვა წითელაშვილს დანით 20 ჭრილობა მიაყენა, აქედან 10 – სიცოცხლისთვის სახიფათო. ბებიის სახლიდან წამოსულები – დემინაშვილი და მენთეშაშვილი თბილისელ მეგობრებს დაუკავშირდნენ. მათთან მეტრომშენის დასახლებაში მივიდნენ და შეთანხმდნენ, რომ რამდენიმე დღით საცხოვრებლად იქ დარჩებოდნენ. იმავე ეზოში ცხოვრობდნენ მენთეშაშვილის მეგობრის თანაკურსელი გოგონა და შალვა წითელაშვილი. დემინაშვილმა გოგონა რომ გაიცნო, მასთან სასიყვარულო ურთიერთობა გაბა. ამან წითელაშვილი გააღიზიანა, რადგან ეს გოგონა მასაც მოსწონდა და დემინაშვილს სთხოვა, თავი დაენებებინა მისთვის. მიუხედავად ამისა, დემინაშვილმა გოგონასთან ურთიერთობა არ შეწყვიტა, უფრო მეტიც – ერთ კვირაში იგი საცხოვრებლად თავისთან, ახალდაქირავებულ ბინაში გადაიყვანა და მასთან ინტიმური ურთიერთობა დაამყარა. წითელაშვილი დემინაშვილს შეხვედრას სთხოვდა, უნდოდა, ყველაფერი გაერკვია მასთან, მაგრამ ეს უკანასკნელი ყველანაირად არიდებდა თავს. რამდენიმე დღეში, გოგონა მშობლებთან რაიონში გაემგზავრა და დემინაშვილს ტელეფონით საუბრისას უთხრა, რომ მასთან აღარ დაბრუნდებოდა. ისიც უთხრა – წითელაშვილი მეჩხუბა და ხელი გამარტყაო. დემინაშვილმა ჩათვალა, რომ გოგონას გადაწყვეტილებაზე წითელაშვილმა იმოქმედა და განაწყენებული და ნასვამი წავიდა მასთან ურთიერთობის გასარკვევად. წითელაშვილი მას კორპუსთან ახლოს, ავტოფარეხთან შეხვდა. დემინაშვილმა პირდაპირ მიახალა – ჩემი და იმ გოგოს ურთიერთობებში რატომ ერევიო?! – და გინება დაუწყო. ჩხუბისას დანა ამოიღო და მრავალჯერ ჩაარტყა მას ჯერ თავის, შემდეგ გულმკერდისა და მუცლის არეში. წითელაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. ამ ფაქტს მენთეშაშვილიც შეესწრო.

„...ხვიჩამ დანა მოულოდნელად ამოიღო ჯიბიდან, გახსნა იგი და დაუწყო დარტყმა წითელაშვილს. შეშინებული და დაბნეული ვიყავი. ხვიჩას ვერ ვეკარებოდი. სახე შეშლილი ჰქონდა, თან გამეტებით იქნევდა დანას და სხეულის სხვადასხვა ადგილას ურტყამდა უკვე წაქცეულ წითელაშვილს. ყველაფერი ერთი წუთი გაგრძელდა. უცებ ქალების ხმა მოგვესმა, ხვიჩამ მაშინვე შეწყვიტა დანით დარტყმები და გაიქცა. მეც დაბნეული გავყევი მას. ფეხით ჩავედით ჩოლოყაშვილის ქუჩამდე. ნაცნობის სახლში მივედით. ხვიჩამ მას ტანსაცმელი სთხოვა, რადგან თვითონ სისხლით იყო მოსვრილი. დანა მანამდე, გზაში გადააგდო. შემდეგ წავიდა, სად – არ ვიცი...“ – წერს ჩვენებაში **მენთეშაშვილი**. როგორც დემინაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, სისხლიანი ტანსაცმელი მან მტკვრის სანაპიროზე დაწვა. აღნიშნული მკვლელობა დემინაშვილმა გამომძიებლის წინაშე დეტალურად აღწერა და ისიც თქვა, რომ დაჭრილი წითელაშვილი მიწაზე დავარდა, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა მისთვის დარტყმების მიყენებას.

ერთადერთი დანაშაული, რომელსაც დემინაშვილი არ აღიარებს და ზემოთ აღნიშნული მკვლელობებისგან განსხვავებით, დეტალურად არ აღწერს, 2003 წლის პირველ იანვარს – ახალი წლის საღამოს ჩადენილი მკვლელობაა. ეს ფაქტი კარდანახში დატრიალებული ტრაგედიიდან ზუსტად ერთ კვირაში მოხდა.

ახალი წლის აღსანიშნავად დემინაშვილმა მენთეშაშვილთან ერთად ხმელნიცკის ქუჩაზე მცხოვრებ ვინმე ვიტალის ოჯახში იქეიფა (გამოძიებამ, როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ვიტალის ვინაობა ვერ დაადგინა). იქიდან საღამოს, დაახლოებით 9-ის 15 წუთზე წავიდნენ და №105 მიკროავტობუსში ჩასხდნენ. დემინაშვილმა მაშინ, როცა დასაჯდომად თავისუფალ ადგილს არჩევდა, შემთხვევით ფეხი დაადგა მგზავრ მამაკაცს ფეხზე. მგზავრმა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა – გიორგი მირიანაშვილმა – უთხრა: ცოტა ფრთხილად იყავიო. დემინაშვილმა ეს უპასუხოდ არ დატოვა და ჰკითხა – რომელი უბნელი ხარო? მირიანაშვილმა უპასუხა – ვერელიო. ამაზე დემინაშვილის მხრიდან ხმამაღლა ნათქვამი შეურაცხმყოფელი სიტყვები გაისმა – შენი ვერელი დედაო!..

საბრალდებო დასკვნის თანახმად, სწორედ ამ გინების გამო მათ შორის ჩხუბი ატყდა. დემინაშვილმა მირიანაშვილს ქურთუკის საყელოში ჩაავლო ხელი, თან ჯიბიდან დანა ამოიღო და მაშინვე მუცელში, რამდენიმე წამის შემდეგ კი – გულმკერდის არეში ჩაარტყა. პროკურატურის ინფორმაციით, მენთეშაშვილი შეეცადა დემინაშვილის შეკავებას, მაგრამ ვერ შეძლო. ყოველივე ამის შემხედვარე, მიკროავტობუსის მძღოლმა გეზი საავადმყოფოსკენ აიღო, მაგრამ დაჭრილი გზაში გარდაიცვალა. მოწმეების ჩვენებებით ასევე ირკვევა, რომ მძღოლმა, ვიდრე საავადმყოფოსკენ წავიდოდა, დემინაშვილისა და მენთეშაშვი-

გიორგი მირიანაშვილი შვილთან ერთად

ლის მოთხოვნა შეასრულა და მანქანა გააჩერა. როგორც ამბობენ, დემინაშვილი გინებ-გინებით ჩავიდა მიკროავტობუსიდან და მეგობართან ერთად გაიქცა.

იგი პოლიციამ 2003 წლის 25 ივნისს, საკუთარ ბინაში დააკავა. დემინაშვილმა კატეგორიულად უარყო მირიანაშვილის მკვლელობა და განაცხადა – მართალია, 2003 წლის პირველ იანვარს თბილისში ვიმყოფებოდი, მაგრამ ჩოლოყაშვილის გამზირზე იმ დღეს საერთოდ არ ვყოფილვარ და არც 105-ე მიკროავტობუსით მიმგზავრიაო. ის ბოლომდე ამ ჩვენებას იმეორებდა. მიკროავტობუსის მძღოლმა და ერთ-ერთმა მგზავრმა ფოტოსურათებზე, შემდეგ კი, ამოსაცნობ პირებს შორის, დემინაშვილი ამოიცნეს. გარდა ამისა, ჩადენილ დანაშაულში მას მისი მეგობარი – მენთეშაშვილიც ამხელს.

„...დავინახე, რომ დანა ამოიღო და მოუქნია უცნობს... მუცლის არეში ჩაარტყა... მერე ისევ ამოიღო დანა და განმეორებით მოუქნია, მაგრამ სად მოხვდა, არ დამინახავს. ხვიჩამ მძღოლს მანქანა გააჩერებინა და გავიქეცით... 4 იანვარს, მატარებლით წავედით ზუგდიდში, იქიდან კი გალში გადავედით. 2003 წლის თებერვლის ბოლოს, ისევ თბილისში ჩამოვედით“, – წერს ჩვენებაში მენთეშაშვილი.

მძღოლის, **გ. ისანიძის** ჩვენებიდან:

„...ბარბარეს ეკლესიას რომ მივუახლოვდით, სალონის ბოლოდან ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა... ახალგაზრდა (როგორც შემდეგ შევიტყვე – ხვიჩა დემინაშვილი) ერთ-ერთ მგზავრს აგრესიული და გამომწვევი ტონით ეკითხებოდა – რომელი უბნელი ხარო? – შემდეგ კი შეავინა. როცა მიკროძრავას ქარხნის გაჩერებასთან მივედით, მანქანაში მსხდომმა ქალებმა კივილი ატეხეს – გააჩერე მანქანაო! – ყვიროდნენ. გავიგონე მირიანაშვილის ხმაც – დანა დამარტყაო! – შველას ითხოვდა. მაშინ დავინახე დემინაშვილის მარჯვენა ხელში დანა, მარცხენა კი, მირიანაშვილის ქურთუკის საყელოში ჰქონდა ჩავლებული და არ უშვებდა...“

მოწმე **დ. გურდულის** ჩვენებიდან:

„...მათი სახეები კარგად დავინახე. ერთ-ერთი, როგორც გაირკვა – დემინაშვილი, მთვრალი იყო და აგრესიულად საუბრობდა... მასთან ერთად მყოფი მეორე ბიჭი აკავებდა მას და ეკითხებოდა – რას აკეთებო? – თან, დანიან ხელს უჭერდა. მანქანის გაჩერების შემდეგ, ძალით ჩაიყვანა დემინაშვილი, მან კი, გარედან ფეხი დაარტყა მანქანას. ამის შემდეგ ვნახეთ, რომ მირიანაშვილს გულმკერდის არიდან სისხლი მოსდიოდა. გადავწყვიტეთ, სასწრაფოდ საავადმყოფოში წაგვეყვანა...“

მოკლულის მამა, **ალექსანდრე მირიანაშვილი:**

„ჩემი შვილი სერიოზული ადამიანი გახლდათ. ამასთანავე, უკონფლიქტო. უმიზეზოდ არავის აუხირდებოდა და არც ჩხუბში აჰყვებოდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ შემთხვევით ფეხის გაკვრის გამო, უხეშად შენიშვნას არ მისცემდა დემინაშვილს. როგორც ჩანს, თავიდანვე დაუწყეს ჩემს შვილს გამომწვევი ლაპარაკი, დემინაშვილი ბოლოს გინებაზეც გადავიდა. ამას გოგა (გიორგი მირიანაშვილი. – ავტ.) ვერ მოითმენდა...

იმ დღეს ვერაფრით ვიფიქრებდი, ჩემს შვილს რაიმე თუ დაემართებოდა. თავად, ახალი წლის მიუხედავად, ცუდ გუნებაზე იყო. ოჯახის წევრები საახალწლო სუფრასთან ვისხედით, მაგრამ ქეიფი ვერაფრით აეწყო. გოგა დედამისს ჩაეკრა გულში და ცრემლები გადმოსცვივდა. ალბათ, ბედისწერა საკუთარ თავზე ატირებდა. ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ასეთ დღეში მეგობრის გამო იყო, რომელიც წინადღეს დაკრძალეს. შემდეგ წამოდგა, ყველას განსაკუთრებული სითბოთი გამოემშვიდობა და წავიდა, თან დაგვიბარა – იცოდეთ, ხვალ ყველანი ჩემი სტუმრები იქნებითო (თავის ცოლ-შვილთან ერთად ცალკე ცხოვრობდა). მისი წასვლიდან ზუსტად ნახევარ საათში, ჩემმა დამ დარეკა და გვაცნობა – გოგა დაუჭრიათ და საავადმყოფოში მიუყვანიათო. იქ რომ მივედით, უკვე მკვდარი დაგვხვდა...

დღეს დანაშაულში ბრალდებული ყველაფერს აიღარებს, ჩემი შვილის მკვლელობის გარდა. ამას ახლა, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშნაც დაერთო. კარგად მესმის, რომ ასეთი ექსპერტიზის ჩატარება აუცილებელია, მით უმეტეს – რამდენიმე მკვლელობაში ბრალდებულ ადამიანზე, თუმცა გამოძიების მასალებიდან უკვე ნათლად ჩანს, რომ საქმე გვაქვს არა შეურაცხადთან, არამედ მანიაკური თვისებების მქონე ადამიანთან“.

საგულისხმოა, რომ საქმის მასალებში დემინაშვილის არც ერთი ნაცნობი ან მეგობარი მის ფსიქიკურ მოშლილობაზე არაფერს ამბობს. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს გამოძიების ხარვეზია. მოსამართლეების აზრით, დემინაშვილის ჯანმრთელობის შესახებ გამომძიებელს უნდა დაესვა კითხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოწმეები თავიანთი ინიციატივით არაფერს იტყოდნენ. სხვათა შორის, თავის დროზე, ამაზე არც ბრალდებულის ყოფილ ადვოკატს უზრუნია. ახლა ვინ იცავს დემინაშვილის ინტერესებს, გაურკვეველია, რადგან სასამართლოს მიერ დაბრუნებული საქმე პროკურატურას ჯერ კიდევ არ მიულია, განმწესრიგებელ სხდომაზე კი, განსასჯელი დაცვის გარეშე წარდგა. რაც შეეხება მის ოჯახს, საქმის მასალებში დაფიქსირებულ მისამართზე არ იმყოფება. როგორც გაირკვა, იქ მუდმივად არც თავად დემინაშვილი ცხოვრობდა, განსაკუთრებით, ბოლო წლებში, პოლიციისგან მიმალვაში ყოფნისას იგი სისტემატურად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს და თბილისის სხვადასხვა უბანში ქირაობდა ბინას.

ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ დანაშაულებთან დაკავშირებით ბრალდებულის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე აზრი ისეთ ფსიქიატრებს ვკითხეთ, რომლებსაც ექსპერტიზასთან შეხება არ ექნებათ. როგორც ამბობენ, ბრალდებულზე სათანადო დაკვირვების გარეშე შეუძლებელია დასკვნის გამოტანა. მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ფსიქიკური მოშლილობის მქონე ადამიანს წარსულში თავის ტვინის ტრავმა აქვს გადატანილი, შიზოფრენიით ან ეპილეფსიით არის დაავადებული; ამ დროს, ახლობლები იძულებული ხდებიან, ავადმყოფი ექიმთან მიიყვანონ, რის შემდეგაც, ის ოფიციალურად აჰყავთ აღრიცხვაზე. სპეციალისტების თქმით, ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა ბრალდებულის ჯანმრთელობაზე პირველად, სწორედ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის დროს გაჩენილა ეჭვი, ეს ეჭვი გამართლებულა კიდეც, თუმცა, ავადმყოფობის შესახებ მანამდე არავინ იცოდა... ერთი სიტყვით, ფსიქიატრები არაფერს გამორიცხავენ. მთავარია, როცა საქმე კრიმინალს ეხება, აგრესია და ბოროტება რომელიმე სამედიცინო დიაგნოზს განგებ არ მოვარგოთ.

■

გივი ბერიკაშვილი მათ რიგს ნამდვილად არ მიეკუთვნება, ვისაც თვითონვე ურჩევს — ღვინის დალევას ჯობს, ყურძნად ქამოთო. ამ რჩევით კი, იმ მამაკაცებს მიმართავს, ვისაც მისი თქმით, სიმთვრალეში მყრალი ხასიათი აქვს... ინტერვიუდან შეიტყობთ, ეცვლება თუ არა ხასიათი ნასვამ გივი ბერიკაშვილს, რატომ ატარა კახეთიდან მოსკოვში წყლით სავსე ხის ჭურჭელი და კიდევ იმას, თუ რა ჯიშის ყურძენია კრანჭა.

ხოლის „ვენთო“ გივი ბერიკაშვილის „წითელი“...

ნინო ჯავახიშვილი

— ბატონო გივი, ვიცი, რომ სასმელებიდან უპირატესობას ღვინოს ანიჭებთ. თქვენ თვითონ თუ დაგიყენებიათ ღვინო?

— კახეთში მაგის მეტი რა მიკეთებია, როცა პაპაჩემი — დედაჩემის მამა ცოცხალი იყო... კარგად ვიცი ეს საქმე, მაგრამ აქ, ქალაქის პირობებში, რამდენიც არ უნდა ეცადო, კარგ ღვინოს ვერ დააყენებ. მახსოვს, ქვევრს რომ გავრეცხავდით, მერე ვამშრალებდით კიდეც — კედლებს წყლის წვეთები რომ არ შერჩენოდა, თორემ ღვინოს გააფუჭებდა. ახლა კი, წყალს აფუჭებს, ისეთი ღვინოებია!.. რამდენიმე წლის წინ, სვირის სადგურზე ერთი იქაური კაცი ღვინოს 50 თეთრად ყიდდა. რა ჯიშია-მეთქი? — დავინტერესდი. — რა ჯიშია და კრანჭაა, ბატონო, მაგიო, — მიპასუხა. აუჰ, გამიკვირდა — ყველა ჯიში ვიცი და ნეტავ, ეს რომელიღაა-მეთქი?! ბოლოს თვითონვე ამიხსნა — „კრანი“ და ჭა იგულისხმება და ღვინოს კრანჭა ამიტომ დავარქვიო... ფალსიფიცირებულმა, გაკეთებულმა ღვინობამ წალეკა საქართველო. წამალს სვამ, ის აღარ გარჩენს და ფალსიფიცირებული ღვინო მოგარჩენს?!

— გამოდის, რომ არაფალსიფიცირებული ღვინო სამკურნალოა?

— აბა, რა! ორი-სამი ჭიქა დღეში — წამალია. ექიმებმა იციან თქმა — ვენაში ერთი ჭიქა ღვინო რომ შეუშვა, არ გაწყენსო... პაპაჩემი ხშირად ამბობდა — ვისაც კუჭ-ნაწლავის დაავადებები აწუხებს, ვახშამზე ერთი ჭიქა ღვინო უნდა დალიოს და ის მოუწესრიგებს ყველაფერსო. მართალიც იყო...

— შეიძლება, ასეც იყოს, მაგრამ არა მგონია, ცოლები ასე ფიქრობდნენ...

— ცოლები?.. მაგათ რომ დაუჯერო, მთელი სიცოცხლის მანძილზე, ღვინოს კი არა, ჰაერს აღარ გადაყლაპავ — არ მაწყინოსო...

— თქვენ მეუღლე გეჩხუბებოდათ, შინ ნასვამი რომ ბრუნდებოდით?

— ჩხუბით არ მეჩხუბებოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, არ სიამოვნებდა, როცა გადაბმულად რამდენიმე დღის განმავლობაში მიწევდა სმა.

— ახალგაზრდობაში როგორ მსმელად ითვლებოდით?

— სასმელი მართლაც ბევრი მაქვს ნაყლაპი. ერთმა ნაცნობმა მკითხა — რამდენი ცისტერნა გაქვს დალეულიო? — რა — ღვინო თუ არაყი-მეთქი? — ვკითხე... ახალგაზრდობაში ხშირად მიწევდა სმა, მაგრამ არ ვთვრებოდი, სასმელი არ მეკიდებოდა. ალკოჰოლი ვერ ერეოდა ჩემს ორგანიზმს. რამდენსაც სხვები სვამდნენ, მეც იმდენს ვსვამდი, მაგრამ ისინი თვრებოდნენ, მე — არა. ამიტომაც მეუბნებოდნენ — ეტყობა, ორგანიზმში რაღაც ვერ გაქვს რიგზე — „წითელს“ არ „გინთებსო“?.. ბოლოს მაინც „ამინთო“ და ორჯერ კუჭის ოპერაცია გავიკეთე. მეორე ოპერაციის შემდეგ კი მივხვდი, რა იყო სიმთვრალე: საავადმყოფოდან გამოსვლის წინ დავლიე და შინ გატრეტილი მივედი. ღვინო კარგი რამეა, მაგრამ სიმთვრალე — ცუდია. ღვინომ ჭკუა კი არ უნდა გამოგაცალოს — კარგ ხასიათზე



უნდა დაგაყენოს.

— არასდროს დამთვრალხართ ისე, რომ მეორე დღეს საკუთარ საქციელზე გაგაცინებიათ?

— დათრობით როგორ არ დამთვრალვარ, თანაც ისე, რომ მეორე დღეს, ჩემი საქციელის შემრცხვენია. „ღვინის ქურდების“ გადაღების დროს, როგორც იცით, წყლის მაგივრად, ღვინოს ვსვამდით (მერე, რა თქმა უნდა, ის სცენა ამოიღეს და ხელმეორედ გადავიღეთ) და მეორე დღეს, საკუთარი თავი რომ ვნახე, ვთქვი — მთვრალი ასეთი თუ ვარ, ჩემს სიცოცხლეში ღვინოს აღარ დავლევ-მეთქი: იმისთანა სიფათი მქონდა, კინაღამ გული შემიწუხდა... საკუთარი საქციელის გამო გამცინებია კი არა და, გვარიანად შემშინებია. დილით რომ გამიღვიძია, ვერაფრით გამიხსენებია, რა მოხდა წინა საღამოს, სად ვიყავი. ერთხელ მეგობრის ოჯახში დავლიეთ. მთვრალი ვიყავი და მეგობარმა მანქანით აღარ გამიშვა შინ — რამე რომ შეგემთხვეს, საკუთარ თავს ვერ ვაპატიებო. მანქანა იქ დავტოვე და წამოვედი. სამი დღე ვეძებდი მანქანას — აღარ მახსოვდა, სად დავტოვე. აბა, ეს არის საქმე?..

— სიმთვრალეში როგორი ხასიათი გაქვთ?

— შარიანი და ჩხუბისთავი არ ვარ. ნასვამი რომ ვიყავი, იცით, ოჯახის წევრები როგორ ხვდებოდნენ? თუ ისე შევიპარებოდი სახლში, რომ არავის გაეგო, ეი. ნასვამი ვიყავი. მეორე დღეს მეკითხებოდნენ — გუშინ მთვრალი მოხვედი, არა? იმიტომაც ვერ გავიგეთ შენი დაბრუნებაო. არავის ვაწუხებ, ვწვები და ვიძინებ. ფხიზელი კი, მთელ სახლს ავახმაურებ ხოლმე. არ მახსოვს, ოდესმე მთვრალს ჩხუბი ამეტეხოს. ზღვარს რომ გადასცილდები და გადათვრები, კაცი იდიოტი ხდები, კონტროლს ვეღარ უწევ თავს, ბევრს ლაპარაკობ. ზოგს კი, ისეთი მყრალი ენა აქვს, რომ... ერთ ანეკდოტს მოგიყვებით, ბოდიშს კი წინასწარ მოგიხდით... ერთი ქუთაისელი მეორეს ჩააცივდა — დალიე მაი ჭიქა და გააკეთე ფოკუსიო. არა და არ მოეშვა — ე, ბიჭო, აიღე მაი ჭიქა, დალიე და გააკეთე ფოკუ-

სიო. მესამედაც რომ გაუმეორა, შეწუხდა და ჰკითხა — რას ჩამაცივდი? რა ფოკუსის გაკეთება გინდაო? — რა ფოკუსის და ღვინოს რომ დალევ და... რომ გადაიქცევი ხოლმეო. როცა ასეთი მყრალი ხასიათი გაქვს და ასეთი ფოკუსები გიყვარს, აღარც უნდა დალიო.

— ღვინოსა და დალევასთან დაკავშირებით რაიმე ამბავი გაიხსენეთ.

— მოსკოვში მივდიოდი გასტროლებზე მარჯანიშვილის თეატრთან ერთად. კახეთში ჩავედი და პაპაჩემს ვთხოვე — დილით ჩამოვალ და „ბაჩონკები“ მზად დამახვედრე, მოსკოვში ღვინის წაღება მინდა-მეთქი. დილით ჩავედი, ვნახე, ღვინით სავსე „ბაჩონკები“, ჩავაწყვე მანქანაში და წამოვედი თბილისში. მოკლედ ღვინო მოსკოვში წავიღე. ერთ-ერთი მსახიობის დაბადების დღე იყო და გადავწყვიტეთ, მაშინ დაგველია. გავხსენით და... აღმოჩნდა, რომ ღვინის მაგივრად, წყალი მდგარა შიგ: პაპაჩემს გასაჟღენთად საღამოს წყალი ჩაუსხამს შიგ და უფიქრია ღვინით დილით ავავსებო, მე კი დავტაცე ხელი და კახეთიდან მოსკოვში ვატარე წყალი. რაც მაშინ ვიგინე გამწარებულმა...

— საუბრის ბოლოს ისიც მითხარით — თამადის ამპლუაში ყოფნა მოგწონთ თუ არა და კიდევ — გამორჩეულად თუ გიყვართ რომელიმე სადღეგრძელოს წარმოთქმა?

— თამადობა არ მიყვარს. სუფრას ათასი ჯურის გიჟი უზის ხოლმე და სულ უნდა იწივლო და იკივლო — მომისმინეთო!.. აი, სადღეგრძელოს თქმა კი აუცილებელია. პაპაჩემმა იცოდა — ხვალინდელი დღის გათენებას გაუმარჯოსო! ერთხელ ვუთხარი — კარგი, რა, პაპა, რა გააჭირე საქმე ხვალინდელი დღით? დღევანდელი კვერცხი არ სჯობს ხვალინდელ ქათამსმეთქი? არაფერი მითხრა. დილით ადრე გამაღვიძა, აივანზე გამიყვანა და მითხრა — კავკასიონს და ალაზნის ველს გადახედე, რა საოცარი სილამაზეა. ეს დილა რომ არ გაგვთენებოდა, რაღა ფასი ექნებოდა ჩვენს სიცოცხლესო?! იმის შემდეგ, მეც ყოველთვის ვამბობ ხვალინდელი დღის სადღეგრძელოს — ღმერთო, ხვალინდელი დილა გაგვითენე, ნათელი და მზიანი!.. ■



ერთ ანეკდოტს მოგიყვებით, ბოდიშს კი წინასწარ მოგიხდით... ერთი ქუთაისელი მეორეს ჩააცივდა...

რისი თქმაა ეუხერხულება ლიზა ბაგრატიონს ყველაზე მეტად

ლიზა ბაგრატიონი სულ უფრო იშვიათად ჩნდება კონცერტებზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი, მისი პატარა ვაჟიშვილია, რომელთანაც დედა დროის უმეტეს ნაწილს ატარებს. თუ რა სიახლეებია ლიზას შემოქმედებაში, რა გეგმები და სურვილები აქვს — ამის შესახებ თავად გვიამბობს.

ლელა ჭანკოტაძე

— ჩემს ცხოვრებაში ახალი თითქმის არაფერია. საერთოდ, ქვეყანაში ისეთი მდგომარეობა იყო შექმნილი და ყველანი ისეთი პოლიტიზებულები ვიყავით, რომ შემოქმედებითი სიახლეებისთვის თითქოს დრო აღარც რჩებოდა... რამდენიმე დღის წინ, ჩარიტა ჯაფარიძის საღამო ჩატარდა. ეს გახლავთ არაჩვეულებრივი პიანისტი, რომელიც წერს რუსულ ლექსებსა და რომანსებს, როგორც საკუთარ, ასევე ბორის პასტერნაკისა და მარინა ცვეტაევას ლექსებზე. მისი რომანსები ძალზე ფასეულია. მე ქალბატონი ჩარიტას სამი რომანსი შევასრულე და ამ საღამოზე დიდი სიამოვნება მივიღე. ახლა ვემზადები ლილიკო ნემსაძის შემოქმედებითი საღამოსთვის. მან გადაწყვიტა, მოაწყოს საღამო, რომელზეც პოპულარული სიმღერები კი არა — მისი ყველაზე ღირებული სიმღერები აჟღერდება. მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლები: „ქართული ხმები“, „ფესვები“ და „ჟურნალისტები“, აგრეთვე რამდენიმე მომღერალი ქალი. მე შევასრულებ სიმღერებს როიალის თანხლებით. ეს ძალიან მახარებს, რადგან საერთოდ, კამერული მუსიკის მოყვარული ვარ. მიჭირს ფონოგრამაზე სიმღერა, არა აქვს მნიშვნელობა, „მინუსია“ თუ „პლუსი“. ამიტომ დიდი სიამოვნებით ვდგავარ სცენაზე, როცა ყველა ცოცხლად მღერის, თანაც — როიალის თანხლებით. ასეთი საღამოები ბოლო დროს, უფრო ხშირად ტარდება.

— ბოლო დროს, თითქოს ერთმანეთისგან გაიმიჯნა „სერიოზული“ მუსიკა და ის, რომელიც მხოლოდ ტინეიჯერებისთვისაა განკუთვნილი და ხშირად, საკმაოდ მდარე ხარისხისაა. მეთანხმები?

— კი და ამას მივესალმები. ყოველთვის ვამბობდი — ჩვენ არა გვაქვს უფლება, ვინმეს ავუკრძალოთ ან სიმღერა, ან მოსმენა. ადამიანი არჩევანში თავისუფალია — რასაც გვინდა, იმას მოვისმენთ, მაგრამ ჩემი ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ეს ყველაფერი იხარშებოდა ერთ ქვაბში. ერთსა და იმავე კონცერტზე და ერთმანეთის გვერდიგვერდ მღეროდნენ სხვადასხვა კატეგორიის მომღერლები. მე მგონი, ყველა, მათ შორის, მასმედია, უნდა ეცადოს, რომ ჩვენი მოსახლეობა უფრო მაღალი დონის მუსიკას შეაჩვიოს და შესაბამისად, უფრო გემოვნებიანი გახადოს. უკვე აშკარაა — გამიჯვნა დაიწყო. იმის მაგივრად, რომ დავუჯეროთ მათ, ვინც გვეუბნება — მოდით, ის იმღერეთ, რაც ბავშვებს მოსწონთო, — ბავშვებს უნდა მოვაწონოთ ის მუსიკა, რომელიც გვინდა, რომ ჟღერდეს. ეს აუცილებელია. საოცრად მუსიკალური ერი ვართ. საცოდაობა იქნება, თუ სამნოტიანი სიმღერებით შემოიფარგლება ჩვენი კულტურული განვითარება...

— „არტ-იმედში“ სოლიდური ცვლილებები მოხდა. ხომ არ ფიქრობ, ახლა მაინც გაწევრდე ამ კომპანიაში?

— არასდროს ვყოფილვარ „არტ-იმედის“ წევრი და არც ახლა ვაპირებ. ძალიან დიდ პატივს ვცემ მის წევრებს. ზოგი მომღერალი მომწონს, ზოგი — არა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. იქ უმეტესობა, ჩემი მეგობარია. ეს ის ორგანიზაციაა, რომლის გამარჯვებაც ყოველთვის გამიხარდება. რაც უფრო მეტ ღირებულებას შექმნიან, მით

ეს იყო ისეთი დღესასწაული, რომელიც არასდროს დამავიწყდება. – მაია ჯაბუასთან ერთად

უფრო მოვიგებ, როგორც მსმენელი. თან, ჩემი მეგობრების შემოქმედებითი წარმატებები ყოველთვის ძალიან მახარებს. მაგრამ მე არ მინდა „არტ-იმედში" გაერთიანება. ალბათ იმიტომ, რომ მირჩევნია, თავისუფალი ვიყო. თავიდან, როცა შემოთავაზება მქონდა, კონტრაქტის რამდენიმე პირობა ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ვარჩიე, ჩემთვის ვყოფილიყავი. თანაც, დიდი ხნის მანძილზე, სიმღერას ჩემს ჰობის ვუწოდებდი. ვერ უარვყოფ იმას, რომ „არტ-იმედში" მუშაობას ბევრი დადებითი მხარეც აქვს. ის, რაც ეკა მამალაძემ გააკეთა, მისასალმებელია. ჩუბინიშვილის რომანსების საღამო განუმეორებელი იყო, ეკამ დიდი სიამოვნება მომანიჭა. იგივე შემიძლია ვთქვა გია ყანჩელის პროექტზე, რომელიც ნატო მეტონიძემ განახორციელა. ეს იყო ისეთი დღესასწაული, რომელიც არასდროს დამავიწყდება. მარტო ეს რომ გაეკეთებინა „არტ-იმედს", სავსებით საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მათი მუშაობა წარმატებულად შემეფასებინა. ალბათ, მრავალი წელი დასჭირდებოდა ნატოს იმისთვის, რომ დამოუკიდებლად განეხორციელებინა ასეთი პროექტი... ახლა, როცა მერაბ სეფაშვილი ჩაუდგა „არტ-იმედს" სათავეში, უფრო იმედიანად ვარ. მერაბმა მომღერლების პრობლემები კარგად იცის, ამიტომ მგონია, რომ შემოქმედი ადამიანებისთვის ბევრ სიკეთეს გააკეთებს. საერთოდ, ოპტიმისტი ადამიანი ვარ და ყველაფერს იმედიანად ვუყურებ.

— რატომ მიანიჭე უპირატესობა „მელოდია-არტს"?

— მათი შემოთავაზებული პირობები უფრო მომეწონა. ჩემთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა, ამიტომ მათთან მჭიდროდ ვთანამშრომლობ. ძალიან მომწონს ის სისტემა, რომლითაც მომღერლებთან მუშაობენ. თუმცა, ჩემთვის მთავარია, რომ კარგი მუსიკა ჟღერდეს და კარგი მომღერლები არ დაგვეკარგონ – დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ამას რომელი კომპანია გააკეთებს.

— შენს სოლო კონცერტზე არ გიფიქრია?

— არა. სოლო კონცერტი ეს არის მომღერლის შემოქმედებითი ცხოვრების შედეგი ან ანგარიში. ვფიქრობ, რომ ჯერ ეს არ დამიმსახურებია. სანამ არ დავინახავ, რომ წლების მანძილზე, იმდენი ღირებული სიმღერა მოვამზადე, რომ მსმენელს ანგარიში ჩავბარო, სოლო კონცერტს არ გავმართავ. თუმცა, მცირე დარბაზში ან კლუბში საღამოს მოწყობაზე და კამერული კონცერტის გამართვაზე მიფიქრია. თანაც, თუ ოდესმე, სოლო კონცერტს მოვაწყობ, ის იქნება ორკესტრის თანხლებით და ბევრი მუსიკოსი მიიღებს მონაწილეობას. სოლო კონცერტი სხვანაირი, არც შეიძლება იყოს.

— რაც შეეხება კლიპებს — შენთვის არავის შემოუთავაზებია კლიპის გადაღება?

— კლიპი პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებაა და მომღერლისთვის აუცილებელია, მაგრამ ფინანსებია საჭირო, კარგი კლიპი რომ გაკეთდეს, რაც ჩემთვის ხელისშემშლელი ფაქტორია. ვინმეს ვთხოვო – ფული მომეცი კლიპის გადასაღებად-მეთქი, – ეს ვერ წარმომიდგენია: არის რაღაც, რისი თხოვნაც ძალზე უხერხულია. ოდესმე, ალბათ, საჭირო თანხა მექნება და შესაბამისად – კარგი კლიპიც. ტელევიზიით ჩემი კლიპები ახლაც ტრიალებს. ისინი ბასას შექმნილია. მართალია, ყველა მათგანი რაღაც პროექტის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ კარგად გაკეთებულია. ამის გამო, იმის განცდა, რომ კლიპი არასდროს მქონია, არ მაქვს. დღესაც, როცა „სიყვარული დაფრინავს" ჟღერს, კლიპსაც სიამაყით ვუყურებ ხოლმე.

— ახალ სიმღერებზე თუ მუშაობ?

— „მწვანე ოთახის" ბიჭებმა დამიწერეს არაჩვეულებრივი სიმღერა. ძალიან ლამაზი სიმღერა მაჩუქა ნინო ჩხიკვაძემაც. ჩემთვის სულ ვმღერი, სულ ვმუშაობ. ამის წყალობით, თავს ძალზე ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ. როდის მექნება საშუალება, რომ ახალი სიმღერები ფართო მსმენელს გავაცნო – ეს არ ვიცი.

— შენს ოჯახში რა ხდება? რა სიახლეებია?

— ჩემი შვილი უკვე წლისა და ათი თვისაა. „მუნჯი", მაგრამ ძალიან საყვარელია. კარგი ურთიერთობა გვაქვს. ხომ გაგიგონიათ – მუნჯის ენა დედამ იცისო?! ასე ვართ ჩვენც: ყველაფერს მაგებინებს, ყოველთვის ვგებულობ, რას მთხოვს. მას ძიძა ჰყავს. ერთმანეთი ძალიან უყვართ. მე ვცდილობ, ყოველი თავისუფალი წუთი ჩემს შვილთან ერთად გავატარო. ამის გამო მეგობრები მაშაყირებენ ხოლმე, მაგრამ მე მართლა ძალიან მიყვარს მუნჯური კონტაქტი, რომელიც დედა-შვილს გვაკავშირებს.

— მუსიკალურ ასპარეზზე ზედმეტად აქტიური არასდროს ყოფილხარ, მაგრამ ბოლო დროს განსაკუთრებულ პასიურობას რომ იჩენ, ეს ოჯახური პრობლემებით ხომ არაა გამოწვეული?

— ჯერ ფეხმძიმედ ვიყავი, მუცელი მეზრდებოდა; მერე, საკმაოდ მოვიმატე წონაში და ჩემი პასიურობაც ამ მიზეზებით იყო გამოწვეული. ახლა, მე მგონი, არავინ იჩენს დიდ აქტიურობას – ეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შედეგია. აქტიურობა ჩემთვის მთავარი არ არის. უმთავრესია ხარისხი და მისი შენარჩუნება. არავის დავზარდები და ყველა ხარისხიან კონცერტზე ვიმღერებ. თუ მაღალი ხარისხი იქნება, შემიძლია, სიმღერა ცხოვრების ნორმადაც გავიხადო.

■

„მუნჯი", მაგრამ ძალიან საყვარელია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი“ – „LCG“ (ელ-სი-ჯი) გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38

რატომ ერთობიან თბილისელი ტინეიჯერები?

როგორ ერთობიან თბილისელი ტინეიჯერები? რა ფასეულობები აქვთ, რაზე ოცნებობენ, რისკენ მიისწრაფვიან?.. 12-დან 19 წლამდე ასაკის გოგონები და ვაჟები განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებენ: ეს მშვენიერი ასაკი შეიძლება სასტიკიც აღმოჩნდეს და უარყოფითი კვალი დააჩნიოს მოზარდის მომავალს. როგორ და როდის ცდილობენ მშობლები ტინეიჯერი შვილების გაგებას და მათი თვალით სამყაროს დანახვას? გვესაუბრება ფსიქოლოგი მარი ფაცაცია:

ლელა ჭანკოტაძე

— 12-19 წელი ყველაზე რთული პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, რადგან ის მოიცავს გარდატეხის ასაკს. ამდენად აუცილებელია, განსაკუთრებული სისათუთით მოვეპყროთ მათ, რათა თავიდან ავაცილოთ სერიოზული გართულებები, რაც ამ ასაკისთვისაა დამახასიათებელი. ბოლო პერიოდში, ნევროზების რიცხვის მატება სწორედ ამ ასაკში შეიმჩნევა. ეს ყველაზე მეტად იმის ბრალია, რომ მშობლებს, პრაქტიკულად, არ სცალიათ შვილებისთვის: ჯერ ძიძას ან ბებიას ავალებენ თავიანთი პატარების მოვლას, შემდეგ კი, აქოდა, გაზის ანთება და დამოუკიდებლად აზროვნება ისწავლაო, — მთელი დღის მანძილზე მარტოს ტოვებენ... რომ იცოდეთ, როგორი დამღუპველია ამგვარი მარტოობა. არ იფიქროთ, თითქოს ამით შვილებს მეტ თავისუფლებას ანიჭებთ — პირიქით, თქვენ ართმევთ მათ თავისუფლების განცდის უნარს, თავისუფლებას სატანჯველად უქცევთ. ტინეიჯერს ისევე სჭირდება მშობლის ყურადღება და მზრუნველობა, როგორც უფრო დაბალი ასაკის ბავშვს. თუ ბავშვი მშობლებთან მცირე დროს ატარებს, ეს ნევროზის განვითარებისთვის კარგ ნიადაგს ქმნის. ასეთი ბავშვები შემდგომ, ე.წ. ნევროზის რისკ-ჯგუფად ყალიბდებიან.

— როგორ უნდა მოვეპყროთ 12-19 წლის ასაკის ადამიანს? სულ დათმობასა და თანაგრძნობას უნდა მივმართოთ?

— უნდა ვისწავლოთ მისი გაგება, მოსმენა და შევძლოთ მასთან დამეგობრება. ამ ასაკის ბევრი პაციენტი მყავს, მაგრამ ერთს — თიკას გამოვყოფ. დედამისი ერთ-ერთ საელჩოში თარჯიმნად მუშაობს და შვილისთვის დრო თითქმის არ რჩება. თიკას მისთვის უთხოვია: სახლში სულ მარტო ვარ, ცოტა ხნით მეგობრებს ბაკურიანში წავყვებიო. როცა დედამ უარი უთხრა, ნახევარი თავი გადაიპარსა... ჩემი მეორე პაციენტი მშობლებმა ღამის კლუბში არ გაუშვეს. საღამოს შინ დაბრუნებულ დედას ის უცნაურად აღკაზმული დახვდა: ცხვირიც გახვრეტილი ჰქონდა და ნიკაპიც...

რამდენად ხშირად დადიან ტინეიჯერები დისკოთეკებსა და ღამის კლუბებში? რა თანხას აძლევენ მშობლები სახარჯოდ და გასართობად? რას უკრძალავენ ან რის ნებას რთავენ ღამით გასართობად სახლიდან გასულ შვილებს? ამის გასარკვევად, სწორედ ღამის კლუბში შევიარეთ.

ნინო, 17 წლის:

— აქ ხშირად დავდივარ. მე და ჩემს მეგობრებს ცეკვა გვიყვარს. გუშინ იმდენი ხნის განმავლობაში ვცეკვავდით, რომ ფეხები აღარ მემორჩილებოდა. კარგი ადგილია. ახალგაზრდები ერთმანეთს ვეცნობით. ვინც აქ მოდის, თითქმის ყველას ვიცნობ.

— მშობლები იოლად გიშვებენ?

— დედაჩემი ამერიკაშია სამუშაოდ წასული. უკვე ექვსი წელია, არ მინახავს. მამა ჰოლანდიაში ცხოვრობს, მე — ბებიასთან. ყველაფერში მიგებს. იცის, რომ ახლა იმ ასაკში ვარ, როცა ჩემთვის გართობა აუცილებელია. სხვა ადგილებში წასვლას ვერ ვახერხებ. აქ შედარებით იაფად ვერთობი. ზოგჯერ ჯიბეში მხოლოდ ოცი ლარი მიდევს, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, ამ ჯადოსნურ ატმოსფეროში ვიტრიალო.

ქეთი, 18 წლის:

— გართობა ძვირი სიამოვნებაა. მშობლები ყოველთვის არ მაძლევენ საჭირო ფულს. ვიცი, რომ ჩემთვის ოჯახის ბიუჯეტიდან 100 დოლარია გამოყოფილი. ეს ფული მთელი თვის განმავლობაში უნდა ვიმყოფინო, მანქანაში საწვავიც უნდა ჩავასხა და გასართობად, ფულიც მე უნდა გადავიხადო. ამიტომ უკვე შევეჩვიე ფინანსების ეკონომიურად ხარჯვას. საკუთარ თავს ზედმეტი ხარჯის უფლებას არ ვაძლევ. ღამის კლუბში დავდივარ და „ყავის სახლში“ ვსადილობ — ეს არის და ეს. საღამოს რომ არ ვიცეკვო, მოვკვდები. ცეკვა მოთხოვნილებად მექცა. ზოგჯერ გუდაურში მივდივარ გასართობად, მაგრამ ცეკვას მაინც ვერაფერი შეედრება.

ტინეიჯერები ძვირად ღირებულ კაფე-ბარებსა და რესტორნებსაც ხშირად სტუმრობენ. იქ ზოგჯერ ცოცხალი მუსიკის მოსასმენად შედიან, ზოგჯერ კი, უბრალოდ, დროის მოსაკლავად. ერთ-ერთ რესტორანში არასრულწლოვანთა ჯგუფსაც წავაწყდი.

ნატა, 14 წლის:

— მშობლები მიგებენ. ყველანაირად მეხმარებიან. მთავარია, იცოდნენ, სად ვარ. მობილურზე დამირეკავენ და მეც ვეუბნები, სად ვიმყოფები. რამდენჯერმე მამამ შემამოწმა. არასოდეს მომიტყუებია, ახლა მენდობა და ყველგან მიშვებს. ამ ბარში ჩვენი „კამანდა“ კარგად ერთობა. აქ კარგი მუსიკაა და არაჩვეულებრივი კო-

ქტეილები.

— **არასრულწლოვნებს ბარში როგორ გიშვებენ?**

— ალბათ ვერ ხვდებიან, ჯერ 14-16 წლისები რომ ვართ. ასაკს ხომ არ შეგვეკითხებიან?! დღეს ასაკის გამო პრობლემა არ შეგექმნება, თუ იმის გადახდის საშუალება გაქვს, რასაც უკვეთ.

— **რამდენს ხარჯავ ხოლმე ასეთ გართობაზე?**

— თუ დაბადების დღეს ვიხდი ან რესტორანში რაიმე დღესასწაულს აღვნიშნავ, მაშინ ფულის საკითხს მთლიანად მამაჩემი აგვარებს. თუ უბრალოდ ვსადილობ მეგობრებთან ერთად, ფულს ყველანი ვდებთ. ას ლარს ზემოთ არ ვცდებით ხოლმე. ასე რომ, თითოეულს 25-30 ლარის დადება გვიწევს. ეს ისეთი თანხა არ არის, რომლის გამოც წუწუნი ღირს...

სად და როგორ ერთობიან ტინეიჯერები, რომლებიც კაფეებისა და ბარების ცქერით კმაყოფილდებიან და ვერც წარმოუდგენიათ, მათმა თანატოლმა ერთ ბოთლ შამპანურსა თუ კრუასანში 50 დოლარი როგორ უნდა გადაიხადოს. ასეთი ტინეიჯერების გართობა უფრო საინტერესო მომეჩვენა...

ლანა, 16 წლის:

— ჩემთვის გართობა მეგობრების სტუმრობით იწყება. როცა ვიცი, რომ ჩემთან უნდა მოვიდნენ, დილიდან აფორიაქებული ვარ — მინდა, კარგი მასპინძლობა გავუწიო.

— **რით უმასპინძლდები ხოლმე?**

— ყავას ვსვამთ ხოლმე და „სუდარუშკას" ვაყოლებთ, ზოგჯერ შეიძლება, ნამცხვარიც გამოვაცხო, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. თუ რომელიმეს ხელში ახალი კასეტა ჩაგვივარდა, ერთად ვუსმენთ. ხუთი მეგობარი მყავს, რომლებსაც მეც ვსტუმრობ ხოლმე. მუსიკალური ცენტრი არც ერთს არ გვაქვს, არადა, ძალიან გვინდა.

— **კიდევ რითი ერთობით?**

— ყოველთვის მივდივართ „იუმორინაზე". ჩვენმა მშობლებმა იციან, რომ წელიწადში ერთხელ, ჩვენთვის ათლარიანი ბილეთის შეძენა მოუწევთ. როცა „სამლარიანი კონცერტები" იმართება, არასდროს ვაკლდებით. ჯერჯერობით ჩვენთვის სხვა გასართობი არ არსებობს.

— **შენი თანატოლების ერთი ნაწილი უკვე ბევრ ქვეყანაშია ნამყოფი. შენ სად ისვენებ ხოლმე?**

— ყოველ ზაფხულს ბებიასთან მივდივარ სოფელში, ისევე, როგორც ჩემი მეგობრები. წელს სკოლას ვამთავრებ. დედაჩემი მპირდება — ფულს შევაგროვებ და ათი დღით ზღვაზე გაგიშვებო. ეს ძალიან კარგი იქნებოდა, ზღვაზე ჯერ არ ვყოფილვარ.

— **გუდაურში თუ ხარ ნამყოფი?**

— არა. ჩემს მშობლებს ამის საშუალება არა აქვთ.

— **გამოდის, რომ ნაკლებად ერთობი, ხომ?**

— არა. ასე არ არის. გოგოები ხუთ-ხუთ ლარს შევაგროვებთ და სახინკლეში მივდივართ ხოლმე. „მცხეთობაზეც" ვიყავით, ჯვრის მონასტერზე ავედით. არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ. ბევრი ვიმხიარულეთ. თუ რომელიმე ჩვენგანის დაბადების დღეა, ყველანი ვიკრიბებით. ერთად ვაცხობთ ნამცხვრებს და მერე დიდი ხნის განმავლობაში ვცეკვავთ და ვმღერით. გასართობი ნამდვილად არ გვაკლია. იმის დრო, რომ ყოველდღე სადმე ვიაროთ, არც გვაქვს: წელს სკოლას ვამთავრებთ, ყველას გვინდა, სტუდენტები გავხდეთ. ფასიან ფაკულტეტზე შესვლას ვერც ერთი ვერ შევძლებთ. ამიტომ ბევრი მეცადინეობა გვიწევს.

ზოგჯერ, უწყინარი გართობა შეიძლება, ხიფათით დასრულდეს და ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე სასტიკ მოგონებად იქცევს. 15 წლის ვიკა ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ერთი ჩვეულებრივი დღე მისთვის ასე ტრაგიკულად დასრულდებოდა. ყველაფერი შარშან, ახალ წელს დაიწყო. მეგობარმა ვიკას დაურეკა და უთხრა: ამაღამ ყველა მეგობარი მოვინახულოთ, მანქანით ვისეირნოთ, თან მეგობრებს ახალი წელი მივულოცოთო...

ვიკა:

— ეს აზრი მაშინვე მომეწონა, ავიტაცე და გადავწყვიტე, ჩუმად გამომეყვანა მანქანა ავტოფარეხიდან. მამა და დედა რესტორანში მიდიოდნენ, მამიდაც მათ მიჰყვებოდა. მამიდას ჩვევად ჰქონდა ქცეული — საქეიფოდ მანქანით არ მიდიოდა. ამიტომ თავისი „ვოლვო" ჩაკეტა და ჩემი მშობლების მანქანაში ჩასკუპდა. როგორც კი 11 საათი გახდა, თათაც მოვიდა. მანქანა დავქოქეთ და პირდაპირ ნუცუბიძის ქუჩისკენ ავიღეთ გეზი, სადაც ჩვენი მეგობარი მარი ცხოვრობდა. ბარნოვიდან ნუცუბიძემდე გამოუცდელ მძღოლს ბევრი საფრთხე ელოდება, მაგრამ ყველა მათგანი გადავლახეთ და მაგნიტოფონის ხმასაც ბოლომდე ავუწიეთ. ისმოდა სტეფანეს სიმღერა — „მარი". ჩვენ კი მთელ ხმაზე ვკიოდით: მარი! მარი! ის მალე ჩამოვიდა... ერთი სიტყვით, მე, მარი და თათა მანქანაში ერთად რომ აღმოვჩნდით, ჩვენი მეგობრის, კოკას მონახულებაც გადავწყვიტეთ.

თათა:

— კოკა კარგი ბიჭია, მასთან დროს ტარება ყოველთვის სასიამოვნოა. გიტარაზე ისე უკრავს და მღერის, რომ მისი მოსმენა უდიდესი სიამოვნებაა. ჩვენც ავყვებით ხოლმე და ხშირად ხმის ჩახლეჩამდე ვმღერით. ის მთაწმინდაზე ცხოვრობს. მის სახლამდე ისეთი მიხვეულ-მოხვეული გზები და ისეთი ჩაბნელებული ქუჩებია, რომ შეიძლება, დაიკარგო კიდეც.

ვიკა:

— როგორც კი გერგეთის ქუჩისკენ გადავუხვიეთ, წინ ოთხი ბიჭი გადაგვიდგა. იძულებული გავხდი, მანქანა გამეჩერებინა, შემეშინდა, რომელიმე არ გავჭყლიტო-მეთქი. კარები გააღეს და სულ ციმციმ ჩამოგვყარეს მანქანიდან. თათამ კივილი დააპირა, მაგრამ ყელზე ბასრი დანა მიადეს და კინაღამ ენები გადავყლაპეთ. ასე, თვალის დახამხამებაში გაქრა მამიდაჩემის „ვოლვო"...

— **რა ქენით? როგორ მოიქეცით?**

თათა:

— ბედად, მობილურები არ წაგვართვეს. მაშინვე კოკას დავურეკე. ორ წუთში ჩვენთან გაჩნდა. თან მამამისიც ახლდა. ნოდარი ბიძია ნასვამი იყო. მანქანის გატაცების ამბავი მგონი, ხუმრობა ეგონა. ჩვენმა ცრემლებმაც არ გაჭრა. თავისთან წაგვიყვანა და ახალი წლის მობრძანება დაგვალოცვინა, მერე კოკას ძმის ძმაკაცები მოვიდნენ. მანქანა აღარც გაგვხსენებია. კოკამ იმდენი იმხიარულა, ბოლოს, როცა „ვაგონი მიქრის" აჟღერდა, ცეკვის დროს, მაგიდების ქვეშ ძრომიალი დაიწყო. ცნობისთვის — ამ სიმღერაზე ისეთი ენთუზიაზმით ვცეკვავთ ხოლმე, ჩვენი ყურება ერთ რამედ ღირს.

— **როგორ დასრულდა მანქანის გატაცების ამბავი?**

ვიკა:

— ღამის ოთხ საათზე მობილურ ტელეფონზე დედაჩემმა დამირეკა და მეც კატის კნუტივით ავკრუსუნდი. ვერ გავბედე, მომეტყუებინა და მეთქვა — მანქანა თვალითაც არ მინახავს-მეთქი. თუმცა, ასე რომ მოვქცეულიყავი, ნამდვილად გადავრჩებოდი: იფიქრებდნენ, მანქანა გარაჟიდან ქურდებმა გამოიყვანესო...

— **მშობლები როგორ მოგექცნენ?**

ვიკა:

— რომ გითხრათ — მომკლეს-მეთქი, — არ იქნება მართალი. ისინი იმით იყვნენ, კმაყოფილები, რომ მე, მარის და თათას არაფერი დაგვიშავდა — ხომ შეიძლებოდა, ჩვენთვის ევნოთ რამე?! ამის წარმოდგენაც კი მზარავს... ასე რომ, მშობლები მალე დამშვიდდნენ. მამიდა-

ჩემი კი, საშინელ დღეში ჩავარდა: მანქანის ფული ორი წელი ვაგროვე და მაგ ლაწირაკმა დამაკარგვინაო! განსაკუთრებით მაშინ გაბრაზდა, როცა მამამ ჩემი მხარე დაიჭირა. უთხრა: მაგ ასაკში უარესებიც ხდება, შვილს „ვოლვოს“ გამო ხომ არ მოვიძულებო?! მართლაც, ბევრ რამეში სწორედ ჩვენი ასაკია „დამნაშავე“. სულ გართობაზე ვფიქრობ, წიგნებისკენ გახედვაც კი არ მინდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა კარგი ამინდია. ერთი სული მაქვს, სახლიდან როდის გავალ და მეგობრებთან ერთად აღმა-დაღმა ვივლი.

როგორ ერთობიან ტინეიჯერები, რომლებიც უკვე საზოგადოების ყურადღების ცენტრში არიან მოქცეულები? რა აქვთ საერთო პოპულარულ ტინეიჯერებს თავიანთ თანატოლებთან და რითი განსხვავდებიან ერთურთისაგან?

ნინი ძარსელაძე, 12 წლის:

– გაკვეთილებს ხანდახან ვაცდენ და ჩემს თანაკლასელებთან ერთად „მაკდონალდსში“ მივდივარ. ზოგჯერ სკოლის წინ კაფეში ვსხდებით და ვმხიარულობთ. 53-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობ, იქ უამრავი ამხანაგი მყავს. სიამოვნებით გავრბივარ ხოლმე ნაყინის საჭმელად. ასეთ დროს, თუ რომელიმე ახლობელი შეგვხვდება, მაშინვე გვეუბნება – ნუღარ გამაფრთხილებთ, ვიცი, რომ არავისთან არ უნდა წამომცდესო. შინ არ გამიჯავრდებიან გაკვეთილებიდან გაპარვის გამო, მაგრამ ჩემს თანაკლასელებს შეიძლება მშობლებისგან უსიამოვნება შეხვდეთ.

— ღამის კლუბში თუ შეესულხარ?

– არა. ჩემი და ჩემი მეგობრების გასართობი კინოა და ხშირადაც მივდივართ ხოლმე. კონცერტსაც ხშირად ვესწრებით. თუმცა, არავისი ფანი არა ვარ. როცა მეგობრები ვიკრიბებით, ძირითადად, უცხოურ მუსიკას ვუსმენთ. ბევრი მეგობარი ბიჭი მყავს, შეყვარებული – ჯერ არა.

— დედა ხომ არ გიქმნის პრობლემებს? ზედმეტად ხომ არ გაკონტროლებს?

– დედა თავისუფლებასაც მაძლევს და ისეთ სურვილებსაც მისრულებს, გასაკვირიც კია მშობლისგან... ჩემს ქობულეთელ მეგობარს, ნათია გოგიტიძეს დაბადების დღე ჰქონდა. ვთქვი – ნეტავ, მოხდეს სასწაული და ხვალ მის დაბადების დღეზე აღმოვჩნდე-მეთქი. მერე ჩემს აქაურ მეგობართან წავედი სტუმრად. ღამე იქ დავრჩი. დილით დედაჩემმა მანქანით გამომიარა და მითხრა: წავიდეთ ქობულეთშიო... ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— კიდევ რით ერთობი?

– ფეხბურთის მატჩებს ვესწრები. ჩვენი ნაკრების არც ერთი თამაში არ გამომიტოვებია. ბიძაჩემმა იცის, რომ ჩემთვის და ჩემი ერთი მეგობრისთვის ყოველთვის უნდა აიღოს ორი ბილეთი. მაგარი გულშემატკივარი ვარ. სასტვენი მიმაქვს ხოლმე. ემოციებს ვერ ვიკავებ და სახლში ხმაწართმეული ვბრუნდები.

— ნინი, შენზე უფროს ტინეიჯერებთან თუ მეგობრობ?

– ტინეიჯერებში ასაკობრივი ზღვარი თითქმის წაშლილია. ყველანი ტინეიჯერები ვართ და მნიშვნელობა არა აქვს, ვინ 12 წლისაა, ვინ – 15-ის ან უფრო მეტის. ყოველთვის მოდიან ხოლმე ჩემს კონცერტებზე. ზოგჯერ – რეპეტიციებზეც. თუ რომელიმე ჩვენგანის დაბადების დღეა, დაღლამდე ვცეკვავ.

მარიკა თხელიძე, 16 წლის:

– თავისუფალ დროს ძირითადად, მეგობრებთან ერთად ვატარებ. თუ სახლში ვარ და არსად წასვლა არ მინდა კლასიკურ მუსიკას ვუსმენ, „აჭარა მიუზიკ-ჰოლის“ ხშირი სტუმარი ვარ. ბილეთის ყიდვა არ მიწევს, ისე შევდივარ კონცერტებზე – უმეტესად გვიწვევენ.

— შენი მეგობრებიდან ყველას აქვს იმის საშუალება, რომ ძვირად ღირებული ბილეთი შეიძინოს და კონცერტს დაესწროს?

– გამონაკლისი იშვიათად არის. ასეთ შემთხვევაში, ფულს შევაგროვებთ და ბილეთს ვუყიდით. ზოგჯერ, როცა ამის საშუალება მაქვს, მეგობრებს კონცერტზე მეც ვიწვევ. ისეთ ასაკში ვართ, როცა ადამიანი აქტიურ ცხოვრებას ეწევა.

— გასართობად კიდევ სად დადიხარ?

– ძირითადად, კლუბებში, თუმცა, ღამის კლუბში არასდროს ვყოფილვარ. ჩემი მეგობრებიც არ მიდიან ხოლმე. ალბათ ჯერ არა ვართ იმ ასაკში, როცა მთელი ღამე გარეთ შეიძლება გაატარო. არასდროს მოვინდომებ ისეთ ადგილას წასვლას, სადაც მშობელი დამიშლის. ჩემი მეგობრებისთვის გასართობია ჩემი კონცერტები. ხშირად მთხოვენ, რეპეტიციას დავასწრო ან ჩაწერის პროცესი ვაჩვენო. მათთვის ეს საინტერესოა.

— მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ თუ დადიხარ?

– არა. დიდი ხანია, ასეთი რამ არ მომხდარა. ეს ძირითადად, ჩემი გადატვირთული დღის რეჟიმის ბრალია. ანასტასია ვირსალაძის სახელობის მუსიკალურ ათწლედში ვსწავლობ. იქვეა ჩვეულებრივი სკოლაც. ცხადია, როგორც ყველა ბავშვისთვის, სკოლაში სწავლა ჩემთვისაც აუცილებელი და სავალდებულოა.

— „შატალოზე“ ხშირად მიდიხართ?

– კერძოდ ვემზადები საგნებში, ამიტომ ფაქტობრივად, სულ „შატალოზე“ ვარ. სკოლაში იშვიათად მივდივარ. მასწავლებლები ხელს მიწყობენ, რადგან იციან, გაკვეთილებს რის გამოც ვაცდენ.

— თეატრში თუ მიდიხართ ხოლმე?

– არა. უფრო ხშირად კინოში დავდივარ, რაც ჩემი და ჩემი მეგობრებისთვის თითქმის დღესასწაულია. თანაკლასელებთან ნაკლებად მიწევს ურთიერთობა, რადგან სკოლაში იშვიათად დავდივარ. ჩემი გამოჩენა ძალიან ახარებთ ხოლმე. სიმღერა ძალიან მიყვარს და მსიამოვნებს. ამ საქმეს ვემსახურები. რასაკვირველია, მინდა, რომ მეგობრებთან უფრო მეტხანს ვიყო, მაგრამ... იმდენ დროს კი მაინც ვპოულობ, რომ მათთან ერთად სადმე წავიდე და გავერთო. ■







ისტორიკოსის, მკვლევარის და მწერლის, ლევან სანიკიძის წიგნებით, კიდევ ბევრი ქართული თაობა შეიცნობს ჩვენი ქვეყნის ისტორიას. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ეს ადამიანი ჩვენი ერის ფესვებს, ქართულ წარმომავლობას იკვლევდა და ამბობდა კიდეც, რომ ერის არსობის განმსაზღვრელი ისტორიაა. ჩვენ კი თავად ამ დიდი ადამიანის ბიოგრაფიით, წარმომავლობითა და შთამომავლობით დავინტერესდით და მისი ოჯახის წევრებს, მეუღლეს, ლილი გოგიას და ვაჟს, პარლამენტარ გუბაზ სანიკიძეს ვესტუმრეთ.

ერთ წიგნზე დახარჯული ათასი კალამი და ყაჩაღებისგან დამხსნელი ავტოგრაფი

ემა ტუხიაშვილი

— ბატონო გუბაზ, სახელი ალბათ მამამ შეგირჩიათ, არა?

— დიახ, ეგრისის მეფის პატივსაცემად დამარქვა. საერთოდ შვილებს თურმე თვითონ ურჩევდა სახელებს — გორდა, კახაბერი, ნინო და ამ საქციელით ალბათ ჩვენი ისტორიული გმირების მიმართ სიყვარულს გამოხატავდა.

— თქვენს წინაპრებზე მიამბეთ.

— მინდა გითხრათ, რომ ვამაყობ ჩემი წინაპრებით, რადგან მათი უმეტესობა ქართული არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. ჩემს ძარღვებში ჩქეფს გელოვანების, ფაღავების და დადიანების სისხლი. ყოველივე ეს კი მავალდებულებს, რომ მათი გვარი არ შევარცხვინო. მართალია, ვალდებულება თვითშეზღუდვას ნიშნავს, რაც თავისთავად არ არის სასიამოვნო, მაგრამ როდესაც ეს ვალდებულება შენი ოჯახის, წინაპრების სახელის გაფრთხილებას გულისხმობს, ეს ფრიად სასიამოვნო ვალდებულებაა.

— თქვენი წინაპრები რომელი კუთხიდან იყვნენ?

— საერთოდ, სანიკიძეები წარმოშობით გურიიდან არიან. XVIII საუკუნის დასაწყისში ჩემი წინაპარი რაჭაში გადასულა საცხოვრებლად, სადაც დაუწინაურებიათ და ტახტის აზნაურის წოდებაც კი მიუნიჭებიათ, რაც თავისთავად მეფისა და ქვეყნის ერთგულებას გულისხმობდა. ჩემს წინაპრებს მონაწილეობა მიუღიათ ხრესილის ომში თურქების წინააღმდეგ. ჩვენი მამაპაპისეული სახლი ამბროლაურის რაიონში, მაღალმთიან სოფელ ბუგეულში იდგა. ადგილი, სადაც სანიკიძეების სახელობის ტყეა, სანიკიძეების მუხა დგას და ციხესიმაგრეა, უგზოობის გამოა მიტოვებული. მამაჩემმა მოგვიანებით ააშენა სახლი ქვემო ბუგეულში, რომელიც მიწისძვრამ საგრძნობლად დააზარალა. მე და ჩემი და-ძმები ამ სოფელში გავიზარდეთ და მინდა, რომ ჩემს შვილებსაც ჩავუნერგო მამაპაპისეული კუთხის სიყვარული. თავად ქართველობაც ხომ მამაპაპისეული ფუძის ცოდნას ნიშნავს. მამაჩემს ხშირად უთქვამს: ქართველმა, რომელმაც არ იცის, სად არის მისი სოფელი, ქართველი, რომელიც არ არის დაკავშირებული სოფელთან, ბოლომდე ქართველი არ არისო. ჩვენ ფეოდალური აზროვნების ერი ვიყავით. მართალია, დღეს ფეოდალიზმი სალანძღავ სიტყვად ქცეულა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ფეოდალიზმმა ღირსება შექმნა.

— რამე ნივთები თუ შემოგრჩათ წინაპრებისგან?

— ბაბუისგან დაგვრჩა ილია ჭავჭავაძის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ბაბუა თავის შვილებს ძილის წინ თურმე სიმღერით უკითხავდა. ჩემი შვილები ჯერ ძალიან პატარები არიან, მაგრამ დრო მოვა და მეც სიმღერით წავუკითხავ მათ ამ წიგნს. ბებიაჩემის მამა, ნიკოლოზ გელოვანი რუსეთის არმიის პოლკოვნიკი გახლდათ და როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მრავალი ომის მონაწილე ყოფილა. სწორედ მისი ნაქონი საგვარეულო ხმალი, ხანჯალი და ვერცხლის ქამარი ჩვენი ოჯახის რელიკვიად არის ქცეული.

— ბატონი ლევანის მშობლებზე მიამბეთ. ვინ იყვნენ ისინი?

ქ-ნი ლილი:

— ლევანს მამა ადრე გარდაეცვალა და ხუთი შვილის გაზრდის ტვირთი მთლიანად დედის, ნინა გელოვანის ზურგზე გადადიოდა. ის იყო ძალიან მკაცრი და უსპეტაკესი ქალბატონი, რომელმაც ომიანობის პერიოდში მარტომ შეძლო შვილების ფეხზე დაყენება. ლევანი ხშირად მიყვებოდა, რომ დედა რძეს მათ ხის გობებზე უსხამდა, ისინი კი თითით ზომავდნენ, ვის უფრო დიდი ულუფა შეხვდებოდა. როდესაც ლევანი თავის ბავშვობას იხსენებდა, ღიმილით იტყოდა: ასაკის მატებასთან ერთად ოჯახში თანამდებობაც მემატებოდაო. ჯერ თუ ინდაურებს ვდენიდი, შემდეგ ბატები მომაბარეს, მოგვიანებით ცხვრების მწყემსად დამნიშნეს და ბო-

არავის ჰქონდა მის სამუშაო მაგიდასთან მიკარების უფლება, თუ სურვილი ჰქონდა, თავად გვიკითხავდა კვლევის შედეგად აღმოჩენილ სიახლეს

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის

უბის წიგნაკიდან:

1. შექსპირს 37 პიესა აქვს დაწერილი.
2. ჩახრუხაული ქართული ლექსის ფორმაა.
3. ხელოსნის წინსაფარს ფეშტამალი ჰქვია.
4. ჩიჩილაკის ბურბუშელას წილამურს ეძახიან.



5. წყალბადი სამყაროში ყველაზე გავრცელებული ელემენტია.
6. ორანგუტანგის ხორცი სიცხის დამწევი უებარი საშუალებაა.
7. შხამიანი თევზი ფუგუ იაპონელთა უსაყვარლესი დელიკატესია.
8. ფარენგეიტის სკალის მიხედვით წყალი +32 გრადუსზე იყინება.
9. მეცნიერებას ხელოვნურ ენათა შესახებ ინტერლინგვისტიკა ჰქვია.
10. ლაფათას, თონეში ლავაშის ჩასაკრავ ბალიშს, ნამჯით ან ჩალით ტენიან.
11. ტელესკოპს თავდაპირველად პერსპიცილია, მიკროსკოპს კი – კონსპიცილია ერქვა.
12. ფლორენს ნაიტინგეილის სახელობის უმაღლესი ჯილდოთი მოწყალების დებს აჯილდოებენ.
13. რამადანის დროს მორწმუნე მუსლიმანს ჭამა და წყლის დალევა მზის ჩასვლამდე ეკრძალება.
14. სოჭი, როსტოვი, ლენინგრადი – ეს პრეფერანსის თამაშისას ჩაწერის სისტემათა ჩამონათვალია.
15. „სიგარის მიხედვით შეიძლება ყველაფერი შეიტყო მამაკაცის სულის შესახებ," – ამტკიცებდა ჯონ გოლსუორსი.
16. ბანქოს ქალალდის უკანა მხარის მოხატულობა საფრანგეთის დედოფალმა ეკატერინე მედიჩიმ შულერების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიგონა.
17. ბუსტროფედონი დამწერლობის ერთ-ერთი ძველებური ფორმაა. ამ დამწერლობის პირველი სტრიქონი მარცხნიდან მარჯვნივ იწერება, მეორე სტრიქონი – მარჯვნიდან მარცხნივ და ასე შემდეგ.
18. კონეკტიკუტის შტატში მცხოვრებმა ერთ-ერთმა გამომგონებელმა შექმნა ხელსაწყო, რომელსაც უნდა აღეკვეთა ქურდობა სუპერმარკეტებში. მოწყობილობა წარმოადგენდა პატარა შავ კოლოფს, რომელიც საათში დაახლოებით ათასჯერ წარმოთქვამდა: „მე პატიოსანი ვარ, მე არ მოვიპარავ, თუ მოვიპარავ, ციხეში მოვხვდები." ეს დამრიგებლური ჩურჩული მუსიკის ფონზე იყო დადებული და ადამიანის ქვეცნობიერებაზე მოქმედებდა.

ბებიაჩემის მამა, ნიკოლოზ გელოვანი რუსეთის არმიის პოლკოვნიკი გახლდათ და როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მრავალი ომის მონაწილე ყოფილა

ლოს საპატრონოდ ძროხა მომიჩინესო. საოცარია, მაგრამ ამ ძროხის სახელიც კი ახსოვდა, რომელსაც თურმე „კოჭონიკას" ეძახდნენ.

— ქალბატონო ლილი, თქვენ როგორ გაიცანით ბატონი ლევანი?

– ლევანი მეგობრების წრეში გავიცანი, მაშინ ის უკვე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს, მაგრამ ყველაზე საინტერესო ჩვენი გაცნობა კი არ იყო, არამედ ის დღე, როდესაც მან დედამისის გასაცნობად რაჭაში წამიყვანა. მანამდე რაჭაში ნამყოფი არ ვიყავი და არც ის ვიცოდი, რომ ლევანის სახლამდე, გარკვეული მანძილი ფეხით უნდა დაგვეფარა. ლევანმა წინასწარ გამაფრთხილა, რომ თან რეზინის ჩექმა წამეღო, თუმცა მე ეს ხუმრობად მივიჩნიე. ესეც რომ არ ყოფილიყო, სადედამთილოს გასაცნობად მივდიოდი და რეზინის ჩექმა რა საკადრისი იყო. გზაში წვიმამ მოგვისწრო, რაჭაში კი ისეთი ტალახი იცის, რომ ჩემი ფეხსაცმელი ტალახში ჩამრჩა და მომავალი მეუღლის ოჯახში ფეხშიშველი ავედი.

გუბაზი:

– როდესაც მამას ცოლის შერთვა გადაუწყვეტია და დედამისისთვის თავისი არჩევანიც გაუმხელია, გადარეულა ბებიაჩემი: გლეხის ქალი როგორ გეკადრებაო?! მოგეხსენებათ, მამა ისტორიკოსი იყო და ამ სფეროში დაეჯერებოდა, ამიტომ ერთი დიდი ტყუილიც უკადრია და დედამისი იმაში დაურწმუნებია, რომ გოგიებიც ძირძველი თავადები იყვნენ და გელოვანები ყრმებადაც კი ჰყოლიათ.

ქ-ნი ლილი:

– მე და ლევანმა ერთად 46 წელი ვიცხოვრეთ, ღმერთმა ოთხი შვილი გვაჩუქა, მაგრამ ჩემი მეორე შვილი კახაბერი ხუთი წლის ასაკში გარდაიცვალა. საოცარი ბავშვი იყო, სულ ეჩხუბებოდა მამამისს: მზეჭაბუკი რატომ არ დამარქვიო? თუ ჩემი გაბრაზება უნდოდა, მეტყოდა: მე თათარი ვარო. უფროსი შვილი ნინო პროფესიით ბიოლოგია და კოლუმბიის უნივერსიტეტში მუშაობს. შუათანა გორდა იურისტია, იელის უნივერსიტეტის მაგისტრია და ამერიკაში საგადასახადო სისტემის სპეციალისტად მუშაობს. გუბაზი, როგორც ხედავთ, პოლიტიკურ ორომტრიალშია, თუმცა იმედი მაქვს, რომ ლევანის დაწყებულ საქმეს ის გააგრძელებს. მყავს სამი შვილიშვილი: უფროსი თათა, რომელიც აგრეთვე ამერიკაში ცხოვრობს და პატარა ლევანი და ნუცა სანიკიძეები.

— შვილებთან ურთიერთობისას, როგორი იყო ბატონი ლევანი?

– გადამეტებული მოფერებით არასოდეს ანებივრებდა. სახლში ძირითადად, გვიან ბრუნდებოდა, როდესაც ბავშვებს უკვე ეძინათ, მივიდოდა, მძინარეებს გულზე ხელს დაადებდა, რაღაცას თავისებურად ეტყოდა. უბრალოდ, სახელით არასდროს მიმართავდა: მამულისშვილო – ეტყოდა ხოლმე. გუბაზს ვერ ვუმხელ ამას, მაგრამ ლევანი სულ ამბობდა: თუკი რამ მიკვირს ამქვეყნად, გუბაზიაო. ალბათ იმიტომ, რომ უყვარდათ სხვადასხვა თემაზე მსჯელობა, რაც ძალიან ახარებდა ლევანს.

— ბატონო გუბაზ, ალბათ ბატონი ლევანის შვილებთან საუბრის ერთ-ერთი თემა საქართველოს ისტორია იყო, ხომ?

– მამა ამბობდა, როდესაც წერ საკუთარი ქვეყნის ისტორიას, მასში სული უნდა ჩადოო. საკმაოდ კარგი გადმოცემის უნარი ჰქონდა. მაგალითად, თუ ისტორიის სახელმძღვანელოში ვკითხულობდით, რომ 1125 წელს გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი, მამა ამბობდა: „იდგა ქრისტეს შობიდან 1125 წელი და საქართველოს მოუკვდა დავით აღმაშენებელი". ასეთ ფრაზებს სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა.

— თუ მოუყოლია ბატონ ლევანს, თავად მას ვინ შეაყვარა ასე საქართველოს ისტორია?

– როგორც მამა ამბობდა, მისი სიყვარული ქვეყნის მიმართ, გუდეულის სკოლის ერთმა ჩვეულებრივმა მასწავლებელმა განსაზღვრა. მამას, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა ამ ადამიანის გვარი,

გუბაზ სანიკიძე შვილებთან ერთად

სამწუხაროდ, მე აღარ მახსოვს. გარდა ამისა, მამა მადლიერებით იხსენებდა მის სოფელში მცხოვრებ ერთ გერმანელ ქალბატონს, რომელიც ქართველ კაცზე იყო გათხოვილი და ბევრი საინტერესო რამ იცოდა. მხოლოდ თვრამეტი წლის ასაკში ნახა მამამ ქუთაისი და ორსართულიანი სახლების ხილვისას თურმე აღტაცებას ვერ ფარავდა.

— როგორი იყო ლევან სანიკიძე ახალ წიგნზე მუშაობისას?

ძ-ნი ლილი:

— ძირითადად, ღამით მუშაობდა, მაშინ, როდესაც ყველას ეძინა და სრული სიჩუმე იყო. ჩვენი საძინებლის კარი მის სამუშაო ოთახს ემიჯნებოდა, ამიტომ კარს ყოველთვის ოდნავ გაღებულს ვტოვებდი იმისთვის, რომ ფურცელზე კალმის შრიალის ხმა გამეგონა: მსიამოვნებდა ამ ხმის მოსმენა, რადგან ვიცოდი, რომ ყოველ წუთს მისი ხელით, ისტორიის ახალი ფურცელი იწერებოდა. არავის ჰქონდა მის სამუშაო მაგიდასთან მიკარების უფლება, თუ სურვილი ჰქონდა, თავად გვიკითხავდა კვლევის შედეგად აღმოჩენილ სიახლეს. ყოველი მისი ახალი წიგნის გამოსვლას ოჯახში ისე ვხვდებოდით, როგორც ბავშვის დაბადებას. როდესაც სახლში ახალ გამოცემას შემოიტანდა, ჯერ მაგიდაზე დადებდა და კარგა ხანს აკვირდებოდა, შემდეგ გადაშლიდა, ფურცლებს შეაშრიალებდა და სუნთან ერთად, თითქოს წიგნის გემოსაც შეიგრძნობდა. კიდევ ერთი ჩვევა ჰქონდა, ცარიელ კალმისტრებს არასდროს აგდებდა, მხოლოდ „უქარქაშო ხმლების“ წერისას ათასზე მეტი კალამი დახარჯა და მათ ახლაც ვინახავთ.

— მკითხველები როგორ გამოხატავდნენ მისდამი პატივისცემას?

— ერთმა ქალბატონმა, თავისი პატივისცემის დასტურად, ხელით გადაწერა „უქარქაშო ხმლები“ და ლევანს აჩუქა. არასდროს დამავიწყდება, თუ როგორ ჩამოვიდა ფეხით ქუთაისიდან სულიერად დაავადებული მამაკაცი, რათა ლევანისთვის ხელები დაეკოცნა. საგზაო პოლიციასთან ურთიერთობისას, საკმაოდ მომგებიან მდგომარეობაში ხვდებოდა, მისი სახელის გამო. ლევანი ხშირად არღვევდა მოძრაობის წესებს, ამიტომ სულ პრობლემები ჰქონდა საგზაო პოლიციასთან. არ მახსოვს, ზუსტად რომელი წელი იყო, საშინელი ქაოსი იყო საქართველოში და ყველა იარაღით დადიოდა. მე, ლევანი და რამდენიმე ახლობელი ადამიანი ჩვენი მანქანით ქუთაისიდან თბილისში ვბრუნდებოდით, როდესაც ხაშურის გზაზე ათამდე შეიარაღებულმა პირმა გაგვაჩერა. სპუთები არც მოუთხოვიათ, პირდაპირ მანქანის დატოვებას გვაიძულებდნენ. ჩვენი მამაკაცები გარკვეულ მოლაპარაკებებზე წავიდნენ, მაგრამ მათ არაფრის გაგონება არ უნდოდათ. ბოლოს ლევანმა ვინაობა გაუმხილა, მაგრამ არ დაუჯერეს: ჩვენ ცოცხალი ლევან სანიკიძე არ გვინახავსო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლევანში, როგორც იქნა, ამოიცნეს ისტორიკოსი და მკვლევარი და მისგან საჩუქრად, ავტორის ავტოგრაფით დამშვენებული წიგნიც კი მიიღეს. ღიმილის მომგვრელი კი ის იყო, როდესაც ლევანი წარწერის გასაკეთებლად მათ სახელებს ეკითხებოდა, ისინი უხერხულად იშმუშნებოდნენ.

— ამბობენ, ბატონმა ლევანმა კარგი თამადობა იცოდაო...

— მოლხენა ძალიან უყვარდა, როდესაც ქორწილში ეპატიჟებოდნენ, იტყოდა: ამ დროს ქორსაც კი წილი ერგოო. ისეთი თამადობა იცოდა, ამბობდნენ: მისი ერთი სუფრა, ერთი აკადემიის ტოლიაო. ყველაზე მეტად სამშობლოს სადღეგრძელო უყვარდა და დიდი ყანწით სვამდა. შინ იმდენი ფორმისა და ზომის ყანწი გვაქვს, რომ სათვალავიც კი აგვერია. სხვათა შორის, ლევანი კარგი მონადირეც იყო.

— ქალბატონო ლილი, უკანასკნელად რაზე მუშაობდა ბატონი ლევანი და თუ მოასწრო დასრულება?

— „შვიდ გიორგის“ წერდა, აქედან ორი დაწერილი აქვს, დანარჩენი ხუთისთვის საჭირო ყველა მასალა მოპოვებული ჰქონდა. დიდი იმედი მაქვს, რომ გუბაზი მოჰკიდებს ამ სამუშაოს ხელს და ბოლომდე ღირსეულად მიიყვანს მამის მიერ დაწყებულ საქმეს.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეიზა დვალი

უბის წიგნაკიდან:

19. პეტრე პირველის დროს რუსეთში ჩამოყვანილი გერმანელი გემთმშენებლები ანის დადგმისა თუ სხვა წვრილმანი დეტალების შესახებ საუბრისას ხშირად იმეორებდნენ „აქ და იქ“ (hier und da). მოგვიანებით ეს გერმანული სიტყვები რუსულ „ერუნდად“ იქცა.

20. აფრიკაში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა გადმოცემით, როცა ზანგები საკუთარ თანამემამულეზე ამბობდნენ — „ის უკვე აღარ ცეკვავს“ — ეს ნიშნავდა, რომ ამ ადამიანმა ქრისტიანობა მიიღო.

21. როდესაც იან ჰუსს წვავდნენ, ერთმა მოხუცმა ქალმა მის კოცონს ფიჩხის კონა დაუმატა. „ო, წმინდაო უბრალოებავ!“ — შეჰყვირა ამის შემხედვარე იან ჰუსმა.

22. XIX საუკუნეში ჩერქეზი მამაკაცები მარჯვენა ხელის ცერზე მასიურ ბეჭედს საკმაოდ პრაგმატული მიზნით ატარებდნენ: კაჟიანი თოფის ჩახმახი საკმაოდ ძნელი შესამართი იყო და ბეჭედს ამისათვის იშველიებდნენ.

23. „გნომი დოუპი“, „პატარა ჟორჟი“, „ნამცეცა“, „ფერმკრთალი“, „მოზარდი“, „კეფის მფხანელი“ — ასე ითარგმნება ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მოთამაშეთა — დუნგას, ჟორჟინიოს, ზინიოს, ბრანკოს, ბებეტოს და კაფუს — მეტსახელები.

24. მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სპარტაში 10 დღის განმავლობაში იკეტებოდა სასამართლო და ბაზარი. ამის გამგონე სპარსეთის მეფე ქსერქსემ თქვა, რომ ამგვარი რამ მის ქვეყანაში წარმოუდგენელი იქნებოდა, რადგან მის ხალხს 10 დღის განმავლობაში ვერავინ მოწყვეტდა უსაყვარლეს საქმიანობას.

25. ჩრდილოეთ კაროლინის შტატში ერთ-ერთ მაგისტრალზე არის გაფრთხილება: „მძღოლო, დაუკელი სიჩქარეს, წინ ნარკოტიკების საკონტროლო პუნქტია!“ მიუხედავად ამ აშკარა გაფრთხილებისა, წლის განმავლობაში ამ პუნქტზე ასეულობით კილოგრამი ნარკოტიკის ჩამორთმევა ხდება. საქმე ისაა, რომ პუნქტი ამ ფირნიშის შემდეგ კი არ არის, არამედ ამ მაგისტრალის გადამკვეთ გზაზე, რომელიც ჩიხში შედის და სადაც ამ გაფრთხილების წაკითხვის შემდეგ, როგორც წესი, გადაუხვევენ ხოლმე ნარკოტიკებით მოვაჭრენი.

■

ოლბოლიანი ულიენცენი

ავთო მარგველაშვილი

კობა და ზაალი დაბადებიდან იცნობდნენ ერთმანეთს და აგერ უკვე 35 წელია, განუყრელი ძმაკაცები არიან: სბავშვო ბაღშიც ერთად დადიოდნენ, სკოლაშიც და ინსტიტუტიც ერთად დაამთავრეს, მაგრამ ამ არეულ დროში სამსახური ვეღარ იშოვეს. ადგნენ და ბოსტნეულით ვაჭრობას მიჰყვეს ხელი. „ორი კაპიკი“ რომ მოაგროვეს, გადაწყვიტეს, სამუშაო პირობები გაეუმჯობესებინათ და სამგზავრო ავტობუსით რომ აღარ ეთრიათ კომბოსტო და კარტოფილი, საზიარო მანქანის ყიდვაზე შეთანხმდნენ. იმაზე გამძლე მანქანას, „გაზ-21“ რომაა, ვერც ინატრებდნენ. ნაცნობის საშუალებით გაიგეს, რომ მახლობელ სოფელში ვინმე უშანგი ვაშაკიძე კი „ვოლგას“ 400 დოლარად ყიდდა.

მეტი რაღა უნდოდათ — იმ ნაცნობის პირით შეუთვალეს მანქანის პატრონს — ხვალ მოვალთ სანახავად და მეორე დღეს თვითონაც დაადგნენ გზას. ის ნაცნობი გზაში კიდევ ვიღაც ნაცნობს შეხვედრია და ისე გამომთვრალა, რომ უშანგის ჭიშკრამდე ძლივს მიუღწევია.

— სამსახარობლო შენზეა, უშანგი, ხვალ ბიჭები მოვლენ სანახავად, — ჩაილუღლუღა და გზა ბარბაცით განაგრძო.

უშანგი ვაშაკიძეს გასაყიდი „ვოლგის“ გარდა, კიდევ აწუხებდა ერთი პრობლემა — იმ „ვოლგის“ კბილა ქალიშვილი დარეჯანი. შეძლებისდაგვარად, არც განათლება აკლდა გოგოს და თუ კარგად ჩაცვამდი და გაგრიმავდი, კი შეეხედებოდა სიმთვრალეში. ამიტომ უშანგის ჭიშკარზე ქალის მნახველიც ბევრი მიდიოდა და „ვოლგის“ მყიდველიც, მაგრამ ქალსაც და მანქანასაც შესახედაობას და ასაკს უწუნებდა ყველა და უკან ბრუნდებოდა.

შუამავლის ნათქვამი უშანგიმ სხვაგვარად აღიქვა, იფიქრა — „ქალის მნახველები მოვლენო“ — და სათანადოდაც მოემზადა. შუადღე გადასული იყო, როცა ჩვენი კობა და ზალიკო ჭიშკარს მიადგნენ და „მასპინძელოო“ — ორ ხმაში შესძახეს.

— მობრძანდით, ბატონო! კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩემს ეზოში, — სიტყვის თქმა აღარ აცალა მასპინძელმა სტუმრებს და სახლისაკენ გაუძღვა.

— იქნებ, ჯერ გვნახა, — გარაჟისკენ თვალი გააპარეს ბიჭებმა.

— ნახავთ, შემოგევლეთ, აბა, არ ნახავთ? ჯერ დავლიოთ თითო ჭიქა და თუ მოგეწონებათ, მერე ეს ეზო-გარემოც თქვენი იქნება და გარაჟ-მანქანაც, — ჩასიძებაზეც თანახმა იყო სიმამრობისთვის კარგა ხნის მომწიფებული უშანგი. — დარეჯან, დატრიალდი, შვილო, შენებურად!..

სანამ სუფრა გაიწყობოდა, თხილითა და არყით შეიქცია სტუმრები. მერე ჭურის მოხდის ცერემონიალსაც დასწრო და სამსამი ჭინჭილა იქვე „მიარტყმევინა“, სუფრასთანაც უთამადა, ხუთ-ხუთი სადღეგრძელო დაალევინა და გამობეუტურებულ სტუმრებთან საქმიან დიალოგზე გადავიდა:

— აბა, ახლა გისმენთ, ბიჭებო!

— რამდენი წლისაა? — იკითხა ზაალ-ბატონმა და მასპინძელს თვალი თვალში გაუყარა, არ მომატყუოსო.

— სიმართლე გითხრათ, 32 შეუსრულდა აგერ, მაისში (მეორე წლის აპრილი იდგა უკვე), მაგრამ სულ არ ეტყობა ასაკი, — ქალიშვილი შეძლებისდაგვარად შეაქო უშანგიმ.

— რამდენი აქვს გავლილი? — ძლივს ამოილუღლუღა კობამ, რომელსაც ღვინო უფრო მოჰკიდებოდა.

— სად დადის, ბატონო? სულ სახლშია, ღელეზე თუ ჩავა ხანდახან, ან წისქვილში.

— ასაკთან შედარებით კარგად ქაჩავს? — ძრავის სიმძლავრით დაინტერესდა ზაალი.

— რას შვრებაო? — ვერ გაიგო მასპინძელმა.

— ძალა და სიჩქარე უვარგა?

— რას ქვია, არ უვარგა?! გაქცეულ ქათამს იჭერს „ნახადუ“.

— რამდენ „მეშოკ“ კარტოფილს ზიდავს? — ბიზნესზე გადავიდა კობა.

— კარტოფილი ჯერ არ მისინჯია, მაგრამ ორი ტომარა სიმინდი ზურგით წაიღო გადაღმა სოფლის წისქვილში და დაუღლელად მოიტანა უკან.

— „სვეჩებს“ ხომ არ ასველებს?

— როგორ გეკადრებათ. ისეთი უცნაური იყო თავიდანვე, არ ისველებდა, — ქებით ვერ გაძღა მამა.

— დგომა უვარგა?

— ჰე, ჰე, ჰე!.. — ჩაიხითხითა უშანგიმ. — დგომაც უვარგა და წოლაც. რავა, გასასაღებელი კი არაფერი გვჭირს. ათასი მთხოვნელი მოდის, მაგრამ უღირსს ხომ ვერ გავატან. ეჰ, გაჭირვებას რა ვუთხრა, თორემ მაგას კაცი შეელევა?

— ასე კაი სახმარი თუა, რაღა სხვას ატან, თვითონ ვერ იხმარ? — ამოასლოკინა კობამ.

უშანგიმ იფიქრა, ალბათ, მომეყურაო და გადამთვრალ სტუმრებს ყანწი „აკვახა“. ამასობაში, „კენინა“ დარეჯანიც შემოგოგმანდა და ცხელი კეცით ხაჭაპური შემოიტანა. მთვრალმა კობამ ქალს თვალი გააყოლა, მოეწონა კიდეც. ზალიკომ კი იუხერხულა, მამამისმა არ შეგვამჩნიოსო და საუბარი ისევ მანქანაზე გადაიტანა:

— ბებერია, მაგას ახლა ქვედა ნაწილი სულ გამომპალი ექნება.

— რას კადრულობ, ყმაწვილო, შენ?! თვითონ ნახავ, როგორც გამოგადგება. მადლობასაც კი მეტყვი. ახლა დენი არაა და ლამპის შუქზე რას შეატყობ სილამაზეს?! მოვისვენოთ ამაღამ და ხვალ კარგად შეავლებთ თვალს.

დარეჯანი სუფრასთან ჩამოვდა. მამამისმა ლამპის ჩამოცმული ქაღალდი ისე შეაბრუნა, რომ შვილის სახე ჩრდილში მოქცეულიყო.

— ესაა ჩემი სიხარული. ამისი იქნება ეს სახლ-კარი და ეზო-მამული.

კობას ქალიც მოეწონა და ქონებაც, მაგრამ ხომ არ შეიმჩნევდა — ამიტომ ისევ მანქანის თემას მიუბრუნდა.

— დამატებით მოყვება რამე?

— აბა, რა გითხარი წეღან! ეს სახლ-კარი.

მანქანაც და სახლ-კარიც 400 დოლარად, აშკარად ეიაფა კობას და ჯიბეზე ხელი წაივლო — „ბეს“ დაგიტოვებო.

— რად მინდა „ბე“ და „ცე“? მაინც არ გაგიშვებთ ამაღამ. ხვალ დღის შუქზე უფრო კარგად ნახავთ. მაინც, რომელს გინდათ? — სასიძოთი დაინტერესდა სასიმამრო.

— ჩვენ ძმაკაცები ვართ, ორივე ვიხმართ, — გაიბადრა კობა და „ვაი დედაც“ იმწამსვე იყვირა, ცხელი კეცი რომ მოხვდა სახეში. კეცის სროლას გინება მოჰყვა და ისეთი ამბავი ატყდა ვაშაკიძეების წყნარ ოჯახში, რომ სოფლის ბოლოს ტურებმა იკივლეს.

ბოლოს და ბოლოს გაირკვა, რომ მამას ქალიშვილის მნახველები ეგონა, ბიჭები კი მანქანისთვის იყვნენ მოსულები, თუმცა კობა არც ქალზე ამბობდა უარს.

ასე შერჩა კობას 33 წლის ნახმარი „ვოლგა“, ამავე ასაკის უხმარი დარეჯანი და უშანგი ვაშაკიძის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება...

■

ნიკელის კელლები იტალიისთვის



რა სარგებლობა მოაქვს საპირველაპრილო ხუმრობას?

მარი ჯაფარიძე

როგორც ამერიკული ისტორიკოსი ევერ ენდრიუსი ამტკიცებს, „სულელების დღის“ – იმავე პირველი აპრილის ხუმრობის დღედ შემოღების ტრადიცია საფრანგეთიდან მოდის. XVI საუკუნეში, როდესაც საფრანგეთის მეფემ შარლ მეცხრემ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ახალი წელი, პირველი აპრილის ნაცვლად, პირველ იანვარს უნდა ეზეიმათ, ბევრ ფრანგს ეს იდეა არ მოეწონა და მეფის ბრძანების მიუხედავად, ახალ წელს პირველ აპრილს აღნიშნავდა. დანარჩენები მათ საპირველაპრილო სულელებს უწოდებდნენ და მათ გასაბითურებლად უამრავი გასართობი მოიგონეს. მაგალითად, უგზავნიდნენ მოსაწვევებს – ვითომდა, ახალი წლის ზეიმზე – პირველ აპრილს, შემდეგ კი სიცილით კვდებოდნენ, როდესაც უყურებდნენ, თუ როგორ მიიჩქაროდნენ მოსაწვევში მინიშნებული ადგილისკენ საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული ურჩი ფრანგები... ჯერ კიდევ კოლონიალური დროის არქივებში შემორჩენილია ჩანაწერები ასეთი ხუმრობების შესახებ. მაგალითად, როგორ გაგზავნეს ვინმე ჯონი ისეთი წიგნის მოსაძებნად, რომლის სათაურიც გახლდათ: „ადამისა და ევას ბებიებისა და ბაბუების ამბავი“. ზოგიერთი იმდროინდელი გასართობი დღემდე შემორჩა – მაგალითად, ვინმეს ზურგზე მიკრული ასეთი წარწერა: „ვთხოვთ, დამარტყათ!“ საერთო სიცილ-ხარხარს იწვევდა და ამ თხოვნის შემსრულებელი მოხალისე ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე.

იცვლებოდა დრო და იცვლებოდა ხუმრობები... მაგალითად, ერთხელ, ჯონ ლენონმა და იოკო ონომ განაცხადეს, რომ აპირებდნენ ქირურგიული გზით სქესის გაცვლას. ამან მთელ მსოფლიოში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ოპერაციის დღედ პირველი აპრილი დაასახელეს...

დამეთანხმებით, რომ ტყუილი ხანდახან, საჭირო კი არა, აუცილებელიცაა. თუ ტყუილში გამოგიჭირეს და სინდისნამუსი შერჩენილი გაქვს, სახეზე სიწითლე გადაგკრავს და ძალზე უხერხულად იგრძნობ თავს. პირველ აპრილს კი შეგიძლია, მოიტყუო და თუ გამოგიჭირეს, ხუმრობის დღეს დააბრალო.

ვნახოთ, რას გვწერენ ჩვენი მკითხველები. პირველი რესპონდენტი 35 წლის გელა გახლავთ.

„ვანოს მანქანა გუაშით ავაჭრელეთ...“

„ჩვენმა მეგობარმა, ვანომ ახალი „07“ იყიდა. მთლად ცინცხალი. ერთიანად ტაოტიანი იყო და გარეცხვაში ჩვენ მივეხმარეთ. მოკლედ, დადიოდა ეს ვანო და დაიჯგიმებოდა. ქვეყანა თავისი ეგონა. მარტის ბოლოს, მეგობრის ქორწილი იყო დანიშნული, რაიონში უნდა წავსულიყავით და იმედი გვქონდა, ვანო თავისი ახალი „ჟიგულით“ წაგვიყვანდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ – სოფლის ოღროჩოღრო გზებზე მანქანა გამიფუჭდებაო, – იძახა და იძულებული გავხდით, მატარებლით წავსულიყავით. ბიჭებმა გადავწყვიტეთ, რამე „შტუკა“ გაგვეკეთებინა მისთვის. 31 მარტს ღამით, ავტოსადგომის დარაჯს ფული გადავუხადეთ, იმანაც შეგვიშვა და ვანოს მანქანა გუაშის საღებავით სხვადასხვაფრად ავაჭრელეთ. მისი სახელი დავაწერეთ, გული მივახატეთ და მისი თეთრი მანქანა მთლიანად შევცვალეთ. დილით ვანომ თავისი ავტო ვეღარ იცნო. ჩვენ შორიახლოს ვიდექით და ვუყურებდით – როგორ უტრიალებდა გარშემო, ნომერს ამოწმებდა, საღებავს ხელით სინჯავდა – და თან, სიცილით ვიხოცებოდით. შემდეგ, ერთ-ერთ ჩვენგანს მობილურზე დაურეკა და უთხრა: – ვიცი, თქვენი გაკეთებულია და იცოდეთ, მაგრად განანებთო... ჩვენი საქციელი მართლაც სანანებელი გაგვიხდა, რადგან გუაში თეთრ საღებავში ისე ჩაჯდა, რომ სულ ლაქებად დააჩნდა და იძულებული გავხდით, მისი მანქანა გადაგვეღება. აი, ასე მოვექეცით ვანოს, მაგრამ ჩვენც დავზარალდით“.*

შემდეგი ხუმრობა საპირველაპრილო არ გახლავთ, მაგრამ დარწმუნდებით, რომ დაზარალებულს კარგა ხანს ემახსოვრებოდა იტალიაში მოგზაურობის ამბავი.

„ბიჭო, რელსები იშოვე?“

„მე მოცეკვავე გახლავართ. ახლა უკვე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ეს ამბავი მოსაყოლად ღირს. 1985 წელს, გაგანია კომუნისტების დროს, ერთ-ერთ სახელმწიფო ანსამბლში ვცეკვავდი. გადაწყდა, რომ ანსამბლი გასტროლებზე იტალიაში მიდიოდა. მოგეხსენებათ, მაშინ საზღვარგარეთ წასვლა არც ისე იოლი იყო, ამიტომ, ანსამბლს ხშირად „შემოეკედლებოდნენ“ ხოლმე გარეშე პირები და ჩვენთან ერთად სტუმრობდნენ ამა თუ იმ ქვეყანას. ძირითადად ვაჭრები გახლდნენ, მაშინ მათ „სპეკულანტებს“ ეძახდნენ... ჰოდა, იტალიაში წასვლის წინ, ერთი ასეთი ვაჭარი მოვიდა ანსამბლის ხელმძღვანელთან და გადაწყდა, რომ ჩვენთან ერთად მოდიოდა. საბუთების გასაფორმებლად და რაღაც საქმეებზე რამდენჯერმე მოუწია ჩვენთან მოსვლა. მე და ჩემმა მეგობრებმა მისთვის ფულის დატყუება გადავწყვიტეთ. ჩავუვლიდით გვერდით და ერთმანეთს ვეკითხებოდით:*

– ბიჭო, რა ქენი, იშოვე რელსები?

– ვერა, სულ ორი ცალი ვიშოვე. შენ?

– მე ვიშოვე, „დაჟე“ ნიკელის რელსებსაც შემპირდნენ, ხომ იცი, იქ ძვირად ფასობს...

მოკლედ, ეს კაცი პროვოკაციას წამოეგო. გამგზავრებამდე ორი დღით ადრე, მოვიდა და გვითხრა:

— ბიჭებო, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თქვენს საუბარს უნებლიეთ ყური მოვკარი. რა რელსებზე საუბრობდით?

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ:

— არაფერი, ძმაო, რა რელსები, რის რელსები? — ვეუბნებით.

— სანდო კაცი ვარ, არსად გაგამხელთ, ოღონდ მითხარით, რელსების წაღებას რატომ აპირებთ? — მავედრებელი თვალებით გვიყურებს კაკო (ასე ერქვა იმ კაცს). ჩურჩულით ვეუბნებით:

— მართლა არავის ეტყვი?

— გეფიცებით, სამარე ვარ, — გვპასუხობს და თვალებადქცეული, ყურებდაცქვეტილი გვისმენს.

— ამის წინა გასტროლებზე წავიღეთ რელსები და მაგარ ფასში გავყიდეთ. ახლაც ვაპირებთ, მაგრამ ხელმძღვანელმა რომ გაიგოს, ცუდად გვექნება საქმე...

— მეც მიშოვეთ, ფულს გადავიხდი, კრინტსაც არავისთან დავძრავ.

— აი, დათომაც ახლა უნდა აიღოს „ტავარი“, თუ მეტს იშოვის, შენთვისაც დაითრევს. ოღონდ, ხომ იცი, პირდაპირ თვითმფრინავზე დაიტვირთება, ვითომ ჩვენი არ არის...

— ჰო, ჰო! — თავს გვიქნევდა კაკო.

იმ საღამოს დავურეკეთ და ოთხი ათასი მანეთი გამოვართვით იმ საბაბით, რომ 7 რელსი ვუშოვეთ, აქედან ორი — ნიკელის... აეროპორტში რომ მოვიდა, საიდუმლო ხმით გვკითხა: — ხომ დატვირთეთ „ტავარი“? დავამშვიდეთ, რომ ყველაფერი რიგზე იყო და იტალიისკენ გულდამშვიდებულები გავფრინდით. იქ ჩასულებს არც გაგვხსენებია კაკო. მისი ფულით კარგად ვგრიალებდით. ერთი-ორი დღის შემდეგ, შეგვახსენა: — რას შვრებით, რელსები როდის უნდა გაასაღოთო? — ჩვენ უკვე გავყიდეთ, შენი რელსები კი ანსამბლის ხელმძღვანელთან არის, მიდი და ის გაგარკვევს-თქო, — ვუთხარით და სასწრაფოდ გავშორდით. დიდი ალიაქოთი ატყდა, როცა ხელმძღვანელმა უთხრა — რა რელსები, რის რელსები, შენ გიჟი ხომ არ ხარო?! — ეს კიდევ უმტკიცებდა, რომ 7 რელსი იყიდა, — 5 ჩვეულებრივი, ორი „დაჟე“ ნიკელისა იყოო. მოკლედ, მიხვდა, რომ მოვატყუეთ, მაგრამ ბედს შეურიგდა. ჩვენს დანახვაზე მხოლოდ თავს გადააქნევდა ხოლმე“.

შემდეგი ამბავიც საზღვარგარეთ ყოფნის დროს გადახდა თავს ჩვენს რესპონდენტს. ამჯერად საფრანგეთს ვეწვიოთ მაუდ-კამეოლის კომბინატის თანამშრომლებთან ერთად.

ბოღმიანი კაცის სანუკვარი პიჯაკი

წინათ, კომუნისტური რეჟიმის დროს, ამა თუ იმ საწარმოს თანამშრომლები საზღვარგარეთ, ექსკურსიაზე მიდიოდნენ ხოლმე. მაუდ-კამეოლის კომბინატის ადმინისტრაციის თანამშრომლები, დირექტორისა და მოადგილეების ჩათვლით, საფრანგეთში გავემგზავრეთ. როგორც წესი, დღისით მაღაზიებში დავდიოდით და ათას ხარახურას ვყიდულობდით, საღამოს კი, სასტუმროს რესტორანში ერთად ვვახშმობდით. დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე, თამაზი, სულ მარტო მიდიოდა ქალაქში და უცხო ტანისამოსს ყიდულობდა. ერთ დღეს, სიამაყით გვიჩვენა ახალი პიჯაკი, რომელიც ყველას მოგვეწონა და ვთხოვეთ, მიესწავლებინა მაღაზია, სადაც პიჯაკი შეიძინა, მაგრამ უარი გვითხრა — მე მაშინ ვიცვამ ტანისამოსს, როცა ვიცი, რომ მსგავსი სხვას არავის აქვსო. ერთი სიტყვით, ვერაფრით ვათქმევინეთ მაღაზიის მისამართი. გადავწყვიტე, რაიმე ისეთი მომეწყო, კარგა ხანს რომ დამახსოვრებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, სწორედ პირველი აპრილი მოდიოდა და ჩემი ხუმრობაც ამ დღეს დავამთხვიე. საღამოს, რესტორანში ცოტა მოგვიანებით ჩავედი, მანამდე კი მის ნომერში შევიპარე, მისი სანაქებო პიჯაკი ჩავიცვი და ვახშამზე ისე გამოვცხადდი. რომ დამინახა, ბოღმისგან კინაღამ გასკდა: — მაინც იშოვე, ხომ, ჩემნაირი პიჯაკიო?! — მითხრა... შემდეგ, დაძინებამდე ისევ შევიპარე მის ნომერში და პიჯაკი ადგილზე დავაბრუნე. მეორე დღესვე წაიღო ის სანუკვარი ჩასაცმელი და სხვაში გადაცვალა, ოღონდ, მალულად... თბილისში რომ დავბრუნდით, კარგა ხნის მერე შემეკითხა: — ბიჭო, იმ პიჯაკს რატომ არ იცვამო?.. როდესაც გაიგო, რომ იმ საღამოს მისი პიჯაკი მეცვა, ბოღმიანად ჩაილაპარაკა: — სულელი ვარ, რომ დავიჯერე და სხვაში გადავცვალე, მართლა მაგარი რამე იყოო... აი, ასე მოუვა ბოღმიან კაცს. პატივისცემით სოსო“.

ხუმრობა კარგია, მით უმეტეს მაშინ, თუ ის სასიკეთო შედეგს გამოიღებს. თურმე, საპირველაპრილო ხუმრობამ შესაძლოა, კაცს ვალად გაცემული, სოლიდური თანხა დააბრუნებინოს და თან, სვანური მარილის მომზადების წესიც შეასწავლოს:

„...დავნაყავ და ვალსაც დაგიბრუნებ...“

„ზაზა ჩემი ბიძაშვილი გახლავთ. სვანია. მისი ვალი, სამი ათასი დოლარი ჰქონდა ვინმე კახელ ვანოს და წლების განმავლობაში ვერ უბრუნებდა. ვანო და მისი ვალი, ზაზასთვის ძალზე მტკივნეული თემა გახლდათ. ჩვენ კი, სულ დავცინოდით ხოლმე. 31 მარტს, საღამოს, ზაზას დავურეკე და შეცვლილი ხმით ვუთხარი: — გამარჯობა, ზაზა, ვანო ვარ... ყურმილში სიჩუმემ დაისადგურა. — გესმის, ბიჭო, ხვალ შენი ფული უნდა დაგიბრუნო და სამსახურში მომაკითხე; თან, თუ ძმა ხარ, სვანური მარილის რეცეპტიც წამომიყოლე-მეთქი. — კარგიო, — მომიჭრა მოკლედ ზაზამ და ყურმილი დაკიდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, ჩემთან დარეკა და მთხოვა — ხვალ ვანო ვალს მიბრუნებს და გამომყევიო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და წინასწარ ვტკბებოდი მეორე დღის მოვლენებით... ვანო მშენებლობაზე მუშაობდა. მეორე დღეს, ზაზას „ნივით“ მივადექით მშენებლობას და კარგა ხნის ძებნის შემდეგ, სინკარის ქვეშ მძინარე, წინა დღის ნაქეიფარ, „პახმელიაზე“ მყოფ ვანოს მივაგენით. „ნივაში“ უკანა სავარძელზე დავსვით და ზაზამ პირველი კითხვა დასვა:

— გუშინ რომ დამირეკე, იმ საქმეზე რას შვრები?

— რრ-ოო-მმელ საქმეზე? — ამოიკნავლა ვანომ და ზაზას ფართო ბეჭებს შეავლო თვალი.

— ვალს მიბრუნებ?

— რრა თქმა უნდა.

— როდის?

— ამ კვირის ბოლოს, — ამოილულლუღა ვანომ.

ზაზამ ამოიხვნეშა და ხელი ჯიბისკენ წაიღო. მე ჩუმად მეცინებოდა. მივხვდი, ახლა სვანური მარილის რეცეპტს ამოიღებდა და ვანოს მიაწვდიდა, მაგრამ უარესი მოხდა — ზაზამ ფურცელი გაშალა და დაიწყო:

— სვანური მარილი როგორ მზადდება, იცი?

— არა... — სავარძელზე მიესვენა ვანო.

— აიღებ მარილს, გაიგე?

— ჰო! — უმწეოდ მოავლო თვალი ვანომ მანქანის სალონს.

— დააყრი ქინძს, გაიგე?

— ჰო! — ქინძის ხსენებაზე ვანო სულ დაპატარავდა და „ნივის“ შემქმნელს შეაგინა, უკანა კარის უქონლობის გამო...

— წიწაკას... — არ ჩერდებოდა ზაზა...

— ჰო, ჰო, წიწაკას!.. — იმეორებდა ვანო და უმწეოდ აცეცებდა თვალებს.

— მერე ჩაყრი სანაყში, — მისცა შემდეგი რჩევა... — და დანაყავ! დანაყავ! დანაყავ!.. — თან ამ დროს, მუშტს გაშლილ ხელისგულზე ატრიალებდა, რომ დანაყვის იმიტაცია წარმოედგინა... ვანო სულ გაგიჟდა, იფიქრა — სვანები მაფრთხილებენ, რომ თუ ვალს არ მივუ-

ტან, წიწაკასავით მწარედ დამნაყავენ, ქინძსაც ტყუილად არ ახსენებენო და გამწარებული გაიძახოდა...

— ჰო, დავნაყავ... დავნაყავ და ვალსაც მოგიტან...

ზაზამ დაკეცილი ფურცელი ვანოს გადასცა, მანქანიდან გადაუშვა და უთხრა — სამ დღეში შენ ზარს ველიო. მოკლედ, სამ დღეში ვანომ ვალი სრულად დაუბრუნა, ზაზამ რესტორანში გვაქეიფა და ამ საიდუმლოსაც ფარდა მაშინ აეხადა.

ახლა კი, მოკლე ხუმრობები, რომლებსაც ჩვენი მკითხველები საპირველაპრილოდ უწყობენ ერთმანეთს:

„დამიბრუნე ჩემი მობილური!..“

„შარშან, პირველ აპრილს, ღამის ოთხ საათზე მობილურით ერთი ოთახიდან მეორე ოთახში, სახლის ტელეფონზე დავრეკე. ჩემმა ცოლმა ყურმილი აიღო: — ქალო, კარზე ვრეკავ ზარს, ტელეფონს რატომ იღებ? — ჩავძახე ყურმილში. ადგა, ხალათი მოიხურა და კარი გააღო...“

„პირველ აპრილს, დილით, ვიდრე ჩემი ცოლი საწოლიდან ადგებოდა, ტუალეტის ჩასარეცხ ავზში ჩავასხი ერთი ბოთლი ჭურჭლის სარეცხი სითხე. ნინომ წყალი ჩაუშვა და უნიტაზიდან იმდენი ქაფი გადმოვიდა იატაკზე, რომ მარტო საბაზანო ოთახი კი არა, დერეფანიც გაავსო...“

„წინათ, რკინის მანეთიანები რომ იყო, ხომ გახსოვთ? პირველ აპრილს, სამსახურში მივედი, ამ მანეთიანის კიდეზე უბრალო, შავი ფანქარი წავუსვი კარგად და ჩემს თანამშრომელს დავენაძლევე — აბა, ამ მანეთიანს შუბლიდან ნიკაპამდე ისე თუ გადაიტარებ, რომ სახეს არ მოაშორო-მეთქი. გადაიტარა და თან, რამდენჯერმე. სახე შავად დაეხაზა. შემდეგ ოთახიდან გავედი და თანამშრომლებს ვუთხარი — ლიზი სახის პლასტიკურ ოპერაციას იკეთებს, სახე უკვე დაუხაზეს, მაგრამ ამ თემაზე არ დაელაპარაკოთ, რადგან ძალზე მტკივნეულად განიცდისმეთქი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა?!“

„შარშან, საპირველაპრილოდ ასეთი ხუმრობა მოვიგონე: 4 კვერცხი შევახვიე გაზეთში, მეზობელს კართან დავუდე, ცეცხლი წავუკიდე, კარზე დავაკაკუნე და დავიმალე. მეზობელმა ხანძარი რომ ნახა, შეეცადა, ფეხით ჩაქრო. იცით, რა მაგარი სანახავი იყო?!“

„ერთხელ, პირველ აპრილს, მე და ჩემი მეგობარი ქუჩაში მივდიოდით. მან ჩვენი საერთო მეგობარი დაინახა და გაიქცა, რომ დასწეოდა. მე კიდევ, ვიყვირე — დამიბრუნე ჩემი მობილური-მეთქი! — და უკან გავეკიდე. ხალხმა დაიჭირა და ძლივს დავარწმუნე, რომ ვიხუმრე“.

„ერთ-ერთ სუპერმარკეტში ვმუშაობ მოლარედ. შარშან, დაცვის თანამშრომელმა ბიჭებმა მაგარი „შტუკა“ გამიკეთეს. სალაროს შეუმჩნევლად მიამაგრეს წარწერა: „გთხოვთ, ისაუბროთ ხმამაღლა, მოლარე გოგონას ყურს აკლია“... კარგა ხანს ვერ მივხვდი, რატომ მიყვიროდნენ მომხმარებლები...“

„სამსახურში გვაქვს მაცივარი. პირველ აპრილს დილით ადრე მივედი და კარის სამაგრები მეორე მხარეს გადავიტანე (მოგეხსენებათ, ეს ყველა მაცივარშია გათვალისწინებული), ხოლო სახელური ისევ იქ დავტოვე. კარგა ხანს ვიცინოდი, როდესაც ვხედავდი, როგორ ეჯავჯგურებოდნენ მაცივრის კარს, რომ წყალი დაელიათ. მე კი მივედი და მეორე მხრიდან სულ იოლად გამოვაღე“.

„პირველ აპრილს დედაჩემს ასე ვეხუმრე: სამლიტრიანი მინის ქილა წყლით ავავსე, ზედ ქაღალდი დავაფარე, სწრაფად გადმოვატრიალე და სამზარეულოში, კარადაზე დავდგი. ეს ძალზე იოლი გასაკეთებელია. მისი აღება კი... დედაჩემმაც ვერ შეძლო და წყალი იატაკზე დაეღვარა...“

„ჯიგო, გაფრენილ წუთებს საუკუნეც ვერ დაგვიბრუნებსო — ხშირად იცოდი თქმა. გახსოვს, მითხარი — თბილისში ვარო — და თურმე, ბათუმში იყავი. დღეს პირველი აპრილიაო! ნეტავ, კიდევ მომატყუებდე და ჩემ გვერდით გაჩნდებოდე! როგორ გელოდებით შენ და პირველ აპრილს!.. მენატრები. შენი ოცნების ქალი“.

„სიხარულო, მენატრები! თანაც ძალიან! მალე ჩამოდი და მარტო აღარასოდეს დამტოვო. ემზუ, გკოცნი. შენი მეუღლე, სოფო. მარი, გთხოვ, გამომიქვეყნე, მართლა ძალიან მენატრება. მიყვარს სიცოცხლეზე მეტად“.

„გია სანიკიძე, მინდა, ჩვენი დაფერფლილი, დიდი სიყვარული გამეორდეს. ისევ მითხრა: — ჩემო დახატულო გოგო... მე შენ მიყვარხარ... და იცი? — ძალიან მენატრები. აბაშა. ელზა“.

„სალი და ნატკა, მაგრად გვიყვარხართ და მაგრად გაფასებთ. ჩვენი თვალის სინათლე ხართ. ვაფრენთ თქვენზე. მუდამ თქვენ გვერდით ვართ. გელა და ლაშა.“

იმედი გვაქვს, ეს სასიყვარულო „მესიჯები“, საპირველაპრილო ხუმრობები არ გახლავთ... შემდეგი „გზავნილების“ თემა იქნება: მეგობარმა შეყვარებული წამართვა. მოგვწერეთ, გამოგვიგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. მომავალ ხუთშაბათამდე გემშვიდობებით. ■

ისევე, როგორც ნამდვილი ადამიანების ცხოვრებაში...

ყველაზე სახელგანთქმულმა თოჯინურმა წყვილმა — კენმა და ბარბიმ 43-წლიანი ბედნიერი თანაცხოვრების შემდეგ, გაყრის შესახებ „გამოაცხადა“... კითხვაზე — თუ რატომ გადაწყვიტა თოჯინების მწარმოებელმა კომპანიამ, ერთმანეთს დააშოროს შეხმატკბილებული წყვილი, მისმა ვიცე-პრეზიდენტმა ღრმააზროვნად უპასუხა: „სიყვარულის ცეცხლი ჩაქრა. ჰოლივუდური რომანების ფასი ყველასათვის კარგადაა ცნობილი...“ „გაყრიდან“ სულ ცოტა ხანში, ბარბი ახალი თაყვანისმცემლის — ახალგაზრდა სერფინგისტის (ფოტოზე) გვერდით იხილეს. „მატელის“ ჩანაფიქრით, სწორედ ის გაულამაზებს მარტოობას სახელგანთქმულ ბარბის. კომპანიის მესვეურთა თქმით, წყვილი მშვიდად, ხმაურიანი სკანდალების გარეშე გაიყარა. უფრო მეტიც ვარსკვლავები „მეგობრებად დარჩებიან“. მათ აგრეთვე დასძინეს, რომ „ერთობლივად დაგროვილი ქონება“ კეთილშობილმა კენმა მთლიანად ბარბის დაუტოვა...

ბრიტანელები პატიმრთა გათავისუფლებაზე ზრუნავენ

დიდი ბრიტანეთის მთავრობა უახლოეს 6 წელიწადში პატიმართა არმიის 13 ათასით შემცირებას გეგმავს. პრესაში გამოქვეყნებული პროგნოზების თანახმად, ამჟამინდელი მდგომარეობის შენარჩუნების შემთხვევაში, 2009 წლისთვის, მსჯავრდებულთა რაოდენობა 73 ათასიდან 93 ათასამდე გაიზრდება, მაგრამ ახალი წესის შესაბამისად, 13 ათას პატიმარს მიეცემა შესაძლებლობა, ისარგებლოს პირობით — ვადამდელი გათავისუფლების წესით, თუკი გადაიხდის ყოველდღიურ ჯარიმას, რომლის ოდენობა მისი შემოსავლის მიხედვით დადგინდება. ჯარიმის გადახდის შეწყვეტისთანავე, დამნაშავეს დაუყოვნებლივ დაბრუნებენ საპატიმროში.

დღეს არა მხოლოდ ახალგაზრდებში, არამედ ასაკშეპარულ ადამიანებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ტელესერიალი „მუსკულები“ და მისი გმირები, მათ შორის, ანეკდოტების უბადლო მთხრობელი, ზესტაფონელი „აფერისტი“, „ტკბილი და მურაბა“ კაცი — ნიკა ქავთარაძე. სულ რამდენიმე დღის წინ, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ტელეკომპანია „202“-ის მიერ გამართული კონცერტები — „მუსკულების ზღაპარი“ დასრულდა და ჩვენი საუბარი სწორედ აქედან დავიწყეთ.



ნიკა ქავთარაძე

მამის თვალში ოჯიმა ვაიკოლის წყალობით ამაღლდა

ნათია ქიბიძე

— ნიკა, როგორ ჩაიარა თქვენ მიერ გამართულმა კონცერტებმა? კმაყოფილი ხართ?

— კარგად, თუმცა არა ისე, როგორც ჩვენ გვჩვევია. მაგრამ გპირდებით, ამას მალე გამოვასწორებთ. პროგრამულ მხარეში არა, მაგრამ მენეჯმენტში დავუშვით შეცდომები — არასწორი რეკლამა გვქონდა, რის გამოც ცოტა, ხალხი გვაკლდა. ახლა ცოტას დავისვენებთ და შემდეგ ახალ პროგრამაზე დავიწყებთ მუშაობას, რომლითაც გვინდა, მაყურებლის წინაშე ამ გაზაფხულზევე წარვდგეთ. ვნახოთ, თუ განვახორციელებთ. ახლა ძალიან გაურკვეველ სიტუაციაში ვიყავით. აფიშებზე რომ დავწერეთ — „მუსკულების ზღაპარი“ — ვერ გავითვალისწინეთ, რომ ზღაპარი ბავშვებისთვისაა და ამიტომ მაყურებლებში ბავშვები ჭარბობდნენ.

— ახლა პირადად შენზე ვისაუბროთ — ვინ ხარ, აქ რა გინდა — და ა.შ.

— მე ვარ ერთი ზესტაფონელი ბიჭი. იქვე დავამთავრე სკოლა და იქვე ვეზიარე ისეთ მაგარ გრძნობას, რომელსაც იუმორი ჰქვია. ძალიან ბევრი ჩემი თვისება ზესტაფონურია. შეიძლება, რაღაც ჩემში არ ივდეს — ვთქვათ, აფერისტობა — მაგრამ ეს ჩემთვის ძალიან ნაცნობია. „ტკბილი და მურაბაც“ იქიდან, ჩემი სამეგობროდან მოდის; მათი ტერმინია და მე ძალიან დროულად გამოვიყენე. საერთოდ, რა მინდა, ვერ გეტყვი. მგონი, რაც მინდა, დაახლოებით იმას ვაკეთებ, რაც, გარდა იმისა, რომ ჩემი საყვარელი საქმიანობაა, ჩემი შემოსავლის წყაროცაა. შეიძლია ვთქვა, რომ ცხოვრებაში ერთადერთი შეცდომა, პროფესიის არჩევისას დავუშვი. თუმცა, ამსაც თავისი გამართლება აქვს, რადგან მაღლივში (*უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი. — ავტ.*) ვერ ვივლიდი და შესაბამისად, ვერც „კა-ვე-ენში“ მოვხვდებოდი.

— ზესტაფონელ კაცს უნივერსიტეტში ჩასაბარებლად გამოცდების „ჩაწყობა“ არ დაგჭირვებია?

— არა, ეს მე არ შემხებია. 23 ქულა დავაგროვე და ჩავირიცხე კიდეც ეკონომიკის ფაკულტეტზე. პირველ კურსზე მაღლივში დავდიოდი და ყველაზე მეტი, რაც გამიკეთებია, ბუფეტში ვმჯდარვარ და გოგოები გამიცნია, ოღონდ — არა რაიმე კონკრეტული მიზნით, რადგან ეს მაღლივში წარმოუდგენელია, გოგონების შეუხედაობის გამო და ისე, უბრალოდ, ნაცნობების სიაში ვწერდი... „კა-ვე-ენშიკობა“ მეორე კურსიდან დავიწყე. პირველ გუნდს „კომა“ ერქვა, რის შემდეგაც ვითამაშე ნაკრებში — „და სხვა“, სადაც ზვიო, მიშა მშვილდაძე, შონზო, გიგა ნასარიძე და გოჩა თანდარაშვილი გავიცანი. მაშინ, ძირითადად, უნივერსიტეტის ნაკრებები ვერ იმარჯვებდნენ, რადგან ხალხისთვის ჩვენი პროგრესული ხუმრობები გაუგებარი იყო. მერე, ცოტა გაბრაზებულებმა და ძალიან მიზანდასახულებმა გადავწყვიტეთ, შეგვექმნა უნივერსიტეტის მთლიანი ნაკრები — „თსუ“ და წავედით საზღვარგარეთ. ერთადერთი „კა-ვე-ენური“ ღირებული პრიზი — „Чёрный кивин“ (*КИВИН — ბუს მგვარი ფრინველია. — ავტ.*) იურმალიდან ჩვენ ჩამოვიტანეთ. არასოდეს დამავიწყდება ის ხანგრძლივი ტაში, რომელიც ჩვენთვის წარმოუდგენელი სიამაყის საფუძველი გახდა. ძალიან მაგარია „კა-ვე-ენი“. ადრე მე და ზვიომ სვანური რეპი გავაკეთეთ (*მღერის. — ავტ.*) — „ა-შინა, ა-შინა ვორგილი, ვორგილი ვოსა...“ — თან ვცეკვავდით და ეს იმდენად მაგარი გამოვიდა, რომ დარბაზში მჯდომი 800 კაცი ფეხზე წამოგვიდგა და ისე დაგვიკრა ტაში... მოკლედ, ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი სასცენო შემოქმედებით. სამწუხაროდ, „მუსკულების ზღაპრის“ განვლილ კონცერტებს საუკეთესო მოგონებებში ვერ ჩავწერ. ჩვენი მაყურებლები ძირითადად, ბავშვები იყვნენ. მართალია, მათაც ძალიან ვუყვარვართ, მაგრამ ეს სამავშვო კონცერტი არ იყო, რადგან მაგალითად, იქ გვქონდა საუბარი რუს ფეხბურთელ ქალ ტანიაზე, რომელსაც კარგი ძუძუები აქვს; ასევე — ქალიშვილობის თემას განვიხილავდით... დარბაზში კი, ამ დროს ისეთი პატარები ისხდნენ — ჩვილი ბავშვებიც კი ჰყავდათ მოყვანილი. ისინი მთელი კონცერტის განმავლობაში იცინოდნენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენი ხუმრობა ესმოდათ — უბრალოდ, სცენაზე მათი კერპები იდგნენ. ეს თავისთავად, ძალიან მაგარია, მაგრამ ჩვენ ვერ ვღებულობდით

კუბის დედაქალაქი	მდინარე იტალიაში	მწერალი ... ქიაჩელი	გენია, უნარი	ზღვის ყაჩაღი, მეკობრე	საკვებად ვარგისი სოკო	ხის ჯიში	დედამამიშვილი	მდ. მისისი[illegible] შენაკადი
ბ ა ბ ა ნ ა ს ი ო ნ ი ნ ა					ნ ი ყ ვ ი ო ე ლ ა ს ე ბ ი			
კლიმატი	საფრანგეთის იმპერატორი		ჩაღრმავებული ნაწიბური მუცელზე	შალის საკოსტიუმე ნაჭერი	„მე გიყიდი წითელ-... ჩითებს...“	პირველი ადამიანი დედამიწაზე		ფრანგული ფული

იმას, რაც მყურებლისგან გვჭირდებოდა.

— ახლა ცოტა რამ შენს ოჯახზეც გვიამბე.

— მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე — ვერიკო ბედელაძე, რომელიც პროფესიით ვიზაჟისტია და „მაესტროში“ მუშაობს. ჩემი შვილი კი, თვისა და ათი დღისაა და ჰქვია ალექსანდრე — ჩემი ბაბუის ბაბუის სახელს ატარებს, რომელმაც 75 წლის ასაკში მოიყვანა მეორე ცოლი და მაშინ „ვაკეთა“ ორი შვილი... იმედი მაქვს, ჩემი შვილი მთლად მას არ დაემსგავსება და უფრო ადრე დაიწყებს მაგ საქმეს, 75 წლის ასაკში კი, „სუპერმაგარ საქართველოში“ ფეხს ფეხზე გადაიდებს და შვილიშვილები ეყოლება... მყავს მამა — ვახტანგ ქავთარაძე და დედა — მანანა ქავთარაძე. ორივე ფარმაცევტი იყო. სტუდენტობის დროს შეუყლდნენ, რის გამოც, მე თბილისში დავიბადე, ჩემი უმცროსი და-ძმა კი — ზესტაფონში. ისე, მაინც არის ჩემში რაღაც თბილისური, ხედავ?.. ჩემი და ეკა გათხოვილია და რვა თვის ნუციკო ჰყავს, ძმა კი, მამაჩემის სეხნია — ვახტანგი წელს ამთავრებს სკოლას და უნივერსიტეტელი უნდა გახდეს. ძალიან არა, მაგრამ ცოტათი დავეხმარები. სპორტული ჟურნალისტი გამოვა. ამის „ჟილკა“ აქვს. ენახოთ, რა გამოვა.

— შენი ოჯახის წევრებისგან თუ გქონდა მხარდაჭერა, რომ ცნობილი „კა-ვე-ენშიკი“ გამხდარიყავი?

— პირიქით, ოჯახი ამ საქმეში პრობლემებს მიქმნიდა. მშობლებს უნდოდათ, რომ სერიოზული ეკონომისტი გამოვსულიყავი... პირველად კი, იცი, როდის შემიწყვეს ხელი? ლაიმა ვაიკულე მამაჩემის თაობის მამაკაცების კერპი იყო. „სექსსიმბოლოს“ მაშინ არ ხმარობდნენ, თორემ, მგიტომ უყვარდათ ეს მომღერალი. ეურმალაში რომ მოვიდა ლაიმა და დაიყვირა — где мои грузины? — მერე კი, გია ჭანტურიას აკოცა და ჩვენც გადაგვეხვია, მამაჩემი მაშინ აივსო სიამაყით, მაშინ იგრძნო, რომ ჩემი საქმიანობა ქვეყნის საზღვრებს გასცდა და მას შემდეგ, კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ჩემს „კა-ვე-ენშიკობასთან“. მოკლედ, ლაიმას დამსახურებაა, მამაჩემმა ჩემს საქმეს კარგი თვალით რომ შეხედა.

— მეუღლის ოჯახმა როგორ მიიღო „კა-ვე-ენშიკი“ სიძე?

— სამწუხაროდ, სიმამრი არ მყავს, ადრე გარდაიცვალა. ჩემი სიდედრი კი, ამერიკაში ცხოვრობს და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩემი და ვერიკოს შეუღლებამდე სიდედრს იქ ჩავაკითხე...

— ქალიშვილის ხელი სთხოვე?

— არა, მაშინ დაქორწინება ჯერ გადაწყვეტილი არ გვქონდა. თუმცა, იქიდან აგვისტოს დასაწყისში ჩამოვედი და უკვე 21-ში მე და ვერიკომ ოჯახი შევქმენით. სარფის საბაჟოსთან ვიყავით ერთ-ერთ სახლში. ზუსტად საზღვარზე ვიდექი, იქიდან დავურეკე სიდედრს და ვერიკოს ხელი ვთხოვე. უარი არ მითხრა, რადგან გათვალისწინა, რომ თუ ამისთვის ისევ ამერიკაში ჩავაკითხავდი, ეს დიდი ხარჯი იქნებოდა ახალშექმნილი ოჯახისთვის. აი, ასე ვართ ახლა „სუპერბედნიერები“.

— მეუღლესაც „ტკბილსა და მურაბას“ ეძახი?

— „ვემრიელოს“... ადამიანს რას დაუძახებ, მნიშვნელობა არა აქვს — მთავარია, როგორ ეძახი! შეიძლება „სონი“ და „ერიქსონი“ დავუძახო, მაგრამ მიხვდეს, რომ ამით ვეფერები.

— ახლა შენს გადაცემაზეც გვესაუბრე. საიდან სწავლობ ამდენ ანეკდოტს?

— ეს გადაცემა თავიდან, ჩვენს რადიოში — „101“-ზე გადიოდა. ახლა, დროის უქონლობის გამო, გადაცემები შევწყვიტეთ და რადიოზე მხოლოდ მუსიკა და „არტები“ გადის... მთხრობელს ვიზუალურადაც რომ ხედავ, სულ სხვაა. თან, იქ შეიძლება, რაღაც ისეთი კომენტარიც ჩავრთო, ანეკდოტზე სასაცილო რომ იქნება. ზოგს, მაგალითად, ეს გადაცემა იმიტომ მოსწონს, რომ სწრაფად, „რიხინ-რიხინით“ გავდივარ ბოლოში... მოკლედ, ვფიქრობ, რომ ეს არის გადაცემა, რომელიც ეთერს ძალიან უხდება. ანეკდოტებს რაც შეეხება, არ ვსწავლობ — ვკითხულობ და ვთარგმნი, რადგან ინტერნეტიდან ვიღებ. ალბათ არავის ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ ქართულ საიტებზე არც ერთი ანეკდოტი არ არის.

— მოგვიყევი ერთი „ტკბილი და მურაბა“ ანეკდოტი...

— მინდა გითხრა, რომ ანეკდოტებზე აღარ მეცინება, რადგან ჩემთვის ეს უკვე ყოველდღიურობაა... ცოლ-ქმარი ტელევიზორს უყურებს. ქმარი ამბობს — რომელიმე არხზე ეროტიკული ფილმი იქნებაო. ცოლი პასუხობს — აქ არა ვარ? ფილმი რად გინდაო?! — და იწყებს რაღაც ეროტიკული სცენის გათამაშებას. მოგვიანებით, ქმარს ეკითხება — კარგიაო? ქმარი პასუხობს — კარგი კია, მაგრამ ცუდი ის არის, პულტით რომ ვერ „გადავრთავო“...

— რაიმე საპირველაპრილო ხუმრობის გახსენება თუ შეგიძლია?

— ასეთ რამეებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. მაგალითად, შარშან, პირველ აპრილს რადიოში ჩავწერე ხუთი ყველაზე ცუდი ანეკდოტი... ჩემი პროფესიის ადამიანისთვის პირველი აპრილი სხვა დღეებისგან არაფრით განსხვავდება. რომ იტყვიან — ჩემთვის „კვირა არ არსებობს, „პასტიანად“ შაბათია“. „პონტია“ პირველი აპრილი, სხვანირადაც შეშიძლია მოვიტყუო: „დღეს პირველი თებერვალია, ვინც მოტყუვდა, შებერვალია“ ან — „დღეს პირველი ივლისია, ვინც მოტყუვდა, ვილისია“...

— უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვი?

— „ტელე-იმედიდან“ შემოთავაზება მაქვს — შოუ უნდა წავიყვანო, რომელიც შუადღისას გავა, რადგან საღამოს, „ლარის მახეს“ აქვს ეთერი დაკავებული. ამასთანავე, „არტ-იმედის“ მომღერლებთან რამდენიმე დუეტის ჩაწერას ვაპირებ, რის შემდეგაც, საქველმოქმედო კონცერტი უნდა ჩავატარო ერევანში. „არტ-იმედი“ 100 ლარს მპირდება ხელფასის სახით, ექვსი თვის შემდეგ კი, ეს თანხა 120 ლარს მიაღწევს... ახლა კი გეტყვით — „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია!“ ■



„... ადამიანს რას დაუძახებ, მნიშვნელობა არა აქვს — მთავარია, როგორ ეძახი!“



| | | |

დიდი მარხვის მეორე ნაწილის — ვნების შვიდეულის დაწყებამდე, წმინდა მართლმადიდებლური ეკლესია ორ მნიშვნელოვან მოვლენას იხსენიებს — ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას, რომელსაც „ლაზარეს შაბათი“ ეწოდება და იერუსალიმში იესო ქრისტეს დიდებით შესვლას, რომელიც საქართველოში ბზობის დღესასწაულის სახელწოდებითაა ცნობილი.

საუფლო დღესასწაულები

მორენა მერკვილაძე

ლაზარეს შაბათი

ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების დღესასწაული მოძრავია და იგი ყოველვის დიდი მარხვის მეექვსე კვირის შაბათს (წლეულს – 3 აპრილს) აღინიშნება...

ჯვარზე ვნებამდე ცოტა ხნით ადრე, მაცხოვარმა განსაცვიფრებელი სასწაული მოახდინა: იერუსალიმის მახლობლად მდებარე ქალაქ ბეთანიაში მკვდრეთით აღადგინა სამი დღის მკვდარი ლაზარე, რომლის სხეულსაც გახრწნა ჰქონდა დაწყებული. ეს უდიდესი სასწაული უფალმა პასექის დღესასწაულის წინ, უამრავი ადამიანის თანდასწრებით მოახდინა, რათა ყველას წინაშე საქმით დაედასტურებინა თავისი ღვთიური წარმომავლობა, რამეთუ მრავალი ადამიანი მასში მიწიერ მეუფეს ხედავდა და არა ჭეშმარიტ მესიას, რომელიც დედამიწაზე ადამიანთა საცხონებლად იყო მოსული. ამ სასწაულით კი, იესო ქრისტეს სურდა, რომ თავისი მიმდევრებისთვის განემტკიცებინა რწმენა მძიმე განსაცდელის წინ – რომელიც მისი ჯვარზე ვნების დროს მოელოდათ. „ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება მოასწავებს მიცვალებულთა საყოველთაო აღდგომას, უკანასკნელ – განკითხვის დღეს... ლაზარეს აღდგინება არ იყო მხოლოდ ლაზარესთვის სიცოცხლის დაბრუნება, არამედ თითქოსდა მისი ხელახალი შექმნა – პირველსახე უფლის მიერ მიცვალებულთა საყოველთაო აღდგომისა მეორედ მოსვლის ჟამს“, – განმარტავს არქიმანდრიტი რაფაელი.

დიდებით შესვლა იერუსალიმში უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი – ბზობა

ლაზარეს შაბათის მეორე დღეს, წმინდა ეკლესია იერუსალიმში უფლის დიდებით შესვლას იხსენიებს და სადღესასწაულოდ განადიდებს იმ უდიდეს მოვლენას, რომელიც ჩვენში ბზობის დღესასწაულის სახელწოდებითაა ცნობილი. ბზობა თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაულია, რომელიც ყოველთვის ემთხვევა აღდგომის წინა კვირა დღეს (წლეულს, 4 აპრილს აღინიშნება).

საღმრთო გადმოცემის თანახმად, უფალი ყოველთვის დადიოდა იერუსალიმში, მაგრამ არასოდეს შესულა იქ ისეთი დიდებით, როგორიც ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების შემდეგ. ლაზარეს აღდგინებამ ხალხში უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია, ამიტომაც იყო, რომ იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე დასასწრებად მიმავალ მაცხოვარს ხალხი დიდებით ეგებებოდა – გზაზე თავიანთ სამოსელს უფენდნენ, ზოგი კი პალმის ტოტებს ჭრიდა და მას უფენდა გზაზე, თან აღტაცებით შესძახოდნენ: „ოსანა დავითის ძეს, დიდება დავითის ძეს! ოსანა მაღალთა შინა!“ სწორედ ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების მხილველი ხალხის დიდი ნაწილი ეგებებოდა დიდებით იერუსალიმის ქუჩებში და თავის რწმენას „უფენდა“ გზაზე პალმის ტოტების სახით...

ბევრ მართლმადიდებლურ ქვეყანაში იერუსალიმში უფლის დიდებით შესვლის დღესასწაულზე იყენებენ პალმის ტოტებს. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენში პალმა ცოტაა, იგი ბზით შეიცვალა და თვით დღესასწაულის ჩვენში დამკვიდრებული სახელწოდება – ბზობა ამ მცენარის სახელწოდებიდან მომდინარეობს.

იერუსალიმში შესვლამდე, როდესაც უფალი ბეთბაგეს და ბეთანიის მთას მიუახლოვდა, ორი მოწაფე პირდაპირ მდებარე სოფელში წარგზავნა და დაავალა, რომ სოფლის შესასვლელშივე დაბმული ჩოჩორი მიეყვანათ, „რომლის ზურგმაც არ იცოდა ადამიანი“. მივრილ ცხოველზე მოწაფეებმა სამოსელი დააფინეს და მასზე დაბრძანებული მაცხოვარი წარემართა იერუსალიმს. მაცხოვარი ჩოჩორზე შეჯდა ნიშნად იმისა, რომ ის მშვიდობის მეუფეა, რადგან უძველესი დროიდან მოყოლებული, აღმოსავლეთში ჩოჩორი მშვიდობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, მას არ იყენებდნენ ომებსა და ბრძოლებში; ვირზე ჯდომით კი უფალმა გვიჩვენა უდიდესი სიმდაბლე და მოგვცა წესი ცხოვრებისა – თავმდაბლობა... როგორც აღვნიშნეთ, იერუსალიმში შესულ მაცხოვარს, ხალხი შემდეგი შეძახილებით ეგებებოდა: „ოსანა! დავითის ძე... ოსანა! მაღალთა შინა!“ „ოსანა“ ნიშნავს – „უფალი მოდის“, „ხსნა უფლისგანაა“ – განმარტავს არქიმანდრიტი რაფაელი.

ბზობის სადღესასწაულო წირვაზე, მართლმორწმუნე ქრისტიანებს ხელთ უპყრიათ ბზის ტოტები, ნიშნად იმისა, რომ თითოეული ჩვენგანი ვუერთდებით იმ გუნდს, რომელიც სიყვარულის გამოსახატავად გზაზე უფენდა უფალს სამოსს თუ პალმის ტოტებს. ღვთისმსახურნი მლოცველთა მიერ მიტანილ ბზას აკურთხებენ და „ოსანას“ გალობით აღავლენენ ღმერთის დიდებას. „ოსანა“ ნიშნავს, რომ ამ დღეს, ქრისტე უხილავად მოდის ჩვენს გულებთან.

V საუკუნეში მოღვაწე, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი, წმინდა პროკლე თავის ერთ-ერთ სიტყვაში ამბობს: „ხელთ ვიპყრათ პალმის ტოტები და შევეგებოთ დიდებით მომავალს უფალს ჩვენსას“. ბზობის სადღესასწაულო მსახურებაზე სადღესასწაულოდ განდიდდება იერუსალიმში უფლის დიდებით შესვლა, რითიც წმინდა ეკლესია შეგვახსენებს, რომ ყოველი ქრისტიანი მზად უნდა იყოს, რათა სულიერად მივეგებოთ უფალს, სამოსლის ნაცვლად, გული დავუფინოთ ვირზე თავმდაბლად მჯდომარე მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი, პალმის ტოტებივით მივართვათ მას და ისეთივე დიდებით მივიღოთ უფალი საკუთარ სულში, როგორითაც მიიღეს იერუსალიმში, ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების შემდეგ.

ბზობის დღესასწაულზე ნაკურთხ ბზას სალოცავ კუთხეში უნდა მივუჩი-

ნოთ ადგილი და მომდევნო წლის ბზობის დღესასწაულამდე შევინახოთ; შარშანდელი ბზობის დღესასწაულზე ნაკურთხი ბზა კი, მივიტანოთ ტაძარში და დავწვათ. ბზა შეიძლება დაიწვას შინაც, სუფთა ადგილზე – ყვავილების ბაღში ან ვენახში.

ხარება

ხარების საუფლო დღესასწაულს წმინდა ეკლესია ყოველწლიურად, 7 აპრილს დღესასწაულობს. ის დადგენილია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი ხარების ამბის აღსანიშნავად, რომელიც მთავარანგელოზ გაბრიელისგან მიიღო.

ხარება ქალწულ მარიამისადმი გალილეის ქალაქ ნაზარეთში მოხდა. ხარება განსაკუთრებული დღეა – როდესაც უფალმა არ დაივიწყა მისგან სიყვარულით შექმნილი ადამიანი და გადაწყვიტა, დაეხსნა იგი ცოდვისა და სიყვარულის ტყვეობისგან. ცოდვით დამძიმებული ქვეყნიერებისთვის ყოველი სიკეთის დასაწყისი ის დღე გახდა, როცა ყოვლადწმინდა ქალწულს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და აუწყა: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ (ლუკა 1; 28). მთავარანგელოზი წმინდა ქალწულს აუწყებს, რომ ის მომავალში გახდება დედა ღვთისა, განკაცებული ღმერთისა, რომელმაც ცოდვით დაცემული კაცობრიობის ხსნა უნდა იტვირთოს: „აი დაორსულდები და გააჩენ ძეს და მას სახელად იესოს დაარქმევ“ (ლუკა 1; 31). ამ დღეს, ხარება ეწოდება, რადგან არა მხოლოდ ქალწულ მარიამს, არამედ მთელ კაცობრიობას ეხარა, რომ სახიერმა ღმერთმა თავისი გამოუთქმელი კაცთმოყვარეობით ინება ცოდვის მონობაში მყოფ ადამიანთა მოდგმის გამოხსნა. თავად ქალწულ მარიამს თავის არსებაში დაუტევნელი უნდა დაეტია – ანუ დაეტია ღმერთი, რომელიც ადამიანთა საცხონებლად უნდა მოსულიყო; ამავდროულად წმინდა ქალწულს წილად ხვდა ბედნიერება – გამხდარიყო ჭურჭელი განკაცებული ღმერთისა. მისგან გამობრწყინდებოდა ნათელი, მარადიული სიხარულისა და იგი შეიქმნებოდა კიბე ზეცისა, რომლითაც გარდამოხდებოდა ღმერთი, ამით კი განცხადდებოდა იაკობის სიზმარი: მის მიერ ხილული კიბე ხომ, ღვთისკენ მიმავალი გზის სიმბოლოა, ძველთაგანვე ღვთისმშობლის ერთ-ერთ პირველსახედ მიჩნეული: „კიბედ იაკობისად იწოდე შენ, რომელსა გარდამოხდა დაბადებული მხსნელად ჩუენდა“, – ვკითხულობთ ღვთისმშობლის მიმართ „ძილისპირნში“.

მთავარანგელოზისგან მიღებული სასიხარულო უწყების შემდეგ, ქალწულობის აღთქმის ქვეშ მყოფი მარიამი გაკვირვებულია და მთავარანგელოზს ბუნებრივ კითხვას აძლევს: „ვითარ მე იყოს ეს ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არ ვიცი“ (ლუკა 1; 34). ამ კითხვით მარიამი არა ურწმუნოების გამო, არამედ გონივრულად იძიებს, თუ როგორ აღესრულება ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი ეს საიდუმლო – უმამაკაცოდ შობა, რომელიც კაცობრიობამ არ იცოდა. მთავარანგელოზი პასუხობს: „სული წმიდაი მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაი გფარავდეს შენ“ (ლუკა 1; 35). ამის შემდეგ ღვთისმშობელი ღვთის ნებას ემორჩილება: „აჰა მხევალი უფლისა, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენის“ (ლუკა 1; 38). ამ სიტყვების შემდეგ, მარიამს მთავარანგელოზი განეშორა, რადგან მისია, რისთვისაც ზეციდან იყო მოვლინებული, აღესრულა. ყოვლადწმინდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში კი, სულიწმიდა შევიდა და მისი ბუნება განწმინდა; მის წიაღში წმინდა ნაყოფი ჩაისახა. აქედან გამომდინარე, ხარების დღესასწაული არა მარტო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი ხარების, არამედ უფალ იესო ქრისტეს ჩასახვის – მისი ხორცშესხმის ანუ განკაცების დღესასწაულიცაა. სწორედ ამ დღეს დაედო დასაბამი ქრისტეს გზას, ჩვენი ცოდვით დამძიმებულ დედამიწაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წმინდა ქალწულზე სულიწმიდა ორგვარი დანიშნულებით გადმოვიდა: „ერთი – განეწმიდა პირველქმნილი ცოდვისგან (რადგან იმ დიდი სიწმინდის მიუხედავად, რომელიც მარიამს ჰქონდა, პირველი ადამიანების ცოდვისგან სრულიად თავისუფალი მაინც არ იყო). მეორე – რომ მის წიაღში ჩასახულიყო წმინდა ნაყოფი „და მაშინ სწორედ, როდესაც მოხდა ეს გარდამოსვლა, მაღალი ღმერთის ძალამ, ძემ ღვთისამ, თანაარსმა მამისა დაჰფარა ქალწული“ – „ძალი მაღლისაი გფარავდეს შენ“ ამას ნიშნავს“ – გვიქადაგებს დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი.

„სახარებაში“ არ არის მინიშნებული, თუ რა დროს ან რა ვითარებაში გამოეცხადა მარიამს მთავარანგელოზი გაბრიელი. ამის შესახებ ეკლესიაში სხვადასხვა საღმრთო გადმოცემაა შემონახული. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ხარებისას მარიამი წმინდა წერილს კითხულობდა, კერძოდ, ესაიას წინასწარმეტყველების იმ ადგილს, სადაც საუბარია ქალწულზე, რომელიც შობს ძეს და სახელად ემანუელს უწოდებს (ემანუელ ნიშნავს – ჩვენთან არს ღმერთი). ღვთისმშობელი სიყვარულით განიმსჭვალა იმ ქალწულის მიმართ და ღმერთს შესთხოვდა, რომ მის უკანასკნელ მოახლედ დაედგინა. სწორედ ამ დროს გამოეცხადა მას მთავარანგელოზი გაბრიელი და აუწყა, რომ სწორედ ის იყო ქალწული, რომელიც ესაიას წინასწარმეტყველებას განახორციელებდა – ანუ შობდა მაცხოვარს. ამიტომაც იყო წმინდა მარიამი კურთხეული დედათა შორის. ასევე არსებობს საღმრთო გადმოცემა, რომ წმინდა მარიამი ხარებისას თითისტარით ძაფს ართავდა. ამიტომაც არის, რომ ხარების ხატზე გამოსახული ღვთისმშობელი ან ტახტზე ზის და წმინდა წერილს კითხულობს, ან თითისტარით და ძაფის გორგლით გამოისახება, ზოგან კი – ლოცულობს. მთავარანგელოზი გაბრიელი ყოველთვის მოძრაობის მომენტშია გამოსახული.

ხარება

ხარების სცენა მრავალ ფრესკაზე, ხატსა თუ მინიატურაზეა გამოსახული, მაგრამ მისი მოქმედების ადგილი დაკონკრეტებული არ არის, თუმცა ყველგან ის სახლი იგულისხმება, სადაც ცხოვრობენ მარიამი და მართალი იოსები – „ქმარი მარიამისა“. სცენაში რამდენიმე სიმბოლური მინიშნებაა: სულიწმიდის აღმნიშვნელი სიმბოლოა – ზეცის გახსნილი სეგმატიდან გადმოსული მტრედი; ორ კოშკზე გადაფენილი წითელი ქსოვილი – ღვთისმშობლის ღირსების, ამავდროულად – „ძველი“ და „ახალი აღთქმის“ კავშირის მიმანიშნებელია; თეთრი შროშანი გამოსახულია მარიამის უბიწოების სიმბოლოდ; ანთებული სანთელი – ღვთისმშობლის სულიერი წვის აღსანიშნავად; ვაშლი – პირველქმნილი ცოდვის შედეგის, ხარების მეშვეობით დაძლევის ნიშნად.

■

მარიამ ციციშვილი – უკანასკნელი დედოფალი, 9 გერის დედინაცვალი და კაცის მკვლელის ირიდოთ დალდასმული ეშიგრანტი

მარიამ ციციშვილი

...ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის საწოლ ოთახში შესული გენერალი ივან ლაზარევი უკან მკვდარი გამოიტანეს... ამ ამბავმა იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. თანამედროვეთა ერთმა ნაწილმა მარიამ ციციშვილი კაცის მკვლელად და ფსიქიკაშერყეულ ადამიანად შერაცხა, მეორე ნაწილმა კი — გმირად გამოაცხადა...

ნათია ფსუტური

დასაწყისი იხ. „გზა“ №13

გენერალ ლაზარევის უეცარმა გარდაცვალებამ საზოგადოების საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ხსენებული ინციდენტის შესახებ წერდნენ, როგორც ამ ფაქტის თვითმხილველნი, ასევე ქართველი და ევროპელი ისტორიკოსები და მწერლები. აღნიშნული საქმის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის თბილისის კომენდანტის, მაიორ დავით სააკაძის პატაკი, რომლითაც ის პავლე ციციანოვს აცნობებდა:

„ამ თვის ცხრამეტ რიცხვს *(1803 წ. 19 აპრილი. – ავტ.)* დილის 6 საათზე თანახმად თქვენი ბრძანებულებისა... დედოფალ მარიამის რუსეთში გასასტუმრებლად გენერალ ლაზარევის მითითებით გამოვცხადდით *(დედოფლის. – ავტ.)* სახლში... ქართული ენის მცოდნე კვარტირმეისტერ სუროკოვს ვუბრძანე დაეყოლიებინა იგი (დედოფალი) რუსეთში წასვლაზე. სუროკოვის, ასისთავ კრიმოვისა და სურგუნოვის გარდა მე და იქ მყოფი დანარჩენი ოფიცრები გარეთ გამოვედით... ამ დროს კვარტირმეისტერი სუროკოვი, ის იყო, მივიდა დედოფალთან ახლოს, რომ ბატონიშვილმა ჯიბრაილმა *(დედოფლის ვაჟი. – ავტ.)* და მეფის ასულმა თამარმა (მარიამის ქალიშვილი) ამოიღო კაბის ქვეშ დამალული შიშველი ხანჯალი და ეცნენ სუროკოვსა და ოთახში მყოფ სხვა ოფიცრებს გარეთ გამოსარეკად. ლაზარევმა გაიგონა ხმაური, შევარდა ოთახში და მივარდა თავის ქვეშაგებში მჯდომ დედოფალთან. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ, დედოფალმა საბნისქვეშ დამალული ხანჯალი ამოიღო და მარცხენა გვერდში დასცა. გენერალ-მაიორმა ლაზარევმა ოთახი გაირბინა და ზღურბლზე დაეცა მკვდარი“.

დავით სააკაძე აღნიშნავს დედოფლის დაშავების ფაქტსაც, მაგრამ მარიამ ციციშვილისათვის ჭრილობის მიყენებას, შემთხვევითობას მიაწერს. თბილისის კომენდანტის სიტყვებით რომ ვთქვათ: „თავის დედასავით გააფთრებულმა მეფის ასულმა თამარმა ხანჯლითვე მიირბინა სურგუნოვთან... დასჭრა იგი მარცხენა მხარში. დედოფალმა თამარის ხანჯალს სტაცა ხელი, რათა, როგორც მან წარმოსთქვა მოეკლა *(სურგუნოვი. – ავტ.)* და გაიჭრა ხელი...“

ასეთია ივანე პეტრეს ძე ლაზარევის მკვლელობის ოფიციალური ვერსია. ისტორიკოს-მკვლევართა მტკიცებით, ის ძალზე ტენდენციურია. ბუნებრივია, რუსეთის სამსახურში მყოფი პირისათვის დედოფლის გამტყუნება უფრო იოლი იყო, ვიდრე თავის ხელმძღვანელთა შეცდომების აღიარება.

ამ ინციდენტის თაობაზე არსებობს მეორე – არაოფიციალური ვერსიაც.

ისტორიკოს პლატონ იოსელიანის გადმოცემით: „ესე ლაზარევი მოიკლა არა დედოფლისგანა, რომელსაცა მიაწერეს ესე და არცა ჯიბრაილისაგან. დროსა მას როდესაც ლაზარევმან ციციანოვისა ბრძანებითა შემოარტყა ჯარი დედოფლისა სასახლესა და შევიდა თვით ლაზარევი გამოსაყვანად მისსა, იყო 8 საათი დილისა, დედოფალმან მოსთხოვა დრო და მოთმინება: შვილებსა წვრილებსა სძინავთო. ლაზარევმან ეს თხოვნა არ მიიღო, გაბედა და სტაცა ხელსა და მრისხანედ უთხრა: ეხლავ გამოდით, ჯარი ვერ მოგიცდისთ დიდხანსო. მაშინ მუნ (იქ) მყოფმან თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმან მსწრაფლ ამოიღო ხანჯალი დასცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა და თვით ხიმშიაშვილი... გავიდა ქალაქიდან, გაიქცა ახალციხეს და მუნ მოკვდა 1807 წელს“.

პლატონ იოსელიანი ასახელებს იმ პირის ვინაობასაც, რომელმაც ჭრილობა მიაყენა მარიამ დედოფალს. ის წერს: „თვით დედოფალი დასჭრა ხმლითა მკლავში სომეხმან კაჭკაჭიშვილმან...“

აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსი ასახელებს მის მიერ გადმოცემული ამბის პირველწყაროსაც. ის წერს: „მოკვლა ლაზარევისა ხიმშიაშვილისაგან ცნობილი სხვათაგანცა მრავალთა თვით მიამბო დედოფალმან მარიამ“.

პავლე ლაზარევის მკვლელად, მარიამ დედოფალთან დაახლოებული პირნი და ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელნი რომ თავად ნიკოლოზ ხიამშიაშვილს მიიჩნევდნენ, ამას ადასტურებს ისტორიკოსების, დავით და ბაგრატ ბატონიშვილების მონაცემები. სამეგრელოს დედოფალი ნინო (გიორგი მეთორმეტის ასული) 1817 წელს, მთავარმართებელ ერმოლოვს სწერდა, რომ ხიმშიაშვილ ნიკოლოზს სიკვდილის წინ მისთვის უთქვამს – ლაზარევი მე მოვკალიო.

არსებობს თავად მარიამ დედოფლის მიერ რუსეთის საიმპერატორო კარზე გაგზავნილი ვრცელი ბარათი. წერილში დედოფალი საუბრობს რუს მოხელეთა მიერ საკუთრივ მის და მცირეწლოვანი ბატონიშვილების მიმართ განხორციელებული მორალურ-ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ. ის ხაზს

უსვამს ლაზარევის მკვლელობის საქმეში თავის უდანაშაულობას, მაგრამ არ ასახელებს მკვლელის ვინაობას. არადა, ამ ადამიანის დასახელებით მარიამ დედოფალს ეძლეოდა რეალური შანსი, მოეხსნა მკვლელის იარლიყი, რომელსაც ასეთი გულმოდგინებით აკერებდნენ მას რუსი ჩინოვნიკები.

დედოფლის წერილისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ის, როგორც „ადამიანის მკვლელი", ყოველგვარი პატივისა და ღირსების დაცვის გარეშე გაუყენეს რუსეთის გზას. გადასახლებაში მიმავალი გიორგი მეთორმეტის ოჯახი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მათ გამცილებლად დანიშნულ გენერალ ტუჩკოვს კი, ციციანოვისგან სპეციალური მითითება ჰქონდა მიღებული – „დედოფალ მარიამს, რომელმაც მხეცივით მოკლა ლაზარევი, ჭამის დროსაც არ მისცეთ დანა".

გიორგი მეთორმეტის ჯალაბობა ბელგოროდის დედათა მონასტერში დააბინავეს. მარიამ დედოფალი და ბატონიშვილები იქ უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ ეკრძალებოდათ ბინიდან შორს წასვლა, ქალაქიდან გასვლაზე ხომ ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მკაცრი მეთვალყურეობა გახლდათ დაწესებული დედოფალთან სტუმრად მისულ პირებზეც, რათა პატიმრებს გაპარვის არათუ შესაძლებლობა, არამედ იმედიც არ მისცემოდათ. ბელგოროდში მარიამ დედოფალს ძალზე ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებიც ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, ისტორიკოს მიხეილ გონიკიშვილის გადმოცემით: „თავისი ჩაცმულობითა და გარეგნობით მაინც კარგი ელფერი ედო *(მარიამ დედოფალს. – ავტ.)* და ყველა უცხო მნახველი, ვისაც მის შესახებ გაგონილი ჰქონდა, ან აღწერილობით იცნობდა, უმალ რწმუნდებოდა, რომ მის წინაშე *(აღმოსავლეთ. – ავტ.)* საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის ქვრივი, დედოფალი მარიამი იდგა".

მარიამ ციციშვილს ბელგოროდის დედათა მონასტრიდან გაქცევა არ უცდია. „თუ ვისმეს მისი ნახვა უნდოდა, ისინი კვირა უქმე დღეს დედათა მონასტერში მიდიოდნენ, რომ იქ დედოფალი ენახათ წირვის დროს... მარიამ დედოფალს უყვარდა გულმხურვალედ ლოცვა და ხშირად იყო მუხლმოყრილი. იგი მაღალი და მოხდენილი ტანადობით, მკაცრი სახის გამომეტყველებით და არწივისებური ცხვირით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე".

ცნობისმოყვარე თვალი მარიამ ციციშვილს აშკარად გამოარჩევდა ეკლესიაში მყოფი მრევლისაგან. დედოფალს მუდამ ქართული ტანსაცმელი ემოსა და თავზეც ეროვნული, ოქროს სირმებით მორთული ლეჩაქი ეხურა. ასე ცდილობდა ბაგრატიონთა ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი ერთი მხრივ, სამშობლოსთან განშორებით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქებას, ხოლო მეორე მხრივ, უცხო გვარ-ტომის ადამიანთა თვალში ეროვნული ნიშნის შენარჩუნებას.

34 წლის მარიამ დედოფალს ბელგოროდში დამკვიდრების პირველ წლებში იმედი ჰქონდა, რომ საცხოვრებლად სანქტ-პეტერბურგში გადაიყვანდნენ, მაგრამ საიმპერატორო კარი დუმილს ამჯობინებდა. გიორგი მეთორმეტის ქვრივს სახვეწარი გაუხდა ის, რასაც ცოტა ხნის წინ, თავად იმპერატორი სთხოვდა მას. მარიამ დედოფალი იძულებული გახდა, რუსეთის მესვეურთათვის სანქტ-პეტერბურგში დამკვიდრების უფლება, ოჯახისა და ამალის შესანახი ხარჯების გამოყოფა ერთდროულად ეთხოვა. მარიამ ციციშვილმა ალექსანდრე პირველის მიერ ხელმოწერილი წერილი მიიღო. რუსეთის იმპერატორი თანახმა იყო, ქართველი დედოფლისათვის ყოველწლიურად 11.000 მანეთი მიეცა, საცხოვრებლად სანქტ-პეტერბურგში გადასვლის თაობაზე კი, პასუხი უარყოფითი გახლდათ...

1806 წელს, ბაქოში პავლე ციციანოვი მოკლეს. ამავე წლის 10 დეკემბერს, მარიამ დედოფლის ვაჟებმა – ჯიბრაილმა, ილიამ და ოქროპირმა თხოვნით მიმართეს იმპერატორს – მათი დედისათვის სანქტ-პეტერბურგში ცხოვრების უფლება მიეცა. საიმპერატორო კარმა საჭიროდ მიიჩნია, ლაზარევის მკვლელობის საქმის ხელახალი განხილვა. როგორც მოსალოდნელი იყო, რუს სამართალდამცველებს სიმართლის დასადგენად თავი არ გამოუდვიათ. მარიამ დედოფლის გამართლება ხომ საქართველოს მიმართ წარმოებული რუსეთის პოლიტიკის მარცხის აღიარების ტოლფასი იქნებოდა. სპექტაკლი სახელწოდებით „გამოძიება" მაინც გაიმართა. დამნაშავედ კვლავ გიორგი მეთორმეტის ქვრივი გამოაცხადეს.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის მდგომარეობა არსებითად, უცვლელი დარჩა. ერთადერთი ცვლილება ის იყო, რომ 1809 წელს, იმპერატორმა მარიამ დედოფალს ბელგოროდიდან გასვლის ნება დართო.

ქართველი დედოფლის საყოფაცხოვრებო პირობები 1811 წლიდან, წინა ხანასთან შედარებით გაუმჯობესდა. მას ალექსანდრე პირველმა მოსკოვში ცხოვრების უფლება მისცა და სამუდამო პენსიად, 10 ათასი მანეთი დაუნიშნა.

გიორგი მეთორმეტის ქვრივმა თითქმის 47 წელი იცხოვრა რუსეთში. ამ ხნის მანძილზე, მას არასოდეს ტოვებდა სამშობლოსთან განშორებით გამოწვეული სევდა. მოსკოვში დასახლების შემდეგ, მარიამ დედოფალმა გააქტიურა საქართველოში მყოფ ახლობლებთან მიმოწერა. ხოლო როცა უკვე ღრმად მოხუცებულმა დედოფალმა იგრძნო აღსასრულის მოახლოება, მან რუსეთის იმპერატორს სამშობლოში დაბრუნების ნება სთხოვა, რათა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები მაინც გაეტარებინა მშობლიურ მიწაზე და გარდაცვალების შემდეგ, სამუდამო განსასვენებელი მისთვის, მეუღლის გვერდით მიეჩინათ.

80 წელს გადაცილებული, დაუძლურებული მარიამი იმპერიისთვის საშიშ პიროვნებას აღარ წარმოადგენდა. ალექსანდრე პირველმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა. საიმპერატორო კარმა ქართველ დედოფალს სამგზავრო თანხაც გამოუყო და გამგზავრების დროც დადგინდა. ნატანჯ მარიამს თითქმის ნახევარი საუკუნის ნატვრა უსრულდებოდა...

ქართლ-კახეთის უკანასკნელ დედოფალს უკვე მრავალი წელია, ბედი არ წყალობდა და აი, ბედის ირონია: მაშინ, როდესაც სამშობლოში დაბრუნებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღა რჩებოდა, მარიამ ციციშვილს მკვეთრად გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ის სწრაფად უძლურდებოდა... 1850 წლის 30 მარტს კი, სამუდამოდ დახუჭა თვალები. სამშობლოში დაბრუნებისა და მშობლიური მიწის ხილვის სურვილი მრავალტანჯული დედოფლისათვის აუხდენელ ოცნებად დარჩა.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს და მცხეთაში თანამეცხედრის გვერდით დაკრძალეს. სამგლოვიარო ცერემონიას მრავალი ქართველი დაესწრო, რათა ტანჯული დედოფლისათვის უკანასკნელად მიეგო პატივი.

■

ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი შტეფან ეფენბერგი, რომელიც თავისი ბრწყინვალე სპორტული კარიერის დასასრულს, კატარში გადაბარგდა, გასული წლის ბოლოს, ოფიციალურად გაეყარა მეუღლეს. ცოტა ხნის შემდეგ კი, მან თავის „ბავარიელ“ ექსთანაგუნდელს, ტომას შტრუნცს ცოლი „წაართვა“, რომელზეც მალე იქორწინა კიდეც. შტეფანის პირად ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა ერთი შეხედვით, მშვიდად ჩაიარა, მაგრამ ამას წინათ, მისმა ყოფილმა მეუღლემ მარტინამ ინტერვიუ მისცა ჟურნალ Bunte-ს, რამაც მთელ გერმანიაში საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია.

ზნედაცემულთა ბუნდესლიგა

„ბევრი ფეხბურთის ვარსკვლავი ძალზე იოლად ებმება მახეში და ვერ ხვდება, რომ მას ქალები უტიფრად იყენებენ, — ამბობს აღშფოთებული მარტინა. — ამ ქალბატონებს ხომ მხოლოდ დაორსულების შემდეგ, მატერიალური პრობლემების იოლად გადაჭრის სურვილი ამოძრავებთ. ამ მხრივ ბოლო წლებში, მართლაც, არაჯანსაღი ტენდენცია შეინიშნება. აღმაშფოთებელია, როდესაც მამაკაცები არა თავით, არამედ სხვა ადგილით „აზროვნებენ“! გაუგებარია, როგორ შეიძლება, ასე იოლად გადაჭრა ოჯახსა და ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები. რისთვის სჭირდებათ მათ ამ ზნედაცემულ ქალბატონებთან ურთიერთობა? მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთ მამაკაცურ ღირსებაში დარწმუნდნენ?!“...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარტინას მიერ მიცემულმა ინტერვიუმ გერმანულ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რაც მხოლოდ შტეფან ეფენბერგის პირადი ცხოვრების დეტალების გამომზეურებას არ მოჰყოლია. გერმანელი ნახევარმცველის ყოფილი ცოლი ამტკიცებს, რომ მთელი ბუნდესლიგა უზნეობის ჭაობშია ჩაფლული. „გასვლით მატჩებზე შტეფანს ხშირად დავყვებოდი, — იხსენებს მარტინა. — ეს მას თავადვე სურდა. საღამოობით, საკუთარი თვალით ვხედავდი, თუ როგორ შეჰყავდათ მოთამაშეებს გოგონები სასტუმროს ნომრებში. მეორე დღეს კი, მატჩის მსვლელობისას, ვითომც აქ არაფერიო, საქორწინო ბეჭედს კოცნიდნენ და ტელეკამერის წინ მეუღლეებს ხელს უქნევდნენ... ამგვარი პირმოთნეობა მეტისმეტად აღმაშფოთებელია! ვუყურებ ოლივერ კანს და მის ახალ მეგობარ გოგონას და ვრწმუნდები, რომ ეს უკანასკნელი მას ვერ შეინარჩუნებს. ვინც ერთხელ გაბედავს ღალატს, ამას შემდგომშიც გაიმეორებს. მე კი ასეთი ქმარი არ მსურდა. ადამიანებს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ის ადრე თუ გვიან აუცილებლად მიმატოვებდა. სხვა რომელიმე ფეხბურთელთან ფლირტი კი, ნამდვილად არ მსურს. ღმერთმა დამიფაროს ამისგან!.. მით უმეტეს, არასოდეს მივიყვანდი საქმეს ფეხმძიმობამდე და ქორწინებამდე. ამჟამად ამ პროფესიის მამაკაცებთან ურთიერთობას ნამდვილად გავურბივარ. შტეფანთან ერთად ცხოვრებამ ჭკუა მასწავლა. ის კი, დღესაც არ არის ბედნიერი — ეს დანამდვილებით ვიცი. საგულისხმოა, რომ იგი დღესაც დაუფარავად მელაპარაკება საკუთარ პირად ცხოვრებაზე, მაგრამ ეს გზა მან თავადვე აირჩია და დაე, ამ მიმართულებით იაროს. ფრაუ შტრუნცს კი, ჩემს სახლში ვერასოდეს შემოვუშვებ. ერთხელ, ასეთი შემთხვევა მართლაც მქონდა: შტეფანი კლაუდიასთან ერთად ჩემთან მოვიდა და მთხოვა — რამდენიმე საათი ერთად ვიყოთო. მე კლაუდიას ზღურბლზე გადმობიჯების უფლება არ მივეცი და ის იძულებული გახდა, მანქანაში დარჩენილიყო. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მათ ორიოდე ბოთლი მინერალური წყალიც არ მოუტანიათ“.

რა თქმა უნდა, ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, გულგრილი ვერ დარჩებოდა ეფენბერგის ამჟამინდელი ცოლი კლაუდია, რომელმაც მარტინას შეტევას მაშინვე უპასუხა: „ჩვენს პირად ცხოვრებაზე საუბრის უფლება მხოლოდ მე და შტეფანს გვაქვს. სხვებმა კი, თავი დაანებონ ჩვენს განქიქებას. ეს მარტინასაც ეხება, რომელიც ჩვენგან დიდი მანძილითაა დაშორებული. შტეფანთან ერთად თავს მშვენივრად ვგრძნობ. უზომოდ ბედნიერი ვარ და მსურს, რომ ამ შეშლილმა მარტინამ თავი დაგვანებოს. ვიამაყებდი, ჩემი ყოფილი მეუღლე ტომასიც რომ ეფენბერგის მსგავსად მომპყრობოდა“.

რაც შეეხება თავად კატარში მოასპარეზე შტეფანს, რომელიც არა მარტო თავისი დიდებული საფეხბურთო წარსულით, არამედ სკანდალური ცხოვრებითაცაა ცნობილი, მან ძალების ლიტერატურაში მოსინჯვაც გადაწყვიტა და ცოტა ხნის წინ, ავტობიოგრაფიული წიგნი — „მე ეს ყველას ვუჩვენე“ — გამოუშვა. წიგნმა საზოგადოებაში უმალვე დიდი დაინტერესება გამოიწვია. კატარში კი, ეფენბერგის ნაშრომის გასაღება აკრძალულია, ოღონდ — არა მისი შინაარსის (რომელშიც ფეხბურთელის პირადი ცხოვრების ინტიმური მომენტები დაწვრილებითაა აღწერილი), არამედ წიგნის ყდაზე გამოსახული ფოტოს გამო: მასზე კლაუდია მუცელზე კოცნის შტეფანს, რაც მუსლიმანურ ქვეყნებში, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელია. არადა, ეჭვგარეშეა, რომ ფეხბურთელის ავტობიოგრაფია კატარშიც ბესტსელერი გახდებოდა. თუმცა, ამ ქვეყნის მკვიდრნი არალეგალური გზით მაინც ახერხებენ წიგნის ხელში ჩაგდებას.

ახლა კი, კვლავ მარტინა-კლაუდია-შტეფანის ინტიმურ სამკუთხედს დავუბრუნდეთ. ყოფილი ცოლის მოსაზრება

უყურადღებოდ არ დაუტოვებია ეფენ-ბერგსაც, რომელიც Bunte-ში მარტინას ინტერვიუს გამოქვეყნებიდან ცოტა ხნის შემდეგ, გაზეთ Bild-ის კორესპონდენტს ესაუბრა. „ჩემთვის გაუგებარია, რატომ იქცევა მარტინა ასე, – ამბობს ფეხბურთელი. – მე ხომ ძალისხმევა არ დამიშურებია, რათა ჩვენი განქორწინება მშვიდობიანად დასრულებულიყო. მჯეროდა, რომ მისთვის განაწყენების საბაბი არ მიმიცია. ყოველგვარი სასამართლო ჩარევის გარეშე, მარტინას ჩემი ქონების ნახევარი დავუტოვე. მართალია, იგი ჩემი მენეჯერიც იყო, მაგრამ ეს ხომ ყველაფერს არ ნიშნავს. მე მას ვუსახელებდი თანხას, რომელიც ჩემით დაინტერესებულ კლუბს ან ფირმას უნდა გადაეხადა, ხოლო ის ჩემი სურვილის შესახებ საჯაროდ აცხადებდა. არც იმას დავმალავ, რომ მარტინა ამას ჩინებულად აკეთებდა. თუმცა, ბევრი კონტრაქტი (მაგალითად, ფეხსაცმლისა და საათების მწარმოებელ ფირმებთან) თავად გავაფორმე. ახლა მან შემოგვიტია, მაგრამ ვერ გამიგია, რატომ სვრის ტალახში ჩვენს განვლილ ცხოვრებას. ის ხომ ჩემთან ერთად ყოველთვის კომფორტულად ცხოვრობდა?! მე მას ყველა მიმართულებით „მწვანე შუქი“ ავუნთე. თუ მართლაც ასე საშინლად გრძნობდა ჩემთან თავს, რატომ არ დაიბრუნებს ქალიშვილობის გვარს?!. თუმცა მასთან ომი ნამდვილად არ მსურს, მაგრამ თუ ის კვლავ შემომიტევს, შესაფერის პასუხს გავცემ... ამჟამად ძალზე ბედნიერი ვარ. კლაუდია ჩემი ოცნების ქალია. ასე რომ, მარტინას შეუძლია, ამ მხრივ მშვიდად იყოს... ცოტა ხნის წინ, კლაუდია ჩემთან დოჰაში (კატარი) ჩამოფრინდა, რითიც ძლიერ გამახარა“...

■

რაული: «რეალის» ინტერესები ჩემთვის მთავარია

ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, რომ მადრიდის „რეალში“ რონალდოს გამოჩენის შემდეგ, ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის ჩრდილში მოექცა „სამეფო კლუბის“ ქომაგთა საყვარელი ფეხბურთელი რაული. ცოტა ხნის წინ, ესპანელმა ფორვარდმა ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ევროპულ საფეხბურთო გამოცემას და საკუთარი აზრი გამოთქვა არა მარტო რონალდოს, არამედ თავისი სხვა თანაგუნდელების შესახებაც.

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს „რეალში“ რონალდოს ჩარიცხვის შემდეგ, რაულმა ამპლუა შეიცვალა: იგი მეტოქის კარისაგან მოშორებით თამაშობს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ბრაზილიელი თავდამსხმელი საგოლე პასებით მოამარაგოს...

– ზოგიერთ მატჩში გოლის გატანის საშუალება მართლაც არ მეძლევა. მაგრამ მთავარი, პარტნიორებთან ადაპტაციაა. ჩვენს შემადგენლობაში რონალდოს ჩარიცხვამ გუნდის თამაშის ფორმა შეცვალა. ის დიდებული ფეხბურთელია და მთელი გუნდი მას უნდა მოერგოს. ხოლო თუ „რეალი“ წარმატებულად ასპარეზობს, რაულს მნიშვნელობა აღარ ენიჭება. როგორ ფორმაში ვარ? მე კვლავაც გავიტან გოლებს. შეიძლება, მოწინააღმდეგის კარისგან შორს ვიმყოფებოდე, მაგრამ გოლების გატანას ყოველთვის ვცდილობ.

— რა შესძინა ამ ცვლილებებმა გუნდს?

– გუნდში წონასწორობა უნდა იყოს შენარჩუნებული. „რეალი“ მართლაც არაჩვეულებრივი კლუბია, რომელსაც ძალიან ძლიერი თავდასხმა ჰყავს, თუმცა ხშირად, პრობლემებიც გვექმნება, რადგან მეტოქე ჩვენს კართან ბევრ საგოლე მომენტს ქმნის. მოწინააღმდეგის უპირატესობა არცთუ ისე იშვიათად, ცენტრიდან იგრძნობა, ამიტომ ზოგიერთ მატჩში უკან დახეული ვთამაშობ.

— ალბათ გიძნელდებათ იმ პოზიციაზე თამაში, საიდანაც ძნელია გოლების გატანა...

– მართალია. მაგრამ მთავარი ისაა, რომ გუნდმა გამარჯვებები იზეიმოს.

— საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად სტიმული ხომ არ გჭირდებათ?

– საქმე ისაა, რომ პირველ ტაიმში მეტოქენი ხშირად რისკავენ და აგრესიულად გვიტევენ ხოლმე. მაგრამ როდესაც მეორე ნახევარში გუნდების ფიზიკური კონდიციები თანაბრდება, პირველ პლანზე თამაშის კლასი გადმოდის. ასე ხდებოდა ბოლო რამდენიმე მატჩში. თავიდან ბურთს ვერ ვფლობდით, მაგრამ როდესაც შეხვედრის სადავეები კვლავ მოვიპოვეთ, არაერთი საგოლე მომენტიც შევქმენით. არც ის უნდა დაგავიწყდეთ, რომ ყველა გუნდი „რეალთან“ საასპარეზოდ დიდი მოტივაციით გადის მოედანზე.

— სეზონის დასაწყისში ამბობდნენ, რომ „რეალს“ სათადარიგოთა მოკლე სკამი აქვს, მაგრამ ამ მხრივ არცთუ ისე ცუდად უნდა გქონდეთ საქმე...

– ეს იმიტომ, რომ კანტერამ ჩინებულად გამოავლინა საკუთარი დიდი პოტენციალი.

— მას შემდეგ, რაც სალგადომ, გუტიმ და თქვენ კლუბთან კონტრაქტები გააგრძელეთ, ზიდანმა და რონალდომაც მოგბაძეს. დარჩა მხოლოდ ლუიშ ფიგუ...

– ყველანი გახარებული ვართ, რონალდომ და ზიდანმა ხელშეკრულებები რომ განაახლეს. „რეალის“ მომავლისთვის სტაბილურობისა და წონასწორობის შენარჩუნება აუცილებელია, ამიტომ კარგი იქნება, თუ მალე ხელშეკრულებებს ფიგუ, რობერტო კარლოსი და იკერ კასილასიც გაახანგრძლივებენ. ხანდახან ისეც ხდება, რომ ფეხბურთელისთვის „რეალიდან“ წასვლა უფრო სასარგებლოა, თუმცა პირადად მე ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ყველა ჩემი პარტნიორი კლუბთან კონტრაქტს გააგრძელებდა.

— ალბათ ფიგუსთან კონტრაქტის გაგრძელება ყველაზე რთული მისაღწევი იქნება...

– არავითარ შემთხვევაში. პრობლემა არ არსებობს – ის პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას და იმედი გვაქვს, რომ გუნდში დარჩება.

— რას ფიქრობთ კარდუშ კეირუშზე?

– ეს მწვრთნელი ბევრისთვის უცნობია. კეირუშს კარგად ესმის ფეხბურთი და ცდილობს, რომ საკუთარი ცოდნა გუნდს გადასცეს. მშვიდი, მორიდებული ადამიანია. კეირუშს ხშირად, უსაფუძვლოდ აკრიტიკებენ. მაგრამ ის ყველაფერს აკეთებს, რათა გუნდმა სრულად გამოავლინოს პოტენციალი.

■

აქტიური სექსი წონის დასაკლებად

ცნობილი გერმანელი მოცურავე და მამაკაცთა გულთა მპყრობელი ფრანცისკა ვან ალმსიკი მიიჩნევს, რომ შეჯიბრებებისთვის მზადების საუკეთესო ფორმა, სექსია. ფრანცისკამ სიდნეიში ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვება ვერ შეძლო, ამიტომ იგი ოცნების ასრულებას მომავალ ზაფხულს ათენში შეეცდება. წლევანდელი ოლიმპიური თამაშებისთვის ალმსიკმა 5 კგ კი დაიკლო (2000 წელს, იგი 72 კგ-ს იწონიდა, რაც შეიძლება, მისი წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზადაც მივიჩნიოთ). 2002 წელს, ტემპერამენტით ცნობილი ფრანცისკა, გერმანიის ვაუ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად, ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. ამჟამად კი, მოცურავე-ლამაზმანი გულმოდგინედ ემზადება ათენის ოლიმპიადისთვის. ფრანცისკა კვირაში 80 კმ-ს ცურავს, თავს იკავებს ცხიმიანი საკვების მიღებისგან და ბოიფრენდ შტეფან კრეჩმართან სიყვარულით იქცევს თავს. ალბათ ეს უკვე საკმარისია 5 კგ-ის დასაკლებად...

■

როი ჯონსი კომენტატორობას იწყებს

ცნობილმა მოკრივემ როი ჯონსმა ტელეკომპანია HBO-სთან გააფორმა კონტრაქტი. ამიერიდან, მსოფლიო ჩემპიონი მისი ექსკლუზიური კომენტატორის ამპლუაში მოევლინება კრივის სამყაროს. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ჯორჯ ფორმენს შეცვლის, თუმცა, 35 წლის როი სპორტული კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს. „ჯონსმა რინგზე უკვე გამოავლინა თავისი შესაძლებლობები, – ამბობს HBO-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტი რიკ ბერნშტაინი, – ამჯერად იგი საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების ტელემაყურებლისათვის გაზიარებას შეეცდება“. აღსანიშნავია, რომ როი ჯონსი ამ ტელეკომპანიასთან 1996 წლიდან თანამშრომლობს. ადრე მან რამდენიმე ორთაბრძოლას უკვე გაუკეთა კომენტარი. „კომენტატორის რანგში მუშაობის დაწყებას მოუთმენლად ველი, – ამბობს როი, – ვფიქრობ, შევძლებ ტელემაყურებლისთვის იმის გადაცემას, რასაც თავად დავინახავ ორთაბრძოლის მსვლელობისას და ყველასათვის გასაგებ ანალიზს გავუკეთებ მატჩებს.

■

ჯირკოროვმა ჯალათბურთელთან გააბა რომანი

გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ცნობილ რუს პოპმომღერალ ფილიპ კირკოროვს ავსტრალიელ კალათბურთელთან აქვს რომანი. WNBA-ს მოთამაშეს ლორეინ ჯექსონს კირკოროვი მოსკოვში ვალენტინ იუდაშკინის პროგრამის მსვლელობის დროს გაუცნია. ამ ღონისძიებაზე დასწრება ჯექსონს თურმე, მისი ახალი რუსული კლუბის ხელმძღვანელობამ ურჩია. მოგვიანებით, ფილიპი და ლორეინი ერთად შენიშნეს, კალათბურთელის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი, რუსი პოპუსიკოსი მასთან ურთიერთობას თურმე, ინტერნეტის საშუალებით განაგრძობდა. მალე ჯექსონის გუნდი რუსეთის ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში მიიღებს მონაწილეობას. ამიტომ პაპარაცები გულმოდგინედ ემზადებიან წყვილზე სანადიროდ.

■

სერ ალექსი ბექსს ისევ მტრობს

დევიდ ბექჰემსა და ალექს ფერგიუსონს შორის იდეალური ურთიერთობა რომ არ სუფევს, ეს ყველასთვის ცნობილია. მას შემდეგ, რაც „მანჩესტერის“ თავკაცმა ბექსს ბუცით წარბი გაუხეთქა, ეს უკანასკნელი „რეალში“ გადავიდა, თუმცა, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის დაპირისპირება ამით არ ამოწურულა. შოტლანდიელი სპეციალისტი კვლავაც მტრობს ბექჰემს და როგორც ჩანს, ცდილობს, რომ ინგლისელ ნახევარმცველს სხვებთან ურთიერთობაც გაუფუჭოს. მაგალითად, წელს ივლისში, რუდ ვან ნისტელროი დაოჯახებას და ქორწილში ყველა „მანჩესტერელი“ მეგობრის მიპატიჟებას აპირებს. ბუნებრივია, ჰოლანდიელ ფორვარდს არც დევიდი გამორჩებოდა, რომ არა ეს წყეული ფერგიუსონი, რომელმაც მართლაც, დიდი როლი ითამაშა ნისტელროის საფეხბურთო წინსვლაში. „რუდს სურს, რომ ყველაფერმა მშვიდად ჩაიაროს და ქორწილში მთავარ მოქმედ პირებად ფერგი და ბექსი არ იქცნენ. ეს ხომ ცირკი იქნებოდა...“ – განაცხადა ცოტა ხნის წინ, რუდ ვან ნისტელროის ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა. ერთი სიტყვით, „მანჩესტერის“ ფორვარდმა სერ ალექსის რისხვისაგან თავი უკვე დაიზღვია. ეს არცაა გასაკვირი: აბა, ვის ესიამოვნება ცხვირ-პირში ბუცის მოხვედრა?!.

■

„მეაცრი“ სასჯელი რეინის მაიეს

მაიკ ტაისონი ბავშვებს კრივის გაკვეთილებს უტარებს. სწორედ ამგვარი განაჩენი გამოუტანა მას სასამართლომ შარშან ივნისში ბრუკლინის სასტუმრო Marriott-ში გამართული მუშტი-კრივისთვის. მაშინ „რკინის მაიკმა“ თავისუფლების აღკვეთისგან თავი დაიძვრინა, თუმცა სავსებით შესაძლებელი იყო, რომ იგი ერთი წლით ციხეში ჩაესვათ. სასამართლომ კი, უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც ტაისონმა ბრუკლინის ერთ-ერთ საკრივო დარბაზში ბავშვებთან მუშაობას 100 საათი უნდა დაუთმოს. „ყურიკვნეტიამ“ რამდენიმე გაკვეთილი უკვე ჩაატარა. იგი პატარებს დიდი მონდომებით უხსნიდა, თუ როგორ უნდა იმოძრაოს მოკრივემ ორთაბრძოლისას და შეტევათა ბლოკირების რამდენიმე ილეთიც უჩვენა. საერთო ჯამში მაიკი ბავშვებს 50 გაკვეთილს ჩაუტარებს, რაც ალბათ თავად მისთვისაც არ იქნება უსარგებლო: შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი ორთაბრძოლა მან 2003 წლის 22 თებერვალს, მემფისში კლიფორდ ეტენთან ჩაატარა და მეტოქე სულ რაღაც 49 წამში ჩააგდო ნოკაუტში.

■

მოამგადა ალექსი რეხვიაშვილმა

ჟენევის ავტოსალონის მშვენება

თუმცა ამ ავტომობილის სქემა ახალი არ არის, იტალიელ კონსტრუქტორთა სპორტული მანქანა – Covini C6W მაინც სრულიად გამორჩეული იყო ცოტა ხნის წინ გამართული ავტოსალონის ექსპონატებს შორის. პირველად მსგავს მოდელად, ავტომოყვარულთ 1976 წელს, სარბოლო ბოლიდი Tyrell მოევლინა. მაშინ უჩვეულო მანქანით „ფორმულა-1“-ის შეჯიბრზე ავტომრბოლელი ჯოდი შექტერი წარდგა მყურებლების წინაშე. თუმცა, მას განსაკუთრებული შედეგისთვის არ მიუღწევია. Tyrell მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა, რის გამოც მისი სპურავები ძალზე სწრაფად ცვდებოდა. ამავე დროს, მანქანას პილოტების მოწონებაც ხვდა წილად იმის წყალობით, რომ მკვეთრ მოსახვევში დიდ სიჩქარეზე მოძრაობისას, სტაბილურ სვლას ინარჩუნებდა. უჩვეულო მოდელის აღორძინება ამჯერად, პატარა ქალაქ ვერბანიაში მდებარე ფირმა Covini-ს მესვეურებს გადაუწყვეტიათ.

Covini C6W აღჭურვილი იქნება 4,2 ლ სამუშაო მოცულობისა და 380 ცხ.ძ. სიმძლავრის 8-ცილინდრიანი ძრავათი, რომელიც 300 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. ახალი მოდელის მასა 1150 კგ-ს შეადგენს. მანქანის სიგრძეა 4,180 მ, სიგანე – 1,190 მ, სიმაღლე – 1,080 მ. მისი ძარა დამზადებულია პლასტიკისა და კარბონისგან და მყარ, ლითონის კარკასზეა აგებული. მასიური კარი მაღლა იღება. მანქანის სალონი ცისფერი ტყავითაა გაწყობილი, სპორტული, ე.წ. ანატომიური სავარძლები აქვს. მანქანის კომპლექტაციაში შედის: კონდიციონერი, უმაღლესი კლასის აუდიოსისტემა, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, საჭის გამაძლიერებელი. საერთოდ, ინჟინერთათვის განსაკუთრებულ სიძნელეს, წინა ოთხი ბორბლისთვის საჭის მართვის მექანიზმის კონსტრუირება წარმოადგენს, მაგრამ იტალიელმა სპეციალისტებმა აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი. კონსტრუქტორთა მტკიცებით, Covini ტრასაზე ექსტრემალურ რეჟიმშიც კი, ფენომენალურ მდგრადობას ავლენს: ოთხის ნაცვლად, ექვსი ბორბალი უკეთ „დაიჭერს“ მანქანას. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ Covini C6W არ წარმოადგენს კონცეპტუალურ მოდელს – ეს სერიული მანქანაა. ფირმის მესვეურები დარწმუნებული არიან, რომ ყოველწლიურად, 6-8 ავტომობილს გაყიდიან. რაც შეეხება მის ფასს – ამის შესახებ ჯერ ცნობილი არ არის. გახდება თუ არა Covini კომერციულად მომგებიანი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ეს ფირმისთვის ძალზე მნიშვნელოვანია: მან ამ მოდელზე მუშაობას სამი ათეული წელი მოანდომა და სოლიდური კრედიტიც აიღო.

■

Trike ფანატებისთვის

სამთვლიანი მოტოციკლეტი, რომელსაც Trike-ს უწოდებენ – განსაკუთრებულ ჟანრს წარმოადგენს. ის გასული საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა: ხელმარჯვე ოსტატები – უმეტესად, ამერიკელები – იღებდნენ Volkswagen-ის „ხოჭოს“ ძრავასა და უკანა ხიდს, დადგამდნენ კონსტრუქციას ჩარჩოზე, დაამატებდნენ წინა ბორბალს და გადაადგილების ორიგინალური საშუალებაც მზად იყო. დღეს, როცა კლასიკური „ხოჭო“ აღარ გამოდის, კონსტრუქტორებს სხვა აგრეგატების გამოყენება უწევთ. მაგალითად, გერმანიაში არსებობს რამდენიმე ფირმა, რომელიც სამთვლიანი მოტოციკლეტის გამოსაშვებად „პეჟოსა“ და „ფორდის“ ძრავებს იყენებს. ამ უკანასკნელის 2-ლიტრიანი ძრავა 130 ცხ.ძ. სიმძლავრესა და 185 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. არსებობს აგრეთვე ცნობილი ამერიკული Harley-Davidson-ის 2-ლიტრიანი მოდიფიკაციები. საინტერესოა, რომ დასავლეთში Trike-ის ყველაზე ახალგაზრდა თაყვანისმცემლები, 35 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები არიან; მათი ზედა ზღვარი 50 წელს შეადგენს. როგორც Trike-ის გერმანელი მწარმოებლები მიიჩნევენ, მათი კლიენტები ის ადამიანები არიან, ვისაც სიყმაწვილე ორთვლიან მოტოციკლეტებზე გაუტარებიათ და ახლა, ზედმეტ რისკს არიდებენ თავს: Trike ხომ ტრასაზე გაცილებით მეტი მდგრადობით გამოირჩევა.

■



თავისუფალი თემა

გვანცა ჩოხელი, რომელიც ბებია-ბაბუასა და ძმასთან ერთად ცხოვრობს, სკოლის დამთავრებისას მასზე ბევრად უფროს მამაკაცს — მხატვარ ირაკლი იაშვილს შეხვდება და იმდენად დაუახლოვდება, რომ ცოტა ხანში, მის ლოგინშიც აღმოჩნდება. ამით დასრულდება მისი მეგობრობა თანაკლასელ ლუკასთან, რომელსაც აშკარად უყვარს გვანცა. ირაკლი გოგონას ცოლად მოყვანას ჰპირდება, მაგრამ თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება და ირაკლი უგზოუკვლოდ დაიკარგება. მალე გვანცა აღმოაჩენს, რომ ფეხმძიმედაა. მის ბებია-ბაბუას ბავშვის მამა ლუკა ჰგონიათ. მისდა გასაკვირად, ამას არც ლუკა უარყოფს. თუმცა, ბავშვის გაჩენამდე ცოტა ხნით ადრე, აფხაზეთის ომში მიდის და გვანცას ეუბნება — არ დამელოდოო. გვანცას ბიჭი შეეძინება და ბაბუის დაჟინებული თხოვნით, ლუკას დაარქმევს...

მალე გვანცა ლუკას ტყვედ ჩავარდნის ამბავს შეიტყობს და მისი კვალის ძებნაში, არაერთ ჩინოვნიკს მიაკითხავს. მათ შორის, ირაკლის ნახევარძმაც აღმოჩნდება, რომელიც გვანცას გერმანიაში სასწავლებლად წასვლაში დაეხმარება. იქ მას ახალი უბედურება დაატყდება თავს: მას და მის ორ მეგობარ გოგონას თურქი ალი თურქეთში ჩაიტყუებს და ადამიანებით მოვაჭრეებს ჩაუგდებს ხელში.

გვანცა საშინლად დაუნდობელი ქალის — ზეინაბ-ხანუმის არალეგალურ სამფლობელოში, სტამბოლში აღმოჩნდება. მალე გვანცა ზეინაბ-ხანუმის ნდობას მოიპოვებს და ეს უკანასკნელი მას რამდენჯერმე ანკარაშიც ჩაიყვანს. ანკარაში ზეინაბ-ხანუმის ხეიბარი ძმა — უმარი ცხოვრობს. მშობლების დანატოვარი ქონების დიდი ნაწილი მას ეკუთვნის, რომელზეც მისი და პრეტენზიას აცხადებს. გვანცა, რომელსაც ზეინაბ-ხანუმი დროებით ძმას მოსამსახურედ დაუტოვებს, უმარს შეებრალება. მალე გოგონა შეიტყობს, რომ უმარი მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად... გვანცა უმარს მუხლებში ჩაუვარდება და შეევედრება — გამიშვიო. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, უმარი გვანცას გაქცევაში დაეხმარება.

საქართველოს საკონსულოს სერიოზული ჩარევის შემდეგ, თბილისში რის ვაი-ვაგლახით დაბრუნებულ გვანცას ხშირად ესიზმრება, თუ როგორ ხვდება კვლავ ზეინაბ-ხანუმის კლანჭებში... მაგრამ გამოხდება ხანი და ახალგაზრდა ქალი წარსულის მოგონებებს თავს მაინც დააღწევს. ერთ დღეს კი, საგანგებოდ გამოეწყობა და ირაკლის ძმას — პარლამენტარ ლაშა რჩეულიშვილს მიაკითხავს. გვანცა ლაშას, ერთგვარად, საკუთარ უბედურებაშიც ადანაშაულებს. ლაშას ეს აოცებს, მაგრამ მოთმინებით მოუსმენს, შემდეგ კი, უნივერსიტეტში აღდგენას, კარგ სამსახურსა და ცხოვრების მოწყობასაც დაჰპირდება... ლაშასგან წამოსვლისას, გვანცა ირაკლის ახსენებს და იმაზეც არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ პატარა ლუკა მისი ძმისშვილია... მოგვიანებით, როცა ლაშა კიდევ ერთხელ ჩაეძიება, გვანცა პირდაპირ ეუბნება — ლუკა ნამდვილად ირაკლის შვილიაო. ლაშა გვანცას სასწრაფოდ მოაწყობს სამსახურშიც და იმასაც გულით სთხოვს — ბავშვი რაც შეიძლება მალე მაჩვენეო. ერთ დღეს, გვანცა საგანგებოდ გამოპრანჭავს ლუკას და ლაშას ისე ეახლება...

ლაშა ლუკას ნელ-ნელა მიუახლოვდა, მის წინ ჩაიმუხლა, თვალებში ალერსით ჩახედა და შემდეგ ხელიც გაუწოდა:

— გამარჯობა, პატარავ!

— გამალჯობა! — ენის ჩლექით უპასუხა ლუკამ და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, ლაშას ფართო ხელს საკუთარი შეაგება.

— რა გქვია, პატარავ? — ისევ ალერსით ჰკითხა ლაშამ.

— ლუკა! — მკვირცხლად უპასუხა ლუკამ.

— ო-ო, ნამდვილად ჩინებული სახელი გრქმევია! რა გვარი ხარ, ლუკა?

— ცადუნელი... — კვლავ ენა მოუჩლიქა ლუკამ.

— ცადუნელი კი არა — ჩადუნელი ხარ, ბიჭო! — შეუძახა ლუკას მიშიკომ. — ნუ შემარცხვინე!

— მე კი რატომღაც მგონია, რომ არც ერთია და არც მეორე... — ხმას დაუწია ლაშამ და თან, ეშმაკურად ჩაუკრა გვანცას თვალი.

— რა ბრძანეთ? — ლაშას ბოლო სიტყვები ვეღარ გაარჩია მიშიკომ.

— რა ვბრძანე, ჩემო მიშიკო, და... — უცბად ფეხზე წამოდგა და ჯიბისკენ ხელი წაიღო ლაშამ. — ამისთანა კარგი გვარის კაცს დახვედრაც შესაფერისი უნდა! ასე რომ, ა, შენ, ფული, ჩაირბინე ბუფეტში და რაც ტკბილი და საკნატუნო ნახო, ყველაფერი აქ ამოზიდე!

პატარა ლუკას ნახვის შემდეგ, ლაშა გვანცას კიდევ უფრო დაუტკბა. ერთ დღეს კი, კაბინეტში საგანგებოდაც უხმო და მოგრძო კონვერტი გაუწოდა.

— სასწრაფო წერილია? — კონვერტი მაშინვე ჩამოართვა გვანცამ.

— არა. ფულია! — თავმომწონედ მიუგო ლაშამ.

— ფული? — დაიბნა გვანცა.

— ჰო, შენი წილი...

— რომელი წილი?

— რომელი, რომელი!.. — გაღიზიანდა ლაშა. — ხომ გახსოვს, ამას წინათ, დონორი ორგანიზაციის შეფები რომ გვყავდა სტუმრად?

— მახსოვს...

— ჰოდა, იმათ დაგვიტოვეს — შენ და გვანცამ სულ მშვიდობაში მოიხმარეთო!.. — უშნოდ გაიკრიჭა ლაშა.

— კი, მაგრამ... — მაშინვე თვალები დააკვესა გვანცამ. — ...დონორების დატოვებული ფული ჩვენ ჯიბეში როგორ უნდა ჩავიდოთ?

— როგორ და აი, ასე, ა! — კონვერტი სასწრაფოდ გამოართვა ლაშამ და პიჯაკის ჯიბეში ჩაუკუჭა. — თანაც, ეს შენი კი არა — საერთოდ, ლუკას საბავშვო ბაღის ფულია! აბა, როდემდე უნდა გყავდეს ბებიაშენთან შინ გამოკეტილი? არ იცი, რომ ბავშვი თავის ტოლებთან უნდა იზრდებოდეს?..

— ჩემი შვილი სად და როგორ გაიზრდება, ეს პირველ რიგში, ჩემი გადასაწყვეტია, — კონვერტი ისევ მაგიდაზე დადო გვანცამ. — ფულზე კი, აი, რას გეტყვი: დიდი მადლობა, მაგრამ ვერაფრით ავიღებ, რადგან, თუ არ ვცდები, ის მხოლოდ ობოლ ბავშვებს უნდა მოხმარებოდა...

— მერე?.. შენი შვილი ვისზე ნაკლები ობოლია?! — კვლავ ხმას აუწია ლაშამ.

— რა თქვი? — თვალები გაუფართოვდა გვანცას.

— რაც გაიგონე! — უკან აღარ დაიხია ლაშამ. — არა, ისე, რომ გაიზრდება, შეიძლება, ერთდროულად ორი მამაც კი გამოუჩნდეს, მაგრამ ახლა, სხვა ობოლი ბავშვებივით, მასაც სერიოზული დახმარება სჭირდება! ასე რომ, აიღე და ნულარ იპრანჭები! — კონვერტი ახლა ხელში ჩაუკუჭა მან გვანცას.

გვანცამ ხელში შერჩენილი კონვერტი რამდენჯერმე გადააბრუნ-გადმოაბრუნა და მერეღა იკითხა:

— ასეთი კონვერტები სხვა თანამშრომლებმაც მიიღეს?

— სხვებს რატომღა უნდა მიეღოთ?! — გაოცდა ლაშა.

— იმიტომ, რომ ჩვენთან ობლებს სხვებიც ზრდიან. მაგალითად, თამრიკო ანთიძესაც აფხაზეთში დაეკარგა ქმარი და ორ ბავშვს მარტო ზრდის...

— კარგი, რა, მართლა ნუ ბავშვობ! — გააწყვეტინა ლაშამ. — ასე, იცი, გარშემო რამდენი ობოლ-ოხერია?.. ყველას მე ხომ ვერ დავაპურებ?!. აიღე, ბოლოს და ბოლოს, ეს ფული და მაცალე მუშაობა! — თავი მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებში ჩარგო მან.

— არა! — ამჯერად უკვე მტკიცედ განაცხადა გვანცამ.

— გადამრევს ეს გოგო! — კალამი მაგიდაზე ბრაზიანად მოისროლა ლაშამ. შემდეგ ფეხზე წამოდგა და ოთახში სწრაფად გაიარ-გამოიარა. — გესმის, რა სისულელეებზე მანერვიულებ?

— ფანჯარაში გაიხედე და დამშვიდდები... — ცეცხლზე ნავთი დაასხა გვანცამ. მაგრამ ამჯერად, ლაშას მის ენამწარობაზე წარბიც არ შეუხრია:

— სხვათა შორის, — განაგრძო მან შემდეგ, — ეს ერთადერთი ნორმალური აზრია, რომელიც დღეს შენგან მოვისმინე.

ამის შემდეგ, ლაშა მართლა ფანჯარასთან მივიდა და სივრცეს გახედა.

— კარგი! — ის სწრაფად შემობრუნდა და გვანცას თვალი თვალში გაუყარა. — რაკი ისე შეჯექი ვირზე, რომ უკან ვეღარ ჩამოდიხარ, სიმართლეს გეტყვი.

— რა სიმართლეს? — გაუკვირდა გვანცას.

— რას და... მოკლედ, ჩათვალე, რომ ეგ ფული შენ და შენს შვილს ირაკლიმ გამოგიგზავნათ...

— ირაკლიმ? — გული სიხარულით შეუხტა გვანცას. — კი, მაგრამ როდის? როგორ?..

— ნუ, ახლა... ჩემს ნათქვამს მთლად ასე პირდაპირაც კი ნუ გაიგებ... — სასწრაფოდ უკან დაიხია ლაშამ. — უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ... მოკლედ, კარგა ხანია, რაც ირაკლის ბინას ერთ უცხოელზე ვაქირავებ... კარგადაც მიხდის... მაგრამ ხომ იცი, ფული რა ოხერი რამეა, ხან რაში მეხარჯება და ხან — რაში. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ დღეიდან, ირაკლის ბინის ქირა შენ მოგცე ხოლმე... ასე ირაკლისთანაც უფრო მართალი ვიქნები და საკუთარ სინდისთანაც...

— კი, მაგრამ... — კვლავ შეკამათება სცადა გვანცამ.

— არავითარი მაგრამ! — ორივე ხელი მბრძანებლურად ასწია ლაშამ. — მორჩა! მოუსვი! უშენოდაც ბევრი საქმე მაქვს!..

გვანცამ კონვერტი უხმოდ აიღო და კაბინეტიდან დაფიქრებული გავიდა. კაცმა რომ თქვას, ფული მართლაც ძალიან სჭირდებოდა: ლამარას ხომ კლიენტები და შესაბამისად, შემოსავალიც დღითი დღე აკლდებოდა, ამირანს კი, რომლის ხელფასზეც ოჯახი საერთოდ არც ადრე ყოფილა დამოკიდებული, საათები გაუნახევრეს. ასე რომ, მთელი დატვირთვა ახლა გვანცასა და მის შემოსავალზე მოდიოდა... ამიტომაც გვანცამ დღის ბოლომდე ცოტა კიდევ იყოყმანა, შემდეგ ფული ჩანთაში ჩაიდო და შინ მისვლისთანავე, ლამარას ჩააბარა.

— ეს რა არის? — კონვერტი სასწრაფოდ გახსნა ლამარამ და იქიდან ორი ტკიცინა ასდოლარიანი ამოიღო.

— ვერ ხედავ, რა არის? — მშვიდად უპასუხა გვანცამ — ფულია!

— ფულს კი ვხედავ, მაგრამ ის ნამდვილად ვერ გამიგია, შენ საიდან გაგიჩნდა. არ მითხრა ახლა, პარლამენტში ხელფასებს უკვე შუა თვეში და თან დოლარებში არიგებენო...

— ეს ხელფასი არ არის... — ისევ მშვიდად დაიწყო გვანცამ.

— აბა? — თვალები დამცინავად მოწკურა ლამარამ. — პრემია ხომ არ მოგცეს კარგი მუშაობისთვის?

— მე, სხვათა შორის, ცუდად ნამდვილად არ ვმუშაობ, — გაღიზიანდა გვანცა. — ფული კი, უცხოელებმა ობოლი ბავშვების დასახმარებლად გადმოგვირიცხეს და უფროსმა ცოტა მეც მომცა: შენი შვილი ვისზე ნაკლები ობოლიაო?!.

— მართალი უთქვამს! — მაშინვე მოლბა ლამარა და ფული სასწრაფოდ კონვერტში მოათავსა. — ააშენებს ღმერთი შენს უფროსს! სწორედ რომ სულზე მოგვისწრო: მიშიკოს ფეხსაცმელს ვუყიდით, ლუკას კი, იქნებ, ქურთუკიც მოუვიდეს... თან, მთელი თვე ჭამაც ხომ გვინდა ამდენ ხალხს?..

მეორე დღეს, გვანცამ ლაშას კაბინეტის კარი ფრთხილად შეაღო და ისე იკითხა:

— შეიძლება?

— შემოდი, შემოდი! — მაშინვე გამოსძახა ლაშამ და მიახლოებულ გვანცას რაღაც დოკუმენტები გაუწოდა. — ესენი სასწრაფოდ გაატარე, ადრესატებს ჩამოურიგე და გააფრთხილე, რომ ხუთშაბათის თათბირზე, ყველაფერზე ამომწურავი პასუხები მომახსენონ!

ამ სიტყვების შემდეგ, ლაშა ისევ საქმეს მიუბრუნდა. მაგრამ გვანცა ადგილიდან მაინც არ იძვროდა.

— რა იყო? — თავი ასწია ლაშამ. — მოხდა რამე?

— არა, — იუარა გვანცამ, — ისეთი არაფერი...

— ასეთი?.. — საქმეს თავი საბოლოოდ ანება ლაშამ. — გისმენ. აბა, მითხარი, რა გინდა.

— შეიძლება, ერთი რაღაც გკითხო? — მორიდებით დაიწყო გვანცამ.

— შეიძლება.

— ირაკლი აღარ შეგხმიანებია?

— შენ როგორ გგონია?

— რა ვიცი... — მხრები დაბნეულად აიჩეჩა გვანცამ. — ვიფიქრე, იქნებ...

— სულ ტყუილად იფიქრე! — სასწრაფოდ გააწყვეტინა ლაშამ. — მეც ერთი სული მაქვს, როდის დამირეკავს, რომ მაშინვე ლუკას ამბავი ვახარო...

— ფულის ამბავსაც ეტყვი?

— რა ფულის? — უცბად ვეღარ მიუხვდა ლაშა.

— იქნებ, ირაკლის ის ფული ჩვენზე მეტად სჭირდება... — თავისას აგრძელებდა გვანცა.

— ა-ა... ძლივს არ მივხვდი, რასაც გულისხმობ?! — ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ლაშამ გვანცა. — გოგო, მთლად ნუ გამაგიჟე, — ხმას აუწია მან. — ჯერ ერთი, ირაკლი შიმშილითაც რომ კვდებოდეს, ფულს მაინც ვერაფრით გავუგზავნი და მეორეც: ის იქ პოლიტდევნილად ითვლება და დარწმუნებული ვარ, ჩვენზე ბევრად უკეთაც ცხოვრობს... თანაც, როგორც ვიცი, არც ხატვა მიუტოვებია და რამდენიმე ნახატი კარგადაც გაუყიდია. ასე რომ, ჩემო კარგო, გადი ახლა შენს ოთახში და საქმეს მიხედე!..

გვანცას საქმე მართლაც თავზე საყრელად ჰქონდა. ლაშა მას სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტების მოწესრიგებას ანდობდა და ხშირ-ხშირადაც აფრთხილებდა — დეტალებზე სხვებთან არაფერი წამოგცდესო. გვანცა თანდათან ხვდებოდა, რომ ლაშა ბევრ ისეთ საქმეშიც იყო გარეული, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, კანონთან მთლად შესაბამისობაში ვერ მოდიოდა, მაგრამ ხმამაღლა მაინც არაფერს ამბობდა. ამასობაში კი, დღე დღეს მისდევდა, თვე — თვეს და საპარლამენტო არჩევნებიც ახლოვდებოდა...

ერთხელაც, ლაშამ გვიან ღამით დაურეკა გვანცას შინ და გააფრთხილა — ხვალ არ დაიგვიანო, შენთვის სიურპრიზი მაქვს მომზადებულიო.

— რა სიურპრიზი? — ცნობისმოყვარეობამ სძლია გვანცას.

— რომ გითხრა, რაღა სიურპრიზი იქნება?! — მხიარული ხმით უპასუხა ლაშამ. — ჰო, მართლა — ხვალ, რაც შეიძლება ელეგანტურად ჩაიცვი.

— რატომ? პოდიუმზე ხომ არ უნდა გამიყვანო?.. — მაშინვე ენა წაიმწარა გვანცამ.

— სხვათა შორის, ეგ აზრი ჭეშმარიტებისგან არც ისე შორსაა... — უპასუხა ლაშამ და სასწრაფოდ დაემშვიდობა.

გაფრთხილების მიუხედავად, გვანცამ სამსახურში მაინც დაიგვიანა და ამიტომაც, ლაშას კაბინეტი შიშით შეაღო. კარმა უსიამოვნო ჭრიალი გაიღო. მაგიდასთან მჯდარმა თავდახრილმა ლაშამ კი, სწრაფად გახედა გვანცას და თვალები დაუბრიალა:

— შენ რა — მართლა ნერვების გამძლეობას ხომ არ მიმოწმებ?! — აყვირდა იგი. — ხომ გთხოვე, არ დაიგვიანო-მეთქი?!

— ლუკამ დამაგვიანა, — თავი იმართლა გვანცამ. — ბაღში არ მომყვებოდა.

— მერე? ერთი გემრიელად ვერ მოსცხე?

— კი, მოვცხე... — დამჯერი ბავშვივით დაუქნია თავი გვანცამ.

— კარგი, მოვრჩეთ სისულელეებს და საქმეს მივხედოთ. დაჯექი და კარგად მომისმინე.

გვანცა ლაშას სამუშაო მაგიდასთან მიდგმულ ერთადერთ სკამზე ჩამოჯდა. უცბად ტელეფონი აწკრიალდა. ლაშამ ყურმილი აიღო და მაშინვე სახე გაებადრა:

— გისმენ, სიცოცხლევ, როგორა ხარ? — ალერსიანად ჩასძახა მან.

ლაშას უცნაური დატკბობისა და სახეცვლილების შემხედვარე გვანცა ოთახიდან გასასვლელად წამოიმართა, მაგრამ ლაშამ ხელით ანიშნა, იჯექიო და ისიც თავის ადგილს დაუბრუნდა.

— კარგი, საყვარელო, როგორც შენ გინდა... — საალერსო სიტყვების ფრქვევას განაგრძობდა ლაშა. — არა, დღეს ნამდვილად ვერ შეგპირდები. სამაგიეროდ, ხვალ, მთელი საღამო შენს განკარგულებაში ვარ... კარგი, სიცოცხლევ, შევთანხმდით... გკოცნი...

ლაშამ ყურმილი ნელ-ნელა დადო, შემდეგ სკამის საზურგეზე მთელი ტანით გადაწვა და გულიანად გადაიხარხარა:

— არა, მაინც, რა ყველა ქალი ერთ თარგზე ხართ მოჭრილი... — მიუბრუნდა ის გვანცას. — ჯერ ოფიციალური საცოლეც კი არ გამხდარა და უკვე დღის განრიგს მიდგენს?!.

— საცოლე? — თვალები ჭყიტა გვანცამ. — შენ რა — მეორე ცოლს ირთავ?

— რა, არ შეიძლება?

— კი, მაგრამ... — დაიბნა გვანცა. — მე ისიც არ ვიცოდი, პირველს რომ გაეყარე...

— ან კი რატომ უნდა გცოდნოდა?! — პირზე ღიმილს აღარ იშორებდა ლაშა. — კარგა ხანს, ალბათ, არც მეორის მოყვანის ამბავს გეტყოდი, მაგრამ მეშინია, რომ ისედაც გაიგებ...

— უშენოდ როგორ გავიგებდი? — დაბნეულად იკითხა გვანცამ.

— როგორ და — ჭრელად!.. ხანდახან მეჩვენება, რომ ამ მილიონიან ქალაქში ყველა ერთმანეთის ნაცნობი და ახლობელია... შენი კლასელი ლალი გიორგიშვილი მომყავს ცოლად. გუშინ საღამოს მის ოჯახში ვიყავი სტუმრად, სურათებს ვათვალიერებდი და თვალებს არ დავუჯერე, ერთ-ერთზე შენც რომ აღმოგაჩინე...

— კი, — მაშინვე დაეთანხმა გვანცა. — ლალი გიორგიშვილი ჩემს კლასში ნამდვილად სწავლობდა. უფრო სწორად კი — მე ვსწავლობდი მის კლასში: ბოლო წელს გადავედი და მართალი გითხრა, დიდად ვეღარავის დავუახლოვდი. დიდი დაქალობა არც მე და ლალის გვქონია...

— ვიცი. ლალიმ შენზე ყველაფერი მიამბო.

— რა ყველაფერი? — შეცბა გვანცა.

— რა და შენი და ლუკას დიდი სიყვარულის ამბავი... კიდევ — ცოტა დედაშენის ავადმყოფობაზეც მომიყვა... მართლა, ახლა როგორ არის?

— არ ვიცი... — ხმა გაებზარა გვანცას.

— როგორ? — გაოცდა ლაშა. — დედაშენის ამბავი როგორ არ იცი?

— არ ვიცი და მორჩა!.. — ტირილს აღარაფერი უკლდა გვანცას.

— კარგი, კარგი... — მაშინვე დაუყვავა ლაშამ. — საწყენად ნამდვილად არ მიხსენებია. თუ არ გინდა, საერთოდ ნურაფერს მეტყვი...

— არა, რატომ?.. გეტყვი... — თვალზე მომდგარი ცრემლი სასწრაფოდ მოიწმინდა გვანცამ. — მით უმეტეს, რომ შენს ძვირფას საცოლეს მთავარის თქმა უკვე უჩემოდაც მოუსწრია...

— სულ ტყუილად იბოღმები! — დაუყვავა ლაშამ. — ლალის ცუდი ნამდვილად არაფერი უთქვამს. უბრალოდ, გაიხსენა — მგონი, გვანცას დედა ფსიქიატრიულშიც იწვაო...

— კი, ნამდვილად იწვა, — გააწყვეტინა გვანცამ. — მაგრამ ჩემი თურქეთში ყოფნის დროს, მამაჩემს მიუკითხავს — რამდენიმე დღით წავიყვანო, — და ორივე უკვალოდ გამქრალა...

— როგორ თუ გამქრალა? — გაუკვირდა ლაშას. — ფსიქიატრიულიდან ავადმყოფი ასე უბრალოდ ვინ გაატანა?

— რა არის, იცი?.. — განაგრძო გვანცამ. — მამაჩემს დედაჩემი მანამდეც ხშირად გამოჰყავდა ხოლმე შინ... ჰოდა, იმ დღესაც...

— ის კაცი ნამდვილად მამაშენი იყო? — გააწყვეტინა ლაშამ.

— კი. რა თქმა უნდა... მკურნალ ექიმს მაშინვე უცნია. მაგრამ თურმე საბუთი მაინც უნდა მოეთხოვა. ამ დაუდევრობას გადააყოლეს კიდეც...

გვანცას ამ სიტყვების შემდეგ, ოთახში ცოტა ხნით უსიამოვნო სიჩუმე ჩამოწვა.

— ჰო-ო... — დაიწყო შემდეგ ლაშამ. — პირდაპირ მიკვირს, ყველაფერმა შენთვის როგორ მოიცალა. რაც შენ უბედურება და უცნაურობა გადაგხდენია თავს, ალბათ, რამდენიმე ადამიანს სულ თავისუფლად ეყოფოდა...

— ალბათ... — დაეთანხმა გვანცა. — თუმცა, ასეთ ყოფას უკვე იმდენად შევეჩვიე, რომ ბოლომდე გულით ვეღარაფრით ვხარობ: სულ იმის შიში მაქვს, რომ ერთხელაც იქნება...

— კარგი, კარგი! — სასწრაფოდ გააწყვეტინა ლაშამ. — დღეს მაინც ნუ ითარსები!

— მაინც ისეთი რა ხდება დღეს? — დაინტერესდა გვანცა.

— ხდება და ეგრე?! — მაშინვე მაგიდაზე მიმობნეულ ფურცლებს მიუბრუნდა ლაშა და ერთ-ერთი ამოარჩია. — დღეს, 4 საათზე, მოსკოვიდან რუსი ბიზნესმენების ჯგუფი ჩამოდის. აი, მათი სიაც... სხვათა შორის, ერთ-ერთი — ქართველია, გვარად ჩადუნელი. იმედია, ეს გვარი რაღაცას გეუბნება...

— რაღაცას ნამდვილად მეუბნება... — მშვიდად მიუგო გვანცამ.

— შეიძლება, ეს კაცი შენი ყოფილი ქმრის რაღაც ნათესავიც კი აღმოჩნდეს... — ბჭობდა ლაშა.

— რატომ — ყოფილის? — გაღიზიანდა გვანცა. — ლუკა ჩადუნელი ოფიციალურად დღესაც ჩემი ქმარია.

— მით უკეთესი! — მოულოდნელად წამოიძახა ლაშამ.

— რა თქვი? — ხმას აუწია გვანცამ.

— კარგი, კარგი, ვიხუმრე!.. — სასწრაფოდ გამოერკვა ლაშა და თან, ძვირფას საათზე დაიხედა. — მაშ ასე, ოთხისთვის აეროპორტში უნდა ვიყოთ, სტუმრებს დავხვდებით, „მეტეხში“ დავაბინავებთ და სალამოს, საქმიან ვახშამსაც გავუმართავთ. ყველაფერი გასაგებია?

— გასაგებია, მაგრამ მე მაინც არ წამოვალ, — გაჯიუტდა გვანცა.

— აუცილებლად წამოხვალ, — ხმა გაიმკაცრა ლაშამ. — იმიტომ, რომ მე ჩემი თანაშემწე მთელი დღე გვერდით უნდა მყავდეს.

— თანაშემწე? — გაოცდა გვანცა.

— აბა, რა? არ გაგიგია, რომ დაგაწინაურე?!.

— პირველად მესმის... საინტერესოა, ჩემს ახალ ფუნქციებში რა შედის? საპატიო სტუმრების გართობა ხომ არა?

— სულ ტყუილად იღრინები! — ისევ არხეინად განაგრძო ლაშამ. — ეგ, სხვათა შორის, პატარა საქმე ნამდვილად არ არის. საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, ყველა მნიშვნელოვანი საქმე სუფრასთან წყდება. ასეთ სუფრასთან მშვენიერი ქალის ჯდომა კი, უკვე საქმის ნახევარია...

მოსკოველი ბიზნესმენები თბილისში დროულად ჩამოფრინდნენ, თუმცა, მათ შორის, გვარად ჩადუნელი არავინ აღმოჩნდა.

— ქართველი ბიზნესმენი რატომ არ ჩამოვიდა? — როგორც კი დრო იხელთა, მაშინვე ჰკითხა გვანცამ ლაშას.

— გუშინ ჩამოფრენილა და უმალვე თავის სოფელში „გაქცეულა“, — ჩაიბურტყუნა საქციელწამხდარმა ლაშამ. — არადა, მთელ იმედებს მაგაზე ვამყარებდი: რაც არ უნდა იყოს, მაინც ქართველია-მეთქი, — და მაინცდამაინც ეგ არ „მომიტყდა“ საქმიდან?

— იქნებ, ვახშამზე მაინც გამოჩნდეს?

— არა მგონია... — ხელი მოწყვეტით ჩაიქნია ლაშამ.

ქართველი ბიზნესმენი არც სადილად გამოჩენილა, დანარჩენებთან საუბარი კი, გვანცას მომხიბვლელი ღიმილის ფონზეც ძნელად აეწყო და სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს მალევე დაშორდა...

— ასეთი ჩავარდნა ჯერ არ მქონია... — რესტორნიდან გამოსვლისთანავე ბოღმიანად გადაულაპარაკა გვანცას ლაშამ.

— ეტყობა, მე დაგთარსე... — ცეცხლზე ნავთი დაასხა გვანცამ.

— ეტყობა.. — ანგარიშმიუცემლად უპასუხა ლაშამ.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! სხვა დროს, მსგავს შეხვედრებზე მარტო ივლი და აღარც დაითარსები.

— დაჯექი და ნუღარ სულელობ, რა! — მანქანის კარი გამოუღო ლაშამ. — შენ არაფერ შუაში ხარ...

გვანცა უსიტყვოდ ჩაჯდა. ლაშამ მანქანას შემოუარა, გვანცას გვერდით მიუჯდა და მძღოლს ანიშნა, წავედითო.

— არა უშავს, — დაიწყო მან შემდეგ, — ხვალ ყველანი პარლამენტში მოდიან. არა მგონია, ჩადუნელმა პარლამენტის თავმჯდომარესთან ოფიციალური შეხვედრაც გამოტოვოს. ასე რომ, ჯერ შანსი კიდევ გვაქვს...

— ვერ მეტყვი, მაინც რა შანსზეა ლაპარაკი? — ინტერესი ბოლომდე ვეღარაფრით დაფარა გვანცამ.

— თუ „გავშანსე“, ისედაც გაიგებ, თუ არა და, ზედმეტის ცოდნა ნამდვილად არაფერში გჭირდება... — გვანცას კითხვას ოსტატურად აუარა გვერდი ლაშამ...

საკუთარი სახლის სადარბაზოში შესული, გვარიანად დაღლილი გვანცა კიბეს სვენებ-სვენებით აუყვა და კარზეც უხალისოდ დააკაკუნა. ლამარამ კი, მას დაბარებულივით სასწრაფოდ გაუღო კარი და მაშინვე აქაქანდა:

— რა კარგი გოგო ხარ, ადრე რომ მოხვედი!..

— რაღა ადრეა?! — საათზე დაიხედა გაოცებულმა გვანცამ. — მალე შვიდი გახდება.

— გახდება და გახდეს! — მხიარულ ქაქანს განაგრძობდა ლამარა. — ჩქარა, მოწესრიგდი და ოთახში ისე შედი. იცი, ვინ გელოდება?

— მაინც ვინ? ოცნების პრინცი ხომ არა? — უხალისოდ იკითხა გვანცამ, სასტუმრო ოთახის კარი მაშინვე ხმაურით შეაღო და გაშეშდა: საგანგებოდ გაშლილ სუფრას ნაადრევად გაჭაღარავებული ლუკა ჩადუნელი ეჯდა და სიხარულით გაცისკროვნებულ ამირანს ღვინით სავსე ჭიქას უჭახუნებდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

2002 წელს პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ცნობილი მსახიობი, ემანუელას როლის შემსრულებელი უკურნებელი სენით იყო დაავადებული. მიუხედავად ექიმების მიერ დასმული მძიმე დიაგნოზისა, სილვია კრისტელს ფარხმალი არ დაუყრია და სიცოცხლისათვის ბრძოლას შეუდგა...

ემანუელას სახის შემქმნელი ჰოლანდიელი ლამაზმანი

მონასტერთან არსებული სკოლის მოსწავლეებს სცენაზე ოცნებაც კი ეკრძალებოდათ. თუმცა მსახიობობაზე მეოცნებე პატარა სილვიას თეატრის სცენაზე გამოსვლის სურვილი არასოდეს გასჩენია, ის მხოლოდ და მხოლოდ კინომსახიობობაზე ფიქრობდა. ამასთან ყოველთვის ეგონა, რომ ეს აუხდენელი ოცნება გახლდათ და ასეთი სასწაული მას არასოდეს შეემთხვეოდა.

როცა გოგონამ მონასტერთან არსებული სკოლა დაამთავრა და მშობლიურ უტრეხტში დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ მშობლებს მისი მომავალი უკვე გადაეწყვიტათ: ქალიშვილს გზის პირას მდებარე მათ კუთვნილ იაფფასიან სასადილოში ოფიციანტად უნდა ემუშავა. მშობლების მიერ მისთვის შერჩეული საქმიანობით სილვია მეტად უკმაყოფილო დარჩა და თავისუფალი არჩევანისთვის დედ-მამას ომი გამოუცხადა. საბოლოოდ ეს ომი იმით დასრულდა, რომ გოგონამ იგივე ჩემოდანი ჩაალაგა, რომლითაც სულ ცოტა ხნის წინ მონასტრიდან დაბრუნდა, ავტობუსში ჩაჯდა და გეზი ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამისაკენ აიღო.

მოსალოდნელი რომანტიკული საღამო სილვიასათვის კოშმარად იქცა

იმხანად ის ჩვიდმეტი წლის გახლდათ და ვინაიდან არანაირი პროფესიული ცოდნა არ გააჩნდა, მხოლოდ მცირეანაზღაურებადი სამსახურის შოვნის იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა. თავდაპირველად, სილვია რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო, მაგრამ საპირისპირო სქესის თანამშრომელთა შრომისუნარიანობა იმდენად დაეცა, რომ რესტორნის მეპატრონემ ლამაზი პროვინციელი გოგონა სასწრაფოდ დაითხოვა სამსახურიდან. ის იყო, კრისტელს სამსახურის შოვნის ყოველგვარი იმედი გადაეწურა, რომ მას ბედმა გაუღიმა და ამსტერდამის ერთ-ერთ ოფისში მდივნად დაიწყო მუშაობა. მისმა ბედნიერებამ ერთ კვირას გასტანა: სწორედ ამდენი ხანი დასჭირდა მის ზედმიწევნით თავდაჭერილ და გამელოტების გზაზე შემდგარ ბოსს — მისტერ კრაბეს, რათა ახალ მდივანთან რესტორანში ვახშმობა მოესურვებინა. ბოსმა სილვია რესტორანში დაპატიჟა, მაგრამ მოსალოდნელი რომანტიკული საღამო გამოუცდელ გოგონას კოშმარად ექცა. მისტერ კრაბემ კრისტელი ტყეპარკის ტერიტორიაზე შეიყვანა და გააუპატიურა... იმ ღამით სახეზე სისხლნაჟღენთებითა და შემოფლეთილი კაბით თავის პაწაწინა ბინაში დაბრუნებულმა სილვიამ მტკიცედ გადაწყვიტა მშობლებთან დაბრუნება.

შინ დაბრუნებამდე მას აუცილებლად სჭირდებოდა დრო, რათა ბოსის მიერ მის მშვენიერ სახეზე დატოვებული კვალი გამქრალიყო. სილვია იძულებული გახდა გარკვეული ხნის მანძილზე დედაქალაქში შეყოვნებულიყო. სწორედ იმ დღეებში უმუშევარ გოგონას ნაცნობმა ფოტოგრაფმა ურჩია, რომ საკუთარი ძალები სამოდელო ბიზნესის ასპარეზზე მოესინჯა. სულ მალე, მშვენიერი კრისტელის ფოტოპორტრეტები არაერთი ჟურნალის ყდაზე გამოჩნდა. ამიერიდან მას უმუშევრობა და უფულობა აღარ ემუქრებოდა. გადიოდა დრო, ფოტოსამოდელო ბიზნესში სილვია სულ უფრო და უფრო დიდ წარმატებას აღწევდა, მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარული, რომელსაც ის კარგა ხნის მანძილზე ელოდა, არა და არ მოდიოდა...

1972 წელს კრისტელმა კონკურსში — „მის — ევროპის ტელევიზია“ გაიმარჯვა. კონკურსის გამარჯვებული ათასი გულდენით, „მერსედესის“ მარკის ავტომობილ-

კადრი ფილმიდან „ემანუელა“ — უმბერტო ორსინისთან ერთად

კადრი ფილმიდან „აეროპორტი“ — ალენ დელონთან ერთად



სილვიას კინემატოგრაფიული წარმატება საფრანგეთის პრეზიდენტთან – ჟისკარ დ'ესტენთან მის გახმაურებულ რომანს დაემთხვა.

ითა და მსოფლიო ტურნეს საგზურით დაჯილდოვდა. სწორედ ამ მოგზაურობისას შენიშნა სილვია რეჟისორმა ჟიუსტ ჟეკინმა, რომელიც ვინმე ემანუელ არსანის რომანის მიხედვით ფილმის გადაღებას აპირებდა. მსახიობმა მოგვიანებით ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „რატომ უნდა მეთქვა უარი ემანუელას როლის შესრულებაზე, მაშინ როცა მთელი ცხოვრება სიყვარულის გარდა არაფერი მაინტერესებდა?"

ემანუელას როლმა კრისტელს უდიდესი პოპულარობა მოუტანა. ფილმმა კანის ფესტივალზე პრიზი დაიმსახურა, თავად სილვიამ კი უამრავი შეთავაზება მიიღო, მათ შორის, მას არა მარტო კინოროლებს სთავაზობდნენ, არამედ უხამსი წინადადებებითაც მიმართავდნენ.

სულიერი ტკივილის ჩახშობას სილვია კოკაინითა და ალკოჰოლით ცდილობდა

სილვიას კინემატოგრაფიული წარმატება საფრანგეთის პრეზიდენტთან – ჟისკარ დ'ესტენთან მის გახმაურებულ რომანს დაემთხვა. მათ ერთმანეთი ჯერ კიდევ მაშინ გაიცნეს, ვიდრე ვალერი ჟისკარ დ'ესტენი მაღალ პოსტს დაიკავებდა. იმას, რომ გაპრეზიდენტების შემდეგ დ'ესტენი ელისეს სასახლეში გადავიდა საცხოვრებლად, პოლიტიკოსისა და მსახიობის ურთიერთობაში არაფერი შეუცვლია. საოცარია, მაგრამ წყვილი იმდენად არ ფარავდა საკუთარ ურთიერთობას, რომ ჟურნალისტებიც კი აღარ ინტერესდებოდნენ ამ რომანით. საპრეზიდენტო მიღებებზე კრისტელი ხშირად დიასახლისის როლს ასრულებდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მსახიობი საოცრად მარტოსულად გრძნობდა თავს. ჟისკარ დ'ესტენთან კავშირი არ გახლდათ ის ჭეშმარიტი სიყვარული, რომელზეც ახალგაზრდა ქალი ოცნებობდა. სწორედ იმ ხანებში მის ცხოვრებაში გამოჩნდა ჰუგო. მასზე არაფერია ცნობილი გარდა იმისა, რომ ის ნამდვილი მამაკაცი, ვნებიანი საყვარელი და ვაჟკაცური ბუნების ადამიანი იყო. როცა სილვიამ მისგან შვილი გააჩინა (მსახიობმა ვაჟიშვილს არტური დაარქვა), ჰუგომ სატრფოს ხელი სთხოვა და წყვილმა იქორწინა. მათი ქორწინება სულ რაღაც ხუთ თვეს გაგრძელდა: ქმარი ვერ შეეგუა იმას, რომ ცოლს სამსახიობო კარიერისათვის თავის დანებება არ სურდა.

როცა სილვიამ მისგან შვილი გააჩინა, ჰუგომ სატრფოს ხელი სთხოვა და წყვილმა იქორწინა, მაგრამ...

ჰუგოსთან განშორება კრისტელმა მძიმედ გადაიტანა: საშინელი სულიერი ტკივილის ჩახშობას ის კოკაინითა და ალკოჰოლით ცდილობდა. არავინ უწყის, ყოველივე ეს რით დასრულდებოდა, მსახიობს ჰოლივუდიდან მიწვევა რომ არ მისვლოდა. ერთ მშვენიერ დღეს სილვიამ პატარა არტური დედამისს დაუტოვა და თავად ფილმ – „კერძო გაკვეთილების" გადაღებებზე ოკეანის გაღმა გაემგზავრა. ჰოლივუდში მსახიობის ჩასვლიდან ექვსი თვეც არ იყო გასული, რომ ლოს-ანჯელესის პირველი კლასის რესტორნებში ჰოლანდიელ ლამაზმანს უკვე ყველა ცნობდა. იმ პერიოდში მისი საყვარელი გახლდათ ჰოლივუდის ცნობილი გულთამპყრობელი უორენ ბიტი. მიუხედავად ამისა, სილვია თავს ბედნიერად მაინც არ გრძნობდა...

სილვიამ ქიმიოთერაპიის 35 სეანსი და ორი ოპერაცია გადაიტანა!

კრისტელის პარტნიორები თუ თაყვანისმცემლები იყვნენ ისეთი ცნობილი

ერთი წლის წინ მსახიობმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ კინოში დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი

პიროვნებები, როგორებიც არიან: ჯეკ ლეიზენბი, ალენ დელონი, ჯორჯ კენედი და სხვები. ცნობილმა რეჟისორმა როჟე ვადიმმა (ბრიჟიტ ბარდოსა და კატრინ დენევის ექსმეუღლე) მას ცოლობა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო, რამეთუ სილვიას ის ნამდვილი სიყვარულით არ უყვარდა.

90-იანი წლების დასაწყისში კრისტელი მშობლიურ ჰოლანდიაში დაბრუნდა, ამსტერდამის მახლობლად სახლი იყიდა და... ფერწერას მოჰკიდა ხელი. აკვარელით შესრულებულმა შიშველმა ფიგურებმა, რომლებიც ცნობილი ემანუელას ნაზი თითებით იყო შექმნილი, სულ მალე მსახიობს საკმაოდ სოლიდური მოგება მოუტანა.

...2002 წლის ივლისში, იუბილემდე 2 თვით ადრე, სილვიამ შეიტყო, რომ მას კიბო ჰქონდა. კრისტელმა სიცოცხლისათვის ბრძოლა გადაწყვიტა. საბედნიეროდ, გულმოდგინე გამოკვლევის შემდეგ, ექიმები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ყველის ავთვისებიანი სიმსივნის განკურნება შესაძლებელი იყო. სილვიამ ქიმიოთერაპიის 35 სეანსი და ორი ოპერაცია გადაიტანა და გაიმარჯვა! ერთი წლის წინ, საავადმყოფოს პალატაში მიცემულ ინტერვიუში მსახიობმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ კინოში დაბრუნება ჰქონდა გადაწყვეტილი. „ვვერდით ამქვეყნად ყველაზე საყვარელი მამაკაცი – ჩემი შვილი არტური მყავს. ის 25 წლისაა და საოცრად ნიჭიერია. ვინ იცის, იქნებ ოდესმე ჩვენ გადასაღებ მოედანზეც კი შევხვდეთ ერთმანეთს..." ■

ძმებმა ბრედ პიტის სახე „იყიდეს“

აშშ-ში ტყუპ ძმას სკანდალური ტელეშოუს მესვეურებმა გადასცეს 90 ათასი ლარი პლასტიკური ოპერაციისთვის, რომლის შედეგა-

დაც ისინი ჰოლივუდის ცნობილ გულთამპყრობელს ბრედ პიტს უნდა დამსგავსებოდნენ.

Sky News-ის ცნობით, მეტი და მაიკი გარეგნობის შეცვლის შემდეგ ბედნიერად გრძნობენ თავს. თუმცა, როგორც მაიკი ამბობს, ოპერაცია საკმაოდ მტკივნეული იყო. სამაგიეროდ, გოგონები ძმებისთვის კომპლიმენტებს არ იშურებენ.

ამერიკელებმა კი შოუ სასტიკად გააკრიტიკეს. პლასტიკურ ქირურგთა საზოგადოება მოუწოდებს ხალხს, არ დახარჯონ ფული ოპერაციებზე, რომლებიც მათ კინოვარსკვლავებს ამსგავსებს.

მაიკი და მეტი შოუს – „მინდა სახელგანთქმულს ვგავდე“ – პირველი მონაწილეები არიან, სხვა მონაწილეთა შორის – 19 წლის გოგონა აღმოჩნდა, რომლის სურვილიცაა, რომ მკერდი და ტუჩები პამელა ანდერსონის მსგავსი ჰქონდეს. კიდევ არის ტრანსსექსუალი, რომელსაც სურს, ჯენიფერ ლოპესს დაემსგავსოს და 21 წლის გოგონა, რომელიც უარს არ იტყოდა, კეიტ უინსლეტის ორეული გამხდარიყო. ■

პოლ მაკარტნი სამავშვო წიგნს წერს

პოლ მაკარტნიმ თავისი ძირითადი საქმიანობა – მუსიკა დროებით უკანა პლანზე გადადო. როკვეტერანი სამწერლო სარბიელზე გამოცდის თავს, ის გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი ახალი საბავშვო წიგნის თანაავტორი გახდება. წიგნზე – „მაღლა ღრუბლებში: ბეწვიანი ცხოველები ქალაქში“ – 61 წლის მუსიკოსი საბავშვო მწერალ ფილიპ არდახსა და მხატვარ-ილუსტრატორ ჯეფ დანბერთან ერთად მუშაობს. მასში მოთხრობილი იქნება ორი ციყვისა და ბაყაყის თავგადასავალი, რომელთა სახლსაც დაანგრევენ ახლომდებარე ქალაქის ტერიტორიის გასაფართოებლად... მომავალში, ამ სიუჟეტზე ფილმის გადაღება იგეგმება.

შეგახსენებთ, რომ მაკარტნი კიდევ ერთ „საბავშვო“ პროექტზე – DVD Paul McCartney: The Music and Animation Collection მუშაობს. ■

მონიკა ბელუჩი მავშვს ელოდება

35 წლის იტალიელი მსახიობი მონიკა ბელუჩი თავისი კანონიერი ქმრისგან, 37 წლის ფრანგ ვენსან კასელისაგან პირველ შვილს ელოდება. შარშან გადასაღებ მოედანზე ხმა დაირხა ბელუჩისა და ბრიუს უილისის რომანის თაობაზე, რომელსაც თითქოს გაყრაც უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ეს სიცრუე აღმოჩნდა. ბავშვი ნოემბერში პარიზში, კასელის სამშობლოში დაიბადება.

მონიკამ და ვენსანმა ერთმანეთი 1996 წელს ჟილ მიმონისის ფილმის – „ბინის“ გადაღებების დროს გაიცნეს. მათ ერთად ითამაშეს აგრეთვე, „მგელთან მეგობრობასა“ (2001) და „შეუქცევადში“ (2002).

როგორც იცით, მონიკა ბელუჩი მარია მაგდალინელის როლს ასრულებს ახალ ფილმში – „ქრისტეს ვნებანი“ (2004). ■

ალმოდოვარი ესპანეთის სოლისტოლემას ამხელს

ესპანეთის სახალხო პარტია ცნობილი ესპანელი რეჟისორის პედრო ალმოდოვარის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. მისი ახალი ფილმის „ცუდი აღზრდის“ პრემიერა ახლახან შედგა მადრიდში. გაზეთ Independent-ის ინფორმაციით, პარტია რეჟისორს ცილისწამებაში სდებს ბრალს. საქმე ის არის, რომ ალმოდოვარმა საპარლამენტო არჩევნების წინ სახალხო პარტია სახელმწიფო გადატრიალების მზადებაში დაადანაშაულა. როგორც ცნობილია, არჩევნებში ოპოზიციურმა სოციალისტურმა პარტიამ გაიმარჯვა. ალმოდოვარის თქმით, მმართველი პარტია ძალაუფლების შესანარჩუნებლად მომხრეებთან ერთად საყოველთაო არჩევნების გაუქმებას გეგმავდა. რეჟისორმა ინტერნეტით გავრცელებულ ანონიმურ წერილს, რომელშიც აღნიშნული პარტია შეთქმულებაში იყო მხილებული, საკუთარი კომენტარი დაურთო: 11 მარტის ტერაქტის ნამდვილი შემსრულებლების შესახებ ინფორმაციის დაფარვას მან, სახალხო პარტიის მხრიდან, „ესპანელი ხალხის უბედურებისადმი აგდებული დამოკიდებულება“ უწოდა. ამის საპასუხოდ, სახალხო პარტიის მომხრეებმა რეჟისორისა და მისი ბოლო ფილმის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, ადამიანს, რომელიც ესპანური კულტურის სახეს წარმოადგენს, „უფლება არა აქვს, ესპანეთის ხელისუფლება დაუსაბუთებლად დაადანაშაულოს გადატრიალების მცდელობაში“. ■

წინამორბედი წერილი იხ. „გზა“ № 12

ვერ გეტყვით, როგორი რეაქცია ექნებოდა „სახელგანთქმულ“ ყალთაბანდს ოსტაპ ბენდერს, ნამდვილ მილიონერს პირისპირ რომ შეხვედროდა, თანაც — თავის სამშობლოში კი არა, ამერიკაში, ამ მოულოდნელობებითა და საოცარი პარადოქსებით აღსავსე ქვეყანაში... ალბათ, რა ხრიკს აღარ მოიგონებდა, რა ნაირ-ნაირ ნიღაბს აღარ მოირგებდა, რომ როგორმე მისთვის თავი მოეწონებინა; არც მის „სამსახურში“ ჩადგომას ითაკილებდა და ბევრს თუ არა, რამდენიმე ათას დოლარს მაინც დასტყუებდა...

აკაკი გეგენავა

სტუმრად ამერიკელ მილიონერთან ანუ რით განსხვავდება თბილისელი მოგზაური ოსტაპ ბენდერისგან...

მე კი, ერთი ჩვეულებრივი, მოგზაურობაზე თავგადაკლული კაცი, ვიდექი უბრალო ფერმერის კომბინეზონში გამოწყობილი ჯეკ ლარსენის უზარმაზარი სასახლის ეზოში და შოკირებული ვათვალიერებდი მის ავლადიდებას. აქ ზუსტად ისე იყო ყველაფერი, როგორც ამერიკულ ფილმებშია ნაჩვენები მილიონერ ფერმერთა სასახლეები, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ თავად მილიონერს თავისივე ქვეშევრდომებისგან ვერ გაარჩევდი. ერთი უბრალო მწყემსი კაცის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა, ვიდრე გვარიანად შეძლებული მეპატრონისა.

ამერიკაში დაახლოებით 260 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მათგან 8% მილიონერია, ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, 21 მილიონია. ბევრს შეიძლება ეს დაუჯერებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ მართლაც ასეა. აქ ხომ პროფესიონალ ექიმს, ადვოკატს, საბანკო მოხელესა თუ ჩინოვნიკს წელიწადში 300-400 ათასი დოლარი აქვს შემოსავალი (აღარაფერს ვამბობ მწერლების, მეცნიერების, მსახიობების, პოლიტიკოსების მრავალმილიონიან შემოსავლებზე). ჰოდა, როცა მათ ქონებას ყოველწლიურად ემატება ასიათასობით დოლარი, ბუნებრივია, მილიონერთა რიცხვი დღითი დღე მატულობს.

უფრო მეტიც, ხშირად წამიკითხავს იმის შესახებ, რომ ამერიკაში კატასტროფულად მატულობს ე.წ. „მდიდარი ადამიანების ავადმყოფობა“, რაც იმაში გამოიხატება, რომ მილიონერები ყველაფრის მიმართ ინტერესს კარგავენ. მათ ათასგვარი გასართობი, მოგზაურობები, ეგზოტიკური თავგადასავლები ყელში აქვთ ამოსული და აღარ იციან, მოწყენილობისგან რა აკეთონ. „საცოდავი“ მდიდრები დეპრესიაში ვარდებიან, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს ეძალებიან... ერთი სიტყვით, მთლად ყველაფერი რიგზე ვერა აქვთ...

ჯეკი სტუმართმოყვარე აღმოჩნდა...

საბედნიეროდ, ჩემს კლიენტს, ჯეკ ლარსენს (რომლის პირუტყვიც ჩემი ტრაილერით გადმოვიყვანე ჩიკაგოდან მენის შტატში) დეპრესიის არანაირი ნიშნები არ ეტყობოდა. პირიქით, სიამოვნებით ასრულებდა რიგითი მუშაკის მოვალეობას. ხომ შეეძლო, თავისი ქვეშევრდომებიდან რომელიმესთვის დაევალებინა პირუტყვის ყიდვა-ჩამოყვანა. მაგრამ არა, საქონლის არჩევას არავის ანდობდა!..

ამასობაში, ერთ-ერთ ფერმასთან მივედით, რომელიც ფერმას კი არა, საagარაკო ვილას უფრო ჰგავდა. გაოგნებული ვათვალიერებდი გემოვნებით მოწყობილ კარმიდამოს.

— აკაკი, კარი გაგვიღე, პირუტყვია დასაბინავებელი, — გამომაფხიზლა ჯეკის შეძახილმა. პატრონის გვერდით ათამდე მუშას მოეყარა თავი. ტრაილერის კარი ფართოდ გამოვაღე. ჯეკმა მუშებს განკარგულება მისცა და ახლა ჩემთვის „მოიცალა“. მე კი უკვე წასასვლელად ვემზადებოდი. კომპანიის უფროსს დავურეკე, ედმონდმა მორიგი დავალება მომცა — ამჯერად, ბუფალოში უნდა წავსულიყავი, იქიდან კი ოჰაიოს შტატის ადმინისტრაციულ ცენტრში, კოლომბუსში გადამეტანა ტვირთი.

— აბა, მისტერ ჯეკ, კარგად ბრძანდებოდეთ!.. — ხელი გავუწოდე მილიონერს.

— სად მიდიხარ? — გაიკვირვა.

— ბუფალოში, შეკვეთა მივიღე.

— რა დროს ბუფალოა? ჩემთან უნდა ვივახშმოთ!..

პასუხს არც დაელოდა და ძველი მეგობარივით ხელკავით სასახლისკენ წამიყვანა.

— მისტერ ჯეკ, ხომ იცით, ბიზნესის ამბავი (თავი გამოვიდე!), დიდი გზა მაქვს გასავლელი ბუფალომდე...

— ბიზნესს მე მასწავლი?! ღამე ხომ უნდა გაათენო შენს ტრაილერში. ჰოდა, დარჩი ჩემთან, დაისვენე, დილით კი, ადრიანად დაადგები გზას. თუ გინდა, ახლავე დავურეკავ შენს ბოსს და ყველაფერს მოვაგვარებ... მოკლედ, ჩემთან ივახშმებ, დაისვენებ და დილით წახვალ. მე რომ მიყურებ, მთლად უგულოც კი არა ვარ...

ამ სიტყვების შემდეგ, მართლაც არ შემეძლო დარჩენაზე უარის თქმა.

ვახშამი მილიონერთან

ჯეკ ლარსენის სასახლე მის წინაპარს XVIII საუკუნეში აუშენებია. საოცარი გემოვნებით იყო შეხამებული ერთიმეორესთან მარმარილო და წითელი ხის მასალა, თითქმის ყოველ კუთხეში იდგა მდიდრული და უჩვეულო ფორმის შანდლები. ვეებერთელა ფანჯრებზე ძველმოდური მძიმე ფარდები ეკიდა... ანტიკვარული ავეჯით გაწყობილ დარბაზებსა და ოთახებს ათასგვარი სტატუეტი თუ რარიტეტული ნივთი ამშ-

ვენებდა...

ჯეკი დამატარებდა თავის სამფლობელოში ზუსტად ისე, როგორც გიდები დაატარებენ ცნობისმოყვარე ტურისტებს და თავის წინაპრებზე მიამბობდა. ბოლოს, ერთ დიდ დარბაზში შემიყვანა, რომელიც სურათების გალერეას უფრო ჰგავდა.

— აი, აკაკი, ესენი არიან ჩემი წინაპრები. თითქმის ყველა აქ არის...

მთელი კედლები ოქროსვარაყიან ჩარჩოებში ჩასმული ნახატებით იყო სავსე. სურათებს შორის თეთრპარიკიანი ახალგაზრდა მამაკაცის პორტრეტმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ალღოიანი კაცი ყოფილხარო, — მითხრა ჯეკმა — ეს მამაკაცი პირველი ლარსენი ყოფილა, რომელიც ნორვეგიიდან ჩამოსულა და ნორფოლკში დასახლებულა. მასაც ჩემი მასპინძელივით ჯეკი რქმევია. დიდ ჯეკს „კვალდაკვალ“ მიჰყვებოდნენ მისი ძმები, შვილები, მათი მეუღლეები, ქალიშვილები, შვილიშვილები...

ბოლოს ჯეკმა კედლის ერთ ცარიელ ადგილზე მიმითითა და მითხრა:

— ამ ადგილას ჩემს სურათს დაკიდებენ, როცა ამ ქვეყნიდან წავალ... ჩემმა შთამომავლობამ უნდა იცოდეს, როგორი ვიყავი... მაგრამ ჩემი შვილების გადამკიდეს, ალბათ არაფერი მეღირსება!.. — სინანულით წარმოთქვა მან.

— რას გულისხმობთ? — დავინტერესდი.

— სამი ზრდასრული შვილი მყავს, სამივე ოცდაათს გადასცდა და შვილიშვილებს კი ვერა და ვერ ვეღირსე. არც ერთს არ უნდა დაქორწინება. არადა, ამხელა ქონებას ვის უტოვებენ, ვერ გამიგია... თუმცა, ჩემს პრობლემებს შენ რას გახვევ თავს?! წამოდი, ვივახშმოთ. მალე ჩემი ქალიშვილიც შემოგვიერთდება... — ეს მითხრა და თანამედროვე სტილში მოწყობილ მოზრდილ სასადილო ოთახში შემიძღვა. ეს ოთახი იმითაც იყო გამორჩეული, რომ შეგეძლო, აივანზე გასულიყავი, საიდანაც როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანდა მთელი ნორფოლკი. სწორედ ამ აივანზე ვიდექით მე და ჯეკი და ლინდას, მის ქალიშვილს ველოდით, რომელიც იგვიანებდა. ჯეკმა მომიბოდიშა და მთხოვა, ცოტაც კიდევ მომეთმინა. მეც სხვა რა გზა მქონდა, ღია აივნიდან ინტერესით ვათვალიერებდი ჯეკის სამფლობელოს.

მოულოდნელად მხედარი შევამჩნიე, რომელიც ცხენს ისე ოსტატურად მოაჭენებდა, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდი. რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ჯიშიან ულაყზე გამოცდილი მოჯირითე იჯდა, თანაც — ძალზე მომხიბლავი ახალგაზრდა, გრძელფეხება ქალი. ერთი პირობა, შემეშინდა კიდეც, ეს ლამაზი გოგო უნაგირიდან არ ჩამოვარდეს-მეთქი, მაგრამ ეს შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა.

კომპლიმენტი მილიონერის ქალიშვილს

...ლინდა ლარსენი ისე შემოჯირითდა ეზოში და ისე მოხერხებულად ჩამოქვეითდა ცხენიდან, რომ თვალის შევლებაც ძლივს მოვასწარი. ჯეკი ქალიშვილს ეზოში შეეგება. მამა-შვილი კარგა ხანს საუბრობდა. მე ვიჯექი და ისევ ველოდი... სუფრა სამ კაცზე გაეშალათ, თანაც ისე ლამაზად, ხელოვნების ნიმუშს უფრო ჰგავდა. დროდადრო ჩასუქებული მულატი ქალი შემოდიოდა ნაირ-ნაირი სინებითა და ლანგრით.

— მისის, ხომ ვერ მეტყვით, ეს ლარსენები ვინ არიან? — მიამიტურად ვიკითხე.

— საკმაოდ მდიდარი და პატივცემული ხალხი!.. ამ სასადილო ოთახში მისტერ ჯეკი ყველას როდი იწვევს. ეტყობა, თქვენ მისი კეთილგანწყობა დაიმსახურეთ... — გამიღიმა მსახურმა.

ჯეკი და მისი ქალიშვილი სასადილო ოთახში სადღესასწაულოდ გამოწყობილები შემოვიდნენ. თავი უხერხულად ვიგრძენი. ისევ ის ჯინსის შარვალი და ბოტასი მეცვა, რომელიც — მუშაობისას. ძალაუნებურად შარვალზე დავიხედე. მათ არ გამოჰპარვიათ ჩემი რეაქცია, ორივეს გაეღიმა. ჯეკმა კი პირდაპირ მითხრა:

— აკაკი, ნუ გერიდებათ... არა უშავს, ვიცით, რომ პირდაპირ სამუშაოდან მოხვედით. გაიცანით, ეს ჩემი ქალიშვილია, ლინდა...

ცისფერთვალება ლინდა მართლაც, ისეთი მომხიბვლელი აღმოჩნდა, როგორიც ცხენზე ამხედრებული წარმოვიდგინე. გაღიმებულმა გამომიწოდა ხელი და სუფრასთან მიმიწვია.

სუფრაზე იმდენი თეფში და დანა-ჩანგალი ეწყო, რომ დავიბენი კიდეც. აშკარა იყო, მეც ამ არისტოკრატებივით უნდა მესადილა. იხტიბარი არ გავიტეხე, „მომლოდინე პოზიცია“ დავიკავე — როგორც მასპინძლები მიირთმევდნენ, მეც იმის მიხედვით ვმოქმედებდი. ისე თავისუფლად ვიცვლიდი თეფშებს, დანა-ჩანგალსა და სასმისებს, თვითონაც მიკვირდა.

ერთი პირობა, შემეშინდა კიდეც, ეს ლამაზი გოგო უნაგირიდან არ ჩამოვარდეს-მეთქი

— მამამ მითხრა, რომ საქართველოდან ყოფილხართ... — დაიწყო ლინდამ.

— დიახ, თქვენ იცნობთ საქართველოს? ყოფილხართ ჩემს სამშობლოში? — ზედიზედ მივაყარე კითხვები.

— არა, არ ვყოფილვარ, მაგრამ ბევრი რამ მსმენია თქვენს ქვეყანაზე. თანაც, დაგნი იუელი თბილისში გარდაიცვალა...

— ვი-ინ? — დამასწრო ჯეკმა და შვებით ამოვისუნთქე, რადგანაც არც მე ვიცოდი, ვინ იყო ეს ვიღაც დაგნი.

— მამა, შენ ეს ნამდვილად უნდა იცოდე. დაგნი იუელი ცნობილი ნორვეგიელი მწერალია, საქართველოში მოგზაურობდა და თბილისში გარდაიცვალა, სასტუმროში, უცნაურ ვითარებაში. თბილისშივეა დაკრძალული... — აუხსნა ლინდამ მამას. თუმცა, მეც დიდი ინტერესით ვუსმენდი.

— რა ვალდებული ვარ, ყველა მწერალს ვიცნობდი? — იწყინა ჯეკმა ქალიშვილის შენიშვნა.

— დაგნი ნორვეგიული მწერლობის ცნობილი სახეა. აუცილებელია, ნებისმიერმა ნორვეგიელმა ეს იცოდეს... — არ ეშვებოდა ლინდა.

— ე.ი. მე რომ არ ვიცი, ნორვეგიელი არა ვარ? — გაცხარდა ჯეკი.

— მამა, თუ ჩხუბის ხასიათზე ხარ, პირდაპირ მითხარი... თუ არა და, ნუ

მეკამათები, ხომ იცი, რომ დამარცხდები... — მშვიდად უპასუხა ლინდამ.

— ერთი შენი ძმები მამარცხებენ და ახლა შენ მაკლდი!..

— რა შუაშია ჩემი ძმები?

— იმ შუაშია, რომ ერთი ჭკუისა ხართ სამივენი. პატივს არ სცემთ ტრადიციებს... ახლა რომ გვერდით ჩემი ლიზი მყავდეს, ვერავინ დამჩაგრავდა!...

ეჭვიანი ჯეკ ლარსენი

ჯეკი მოულოდნელად წამოდგა და ოთახიდან სწრაფი ნაბიჯით გავიდა. სუფრასთან სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უხერხულობისგან სად წავსულიყავი, აღარ ვიცოდი. სიჩუმე ისევ ლინდამ დაარღვია.

— უკაცრავად, აკაკი, რაც დედა გარდაიცვალა, მამა ყველაფერზე იოლად ღიზიანდება... შვილებს კი გვიჭირს მისი გაგება.

— თქვენი ძმები სად არიან? — ვცადე საუბრის სხვა თემაზე გადატანა.

— უფროსი სიეტლშია, ცნობილი პროგრამისტია, უმცროსი კი, ნიუ-იორკში სწავლობს, თეატრალურ ხელოვნებას ეუფლება.

— საინტერესოა. შეიძლება, ცნობილი ფერმერის შვილი ცნობილი მსახიობი გახდეს!..

— შეიძლება, მაგრამ მამას ეს ვერ აუტანია: ლარსენი და მსახიობი ვის გაუგიაო?!.

— ასეთი მკაცრია ჯეკი?

— ძალიან მკაცრია, ტრადიციების მიმდევარს რატომღაც ჰგონია, რომ მისმა ყველა შვილმა ფურებს უნდა მოუაროს. სხვა სამყარო თუ არსებობს, მგონი, ვერც წარმოუდგენია...

— თქვენ რა სპეციალობა გაქვთ, ლინდა?

— მე ჰარვარდი დავამთავრე, ლიტერატურისმცოდნე ვარ.

— სხვათა შორის, ჰარვარდის ბიბლიოთეკაში ვიყავი ამ ცოტა ხნის წინ, იქ ერთი პროფესორი, პოლ სტიუარტი გავიცანი, საინტერესო პიროვნებაა... — გამახსენდა ჩემი ნაცნობი პროფესორი.

— მართლა? ბატონი სტიუარტი ჩემი ლექტორი იყო. ძალზე კეთილშობილი პიროვნებაა. ისე, სად თქვენ და სად პოლი... სად გაიცანით? — გაუკვირდა ლინდას.

— ნიუ-იორკიდან ბოსტონამდე დიდი ბიბლიოთეკა გადავუტანე და სამდღიან „ტურნეში“ დავმეგობრდით...

— რა საინტერესოა. ალბათ თქვენი ტრაილერით ბევრს მოგზაურობთ და ბევრ ადამიანსაც ხვდებით...

— საკმაოდ ბევრს ვმოგზაურობ, ქვეყანასაც ვათვალიერებ და ამერიკელებსაც ვეცნობი. მოკლედ, მარტო ტვირთის გადამზიდი კი არა, მოგზაურიც ვარ... — მოვიწონე თავი.

— მერე, რა აზრის ხართ ამერიკელებზე? — ჩამეძია ლინდა.

— რა თქმა უნდა, მომწონს ამერიკელები, მომწონს თქვენი ქვეყანა! თანაც, თქვენსავით მშვენიერ ქალიშვილთან შეხვედრის საშუალება რომ მომეცა, ესეც ხომ ბედნიერებაა...

როგორც ჩანს, ლინდა ჩემგან კომპლიმენტს არ მოელოდა და გაოცებულმა გადმომხედა. მერე გულიანად გადაიკისკისა და მადლობაც გადამიხადა.

— ისე, კავკასიელებზე ბევრი რამ მსმენია. მგონი, თქვენც ამართლებთ ამას...

ვერ გავიგე, ამით რისი თქმა უნდოდა ლინდას, მაქებდა თუ პირიქით — ჩემი „თავხედობა“ აღიზიანებდა. უხერხულობის გასაფანტავად შევეცადე, სხვა თემაზე გადამეტანა საუბარი.

— ქართულ ლიტერატურას თუ იცნობთ, ლინდა?

— ნამდვილად არ ვიცნობ. თუმცა, დაგნის დღიურებიდან წარმოდგენა მაქვს თქვენს ქვეყანაზე...

— ჩამობრძანდით საქართველოში, მე გეპატიჟებით. დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი დარჩებით... — გაბედულად დავპატიჟე ლინდა (მაგრამ რომ დამთანხმებოდა, საინტერესოა, რომელი „ანგარიშიდან“ დავფარავდი მისი მოგზაურობის ხარჯებს!..).

მერე კიდევ ვისაუბრეთ ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, თქვენ წარმოიდგინეთ — სიყვარულზეც... თითქმის ორმა საათმა ისე გაიარა, რომ ვერც შევამჩნიეთ. ვერც ის შევამჩნიეთ, თუ როგორ წამოგვადგა ჯეკი თავზე.

— როგორც ვატყობ, ერთმანეთს გაუგეთ, მოგწონთ ერთმანეთი... — უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა მან.

— კარგი ახალგაზრდაა, განათლებული... — უპასუხა ლინდამ.

ვერ გეტყვით, რატომ გაღიზიანდა ჯეკი, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც აშკარად არ მოეწონა და უცერემონიოდ, პირდაპირ მომახალა:

— აკაკი, ხვალ ადრე ხარ წასასვლელი. წამოდი, საძინებელს გაჩვენებ, მოისვენე...

დამჯერი ბავშვივით წამოვხტი და ჩემს უცნაურ მასპინძელს (რომელიც ეჭვიანი მამაც აღმოჩნდა) საძინებელი ოთახისკენ გავყევი...

P.S. აკაკი გეგენავას მოგონებების ამსახველ მორიგ წერილს „გზის“ № 16-ში შემოგთავაზებთ. ■

ხოგოხ დაგიანგარიშოთ ქვეყნის ფასი

დღემდე, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა ბინის, სახლის ან ქარხნის ფასის დადგენა. ამ ცოტა ხნის წინ კი, ბრიტანეთის ეროვნული სტატისტიკის სამსახურმა მთელი სახელმწიფოს ღირებულების დაანგარიშების მეთოდი წამოაყენა. დაჯამებულია მიწის, უძრავი ქონების, სამრეწველო საწარმოების, საავტომობილო გზების, სატრანსპორტო საშუალებების, საბანკო ანგარიშების და სხვა ქონების ფასი, გათვალისწინებულია უამრავი სხვა ფაქტორი. სტატისტიკოსთა დაანგარიშების მიხედვით, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს საერთო ღირებულება თურმე 4 ტრილიონ 983 მილიარდ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

ავტოავარიების სიხშირე მანქანის ფერზე ყოფილა დამოკიდებული

ეს კანონზომიერება ორწლიანი გამოკვლევების შედეგად დაადგინეს დასავლეთელმა სპეციალისტებმა. მათი დასკვნით, ყველაზე უსაფრთხო, ნაცრისფერი „მეტალიკის“ ფერის ავტომობილია, რომელიც თეთრ მანქანაზე საშუალოდ ორჯერ იშვიათად ხვდება საგზაო ინციდენტის მონაწილე. ყველაზე დიდი საფრთხის მატარებელი, შავი, ყავისფერი და მწვანე მანქანები ყოფილა. ყვითელი, წითელი და ლურჯი ავტომობილები დაბალი საავარიო დონით გამოირჩევა. მეცნიერთა დასკვნით, ავარიის სიხშირე მანქანის მარკაზე დამოკიდებული არ ყოფილა. საინტერესოა, რომ ისინი ვერ პოულობენ კავშირს ავარიულობასა და მანქანის ფერს შორის და მხოლოდ ვარაუდობენ: მიზეზი ავტომფლობელთა ფსიქიკაშია, რომელიც ქვეცნობიერად ამა თუ იმ კონკრეტულ ფერს ამჯობინებს.

maT uxilavis danaxva ZaluZT

ოფიციალური მეცნიერება მოჩვენებების არსებობას არ აღიარებს, თვითმხილველთა მოწმობას კი ჰალუცინაციებისა და თვითშთაგონების სფეროს მიაწერს. ამ საკითხისადმი მეცნიერთა ასეთი ქედმაღლური დამოკიდებულება ეწინააღმდეგება მიუკერძოებელ სტატისტიკურ მონაცემებს: ძალზე დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც საკუთარი თვალით იხილა ან რაიმე სხვაგვარი კონტაქტი ჰქონდა საიქიოს წარმომადგენლებთან. ვაშინგტონის უნივერსიტეტის დოქტორმა, რობერტ მორისონმა მოჩვენებების რეალურობის შემოწმება ცხოველების მეშვეობით გადაწყვიტა. ცხოველები ხომ ჰალუცინაციებისა და თვითშთაგონებისადმი მიდრეკილნი არ არიან.

თავისი უჩვეულო ცდის ჩასატარებლად მეცნიერმა მონადირის ის ქოხი შეარჩია, სადაც ოდესღაც მკვლელობა მოხდა, რის შემდეგაც, გადმოცემის თანახმად იქ მოჩვენება დამკვიდრდა. „ცოცხალი დეტექტორების“ სახით კი, მან თან იახლა ძაღლი, კატა, ვირთხა და ჩხრიალა გველი. როცა მორისონი თავის ძაღლთან ერთად იმ ოთახში შევიდა, სადაც ოდესღაც მკვლელობა მოხდა, ქოფაკმა სულ ორიოდე მეტრის გავლის შემდეგ პატრონს შეუღრინა და სასწრაფოდ უკან გამოვარდა. ხოლო როცა რობერტმა მისი ქოხში შეყვანა კვლავ სცადა, ძაღლი ამაზე ვერაფრით დაიყოლია.

მეცნიერმა კატა ხელში აყვანილი შეიყვანა იმავე ოთახში. მაგრამ როგორც კი ის იმ ადგილს მიუახლოვდა, საიდანაც ძაღლმა უკან მოუხედავად მოცოცხა, კატა მას მხარზე შეახტა, კლანჭები გამოაჩინა, შემდეგ იატაკზე ისკუპა და კუთხეში მდგარი სკამისაკენ გაემართა. რამდენიმე წუთის მანძილზე ამრეზილი კატა აგრესიულად უტევდა სკამს, ვიდრე მორისონმა ის ოთახიდან არ გაიყვანა. ვირთხას არანაირი რეაქცია არ ჰქონია; აი, ჩხრიალა გველმა კი, სკამთან მიახლოებისას მაშინვე შემართული საბრძოლო მდგომარეობა მიიღო. სხვათა შორის, მონადირის სახლის სხვა ოთახებში ყოფნისას „ცოცხალი დეტექტორების“ ქცევაში არანაირი უცნაურობა არ შეინიშნებოდა. „ცხოველების ნდობა ნამდვილად შეიძლება, — მიაჩნია დოქტორ მორისონს, — აქედან გამომდინარე მოჩვენებების რეალურად არსებობა უნდა ვაღიაროთ.“

■

ოთხფეხიანებმა ცხოველთა ეკიპაჟში ეცხოვრეს

ინგლისელ ჯონ კლეისტერს თავის მშობლიურ ქალაქ სოკიჯში კეთილმოსურნე და კარგად აღზრდილ ადამიანად მიიჩნევდნენ. ხუთი წლის წინ, მან აფრიკაში მოგზაურობა გადაწყვიტა. კენიაში ტურისტად ჩასულმა კლეისტერმა, როგორც ჩანს, არცთუ ისე კარგი თვისებები გამოავლინა. კემპინგში (სადაც ტურისტული ჯგუფი იყო გაჩერებული), ვახშმობისას მან ზომაზე მეტი დალია და სკანდალი მოაწყო. ამ დროს მას კემპინგში შემთხვევით მყოფი ერთი მოხუცი ზანგი მიუახლოვდა და შენიშვნა მისცა. საპასუხოდ ინგლისელმა მას სილა გააწნა, თანაც იმდენად ძლიერად, რომ საწყალს ცხვირიდან სისხლი წასკდა. მოხუცმა შეურაცხმყოფლის მისამართით რაღაც ბოროტად წაისისინა და მაშინვე წავიდა.

მეორე დღეს, ზუსტად იმ დროს, როცა მოხუც ზანგს შეურაცხყოფა მიაყენა, ჯონს ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. კემპინგის მეპატრონემ გააფრთხილა კლეისტერი, რომ მოხუცი გავლენიანი ჯადოქარი იყო და შეურაცხყოფას არ აპატიებდა. მისი ნათქვამი გამართლდა: საღამო ხანს, ერთსა და იმავე დროს კლეისტერს ყოველდღე სისხლი სდიოდა. ინგლისში დაბრუნების შემდეგ, მან საუკეთესო სპეციალისტებს მიმართა, მაგრამ ექიმებმა მისი დახმარება ვერაფრით შეძლეს. ინციდენტიდან მოყოლებული, ხუთი წლის განმავლობაში ჯონს ყოველდღე ცხვირიდან სისხლი სდის. კლეისტერს ბრიტანელმა მაგებმაც ვერაფერი უსაშველეს. მათი თქმით, ჯადოს მოხსნა მხოლოდ მის გამკეთებელს შეუძლია. ბოლოს და ბოლოს, სისხლდენით გატანჯულმა ჯონმა კვლავ კენიაში გამგზავრება გადაწყვიტა, რათა მოძებნოს მოხუცი ჯადოქარი და პატიება სთხოვოს მას.

■

უკიდურესი ზომა

იტალიელ ანტონიო კავალკანტის თურმე მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი მავნე ჩვევა ჰქონდა: ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროიდან მას დოღი იტაცებდა. აღსარებისას ანტონიოს არაერთხელ მიუცია პირობა მოძღვრისათვის, რომ ამ დამღუპველ ჩვევას დაძლევდა, მაგრამ ტაძრიდან გამოსული პირდაპირ იპოდრომს მიაშურებდა ხოლმე, სადაც მთელ თავის შემოსავალს ტოვებდა.

ყოველივე ეს დასრულდა იმით, რომ ანტონიო არა მარტო ცოლისა და ოჯახის, არამედ ყოველგვარი საარსებო სახსრის გარეშეც დარჩა. ვალებით ძალზე შეჭირვებულ კავალკანტის ყოველგვარი იმედი გადაეწურა და თვითმკვლელობა გადაწყვიტა, უკანასკნელ მომენტში, ვიდრე ტყვიას შუბლში დაიხლიდა, მან თავის მფარველ ანგელოზს საყვედურით მიმართა და ბრალი დასდო იმაში, რომ არ დაეხმარა აზარტული მავნე ჩვევის დაძლევაში.

მოხდა სასწაული: გასროლისას ანტონიოს ხელი აუკანკალდა! ის ცოცხალი გადარჩა და მხოლოდ ზედაპირული ჭრილობა მიიღო. ცოდვილი საავადმყოფოს პალატაში მოეგო გონს და თითქმის მაშინვე აღმოაჩინა, რომ მომავლის წინასწარმეტყველების უნარი ჰქონდა. თავდაპირველად ყველაფერი წვრილმანებით დაიწყო: ის გუმანით გრძნობდა ვინ და როდის მოაკითხავდა მის პალატაში მყოფ პაციენტებს. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მას უფრო სერიოზული რამეების წინასწარ განჭვრეტაც შეეძლო.

„როცა რაიმის გაგება მსურს, თვალებს მაგრად ვხუჭავ, ჩემთვის საინტერესო საკითხზე ყურადღების კონცენტრაციას ვახდენ — რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მომავლის სურათები თვალწინ აღმებეჭდება, თითქოს ყოველივე ამას ჩაბნელებულ ტაბლოზე ვუყურებდე“ — ამბობს კავალკანტი.

საავადმყოფოდან გამოწერილმა პაციენტმა კვლავ იპოდრომს მიაშურა, სადაც ყველა გარბენის შედეგი წინასწარ განჭვრიტა და მოკლე ხანში გამდიდრდა კიდეც. წინასწარმეტყველმა ვალებიც გაისტუმრა, ბანკშიც ანგარიში გახსნა და ოჯახის წევრებიც შემოირიგა. ერთადერთი, ვისი შემორიგებაც ჯერ ვერ მოახერხა, ცოლია. მის დასაბრუნებლად ანტონიო ცდას არ აკლებს და იფიცება, რომ მასთან შერიგების შემდეგ იპოდრომს ახლოსაც არ გაეკარება. კავალკანტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ უკანასკნელ წამს მფარველმა ანგელოზმა გადაარჩინა, მაგრამ უკიდურესი ზომის გამოყენებას არავის ურჩევს — ვინ იცის, იქნებ, თქვენი მფარველი ანგელოზი სულაც არ აღმოჩნდეს ასეთი გულმოწყალე? ■

საიქიოში ამღერებული ლენონი

უჩვეულო ამბავი, რომელიც ცნობილი ამერიკული ჯგუფის „ვილჰელმ კ.“-ს მუსიკოსებს შეემთხვათ, ნამდვილ სენსაციად იქცა. ამასთან ერთნი ამას „სიკვდილის შემდეგ სულის არსებობის“ დამადასტურებლად მიიჩნევენ, მეორენი — სარეკლამო ტრიუკად.

აი, რა მოხდა: მუსიკოსები სტუდიაში ახალი ალბომის ჩაწერაზე მუშაობდნენ, მაგრამ ვოკალის და მუსიკის სათანადოდ შერწყმას ვერა და ვერ ახერხებდნენ. „რამდენიმე საათის განმავლობაში ალბომის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილის ჩაწერას უშედეგოდ ვცდილობდით. ჩემმა მეგობარმა გოგონამ (სხვათა შორის, ის ოკულტიზმითაა გატაცებული) ჩვენს კერპთან — ჯონ ლენონთან კონტაქტის დამყარება შემოგვთავაზა, რათა ის მელოდიის საჭირო ტონალობის მოძებნაში დაგვხმარებოდა, — იხსენებს დასარტყამ ინსტრუმენტზე დამკვრელი უვე კარლი. თავიდან ეს ამბავი სიცილადაც არ გვეყო, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ბედი გვეცადა. ჩვენ ლენონის სულთან კონტაქტის დამყარება ვცადეთ, მაგრამ ვინაიდან ჩვენ შორის არც ერთი მედიუმი არ იყო — არაფერი გამოგვივიდა“.

მუსიკოსები ინსტრუმენტებს დაუბრუნდნენ და როგორც იქნა, საქმე ბოლომდე მიიყვანეს. თანაც ერთი სიმღერა კი არა, რამდენიმე ჩაწერეს. გარდა ამისა, „ბექვოკალიც“ ჩაწერეს. შემდეგ, ცოტა ხნით შეისვენეს და სააპარატურო ოთახში დაბრუნდნენ. როცა ხმის ოპერატორებმა ჩანაწერი ჩართეს, გამაძლიერებლებში გაისმა ხმა... როგორ ფიქრობთ, ვისი ხმა? დიახ, დიახ, თავად ჯონ ლენონისა. შეცდომა გამორიცხული იყო — მისი ხმა ხომ შეუძლებელია, ვინმეს ხმაში აგერიოს.

ფირი, რომელზეც საიქიოდან ჩაწერილი ხმა იყო აღბეჭდილი, სასწრაფოდ ლაბორატორიაში წაიღეს, სადაც კომპიუტერების მეშვეობით საფუძვლიანად გამოიკვლიეს. სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს, რომ ფირზე აღბეჭდილი ხმა 1980 წელს მოკლულ ჯონ ლენონს ეკუთვნოდა. ალბათ მან გადაწყვიტა, რომ თავისი თაყვანისმცემლებისთვის ამ სახით მოკითხვა შემოეთვალა. ■

ბამბეულისა და სელის ნაწარმის გარეცხვა-დაუთოება

● ფერადი ქსოვილი არ გახუნდება, თუ ცივ მარილწყალში გარეცხავთ.

● ხაოიანი პირსახოცები და ხალათები შეინარჩუნებს სირბილეს თუ მათ მარილწყალში გარეცხავთ



და არ გააუთოებთ.

● თეთრი სელისა და ბამბეულის ქსოვილზე უთოსგან დატოვებული ყვითელი კვალის მოსაცილებლად, ქსოვილი უნდა მოათავსოთ ცივ წყალში, შემდეგ კი ქლორიანი კირის ხსნარით (1 ს/კ ერთ ჭიქა წყალში) გაზავებულ წყალში გაავლოთ.

● უთოთი შეტრუსული ღია ფერის სელის ან ბამბის ქსოვილი ჩაალბეთ მცირე რაოდენობის წყალში, რომელსაც დამატებული აქვს დო ან მაწონი.

ძლიერ შეტრუსული ადგილები დაასველეთ წყალბადის პეროქსიდით და მზეზე გააშრეთ. შემდეგ კი ცივ წყალში გაავლეთ.

● შერუჯული ლაქა შეიძლება ხახვით მოაცილოთ.

● ბამბეულისა და სელის ქსოვილი (შეკერვამდე) გარეცხეთ ცხელ წყალში და გააშრეთ ისე, რომ ქსოვილი არ გაჭიმოთ.

● შავი და ლურჯი ბატისტის, მარკიზეტის ნაწარმი გაავლეთ ლუდში ან ცივ წყალში, რომელშიც გახსნილია შაქარი.

● სატინისა და ჩითის სამოსი არ დაკარგავს ბზინვარებას, თუ ბორაკიან წყალში ან ცხელ მარილწყალში (3-4 ს/კ მარილი 5 ლ წყალში) გაავლებთ.

● მაქმანი გარეცხვამდე ბამბის ქსოვილს დააფარეთ. ეს გაგიადვილებთ მის გარეცხვასა და დაუთოებას; რაც მთავარია, მაქმანი ფორმას არ დაკარგავს.

● უთოს ძირის გასაწმენდად დაყარეთ მუყაოზე ხვრიში მარილი, გაუსვით უთო, შემდეგ კი მისი ძირი გაწმინდეთ ძმრიანი ტილოთი.

როგორ შევარჩიოთ იატაკის საფარი?

ეს კითხვა აღელვებს ყველას, ვისაც სახლი აქვს გასარემონტებელი და იატაკის საფრის შერჩევა სურს. ამ დროს დიასახლისი ორი არჩევანის წინაშე დგას: რომელი სჯობს, პარკეტი თუ ლამინატი?

პარკეტი ლამინატთან შედარებით ეკოლოგიურად უფრო სუფთა მასალად ითვლება. ის კარგად ინარჩუნებს ოთახში ტემპერატურას და ამ სიკეთესთან ერთად, ხმის გაუმტარიცაა. ამ საფრის თანამედროვე სახე იმდენად მრავალგვარია, რომ ნებისმიერი მოთხოვნილების მქონე ადამიანს დააკმაყოფილებს.

პარკეტი კვლავ ერთ-ერთ ძვირად ღირებულ სიამოვნებად რჩება. მას განსაკუთრებული მოვლა და დაცვა სჭირდება. შენობაში, სადაც პარკეტის იატაკია, ჰაერის ტენიანობა 40-70%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ტენის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარეა მუხის პარკეტი. დაბალი ტენიანობის დროს ის შრება, ვიწროვდება და დროთა განმავლობაში, მის ნაჭრებს შორის ღრიჭოები ჩნდება. პარკეტის შეძენის წინ, აუცილებელია მისი სხვადასხვა სახეობების შესახებ, ინფორმაცია კვალიფიციური პირისგან მივიღოთ. პარკეტის ალტერნატიული იმიტაცია არის ლამინატი. მოსავლელად ის უფრო მოსახერხებელია, თუმცა ნესტი არც მას უყვარს. ლამინატზე არ რჩება ქუსლების კვალი და სხვა მძიმე საგნების დარტყმაც ვერაფერს აკლებს. ადვილად იწმინდება, აკმაყოფილებს ჰიგიენურ მოთხოვნებს და თუ მას კარგად მოუვლით, 5-დან 15 წლამდე მოგემსახურებათ. იატაკის საფრად ხშირად იყენებენ ლინოლეუმსაც. როგორც ექიმები ამბობენ, ბინაში, სადაც ლინოლეუმის იატაკია, გამორიცხულია, ადამიანები სასუნთქი ორგანოების ავადმყოფობით დაავადდნენ. ლინოლეუმის რამდენიმე სახეობა არსებობს: სქელი, ქვემოდან თბილი ქსოვილით, თხელი, რეზინისებრი და ა.შ. ლინოლეუმი რამდენიმე ფენისგან შედგება და ყოველ ფენას თავისი ფუნქცია აქვს: დამცავი, დეკორატიული, ელასტიკურობის შემანარჩუნებელი და ა.შ. რაც უფრო დიდია საფრის სისქე და მდიდარია მისი შემადგენლობა, მით მაღალია ლინოლეუმის ფასი. ისეთ ბინაში, სადაც მაღალია ტენიანობა, რეკომენდებულია ლინოლეუმი სპეციალურ რეზინისებრ საფარზე გავშალოთ (დერეფანში ასეთი საფრის დაწებება არ არის მიზანშეწონილი) მისი მოვლა ადვილია. იწმინდება მაგრად გაწურული ტილოთი და თუ კარგად მოუვლით, 10 წლის განმავლობაში უპრობლემოდ მოგემსახურებათ.

სეზონური რჩევები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცამვილი

„გამუდმებით მეძინება, სამუშაოს გახსენებაც არ მინდა, ალერგიამაც შემახსენა თავი“ — ეს ხომ მარტი-აპრილის ტიპური ჩივილებია? გაზაფხულის დადგომასთან ერთად ირღვევა ბიორიტმები, იწყება გაზაფხულის დესინქრონოზი.

რა ხდება გაზაფხულზე?

ჩვენს ორგანიზმში იწყება ფარული რევოლუცია. ორგანოები და სისტემები ახალ ყაიდაზე გადაწყობას ცდილობს.

შინაგანაწესი. ფარისებრი ჯირკვალი, თირკმლები, ღვიძლი, გული, ნერვული სისტემა სხვადასხვაგვარად რეაგირებს მზის აქტივობის ზრდაზე, დღის გადიდებაზე, ტემპერატურის ცვლილებაზე. ირღვევა ერთიანი რიტმი და ორგანიზმის მუშაობა ემსგავსება მომღერალთა გუნდის შეუწყობელ სიმღერას.

აჩქარება. გაზაფხულზე მატულობს ნერვული სისტემის აგზნებადობა, აქტიურდება ფარისებრი ჯირკვლის, ჰიპოფიზის, თირკმელზედა ჯირკვლების, სასქესო ჯირკვლების ჰორმონთა გამოყოფა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სეკრეტორული ფუნქცია. ამიტომ ამ დროს იფეთქებს ხოლმე არა მხოლოდ ვნებები, არამედ ანთებითი და ალერგიული პროცესებიც.

წონასწორობის დარღვევა. ტემპერატურის ცვალებადობის გამო იცვლება ნაწლავებისა და ზედა სასუნთქი გზების მიკროფლორა. ირღვევა იმუნური სისტემის წონასწორობაც.

როგორ გადავიტანოთ ეს პერიოდი?

გარდამავალ პერიოდში არ უნდა გადაიღალოთ სამუშაოთი, უნდა ერიდოთ სტრესებს. გაზაფხულზე განსაკუთრებით ცუდია დაავადების გადატანა აქტიურ რეჟიმში (სამუშაოსგან მოუწყვეტლივ), დაღლილობისას თავისთვის ძალის დატანება — ამის შედეგად შესაძლოა, ზაფხულამდეც კი ვეღარ აღიდგინოთ ძალები.

საჭიროა კვების კორექტირება — თქვენი რაციონი გაჯერებული უნდა იყოს ახალი ხილითა და ბოსტნეულით, ნატურალური პროდუქტებით, ვიტამინებით. გირჩევთ, ამ პერიოდში მოერიდოთ ეგზოტიკურ პროდუქტებს, რომლებიც არ იზრდება ჩვენს პირობებში და უცხო ქვეყნებიდანაა შემოტანილი.

როგორ მოვიერიბოთ ძალები

მარტის უსიამოვნებებს ხშირად, იმის გამო ვაწყდებით, რომ ჩვენ არ ვიკვებებით საგაზაფხულო საკვებით და ისევ ზამთრის კვებას ვანიჭებთ უპირატესობას. ფიზიოლოგებმა დაასკვნეს, რომ გაზაფხულსა და ზაფხულში ორგანიზმი ენერგიას ძირითადად, ნახშირწყლებისგან ილებს, შემოდგომასა და ზამთარში კი — ცხიმებზე გადადის. ასეთ გადაწყობას გვკარნახობს კუჭ-ნაწლავის ფერმენტთა და ჰორმონთა აქტიურობის რიტმის ცვლილება.

ამრიგად, გაზაფხულზე მეტი მცენარეული საკვების მიღების სურვილი სავსებით კანონზომიერია. რაციონი სრულყოფილი ვერ იქნება, თუ იგი მხოლოდ რაფინირებული და კონსერვირებული პროდუქტებისაგან შედგება, რომლებიც ტვირთავს ორგანიზმს ზედმეტი კალორიებით და არ ამარაგებს მას საჭირო ბიოაქტიური ნივთიერებებით. დღეისათვის არსებობს ვიტამინური კომპლექსები და ბიოაქტიური დანამატები, რომლებიც დაგეხმარებათ რაციონის სრულყოფაში.

თუ გაზაფხულის დესინქრონოზის პრობლემის მოგვარება გადაწყვიტეთ, ნუ დაიწყებთ „პოტენციის გამაძლიერებელი“ თუ „წიდებისაგან ორგანიზმის გამწმენდი“ საშუალებების ძიებას — თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია პრეპარატი, რომელიც აძლიერებს იმუნიტეტს, ხელს უწყობს გაზაფხულის პირობებთან ორგანიზმის შეგუებას, აწესრიგებს ძილს, ზრდის შრომისუნარიანობას, იცავს უჯრედებს თავისუფალი რადიკალებისაგან. სხვათა შორის, სწორედ გაზაფხულზე აქტიურდება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონთა სეკრეცია და ამის შედეგად უჯრედებში მატულობს ჟანგვითი რეაქციები, ამიტომ ამ დროს ორგანიზმს დამატებითი ანტიოქსიდანტური დაცვა ესაჭიროება (ცნობილი ანტიოქსიდანტებია: A, E და C ვიტამინები).

თუ ალერგიულმა რეაქციებმაც იჩინა თავი, მოგიწევთ ანტიალერგიული პრეპარატების მოძიებაც.

ცნობილია, რომ გაზაფხულზე მწვავდება გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაავადებებიც. გამწვავების მკურნალობა რთულია, ამიტომ უმჯობესია მისი პროფილაქტიკა, რაც ყველა იმ რჩევის გათვალისწინებას მოითხოვს (კვების რეჟიმი, ცხოვრების წესი, იმუნოსტიმულაცია, ვიტამინები, ბიოდანამატები), რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ■

პირის ჰიგიენა

ეს პრობლემა ყველა ადამიანს ჰქონია, მაგრამ ზოგისთვის იგი დროებითია (მაგალითად, წუხანდელი ქეიფის შემდეგ), ზოგისთვის კი მუდმივ თავსატეხად და სერიოზული კომპლექსების მიზეზად ქცეულა: ადამიანს სულ თან სდევს საკუთარი არაჯანსაღი სუნთქვა და ეჩვენება, რომ თანამოსაუბრეები მასთან მიახლოებას არიდებენ თავს.

ზოგჯერ სრულიად ჯანმრთელ ადამიანს აწუხებს სუნი პირიდან, ხოლო დაავადებულს — შეიძლება არ ჰქონდეს. როგორც ჩანს, პირის ღრუს იმუნური აპარატი ავტონომიურად მუშაობს და უმკლავდება დატვირთვას.

● პირის ღრუში ჩაბუდებული ბაქტერიებისთვის უჰაერობა არსებობის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს. ჟანგბადით მდიდარი ნერწყვი კი აფერხებს მათ გამრავლებას. ძილის დროს ნერწყვის გამოყოფა ქვეითდება და იქმნება მშვენიერი გარემო ბაქტერიებისათვის, რომლებიც გოგირდწყალბადს გამოყოფს. სწორედ ამით აიხსნება დილაობით დამახასიათებელი სუნი პირიდან, მაგრამ საუზმობის ან ჭიქა წყლის დალევისთანავე გამომუშავდება ნერწყვი, რომელიც ჩამორეცხს ბაქტერიათა დიდ ნაწილს. ალკოჰოლი, შიმშილი, ხანგრძლივი მონოლოგი, პირით სუნთქვა ფიზიკური ვარჯიშისას, სტრესული სიტუაცია — ეს ყველაფერი აშრობს პირს და უსიამოვნო სუნს იწვევს.

● ასაკის მატებასთან ერთად ნერწყვის გამომუშავება თანდათანობით მცირდება. ამიტომაა, რომ მოხუცებს სუნი პირიდან უფრო ხშირად აქვთ, ვიდრე ახალგაზრდებს. ჩვილები კი, რომელთაც ნერწყვი ჭარბად გამოუმუშავდებათ და ამიტომ ბაქტერიები პირის ღრუში ცოტა აქვთ, სუფთა სუნთქვით გამოირჩევიან.

● ამონასუნთქი ჰაერის სისუფთავეზე შეიძლება, გავლენა იქონიოს წამლების ხანგრძლივად მიღებამაც. ანტიჰისტამინური, შეშუპების საწინააღმდეგო საშუალებები, ანტიდეპრესანტები, დამამშვიდებლები და ჰიპერტონიის სამკურნალო პრეპარატები ამცირებს ნერწყვის გამოყოფას, რაც ზრდის ბაქტერიების რიცხვს.

● ზოგიერთ ქალს პირში სუნი აღენიშნება მენსტრუაციის დაწყების წინ — ეს დაკავშირებულია ჰორმონულ ცვლილებებთან, რაც პირის ღრუში ბაქტიერების რაოდენობის გაზრდას იწვევს.

● სუნთქვის დაბინძურების ყველასათვის ცნობილი მიზეზებია: ხორციანი კერძებით დანაყრება, სიგარეტი, უზომო რაოდენობით ალკოჰოლის, ხახვისა და ნივრის მიღება.

● უსიამოვნო სუნის წარმოქმნას ხელს უწყობს გასახდომი დიეტაც. ამის მიზეზია არა მხოლოდ მშრალი პირი, არამედ ის, რომ ცხიმის წვისას ორგანიზმში გამოიყოფა მახასიათებელი სუნის მქონე აცეტონი. ამიტომ, როდესაც გახდომას აპირებთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ პირის ღრუს ჰიგიენას და სვით რაც შეიძლება მეტი სითხე.

ჩვენ ვისაუბრეთ ფიზიოლოგიურ მიზეზებზე, მაგრამ — ხშირად, პირში უსიამოვნო სუნის მიზეზი სხვადასხვა პათოლოგიაც შეიძლება იყოს:

● თუ ადამიანს აქვს კარიესიანი კბილები, არასწორად ჩადებული ბუჟნი, ღრძილების ანთება, კბილის ამოღების შემდგომი გართულებები, ლორწოვანი გარსის სხვადასხვა დაავადება (სტომატიტი, სოკოვანი ინფექცია, ჭრილობა, ეროზია, წყლული), პირის სიმშრალე სანერწყვე ჯირკვლების ფუნქციის დაქვეითების გამო, მან უსიამოვნო სუნის სამკურნალოდ სტომატოლოგს უნდა მიმართოს.

● თუ ადამიანი მოსახსნელი პროთეზით სარგებლობს, საჭიროა მისი საგულდაგულოდ მოვლა, თორემ სუნი გარდაუვალი იქნება. ზოგჯერ გადაკრული გვირგვინის ქვეშ იმალება სუნის მიზეზი — ასეთ დროს პროთეზისტი დაგეხმარებათ.

● უსიამოვნო სუნთქვა ჩნდება ხოლმე, თუ პაციენტს აქვს ფრონტიტი, სინუსიტი, ჰაიმორიტი, ოტიტი (ყურის ანთება),



ტონზილიტი (ნუშურა ჯირკვლების ანთება), რინიტი (ცხვირის ლორწოვანის ანთება).

● თერაპევტებმა და პულმონოლოგებმა იციან, რომ მახასიათებელი სუნი აქვთ პნევმონიით, ბრონქიტითა და ტუბერკულოზით დაავადებულებს. ფილტვების დაავადებათა დროს სუნი დახველებისას ძლიერდება.

● კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების (ენტერიტი, კოლიტი, გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯის წყლული, დისბაქტერიოზი) დროს, ცუდი სუნი პირიდან ძლიერდება ბოყინის შემთხვევაში, რასაც გოგირდწყალბადის სუნი მოჰყვება.

● უსიამოვნო სუნის განსაკუთრებული ნაირსახეობა აღინიშნება დიაფრაგმის თიაქრის შემთხვევაში, როცა კუჭი გადის დიაფრაგმის ხვრელში და მჟავე წვენი ამოქარვდება საყლაპავში, რის გამოც მონელებული საჭმლის სუნი ამოდის პირიდან.

● სპეციფიკური სუნი აქვთ პირიდან აგრეთვე ჰეპატიტით, ქოლეცისტიტით და ქოლანგიტით დაავადებულებს. აცეტონის სუნი აღინიშნება შაქრიანი დიაბეტისა და თირკმლის დაავადებების დროს.

ჯანსაღი სუნთქვის 4 საიდუმლო

● დილა-საღამოს გამოიწმინდეთ კბილები (აგრეთვე ენა და სასა). ისარგებლეთ კბილების საწმენდი ჩხირით ან ძაფით, რათა კბილებს შორის არ დარჩეს საკვების ნარჩენები — მათზე ბაქტერიები იწყებს გამრავლებას.

● ზოგს შველის სავლების გამოვლება ყოველ ორ საათში ერთხელ: კარგია ბაქტერიოციდული ხსნარები (მწვანე ჩაი, გვირილის ან მუხის ქერქის ნახარში, ჯავზისაგან მომზადებული ნაყენი), აგრეთვე მიკროელემენტებით მდიდარი სითხე (მინერალური წყალი, თაფლის წყალხსნარი).

● თუ ვერ ასწრებთ ჰიგიენური პროცედურის ჩატარებას, მაგრამ გაქვთ გადაუდებელი საუბარი, პირის ღრუდან სუნის მოსასპობად შეგიძლიათ გამოიყენოთ პიტნის შემცველი აბები, კარამელი ან საღეჭი რეზინი.

● ხანმოკლე ეფექტისთვის გამოგადგებათ სხვადასხვაგვარი წვენი. შეგიძლიათ დაღეჭოთ ლიმონის ქერქი. ნივრის სუნის განეიტრალება შეგიძლიათ ოხრახუშის ფოთლების დაღეჭვით. ■

ჭარხალი – სასარგებლო პროდუქტი

ჭარხალი ყველა სხვა ბოსტნეულთან შედარებით მეტი რაოდენობით შეიცავს რკინასა და თუთიას, ამიტომაც ერთნაირად სასარგებლოა როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვისაც: თუთია „მამაკაცური“ მინერალია, რკინის პრობლემა კი უპირატესად ქალებს აწუხებს.

ჭარხალში არის კობალტიც, რომელიც აუცილებელია ვიტამინ B12-ის სინთეზისათვის. ჭარხალი ლიდერობს ბოსტნეულთა შორის იოდის შემცველობითაც – ეს ელემენტი კი ფარისებრი ჯირკვლის სიჯანსაღის, კარგი მეხსიერების, სიმხნევისა და შრომისუნარიანობის გარანტია.

ვიტამინებისა და მინერალების ნაკრებთან ერთად ჭარხალი შეიცავს განსაკუთრებულ ნივთიერებებს, რომლებიც გამოარჩევს მას სხვა ბოსტნეულისგან. ერთ-ერთი ასეთი ნივთიერებაა ბეტაინი. ეს ბიოაქტიური ნივთიერება აუმჯობესებს ცილის ათვისებას. ასე რომ, ჭარხლის გარნირთან ერთად მირთმეული ხორცის პატარა ნაჭერი დიდი ბიფშტექსის ტოლფასია. ამასთან ბეტაინი აუმჯობესებს ღვიძლის მუშაობას, მის საფუძველზე პრეპარატებსაც კი ამზადებენ. ზარმაცებს შეუძლიათ აბების სმა, მაგრამ ის ბოსტნეულის წვნიანსა და სალათს ვერ შეცვლის. სხვათა შორის, სხვა ბოსტნეულისგან განსხვავებით არანაკლებ სასარგებლოა მოხარშული ჭარხალი, ვიდრე ცოცხალი.

ჭარხალი შეიცავს საპონინებს, რომლებიც ნაწლავებში ქოლესტერინს იკავშირებს. ვისაც მომატებული აქვს ქოლესტერინის დონე, ყოველდღიურად უნდა ჭამოს ჭარხალი. იგი მეტად სასარგებლოა ალერგიის, ჰიპერტონიის, თირკმლების დაავადებების და გულის უკმარისობის დროს. ყოველივე ზემოთქმული ეხება არა მხოლოდ ჭარხლის ბოლქვს, არამედ მის ფოთლებსაც.

ჭარხალი შავი ქლიავით

მასალა: 1 კგ ჭარხალი, 1 ჭიქა შავი ქლიავი, 2 ჭიქა წყალი, 1/2 ლიმონი, მარილი.

შავი ქლიავი გარეცხეთ, გადაავლეთ თბილი წყალი და კურკები გამოაცალეთ. ჭარხალი გარეცხეთ, გაფხიკეთ და დაჭერით მსხვილ ნაჭრებად. ქლიავიცა და ჭარხალიც გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. წყალი ჩაასხით ჯამში და მიიყვანეთ ადულებამდე, დაუმატეთ ლიმონის წვენი, მარილი და ქლიავ-ჭარხლის ნარევი. აურიეთ და თავდახურული რამდენიმე წუთით შედგით ცეცხლზე. მოაყარეთ წვრილად გახეხილი ლიმონის ცედრა, გააცივეთ და სუფრაზე მიიტანეთ მაიონეზთან ერთად.

ჭარხლის სალათა

მასალა: 200 გ ჭარხალი, 2 ს/კ პირშუშხა, 2 ს/კ მაიონეზი, 2 ს/კ არაჟანი, 1/2 ლიმონის წვენი, მარილი, შაქარი გემოვნებით.

ჭარხალი გარეცხეთ, გაასუფთავეთ, გახეხეთ მსხვილ სახეხზე. დაუმატეთ პირშუშხა, მარილი, მცირე რაოდენობით შაქარი (ან თაფლი), მოასხით ლიმონის წვენი. მაიონეზი და არაჟანი კარგად აურიეთ და სალათს სუფრაზე მიტანის წინ მოასხით.

ფარშირებული ჭარხალი

მასალა: 6-8 ცალი საშუალო ზომის ჭარხალი, 2/3 ჭიქა ბრინჯი, 2 ვაშლი, 250 გ ხაჭო, 1-2 ს/კ შაქარი, 2 კვერცხი, 50 გ კარაქი, 1 ჭიქა არაჟანი, მარილი გემოვნებით.

ჭარხალი მოხარშეთ, გააცივეთ, მოაცილეთ კანი. ბრინჯი მოხარშეთ, დაუმატეთ კარაქი, მსხვილ სახეხზე გახეხილი ვაშლი, შაქარი, წვრილად დაჭრილი მოხარშული კვერცხი, დაჭყლეტილი ხაჭო, მარილი, არაჟანი. გამზადებულ ჭარხალს ფრთხილად ამოაჭერით შუაგული და ამოავსეთ მომზადებული მასით. დაალაგეთ კარაქწასმულ ტაფაზე, ზევიდან წაუსვით არაჟნის ნარჩენი და მოათავსეთ ცხელ აირღუმელში, 10-15 წთ. ■

გის აკმაყოფილებს ცოლქმრული ცხოვრება?

ჰოლანდიური ინსტიტუტის Blauw Research-ის მიერ 6 ევროპულ ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ოჯახური ცხოვრება ყველაზე მეტად (89%) ფრანგ ქალებს აკმაყოფილებს. ცოლქმრული ურთიერთობებით ყველაზე დაუკმაყოფილებელი კი, ბრიტანელი ქალბატონები ყოფილან (74%). ფრანგი მანდილოსნები საკუთარი ჯანმრთელობითაც სხვებზე მეტად გამოთქვამენ კმაყოფილებას (81%). ამ სფეროში ყველაზე უკმაყოფილო კი, შვედი ქალები აღმოჩნდნენ: მათი 38,7% უკმაყოფილოა საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობით. გამოკითხვამ უჩვენა, რომ ევროპელი მანდილოსნებისთვის ყველაზე მწვავე პრობლემას ფინანსები წარმოადგენს: საშუალოდ 54,6% უკმაყოფილოა თავისი მატერიალური მდგომარეობით და მათ შორის, გერმანელი ქალები ლიდერობენ.

უნებლიე ეკუჩნაკი

ზოთა ქელეხსაძვილი

ამ ორიოდე წლის წინ, დედაქალაქი მიწისძვრამ რომ შეაშფოთა, აპალო (ასე ეძახდნენ შინაურები, ისე აპოლონი ერქვა) სააბაზანოში იყო შესული და საყოველთაო სირცხვილისგან (გარეთ დედიშობილა გავარდნისგან) „მშობლიურმა სენმა“ – დენის გამორთვამ იხსნა.

იმ დღიდან, აპალოს შიში დასჩემდა, სააბაზანოს აღარ ეკარებოდა, ღამით გაუხდელს ეძინა. რომ არა და არ გადაუარა, ახლობლებმა ექიმთან მისვლაზე დაითანხმეს...

– სეისმოფობია, მიწისძვრის შიში! – დასვა დიაგნოზი ფსიქოთერაპევტმა და როცა შეიტყო, რომ პაციენტი მეთექვსმეტე სართულზე ცხოვრობდა, ურჩია, დროებით გარიდებოდა თავის „ცათამბჯენს“. ახალშეძენილი (ძველიც არ აკლდა) ავადმყოფობით დადარდიანებულ კაცს ოჯახის წევრებმა დროებით სოფელში წასვლა ურჩიეს...

მამაპაპეული, მყარად ნაშენი სახლის ხილვისას, ჩვენს სეისმოფობს ერთგვარი სიმშვიდე დაეუფლა, მაგრამ მაინც, ეზოში, ხის ფარდულში დაიდო ბინა.

თქვენ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება და სიხარული, როცა მეორე დღეს, სოფელში გავლისას, მასავით დამფრთხალი და ქალაქს გამორიდებული მრავალი „კოლეგა“ გაიცნო. განსაკუთრებით გიგოს დაუახლოვდა, რომელიც დაზაფრული, ღამეებს სასიმინდეში ათენებდა. მათი საუბარი ყოველდღე, მიწისძვრასა და მასთან ბრძოლის მეთოდებს შეეხებოდა. ღამით კი, ოდნავ გაფაჩუნებაზეც კი, ერთმანეთს მობილური ტელეფონებით ეხმიანებოდნენ...

ერთი კვირის თავზე, გამთენიისას, აპალო ნაცნობმა ბიძგებმა გამოაღვიძა. ფარდული ქანაობდა... შოკში ჩავარდნილმა, ხელის კანკალით გიგოს ნომერი აკრიბა... – დაიწყო, დაიწყო! – ჩასძახა ყურმილში ისტერიკულად. – რა დაიწყო, კაცო? – გაისმა ყურმილში მეზობლის ნამძინარევი ხმა. – მიწისძვრა! ქვეყანა ინგრევა, ადამიანო, ჭურში ზიხარ?! – ჭურში კი არა, სასიმინდეში ვარ „გაკვეხებული“ და ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა! – ხმაში უკმაყოფილება გაერია მეგობარს...

პასუხით გაოგნებულმა აპალომ ძალღონე მოიკრიბა, კარს ეცა და რას ხედავს? – მეზობლის ვეებერთელა ღორი ფარდულის ბოძს მისდგომია და ისე გულმოდგინედ იხეხს ზურგს, რომ შენობას სულ ძგძგი გაუდის...

...ზოგი ჭირი მარგებელიაო – და აპალოც, შოკის წყალობით, იმ დღიდან, საბოლოოდ დაემშვიდობა სეისმოფობიას. ქალაქში დაბრუნებულმა კი, უნებლიე „მკურნალს“ მადლიერების ნიშნად ორი ტომარა ქატო გაუგზავნა. ■

ანტიალკოჰოლური კამპანია

ლევან ლევანიშვილი

ალბათ გახსოვთ, თუ ე.წ. „პერესტროიკის“ გარიჟრაჟზე როგორი რეზონანსი ჰქონდა ანტიალკოჰოლურ კამპანიას. საქართველოს ქალაქებში კი არა, სოფლებშიც გახსნეს გამოსაფხიზლებლები; ოჯახებიდან სასმელი და არყის გამოსახდელი დანადგარები კი არა, შებოლილი თევზიც გაჰქონდათ – როგორც არყის დალევის საცდუნებელი საშუალება... არადა, სწორედ იმ წელს, რიონს იმდენი თევზი მოაწყდა, ხელით დაიჭერდა კაცი. მეც ყოველდღე რამდენიმე კილოგრამს ვიჭერდი... ერთხელ, თევზაობით გული ვიჯერე და სოფლისკენ უნდა წავსულიყავი, რომ გამახსენდა შვილიშვილის თხოვნა, ცოცხალი თევზები მიმეყვანა მისთვის. ბადე კიდევ ერთხელ ვისროლე და რამდენიმე მტკავლისსელა თევზი ამოვიყვანე. ჩავყარე წყლიან სათლში და ღიღინ-ღიღინით წამოვედი. გზაში რამდენიმე მეზობელს გადავძახე და ახალგამოხდილ არაყსა და შემწვარ თევზზე მოვიპატიჟე.

საღამოს, სუფრასთან „მეორე სახარების“ მადლს ვლოცავდით, როცა ჩემი რძლის კვილმა წამოგვყარა: თურმე, ჩემს შვილიშვილს ცოცხალი თევზები ჭაში ჩაუყრია და წყლის ამოღებისას ასხმარტალებულს, პირდაპირ სახეში გაუკრავს კუდი... ცოტა ხანს ვივიშვიშეთ და „მესამე სახარებაზე“ გადავედით. ამ დროს – აცხონოს ღმერთმა! – ერთი მეზობელი შემოგვესწრო. არავის გაგვხარებია მისი დანახვა (მაგარი დამსმენი იყო, დღემდე რომ ეცოცხლა, ამ მთავრობასაც მაგრად გამოადგებოდა), მაგრამ სტუმარი ღვთისაა და სუფრასთან მივიპატიჟეთ. როცა მან ჭაში თევზების ჩაყრის ამბავი შეიტყო, მირჩია – სასწრაფოდ ამორეცხეო. უცებ, ერთი ეშმაკური იდეა დამებადა და ყველას გასაგონად ვთქვი – ამ ჭას სასმელად ერთი კვირაა აღარ ვხმარობთ; რაც არაყი გამოვხადე, საარყე ქვაბი ჭაში დავმალე; ალბათ მალე დამთავრდება ანტიალკოჰოლური კამპანია და მერე ამოვწმენდ-მეთქი... ამის გაგონებაზე, ახალშემოსწრებული აწრიალდა და მალე დაგვემშვიდობა კიდეც. მივხვდი, ჩემმა ჩანაფიქრმა მიზანს მიაღწია.



ჩეკრეციე

მეორე დილა გათენებულიც არ იყო, როცა მილიციისა და „სახანძროს“ მანქანები სირენების კივილით მოადგნენ ჩემს ჭიშკარს. რაიონის მილიციის უფროსმა დაუახლებლად გააღო ალაყაფის კარი და „სახანძრო“ პირდაპირ ჭას მიაყენა.

ვითომ გაოცებულმა, მილიციის უფროსს მივმართე: – რა მოხდა, კაცო, იმის (მეზობლის გვარი დავუსახელე) სახლს ხომ არ ეკიდება ცეცხლი-მეთქი? მილიციის უფროსმა დამნაშავესავით შემომხედა და მითხრა: – რა ვქნა, ძმაო? მასეთ ადამიანებს რა გამოლევს ამქვეყნად?! – წერილობითი საჩივარი შემოიტანა მაგ შობელძალმა და სხვა გზა არა მაქვსო... ორ საათში, ჩემი ჭა ისე ამოწრიტეს, რომ წვეთი წყალი არ ჩატოვეს შიგ. ჭაში ქვაბის საძებრად ჩასულ მილიციის უფროსს სათლი ხაპთან ერთად მივაწოდე და ჩავძახე: – თუ კაცი ხარ, მადლს მარილი მოაყარე და თუ რაიმე ჭუჭყია შიგ, ბარემ ამომიწმინდე-მეთქი... ზემოთ ამოსულმა, სიცილით მითხრა: – კი ვიცოდი შენი ოინების ამბავი, მაგრამ ასე თუ გაგვაცურებდი, მაინც ვერ წარმოვიდგენდიო...

მილიციის უფროსს ჭის ამოწმენდის საფასურად შემწვარი თევზი გავასინჯე და „სამი სახარების“ მადლიც „ვახუხე“. მას შემდეგ, მთელ სოფელს ჩემი ჭიდან დააქვს სასმელი წყალი. ■

ჯენტლმენური აღიარების მოსწრებული გამოსათქვამები



გამოცდა

ანტონ რუბინშტეინი საზღვარგარეთიდან სამშობლოში ბრუნდებოდა. დედამ პეტერბურგიდან რომ წაიყვანა, ჯერ 16 წლისაც არ იყო, ამიტომ დედაქალაქში რომ ჩავიდა, პასპორტი არ ჰქონდა. ამან ხელისუფლება დააეჭვა. მაშინდელმა ობერპოლიცმაისტერმა გალახვმა კატეგორიული უარი განაცხადა რუბინშტეინის მრავალრიცხოვან ნაცნობთა თავდებობაზე, რომლებიც არწმუნებდნენ, ანტონ გრიგოლის ძე მუსიკოსიაო და მოითხოვა „პირადობის თვალსაჩინო მოწმობა“: კანცელარიის უფროსს – ჩესნოკოვს უნდა მოესმინა რუბინშტეინის დაკვრისათვის და დასკვნა გაეკეთებინა, თვითმარქვია ხომ არ იყო.

აი, ამ ამბავს როგორ იხსენებს თვითონ კომპოზიტორი „ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში“: „მიმიყვანეს ჩესნოკოვთან... აღმოჩნდა ერთი უბადრუკი ფორტეპიანო. იგი დაჯდა, მეც დავჯექი და ყველაფერი, რაც კი გულზე შხამად მაწვა – მთელი გულისწყრომა, ბოღმა და აღშფოთება, რაც ჩემში ხდებოდა, იმით გადმოვანთხიე, რომ რაც ძალი და ღონე მქონდა ამ ინსტრუმენტის კლავიშებს ავუტეხე ბრახაბრუხი; ისე ძლიერ ვურტყამდი, რომ თითქოს სადაცაა ფორტეპიანო აცეკვდებოდა, შეიკუნტრუშებდა და სულ მცირე, ოცდაოთხ ნამსხვრევად დაიშლებოდა.

მაგრამ ინსტრუმენტი მეტისმეტად ჯიუტი გამოდგა და ჩემს გაცოფებას საზღვარი არ ჰქონდა. თუმცა ჩესნოკოვმა მოთმინებით მოისმინა და ობერპოლიცმაისტერთან წამიყვანა.

– ზუსტად აგრეა, თქვენო აღმატებულებავ, – მოახსენა კანცელარიის უფროსმა, – რუბინშტეინი ნამდვილი მუსიკოსია, ამიტომაც – უკრავს...“

დაკრძალვა

ჰანს ფონ ბიულოვს დიდხანს ამაოდ ეთათბირებოდნენ, ბერლინის ოპერის თეატრში ახალი სპექტაკლისათვის ედირიჟორა. ბიულოვი უარს აცხადებდა იმიტომ, რომ ეს ახალი ნაწარმოები სრულიად უნიჭო იყო და მხოლოდ იმისათვის დგამდნენ, რომ ავტორს თვით კაიზერი ვილჰელმ II უწევდა პროტექციას. ბოლოს ბიულოვს მაინც დამორჩილება მოუხდა.

პრემიერაზე დირიჟორს ისე ეცვა, როგორც დაკრძალვაზე, სახელოზე შავი სამგლოვიარო სამკლავური ეკეთა.

– რა მოხდა? – ჰკითხეს ბიულოვს განცვიფრებულმა და შეშფოთებულმა მუსიკოსებმა. – ვინმე დაასაფლავეთ?

– ჯერ არა, – მიუგო დირიჟორმა. – მაგრამ ახლა თქვენ დაინახავთ, როგორ დავასამარებ ამ ოპერას...

ანეკდოტები

***

ახალი ქართველი ახალთახალი „მერსედესით“ ასფალტის დასაგებ „კატოკს“ დაეჯახა და „საკუთარი“ ინსპექტორი გამოიძახა. მან ახედ-დახედა „მერსედესს“, შემდეგ „კატოკს“ და უბედურ მძღოლს მიუბრუნდა:

– აბა, ერთი მოყევი, როგორ დაეწიე „მერსედესს“, როგორ გადაუსწარი და მერე მკვეთრად როგორ დაამუხრუჭე?

***

თქვენ ლომების მომთვინიერებელი ბრძანდებით?

– დიახ, ბატონო.

– კი, მაგრამ ლომები რატომ ვერაფერს გიბედავენ? თქვენ ხომ ჩია და გამხდარი ხართ?

– მიზეზიც სწორედ ეგ არის! ისინი ჩემს გასუქებას ელოდებიან.

***

ორი ლოთი ბორდიურზე წევს. ერთმა წამოსწია თავი და მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ახლა ჩვენ თუ ავდექით, თითო ჭიქა არაყი კიდევ გადავკრათ, თუ ვერ ავდექით, მაშინ შინ წავიდეთ.

***

ბაყაყი ზის მდინარის პირას და ფეხებს წყალში ათამაშებს. მიუახლოვდა ბეჰემოთი და ეკითხება:

– წყალი თბილია?

ბაყაყმა ვნებიანი, მიბნედილი თვალებით შეხედა და წყენით უთხრა:

– მე აქ როგორც ქალი, ისე ვზივარ და არა, როგორც თერმომეტრი...

***

მდივანი ეკითხება შეფს:

– შეიძლება, თქვენი არყოფნის დროს, თქვენს ოთახში რომ ტელევიზორია, ვუყურო?

– ყურება შეიძლება, ჩართვა – არა.

***

ტელეფონის ზარი გაისმა. ყურმილი აიღო სამი ქალიშვილის მამამ და ისე, რომ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო, ალერსიანი ხმა შემოესმა:

– ეს შენა ხარ, ჩემო ბაყაყუნა?

– არა! – მიუგო მამამ. – გუბურის პატრონი გელაპარაკებით.

***

დედა ეუბნება ქალიშვილს:

– შენი თაყვანისმცემელი ისე მეზიზღება, რომ სიამოვნებით გავხდები მისი სიდედრი.

***

ორი ნარკომანი მდინარის პირას იჯდა. გამოიარა ახალმა ქართველმა, „ნავარობენი“ ჯიპით და იკითხა:

– ბიჭებო, აქ ფონი სად არის, ვერ მიმასწავლით?

ბიჭებმა ბევრი ფიქრის შემდეგ უპასუხეს:

– აი, აქ, ჩვენ გასწვრივ.

ახალმა ქართველმა მანქანა დაქოქა და მდინარეში შევიდა. მალე წყალმა მანქანა მთლიანად დაფარა. ბეწვზე გადარჩენილმა ჯიპის პატრონმა ნაპირზე გამოცურა და ნარკომანებს გამწარებული ეძგერა:

– რატომ მომატყუეთ? ჩემი დახრჩობა გინდოდათ?

– არა, ძმაო, წეღან მაგ ადგილზე ბატებმა გაიარეს და წყალი წელამდეც ძლივს სწვდებოდათ...

კვირის (5 - 11 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: მთელი თქვენი დიპლომატიური ნიჭის გამოვლენა მოგიწევთ, რადგან ამ კვირაში მრავალ ადამიანს შეხვდებით – მათ შორის ისეთებსაც, რომლებსაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებით.

მამაკაცი: მშვიდი და წყნარი დღეები საშულებას მოგცემთ, ახლო მომავლის გეგმები დასახოთ. შესაძლოა, საინტერესო მივლინებაში გამგზავრების შანსი გამოგიჩნდეთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ძალიან იღბლიანი კვირა იქნება ნებისმიერი საოჯახო საქმიანობისათვის. მოერიდეთ ყოველგვარ მექანიზმს, ფეთქებად ნივთიერებებსა და ბასრ ხელსაწყოებს. ჯობს, სამუშაო იარაღებს მამაკაცებმა მიხედონ.

მამაკაცი: შაბათ-კვირას ელიტურ წვეულებაზე მიგიპატიჟებენ. წასვლაზე უარს ნუ იტყვით, რადგან იქ გაცნობილი ადამიანები მომავალში დიდ დახმარებას აღმოგიჩენენ. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ვიზუალურ მხარეს – ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: ბიზნესის სფეროში წარმატებაა მოსალოდნელი. ერთი მხრივ, თვითდამკვიდრების სურვილი გაგიძლიერდებათ და მოითხოვთ, რომ გარშემომყოფები პატივისცემით გექცეოდნენ; მეორე მხრივ, სწორედ ეს გარემოცვა გაგაღიზიანებთ თავისი უნდობლობით.

მამაკაცი: საკმაოდ დატვირთული კვირა გექნებათ. დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ ახლობელ ადამიანზე ზრუნვა, მაგრამ ეცადეთ, სამსახურში ყურადღება არ მოადუნოთ. გახსოვდეთ: სულ უმნიშვნელო უზუსტობაც კი ძვირად დაგიჯდებათ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: საკმაოდ პოზიტიური და კონსტრუქციული კვირაა. თქვენი ცხოვრების საღად შეფასებას შეძლებთ. ზუსტად განსაზღვრავთ პრიორიტეტებს და თქვენი მონდომება ხელმძღვანელებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩება.

მამაკაცი: ძალიან მოსაწყენი და გამაღიზიანებელი იქნებით ირგვლივმყოფთათვის. ამის მიზეზი ზედმეტად დაძაბული სამუშაო კვირაა. შეეცადეთ, გადაჭარბებული ემოციურობით არ მიუდგეთ ყოველგვარ წვრილმანს.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ამ კვირაში ყველაზე ნაკლებად ხართ მუშაობის განწყობაზე. იმდენად დიდია დასვენების სურვილი, რომ სამსახურის გახსენებაც კი გზარავთ. მაგრამ ფრთხილად, სამომავლოდ საქმე არ გაიფუჭოთ.

მამაკაცი: ძალზე ენერგიული ხართ, ამ კვირაში კი მისი დახარჯვის შესანიშნავი საშუალება მოგეცემათ. ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებთ და ბევრ მადლობასაც გადაგიხდიან.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: კვირის დასაწყისში ძალიან საპასუხისმგებლო დავალებას მოგცემენ. მოინდომეთ, გაამართლეთ ხელმძღვანელობის იმედები და შრომა ნამდვილად დაგიფასდებათ.

მამაკაცი: ისეთ კეთილგონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებთ, რომ მთელი თქვენი ცხოვრება 180 გრადუსით შეიცვლება. მხოლოდ ერთ რჩევას მოგცემთ, ძველ მეგობრებს ნუ დაივიწყებთ. შემოიკრიბეთ ისინი გარშემო და ახალი პროექტი მათთან ერთად განახორციელეთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: კვირის დასაწყისში განსაკუთრებით მომხიბლავი, ენამოსწრებული იქნებით, მაგრამ აბსოლუტურად შრომისუუნარო! კვირის ბოლოს მაინც გამოიჩინეთ შრომისმოყვარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები შეგექმნებათ.

მამაკაცი: ცხოვრების სტილის შეცვლაზე ფიქრობთ და ამის საფუძველი ნამდვილად გაქვთ. იყავით უფრო გაბედული და წარმატებაც არ დააყოვნებს. პრობლემებს მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდებით. სთხოვეთ რჩევა ახლობელ ადამიანებსა და კოლეგებს.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ცოტათი დაბნეული ხართ, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ მნიშვნელოვან შეხვედრებს კვირის ბოლოსთვის დაგეგმავთ. შაბათ-კვირა მხიარულ გარემოში გაატარეთ და დაისვენეთ.

მამაკაცი: კვირის დასაწყისს აქტიურად და დინამიკურად გაატარებთ. შუა კვირაში კი მცირეოდენი დაბრკოლებები შეგექმნებათ. შესაძლოა, ურთიერთობა ოჯახის წევრებთანაც გაგიმწვავდეთ. იყავით კორექტული და უსიამოვნო საუბარს თავიდან აიცილებთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ამ კვირაში ძალიან გავლენიან ადამიანებთან მოგიწევთ შეხვედრა. თადარიგი წინასწარ დაიჭირეთ და შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი. ნურც სალონში შესვლას დაიზარებთ. იმაზე, თუ როგორ გამოიყურებით, ბევრი რამაა დამოკიდებული.

მამაკაცი: თუკი რაიმის ძირფესვიანად შეცვლას აპირებთ ან რაღაც პროექტის განხორციელებას გეგმავთ, თამამად შეუდექით საქმეს. ეს კვირა იდეალურია ახალი წამოწყებისთვის.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: პარასკევამდე თქვენი შესაძლებლობების გამომჟღავნების შემთხვევა არ მოგეცემათ. კვირის ბოლოს კი ენერგის მოზღვავებას იგრძნობთ და თქვენი საქმიანობა წარმატებული იქნება – განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნებით ხართ გატაცებული.

მამაკაცი: არანაირი აზარტული თამაშები, არანაირი ფლირტი – მხოლოდ ოჯახში პატიოსნად გატარებულ საღამოს შეუძლია იმედგაცრუებისგან გიხსნათ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: კვირის დასაწყისში სერიოზულ საქმეებზე ყურადღების კონცენტრირება გაგიჭირდებათ. არადა, ამ კვირაში მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად განაპირობებს თქვენს მომავალს.

მამაკაცი: გუნება-განწყობილება ელვის სისწრაფით გეცვლებათ. ყურადღებით მოუსმინეთ ოჯახის წევრებს და მათი რჩევები გაითვალისწინეთ. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ამ დღეებში ნუ მიიღებთ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: პირადი ცხოვრებისა და სამსახურებრივი პრობლემების ერთმანეთისგან გამიჯვნა ძალიან გაგიჭირდებათ. ეს კვირა წარმატებული აღმოჩნდება პოლიტიკაში დასაქმებული ადამიანებისთვის. სასიყვარულო ურთიერთობები ამ შემთხვევაში მეორე პლანზე უნდა გადასწიოთ.

მამაკაცი: შეუმოწმებელ ინფორმაციას ნუ დაეყრდნობით. დიდია ალბათობა, რომ ინტრიგების მსხვერპლი აღმოჩნდეთ. ეჭვიან მამაკაცებს ვარსკვლავები თავშეკავებისკენ მოუწოდებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება საყვარელი ადამიანი დაკარგოთ.

ვერდის ბოლო ოპერა
ატრაქციონის ნაირსახეობა
მიკიბულ-მოკიბული
ხელოსანთა ამქრის უფროსი
ყირგიზული ეპოსი
მუსიკალური ინსტრუმენტი
ლუდოგებსგან მიქსილი სასმელი
...-კერვა
მამილო კარლოს ბიჭუნა
აბრეშუმის ჭიის ნუგბარი ხე
პაატა ბურჭულაძის სასიმღერო ხმა
...-ბუბუ
„ოქროს ხოჭო“ (მწერალი)
მერმანელი მწერალი
ნაცვალსახელი
ზედმეტად მარილიანი
რომანელი გალუტა
სოფლი ბერიტიტების ძმასხვევად
კ/ფ „ვერდიქტი“ (... ნიუმენი)
„მილანის“ ჰოლანდიელი ნ/მცველი
ქვეწარმავალი
ქართ. სოპ. მომღერალი ... ალბგაშვილი
ოპერაციის წინ კეთდება ...
ცელქი, მოუსვენარი
ლითონი
ობიექტივის ანტიპოდი
მაკომპრომეტირებელ დოკ ერთობლიობა
ორი ზეს შესრულელ წლის ეპოქა ზილ
იაპონური თეატრი
დელაძეწის თავზე
რთული საქმე სასამართლო პრაქტიკაში
გიტარის ყორპუსის ნაწილი
რუსული ვერმიშელი
ნოტი
იგივეა, რაც მელოტი
სინამდვილის ასახვა
ფინური აბანო
10^3
მსახური ბიჭი სასტუმროში
ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ
კლდის წაწვეტებული ნაწილი
კაბის სიგრძე

„მომღერალი ძმები“ კლიპსა და სცენაზე

კინოთეატრ „ქოლგაში“ ნორჩი მომღერალი ძმების — თორნიკე და ირაკლი გულაშვილების ახალი კლიპის პრეზენტაცია გაიმართა. სიმღერა ინგლისურენოვანია, ტექსტი ბიბი კვაჭაძეს, ხოლო მუსიკა მანანა გურგენიძეს ეკუთვნის. ეს სიმღერა ჯაზ-როკისა და „სტეპის“ სინთეზია, რომლის არანჟირებაც ზურა მახნიაშვილმა შეასრულა. სიმღერას „მომღერალი ძმები“ ჰქვია. კლიპის რეჟისორები დაჩი დარჩია და ბასა სამხარაძე არიან. როგორც ყოველთვის, მათ ახლაც დუეტში იმუშავეს და ჩვეულებისამებრ, კინოკადრებიც გამოიყენეს. კლიპის შინაარსის მიხედვით, ძმები „სტეპის“ ცეკვის გაკვეთილებზე დადიან. მათი მასწავლებელი კლიპშიც და ცხოვრებაშიც, საქართველოში „სტეპის“ ერთადერთი მცოდნე კახა ხოშტარიაა, რომელიც ძმებს სხვადასხვა ილეთთან ერთად „სტეპის“ ისტორიასაც ასწავლის. გაკვეთილიდან წამოსული ძმები ქუჩაში მეგობრებს ცოდნას უზიარებენ.

კლიპის მიმდინარეობის დროს თორნიკე და ირაკლი სცენაზე ავიდნენ და იცეკვეს, რითიც მაყურებლის აღფრთოვანება დაიმსახურეს. ასევე მხურვალე აპლოდისმენტებით დაჯილდოეს ახალგაზრდა რეჟისორები დაჩი დარჩია და ბასა სამხარაძე. მათთვის ეს მესამე კლიპია (ერთობლივად გადაიღეს ქეთა თოფურიას „შაირი“ და შორენა ყარყარაშვილის „ღამდება“). რამდენიმე დღეში, კლიპს მაყურებელი ტელეეკრანზე იხილავს და დარწმუნდება, რომ ჯაზ-როკისა და „სტეპის“ სინთეზი ქართულ ესტრადასა თუ კლიპინდუსტრიაში ახალი ხილია. ■

ნატო დუმბაძე ოთხ ალბომს ამზადებს გამოსაცემად

ჯგუფმა „სეიშენმა“ „შავ პრინცთან“ ერთად ჩაწერილ დუეტზე ახლახან გადაიღო კლიპი, რომლის რეჟისორიც გიორგი კიკალეიშვილია (კიკალა). სიმღერისთვის სახელწოდება ბიჭებსა და მათ პროდიუსერს — ნატო დუმბაძეს ჯერ არ შეურჩევიათ. კლიპი სულ მალე გამოვა ეკრანზე. ბიჭები პირველ ალბომსაც აკეთებენ. ნატოს საპროდიუსერო სფეროში მყოფი სხვა მომღერლებიც — ბუკა, ჯაბა ქარსელაძე და თიკა ჯამბურია — სოლო ალბომებზე მუშაობენ. ოთხივე ალბომი სავარაუდოდ, აპრილის ბოლოს იქნება მზად. თიკა ჯამბურია თავისი პირველი სოლო კონცერტის შემდეგ, ცოტას დაისვენებს. მოგვიანებით კი, კომპოზიტორ გია ყანჩელის სიმღერაზე — „სიკეთის ხიდი“ — კლიპის გადაღებაზე დაიწყებს მუშაობას რეჟისორ ქეთი დოლიძესთან ერთად. ახალი კლიპის გადასაღებად ემზადება აგრეთვე ჯაბა ქარსელაძე, რომელსაც საფუძვლად დაედება გელა გნოლიძის ახალი სიმღერა. ■

კახა კუხიანიძის ახალი კლიპები

ახალგაზრდა მომღერალმა კახა კუხიანიძემ თავისი ძმის — გიგა კუხიანიძის სიმღერაზე — „თეთრი ღამე“ (ტექსტი ნანა ცინცაძის) — ახალი კლიპი გადაიღო. რეჟისორია გიორგი კიკალეიშვილი. მომღერალი თავის პირველ, სადებიუტო ალბომზეც მუშაობს, რომელშიც 11 სიმღერა შევა. ალბომის სახელწოდება იქნება „ალერსი მინდა“. სულ მალე, კახა ორ კლიპზე ერთდროულად დაიწყებს მუშაობას: ერთ-ერთ მათგანს, სიმღერაზე — „მახსენებს ღამე“ — კვლავ კლიპების რეკორდსმენი კიკალა გადაიღებს, მეორის რეჟისორი კი ლევან ტორონჯაძე იქნება. ■

ნეკას საქმიანი ეთიაქი ისრაელში

ახალგაზრდა მომღერალი ნეკა სებისკვერაძე რამდენიმე დღეში ისრაელში გაემგზავრება, სადაც სიმღერასთან ერთად, ჟურნალისტური საქმიანობაც მოუწევს: იქ მცხოვრები ქართველებისთვის იხსნება ახალი ქართული ტელეარხი, რომლის მუსიკალურ კოორდინატორობასაც ნეკა შეითავსებს. იგი ასევე, მუსიკალური ათეულის წამყვანიც იქნება. ნეკა ისრაელში, სულ მცირე, ოთხი თვით დარჩება, მისი შემდგომი გეგმები კი ალბათ, მერე გაირკვევა. ამასთანავე, მომღერალი იქვე ჩაწერს ახალ სიმღერებს და მონაწილეობას მიიღებს ისრაელის სხვადასხვა ქალაქში დაგეგმილ კონცერტებში. ასე რომ, ქართული შოუბიზნესის კიდევ ერთი წარმომადგენელი თუმცა დროებით, მაგრამ მაინც ტოვებს მშობლიურ სცენას... ■

მოამგეადა ნათია ქივიძეს

წაშალი „მითაწმინდა“

მკურნალობამდე და შემდეგ

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნაოჭების გასწორება, მცენარეული საპნები;
- ნატურალური მკვებავი მალამოები.

მკურნალობა მარანგიით

ქალაქ: ჯავჯავაძის გაზ. 2/2, ჩაის სასლთან, სპორტოლოგიურ პოლიკლინიკაში, მიღება ყოველდღე 11-18 სთ-ზე, ბიოლოგი ეკატერინე ბეგაშვილი

☎ 30-94-73; 34-35-16 ბალავრა

ვინ არის თქვენი რჩეული: მაჩო, ამიგო თუ?..

რაღა თქმა უნდა, ყველა მამაკაცი სხვადასხვანაირია, მაგრამ იმისათვის, რომ საპირისპირო სქესთან ურთიერთობა სწორად ავაგოთ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ ფსიქოლოგიური კლასიფიკაციის რომელ ტიპს განეკუთვნება ჩვენი რჩეული. ამის გარკვევაში კი, ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგვეხმარება.

I ბლოკი: მოცემული პასუხის ორი ვარიანტიდან აირჩიეთ ერთ-ერთი.

1) მეგობრების წრეში ის დიდი ენთუზიაზმით ერთვება საუბარში...

ა) სპორტზე;

ბ) ხელოვნებაზე.

2) ის ამჯობინებს ატაროს...

ა) მყვირალა ფერის მოდური სამოსი;

ბ) მოსახერხებელი ტანსაცმელი, რომელიც ადვილად არ ისვრება.

3) სამსახურში მას სთავაზობენ ისეთ განყოფილებაში გადასვლას, რომლის ხელმძღვანელიც ქალია:

ა) ის მხოლოდ სამუშაოს არსითა და ხელფასით ინტერესდება;

ბ) ის შეცბუნებულია იმით, რომ ქალის დაქვემდებარებაში მოუწევს მუშაობა.

4) მოულოდნელად ირკვევა, რომ მის ერთ-ერთ ამხანაგს არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია აქვს, ის...

ა) მომენტალურად წყვეტს მასთან ყოველგვარ ურთიერთობას;

ბ) მასთან ურთიერთობისას უწინდებურად იქცევა.

5) თქვენ მანქანის მართვას სწავლობთ, ის...

ა) ენთუზიაზმით დაგიჭერთ მხარს;

ბ) განაცხადებს, რომ ეს ქალის საქმე არ არის.

6) ახალი ფილმის სანახავად კინოში აპირებთ წასვლას. რომელი ჟანრის ფილმს ამჯობინებს თქვენი რჩეული:

ა) ბოევიკს;

ბ) კომედიას.

7) ის ისეთ ოჯახში აღიზარდა, სადაც...

ა) მამა ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტდა;

ბ) ყველა მნიშვნელოვან საკითხს ოჯახში ერთობლივად წყვეტდნენ.

8) ორიოდე კვირით მივლინებაში მოგიხდათ წასვლა. დაბრუნებისას აღმოაჩენთ, რომ...

ა) ბინაში წესრიგი სუფევს, მზა ვახშმი კი, სუფრაზე გელით;

ბ) სამზარეულოში დასარეცხი ჭურჭელია დახვავებული, მაცივარი კი ცარიელია.

ყოველ შეკითხვაზე პასუხად შეარჩიეთ „ა“ ან „ბ“ ვარიანტი. 1-ა; 2-ბ; 3-ბ; 4-ა; 5-ბ; 6-ა; 7-ა; 8-ბ პასუხებში დაიწერეთ თითო ქულა. თუ 5 ან ხუთზე მეტი ქულა დააგროვეთ, თქვენი კოდის პირველი ასოა — B, ხოლო 4 ან ოთხზე ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში, თქვენი კოდის პირველი ასოა — H.

II ბლოკი: ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს უპასუხეთ „დიახ“ ან „არა“.

1) ხომ არ უჭირს თქვენს რჩეულს პატიების თხოვნა, თუკი გრძნობს, რომ თქვენთან ურთიერთობისას შეცდომა დაუშვა?

2) გაცივების დროს ლოგინში არასოდეს წვება.

3) ახალი ნაცნობობა ყოველთვის ახარებს.

4) მასთან საუბრისას ყოველგვარი მორიდების გარეშე განიხილავთ თქვენს ინტიმურ პრობლემებს.

5) სხვა მამაკაცებთან თქვენი მეგობრული დამოკიდებულება მას აღიზიანებს.

6) ის ცაციაა.

7) გარეგნულად მამას ჰგავს.

8) უფროსი ძმა ჰყავს.

9) უყვარს თქვენთან ერთად ცეკვა.

10) თქვენი ნაცნობები მას საინტერესო ადამიანად მიიჩნევენ.

11) მას შეუცდომლად შეუძლია თქვენი ზომის სამოსის შერჩევა.

12) დიდი ზომის ფეხი აქვს.

13) იოლად უღებს ალღოს უცხო ენაზე წარმოთქმულ ფრაზებს.

14) მდიდარი წარმოსახვის უნარი აქვს.

15) დროს ხშირად ატარებს იქ, სადაც მხოლოდ მამაკაცები იკრიბებიან.

1; 3; 4; 5; 6; 9; 10; 11; 12; 13; 14 შეკითხვებზე დადებითად გაცემულ პასუხებში და 2; 7; 8; 15 შეკითხვებზე უარყოფითად გაცემულ პასუხებში დაიწერეთ თითო ქულა. თუ 8 ან რვაზე მეტი ქულა დააგროვეთ, თქვენი კოდის მეორე ასოა — B, ხოლო თუ 7 ან შვიდზე ნაკლები, თქვენი კოდის მეორე ასოა — H.

ტესტის პასუხები

BH — თქვენი პარტნიორი ტიპური **მაჩო**. მაჩო (ესპ. „ხვადი“) საკუთარ უპირატესობად მიიჩნევს იმას, რომ მამაკაცად დაიბადა. ურთიერთობისას მაჩო სწორედ იმის დემონსტრირებას ახდენს, რასაც ირონიით თავადვე უწოდებს „ქალურ ლოგიკას“: ის აბსოლუტურად შეუვალია, არგუმენტებს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს — არასოდეს იცვლის აზრს. მაჩოს ნორმალურ ადამიანად გარდაქმნა შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის აუცილებელია ცხოვრებამ კარგა გვარიანად შეაჯანჯაროს.

BB — თქვენი პარტნიორი ტიპური **სუპერმენი**. სუპერმენი (ინგლ. „ზეკაცი“), ერთი მხრივ ტრადიციულ, მამაკაცისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი როლის შესრულებას ცდილობს, მეორე მხრივ — ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პრიორიტეტს აღიარებს. პალტოს ჩაცმისას, ის ყოველთვის დაგეხმარებათ და არასოდეს გამოხატავს უკმაყოფილებას, თუკი პაემანზე დაგაგვიანდებათ. ოღონდ გაითვალისწინეთ, სუპერმენი საოჯახო საქმეების კეთებას სათაკილოდ მიიჩნევს; მისთვის ნებისმიერი საქმიანობა ორ კატეგორიად იყოფა: მამაკაცური (პრესტიჟული და სასიამოვნო) და ქალის (მოსაწყენი და უსიამოვნო). თუკი ოჯახში მეორეხარისხოვან როლზე თანახმა ხართ, მაშინ უნდა გითხრათ, რომ შესაფერისი პარტნიორი აგირჩევიათ.

HB — თქვენი პარტნიორი ტიპური **ამიგო**. ამიგო (ესპ. „მეგობარი“) არასოდეს ეცდება თქვენს მაგივრად პრობლემების გადაჭრას, მაგრამ აუცილებლად დაგეხმარებათ, თუკი მას ამის შესახებ სთხოვთ. ამიგო პარტნიორ ქალს თანასწორად მიიჩნევს და ამიტომ მფარველის პოზიციაში ყოფნა მისთვის უცხოა. ნებისმიერი ადამიანი მისთვის პირველ რიგში მეგობარი ან კოლეგაა და მხოლოდ ამის შემდეგ — მამაკაცი ან ქალი. ამიგოები სტაბილური ურთიერთობების დამყარების დიდოსტატები არიან.

HH — თქვენი პარტნიორი ტიპური **მუჩაჩო**. მუჩაჩო (ესპ. „ყმაწვილი“) ჭარმაგ ასაკამდე დიდ ბავშვად რჩება. ამ ტიპის მამაკაცები ძირითადად დედებისა და უფროსი დების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებიან და ამიტომ ისინი ქალებში, უპირველეს ყოვლისა, მფარველს ხედავენ. თუკი გადაწყვეტთ, საკუთარი ცხოვრება მუჩაჩოს ტიპის მამაკაცს დაუკავშიროთ, მზად იყავით იმისთვის, რომ ნებისმიერი სერიოზული პრობლემის მოგვარება თავადვე მოგიწევთ. თუმცა მუჩაჩოები ყველაზე ფრთხილ და წინდახედულ ქალბატონებსაც კი ახვევენ თავბრუს თავიანთი მომხიბლაობით.

ბენგალიუმა ვეფხვმა 5 ტურისტი შეჭამა

ნეპალის ერთ-ერთ პროვინციასთან ახლოს, პიკნიკზე მყოფ ტურისტებს მოულოდნელად ვეფხვი დაესხა თავს. ექვს ტურისტს შორის, თავის გადარჩენა მხოლოდ ერთმა მათგანმა შეძლო, რომელიც ხეზე აძვრა და იქ რამდენიმე საათი დაყო.

„კაციჭამია ვეფხვი, რომელიც ახლომდებარე ტყიდან მოულოდნელად გამოვარდა, თავს დაესხა ტურისტებს და ხუთი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა. როგორც ირკვევა, ვეფხვი უკვე ორი თვეა, პროვინცია ჩიტვანში ადამიანებზე ნადირობს“, – განაცხადა ნეპალის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

როგორც სასწაულებრივად გადარჩენილი ტურისტი ჰყვება, ხეზე მას რამდენიმე საათის გატარება მოუხდა, რადგან ვეფხვი საკბილოს მოლოდინში, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ხის ქვეშ ფეხმოუცვლელად იჯდა.

ნეპალის შსს-ს თანამშრომელი ვარაუდობს, რომ ეს სწორედ ის ვეფხვია, რომელმაც ცოტა ხნის წინ 8 ადამიანი იმსხვერპლა. ამჟამად ვეფხვზე ძებნაა გამოცხადებული, მაგრამ მის კვალს ჯერჯერობით ვერავინ მიაგნო. ■

გერმანიაში ოთხყურა კნუტი დაიბადა

კნუტი, რომელსაც ორი წყვილი ყური აქვს, ცხოველთა თავშესაფრიდან მალე ნორმალურ ოჯახში გადაინაცვლებს. პატარა, შავ-თეთრი კნუტი – ლილი, თავშესაფარში ყოფილ პატრონს ჩაუბარებია.

როგორც კი კნუტის ოთხყურიანობის ამბავი გახმაურდა, მისი შეძენის უამრავი მსურველი გამოჩნდა. ლილის, გენეტიკური მუტაციის შედეგად, ჩვეულებრივი ყურების უკან კიდევ ერთი წყვილი ყური აქვს, რომელიც ზომით ჩვეულებრივი ყურის ნახევარია. თუმცა, ამ „უცნაურ წყვილს“ ფორმა კი ყურისა აქვს, მაგრამ არაფერი ესმის.

თავშესაფრის თანამშრომლები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან კნუტის გასხვისების საკითხს. „ლილი მუტანტი კი არა, ჩვეულებრივი, საკმაოდ აქტიური, ალერსიანი და სავსებით ნორმალური კნუტია. არავის მივცემთ უფლებას, მას როგორც მხოლოდ გასართობს, ისე მოეპყროს. როგორც იქნა, გამოჩნდა მისი შეძენის მსურველი, სერიოზული ოჯახი, რომელსაც ცხოველები ჩვენგან ადრეც წაუყვანია“, – აცხადებს თავშესაფრის თანამშრომელი ენრიკო შლაგი.

ოთხყურა ლილიმ, რომლის ფოტოები პირველად ადგილობრივ პრესაში, შემდეგ კი Reuters-ში გამოქვეყნდა, უდიდესი პოპულარობა მოუტანა სამხრეთ გერმანიაში მდებარე ცხოველთა თავშესაფარს. შლაგმა განაცხადა, რომ მათთან უამრავი ადამიანი რეკავს – ზოგს კნუტის შეძენა სურს, ზოგი კი შემოწირულობის შემოტანას სთავაზობს. უცნაურ კნუტს ორი კვირის შემდეგ „გააშვილებენ“. ■

4 წლის ბავშვმა სკოლაში კოკაინი მიიტანა

აშშ-ში, ინდიანის შტატში, ქალაქ ინდიანაპოლისში, 4 წლის ბავშვმა, რომელიც მოსამზადებელ ჯგუფში სწავლობს, სკოლაში 10 ათასი დოლარის ღირებულების კოკაინი მიიტანა. როგორც მასწავლებელი ჰყვება, ბიჭს ზურგჩანთიდან რაღაც პაკეტი ამოუღია და თანაკლასელებისთვის „აუხსნია“, რომ ეს ჩვეულებრივი ფქვილი იყო; მასწავლებელს კი მაშინვე პოლიცია გამოუძახებია.

ბიჭის სახლში ჩატარებულმა ჩხრეკამ არანაირი შედეგი არ გამოიღო – პოლიციამ ვერც ნარკოტიკი აღმოაჩინა და ვერც ბავშვის მშობლების კვალს მიაგნო – ისინი გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდნენ. ამჟამად ბავშვის მშობლები (მათი სახელები გარკვეული მოსაზრების გამო, ჯერჯერობით არ სახელდება), რომელთა დაპატიმრების ორდერი უკვე გაცემულია, იძებნებიან; პატარა ბიჭი და მისი და კი, დროებით უპატრონო ბავშვთა სახლს მიაბარეს. ■

ბებია-შვილიშვილი ცოლ-ქმარი გახდა

25 წლის ინდოელმა, ცოლად საკუთარი 80 წლის ბებია შეირთო. მან ასეთი უცნაური და ამავე დროს საპასუხისმგებლო ნაბიჯი იმით ახსნა, რომ მას ბებიის გვერდით ყოფნა და მასზე მზრუნველობა სურს.

„ვფიქრობ, რომ ბებია ძალიან მოხუცდა და მას ახლა უფრო მეტად ვჭირდები, ვიდრე ადრე. ქმრის სტატუსში მყოფი კი, უკეთ ვახერხებ მასზე ზრუნვას და გაცილებით მეტ ყურადღებას ვუთმობ“, – ამბობს ახალგამომცხვარი მეუღლე ნარაიან ბისვასი.

ნარაიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ბრინჯის პლანტაციაში მუშაობს. ამავე დროს, სკოლის მოსწავლეებს კერძო გაკვეთილებს უტარებს.

თავის მხრივ, საკუთარი არჩევანით კმაყოფილია ახალგათხოვილი ბებიაც, რომელსაც პირველი ქმარი (ნარაიანის ბაბუა), 30 წლის წინ გარდაცვლია. „ნარაიანი მე გავზარდე. ახლა კი ბრწყინვალე მეუღლეობას მიწევს და ზრუნვას და ყურადღებას არ მაკლებს“, – ამბობს 80 წლის პრემოდა ბისვასი.

ადგილობრივი სამართალდამცავების თქმით, სისხლით ნათესავებს შორის ქორწინება არალეგალურია. თუმცა, მიუხედავად ამისა, „ახალგაზრდა წყვილის“ მიმართ არანაირი ზომების გატარებს არ აპირებენ. ■

ფოტოკუჩიოზები









წმინდა ცეცხლზე თავმოძღვარი სანთელი იერუსალიმიდან

649/18

აპრილი, 2004

ფასი 80 თეთრი

ალილუია

მართლმადიდებლური ჟურნალი

აპრილის თემა:
უფლის ბრწყინვალე აღდგომა

მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა მაცხოვრის საფლავზე

ტელესერიალები და ბავშვები

გმადლობ, უფალო, ყველაფრისთვის

იუდას ცოდვა

შორნალში სარჩევია:
დაუჯდომელი გალობა
ყოვლადტკბილისა
უფლისა ჩვენისა
იესო ქრისტესი და
სანთელი იერუსალიმიდან

სულდგმული საჩუქარი „ალილუიას“ კითხველს

ნაბიჯი ჯეშმარიტებისაკენ